კვირის პალიტრა

ფეხი

N4 (294) 26/I-2/II.2006. ფასი 60 თ.

1168
2006

კლიმატური იარაღი

შესაძლებელია თუ არა სიცივის გამოწვევა ხელოვნურად

...ბავშვი: „ა... ... ... მაკომპლექსებენ...“

ბავშვობის სასტიმელები

მიჯნურები — გიორგი შავგულიძე და ლიზა ვაჩნაძე...

ნათლია

„ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. ოღვდელიც იქ მივიყვანე...“

შემთხვევა — 14 წლის წინ „გარდაცვლილი“ შვილის დაბრუნება

სასტუმრო მელისი

ბაკურიანი

ფასთან-ფასდაღებული თქვენი სიტყვისა
და ჯანმრთელობის საქმესთან



MELISI

ტელ: (995 32) 94 23 55 მობ: (899) 248 686

E-mail: hotel_melisi@yahoo.com

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ
ᲒᲖᲐ
№4 (294)
26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ — 1 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2006
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲐᲜᲣ „ᲠᲬᲧᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲭᲘᲐᲜᲭᲕᲔᲚᲐ“ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ 3
ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
ᲠᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲡ ᲐᲜᲣ ᲠᲝᲓᲔᲛᲓᲔ ᲒᲐᲡᲢᲐᲜᲡ „ᲒᲐᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲐ“ 4
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ
ᲒᲐᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 4
ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ
ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ: ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲘᲪᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲓ 5
ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ
„ᲚᲘᲝᲜᲨᲘ ᲔᲚᲔᲜᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘᲪ ᲙᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲰᲧᲕᲐ!..“ 7
ᲜᲐᲗᲚᲘᲐ
„ᲜᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑ ᲑᲘᲜᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ, ᲛᲔᲓᲕᲓᲔᲚᲘᲪ ᲘᲥ ᲛᲘᲕᲘᲧᲕᲐᲜᲔ...“ 9
ᲕᲘᲠᲣᲡᲘ
„ᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲠᲘᲞᲘ ᲘᲧᲝᲡ...“ 10
ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲐ
ᲠᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ 700 ᲛᲚᲜ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲡ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ 12
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
ᲫᲛᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲓ ᲪᲜᲝ 14
ᲐᲛᲙᲚᲣᲐ
ᲠᲐᲢᲝᲛ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐᲡ 17
ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ
ᲠᲐᲢᲝᲛ „ᲘᲒᲠᲣᲖᲔᲑᲐ“ ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲕᲔᲠᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ ᲣᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲪᲔᲑᲡ 18
ᲢᲔᲡᲢᲘ
ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ 20
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
ᲣᲐᲠᲘ ᲧᲔᲜᲘᲣᲤᲔᲠ ᲚᲝᲠᲔᲡᲡ, „ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲝᲛᲐᲜᲘᲐ“ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ — ᲨᲐᲨᲣ! 21
ᲗᲐᲠᲒᲐ
ᲗᲘᲜᲔᲘᲧᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲘ, ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲭᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ 25
ᲗᲔᲛᲐ
- ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲧᲐᲮᲘᲡ ᲒᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲒ ᲝᲧᲐᲮᲔᲑᲨᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... 27
- 14 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ „ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ“ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ 29
ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ
ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲜᲝᲠᲩᲔᲑᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲘᲦᲑᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘ... 32
ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ
- ᲐᲜᲢᲘᲕᲘᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ 34
- ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲔᲞᲐᲠᲝᲡ... 34
- ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ 35

ᲠᲝᲛᲔᲚ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ

ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲠᲝᲛᲐᲐ, ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ, ᲛᲐᲗ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲗ. ᲬᲚᲔᲣᲚᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲯᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚᲘ 700 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲚᲐᲠᲘᲗ, ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲔᲑᲐ.

12

„ᲚᲘᲝᲜᲨᲘ ᲔᲚᲔᲜᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘᲪ ᲙᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲰᲧᲕᲐ!..“



„ᲔᲚᲔᲜᲔ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲓᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚ ᲛᲝᲪᲘᲒᲣᲠᲐᲕᲔᲑᲗᲐᲜ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲗᲔᲣᲚᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲓ ᲩᲐᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲚᲔᲜᲔᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐ... ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲛᲘᲖᲐᲜᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲐ, ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲯᲐᲒᲐᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲐᲓ ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ...“

7

ᲝᲪᲔᲣᲚᲨᲘ — ᲝᲪᲘ ᲐᲗᲐᲡᲘᲓᲐᲜ!

„...ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲔᲠᲗ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡᲐᲪ ᲨᲔᲕᲔᲮᲝ: ᲗᲣᲙᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲕᲐᲠᲗ, ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲕᲘᲜᲔᲑᲝᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲐᲮᲚᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘᲐ ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲑᲐ, 10-15%-ᲘᲐᲜᲘ „ᲡᲔᲘᲚᲘ“ ᲠᲐ „ᲡᲔᲘᲚᲘᲐ“?!“

40

„ᲜᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑ ᲑᲘᲜᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ, ᲛᲔᲓᲕᲓᲔᲚᲘᲪ ᲘᲥ ᲛᲘᲕᲘᲧᲕᲐᲜᲔ...“

„ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ. ᲔᲠᲗᲛᲐ ᲢᲣᲢᲣᲪᲛᲐ ᲐᲒᲓᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ. ᲓᲐᲕᲐᲛᲮᲔ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ. ᲨᲔ ᲜᲐᲫᲘᲠᲐᲚᲐ, ᲨᲔᲜᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ... — ᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔ... ᲜᲘᲜᲝ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ, ᲛᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲛᲓᲒᲐᲠᲘᲧᲐᲕᲘ“.

9

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი
გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 36

ნამდვილი ამბავი

სიგმრად ქცეული ცხოვრება
და ახალი წელი... 36

ფსიქოტიპი

- ნეკა სებისკვერაძე: „ყოველთვის მინდოდა, რომ უფროსი ძმა მყოლოდა“ 38
- ვანიკო თარხნიშვილი: „ავადმყოფი დედის შვილიც ავადმყოფია“ 39

სახე

ოცეულში – ოცი ათასიდან... 40

მიჯნურები

გიორგი შავგულიძისა და ლიზა ვაჩნაძის სიყვარულის ამბავი 42

რომანი

რუსუდან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 44

რეპერი

სალჯი: „მუშტს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოვიყენებთ“ ანუ რა ხდება ქართულ რეპსამყაროში 48

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე 49

ვარსკვლავი

„კერკეტი კაკალი“ ჰილარი სუონკი 50

„ოსკარი“

რბოლა სანუკვარი ჯილდოსთვის და კრიტიკოსთა შავორიტები 51

მოდა

სეზონის ჰიტებია: ბეწვის უნტები, ცეცხლოვანი წითელი ფერი და „შანკა“ 54

ავტო 55

ასპარეზი

თემურ ხუბულური – პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი ჰიუდოში 56

ადამიანი

მოკარნახიდან მსახიობამდე ანუ ქალი, რომელსაც ახლა მუზები აწვალებს 59

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი ქალებისთვის

გწამთ თუ არა დიდი სიყვარულის არსებობის? 63

... და ბოლოს 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

რატომ „იგრუზეზა“ მარიკა ვერულაშვილი ფ
რა ეოთხოვნებს უყვნებს მამაკაცებს

„ამას წინათ, ბესო ბერულაშ-
ვილი შაყირობდა – უნდა გაგათხ-
ოვო, თავდაპირველად კი „სატენ-
დერო კომისია“ შევქმნათ, შენი
„სატენდერო“ პირობები მითხარ-
ი; თანაც, გამაფრთხილა – იცოდ
შემოსატანს თვითონ ვიღებო...“

18

ვანიკო თარხნიშვილი: „ავადმყოფ
დედის შვილიც ავადმყოფია“

წარმოგიდგენიათ გაბრაზებუ-
ლი, ვანიკო თარხნიშვილი? ალბათ
ძნელად, მაგრამ დედისერთობის
შესახებ დასმულმა კითხვებმა ის
სერიოზულად აღაშფოთა. დაასკვ-
ნა, რომ დედისერთობა პათოლო-
გია არ არის და თუკი ვინმეს ასე
ეჩვენება, დროა, იზრუნოს თავის ფსი-
ქიკურ მდგომარეობაზე.

39

„კერკეტი კაკალი“

ამერიკის კინოაკადემიის ჯილდ
– „ოსკარის“ გადაცემის ცერემონი
ის ორგანიზატორებმა იმ ვარსკ
ლავებიდან, რომლებიც გამარჯვ
ბულებს მოოქრულ ქანდაკებებს გ
დასცემენ, პირველი გვარი დაასახ
ლეს: ეს საპატიო მოვალეობა კინოა
ადემიის კონკურსის შარშანდელ გ
არჯვებულს დაეკისრა...

50

თქეში

ამ სიტყვების შემდეგ საბ-
ოლოოდ გამოფხიზლებული ლანა
საწოლიდან სწრაფად წამოხტა და
შიშველი ფეხები რაღაც ბლანტ
სითხეში ჩადგა. ლანამ ძირს დაიხე-
და და ელდა ეცა: იატაკზე სისხლის
გუბე იდგა. პირდაპირ, საწოლზე კი,
ცვილის თოჯინასავით უძრავად
იწვა ლიზი...

44

ენერგეტიკული კრიზისი ანუ „რწყილი და ჭიანჭველა" პოლიტიკურად

ეპიგრაფი:

„ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ,
შუაღამე იწვის, დნება.
არც გაზი მაქვს, არც შუქი მაქვს,
პასტა ფურცელს ეყინება"...
(მე და გალაკტიონი)

რომ დავიწყო ახლა იმის მოყოლა, თუ როგორი ამტანები ვიყავით ქართველები ოდითგანვე და ცალ ხელში რომ თოხი გვეჭირა, მეორე ხელში — თოფი, ეს ყველამ კარგად იცით. ცალ-ცალი ხელით თან ვმუშაობდით და თანაც ვიბრძოდით, ამტანებიც ნამდვილად ვართ და ამ კრიზისსაც გადავურჩებით, როგორც იქნება.

ისე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ „უცნობი", პოლიტიკოსი მომღერალია: იცოდა, რაც მოხდებოდა და იმიტომ შეგვამზადა წინასწარ, — ზამთარი ერთად გადავაგოროთო ანუ ჩავეხუტოთ ერთმანეთს, რომ არ გავიყინოთო. ა, ბატონო, გაზსადენი გასკდა, ანძა წაიქცა და არც შუქი გვაქვს, არც — გაზი. ჰოდა, გაყინულმა ხალხმაც უცებ აიტაცა ეს სიმღერა და გაზეთებში „ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი"-ს ნაცვლად ახალი განცხადებები გაჩნდა: „გათბობის მიზნით, ჩავეხუტებოდი 40-დან 50 წლამდე ასაკის სიმპათიურ მამაკაცს". „ვცვლი საკუთარ პატიოსნებას ერთ ფინჯან თბილ ჩაისა და ცხელ კოცნაზე" და ა.შ.

ხედავთ, რა კარგი ყოფილა ენერგოკრიზისი?! ასე ჩახუტებული რომ ვიქნებით მთელი ერი, ზამთარსაც გადავაგორებთ და ვეღარც მტერი მოგვერევა. თუმცა, ერთი მინუსი ამ შესანიშნავ ფაქტსაც აქვს: ის კაცი, რომელმაც ქალი ვეღარ იშოვა, ან აღარ შეხვდა, ხომ იძულებულია, ისევ კაცს ჩაეხუტოს? ჰოდა, მაისამდე რომ კაცს ჩაეხუტები, როგორი ვაჟკაციც არ უნდა იყო, შეგეცვლება ორიენტაცია და შეგიყვარდება ის კაცი, აბა, რა იქნება?!

ჩვენი მთავრობა რომ გაიძახის, ამ გაზსადენის აფეთქება რუსეთის მიერ მოწყობილი საბოტაჟი და დივერსიაოო, არ ვეთანხმები! შე კაი დედმამიშვილო, რომ ლანძღავ იმ რუსეთს, შენი ოკუპანტი ჯარები მომაშორე ჩემი მიწა-წყლიდან და გაზი მომეციო, ის გაზი, ბატონო, რუსული გაზია, ე.ი. რუსეთის პატრიოტია; ჰოდა, ამ შეურაცხყოფამ გააბრაზა, გადაირია და „თვითონ" გასკდა. აბა, ჩვენი „მეგობარი" პუტინი მაგას როგორ იზამდა?! კარგი, ვთქვათ, თვითონ აერია გონება, მაგრამ ჟირინოვსკი იქ არ გვყავს, როგორ არ ურჩევდა?!

ახლა ის მივიღეთ, რომ ჯარებიც აქ არიან და სახლებში კიდევ, ისეთი სიცივე გვაქვს, რომ მაცივარში ვეკვეხებით გასათბობად. თუმცა, ბუნება მაინც აბალანსებს ყველაფერს და გარეთ თუ მკაცრი იანვარია, იღლიაში გაგანია აგვისტო გვაქვს — 39-40 გრადუსს „ურტყამს" თერმომეტრი. ხალხიც ისეთი კეთილგანწყობილია ერთმანეთის მიმართ, რომ სულ ცხვირის ცემინებით დადის ქუჩაში და „იცოცხლე, გენაცვალეს" ეძახის ერთმანეთს.

ასე რომ, ჩვენ არაფერი გვიჭირს. ეს ჩვენი ენერგეტიკის მინისტრი მეცოდება უსაშველოდ. დარბის რწყილივით ქვეყნიდან ქვეყანაში, როგორმე კრიზისიდან რომ გამოგვიყვანოს.

„რწყილი" ახტა, დახტა და მოსკოვში პუტინთან ჩახტა:

— ვოვა, მომეც გაზი, ჩავრთავ სრესს და ბუხარსა, გავათბობ და გავანათებ ჩემს გაყინულ ხალხსა.

— შენ რომ ჩემთვის ნავთობი ვერ გიჩალიჩია?!.

„რწყილი" ახტა, დახტა და ბაქოში ალიევთან ჩახტა:

— ილხამ, მომეც ნავთობი, ნავთობს მივუტან პუტინსა, პუტინი მომცემს გაზსა, გავათბობ და გავანათებ ჩემს გაყინულ ხალხსა...

ჰოდა, როდის გვეშველება, არც „რწყილმა" იცის და არც „ჭიანჭველებს" გაგვეგება რამე...

P.S. მთავრობის სხდომაზე:
— რატომ არ გვაქვს ბუნებრივი აირი?
— გაზსადენი გასკდა, ბატონო.
— ცუდია! რატომ არ ვარემონტებთ?
— რუსეთის ტერიტორიაზე გასკდა.
— ეგ უარესია! ჩვენს ტერიტორიაზე მაინც გამსკდარიყო, ხალხი ცეცხლზე მაინც გათბებოდა!..

პროვოკატორი

რუსეთის ტერიტორიაზე ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მომხდარ დივერსიულ აქტებს ექსპერტი-პოლიტოლოგები, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის თემის გააქტიურებას უკავშირებენ. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, კოტე გაბაშვილი მომხდარს, ჩვენი ქვეყნის ბლოკადაში მოქცევის მცდელობად აფასებს და უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან პარალელს ავლებს.

რას უკავშირებენ ტერაქტს
ანუ როდემდე გასტანს „გამყინვარება“

ხათუნა მაღრაძე

— მას შემდეგ, რაც სერგეი ივანოვმა, მოგვიანებით კი, სარდალმა კულახმეტოვმა სამშვიდობოების გაყვანასა და „პერსპექტივებთან“ დაკავშირებით, სენსაციური განცხადებები გააკეთეს — თითქოს ჩვენ ვალდებული ვართ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის ინტერესები გავითვალისწინოთ და მშვიდობისმყოფელთა რაოდენობის გაზრდაზეც ვიფიქროთ, — ოფიციალური თბილისისგან სრულიად ადეკვატური პასუხი მიიღეს. გაიმართა სპეციალური ბრიფინგიც, სადაც საკმაოდ მკაცრად დავსვით სამშვიდობოების სტატუსის საკითხი. რუსეთის მორიგ აგრესიას და ტერაქტს მავანი, სწორედ ამ ბრიფინგის მკაცრ ტონს უკავშირებს. მაგრამ მე ერთმნიშვნელოვნად მინდა განვაცხადო, რომ ბრიფინგების გამო, დივერსიული აქტები არ ეწყობა. შესაბამის განცხადებებს ჩვენ მხოლოდ გამოწვევის, ჩვენი დაჩოქების მცდელობისა და ტერაქტების საპასუხოდ ვაკეთებთ. საქართველოს პარლამენტმა ცოტა ხნის წინ, გენოციდის შეფასება მისცა უკრაინაში 1931-32 წლებში ჩატარებულ საკოლმეურნეო რეფორმას. მაშინ, ბოლშევიკებმა უკრაინას „გალადომორი“ გამოუცხადეს და მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანას ხორბლის დიდი მარაგი ჰქონდა, 12 მილიონი ადამიანი მაინც შიმშილით დაიღუპა... რუსეთი საქართველოს პარლამენტის ამ შეფასებითაც არ იქნებოდა აღფრთოვანებული, თუმცა, ძველი პრაქტიკა ახლებურად გამოიყენა და საქართველოს, „გაზომორი“ გამოუცხადა. არ შეიძლებოდა, შემთხვევით მოხდარიყო აფეთქებები, ზუსტად იმ დროს, როცა სინოპტიკოსები დიდთოვლობასა და ყინვებს ვარაუდობდნენ.

— მომხდარს რუსეთის მხარეც დივერსიის შეფასება მისცა. პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლას კი, ქაოსური და აგონიური უწოდა...

— რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს თავხედური განცხადება, სულელური ბრალდებების გროვაა და სხვა არაფერი. რუსეთში ფორმალურად აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ვითომ დამნაშავეს ეძებენ. როგორც ცნობილია, ორი აფეთქება მოხდა რუსეთის მიერ იმდენად დაცულ ტერიტორიაზე, სადაც უნებართვოდ ჩიტიც კი ვერ შეფრინდება. გარდა ამისა, ორ აფეთქებას შორის ინტერვალი 20 წუთი იყო. ვინც კარგად იცის ტერაქტების სპეციფიკა, ის დამეთანხმება, რომ ტერაქტის დროს, ყველაზე რთული — შემთხვევის ადგილის დატოვებაა, ამიტომ ყველაზე საშიში ტერორისტები, კამიკაძეები არიან, რომლებსაც უკან დაბრუნების პრობლემა არა აქვთ. ჩვენს შემთხვევაში კი, ადამიანი აფეთქებს ერთ ობიექტს, 20 წუთის შემდეგ კი გადაწყვეტს — ელექტროსადენებიც ხომ არ მიმეყოლებინაო?! — თანაც ისე, რომ არავისი ეშინია... ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ აფეთქებების შემდეგ, ტერორისტი მშვიდად წავიდა ჩაის ან ყავის დასალევად. ან რისი უნდა შეშინებოდა? — მან ხომ შეკვეთა შეასრულა!..

— ენერგომატარებლებით სპეკულირება უკრაინის შემთხვევაში, გაცილებით ცივილიზებულად მოხდა. სადამსჯელო ღონისძიებად ტერაქტის მოწყობა რა აუცილებელი იყო?

— მიუხედავად იმისა, რომ უკრაინას „გაზპრომთან“ კომპრომისზე წასვლამ მაინც მოუწია, რუსეთი მთელი მსოფლიოს დასაცინი გახდა. ისინი ვიდეოკამერების წინ გაზსადენის მილების ჩაკეტვას აღარ დაიწყებდნენ, ამჯერად, უფრო „გონივრული“ გამოსავალი იპოვეს. როგორც კონტრდაზვერვის ყოფილმა უფროსმა, გენერალმა კალუგინმა რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: კომუნისტური პერიოდის ყველაზე დადებილებულ მდგომარე-

დასასრული მე-6 გვერდზე

გამყინვარება

სინოპტიკოსთა პროგნოზით, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში უახლოეს დღეებში ამინდის გაუარესებაა მოსალოდნელი.

როგორც ჰიდრომეტეოროლოგიურ დეპარტამენტში აცხადებენ, კვირის ბოლომდე, ძლიერი თოვა გაგრძელდება, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. იგივე ითქმის დედაქალაქზეც. თბილისში ჰაერის ტემპერატურა -2, -4 გრადუსამდე დაეცემა.

სინოპტიკოსთა ვარაუდით, დასავლეთ საქართველოში 26 და 27 იანვარს, აღმოსავლეთის ქარი გაძლიერდება. ამ დღეებში, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ჰაერის ტემპერატურა -7 გრადუსამდეც დაეცემა, ხოლო დასავლეთ საქართველოში ღამით -1, დღისით +4 გრადუსი იქნება.

დიდთოვლობისა და გზების მოყინვის გამო, საქართველოს საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა — შეზღუდული, ზოგან კი, საერთოდ აკრძალულია.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის მესვეურთა განცხადებით, თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის რიკოთის საუღელტეხილო გადასასვლელზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დაშვებულია მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. გზის აღნიშნულ მონაკვეთზე სხვა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის მლეთა-ლარსის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია. ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დაშვებულია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. დიდთოვლობის გამო, გომისაჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის 92-ე, 94-ე კმ-ზე და ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის ნაქერალას უღელტეხილზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, ნიკა გილაურის განცხადებით, საქართველო 2,5 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს აზერბაიჯანიდან იღებს, რაც საკმარისია მხოლოდ თბილისის მოსახლეობის 40-45%-ის მოსამარაგებლად და მეცხრე ენერგობლოკის სამუშაოდ. ვინაიდან დედაქალაქის მარცხენა სანაპიროს, ბუნებრივი აირი არ მიეწოდება, მოსახლეობა ელექტროგამათბობლებს იყენებს, ამიტომ ჭარბად მოიხმარს ელექტროენერგიას. *„მიუხედავად ამისა, ჩვენ დავძლიეთ პიკი და ამიტომ, პრობლემები არ გვქონია. ერთა-*

საქართველო

დერთი მცირე პრობლემა ის გახლავთ, რომ 25 იანვარს გამოირთო ზესტაფონის ქვესადგური, ამის გამო, 40 წუთის განმავლობაში, ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი იყო ჭიათურა, ბაღდათი და ზესტაფონი“, — განაცხადა გილაურმა.

საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაში 25 იანვარს არ დაადასტურეს გავრცელებული ინფორმაცია, თბილისი-მოზდოკის გაზსადენზე მომხდარი ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოს დასრულების შესახებ. *„კორპორაციამ შეძლო, აზერბაიჯანიდან მიღებული ბუნებრივი აირის წნევის დაბალანსება და მე-9 ენერგობლოკისთვის საკმარისი მოცულობის აირის მიწოდება. ამან შესაძლებელი გახადა, საღამოს პიკის საათი ელექტროენერგეტიკას შეზღუდვების გარეშე გადალახა“,* — განაცხადეს კორპორაციის მესვეურებმა.

აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის სამინისტროს, ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების განყოფილების უფროსის, მოვარის ნაგიევის თქმით, *„ამჟამად, აზერბაიჯანი რუსეთიდან დღე-ღამეში 15 მილიონ კუბ/მ გაზს იღებს. რაც შეეხება რუსული გაზის საქართველოში ტრანსპორტირებას — როგორც კი რუსეთი თქვენთვის განკუთვნილ გაზს მოგვცემს, მას შეუფერხებლად მოგაწვდით. ამჟამად, აზერბაიჯანი საკუთარი რეზერვიდან აწვდის გაზს საქართველოს. ჩემი ინფორმაციით, ამ დროისთვის საქართველო აზერბაიჯანიდან საათში 120 ათას კუბურ მეტრ გაზს — ანუ დღე-ღამეში 3 მილიონამდე კუბ/მ აირს იღებს. ჩვენი შესაძლებლობები შეზღუდულია. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენთან გრიგალი და ყინვებია, შესაძლოა, გაუთვალისწინებელი სიტუაციები შეიქმნას, მაგრამ საქართველო აზერბაიჯანის სარეზერვო ფონდიდან იმდენ ხანს მიიღებს გაზს, რამდენ ხანსაც საჭირო იქნება. ამაში ეჭვი არავის შეეპაროს“.*

საგენტო „ინტერპრესნიუსის“ მიხედვით

კლიმატური იარაღი:

შესაძლებელია თუ არა სიცივის გამოწვევა ხელოვნურად

რუსეთსა და აშშ-ში დიდი პოპულარობით სარგებლობს სიდნი შელდონის წიგნი — „სიბნელის ხომ არ გეშინია?“ — რომლის გმირიც — უსინდისო მეცნიერი და მსხვილი კორპორაციის მფლობელი, ამინდის მართვას ცდილობს და ამით მთელ სახელმწიფოებს აშანტაჟებს... ბოლოს და ბოლოს, წიგნში ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდება. მაგრამ საკითხავია — რამდენად რეალურია ამის შესაძლებლობა?

ეს კითხვა მით უფრო აქტუალურია იმის გამო, რომ გაეროს მონაცემებით, უკანასკნელი 25 წლის მანძილზე, მსოფლიოში მკვეთრად იმატა ბუნებრივი კატაკლიზმების რიცხვმა. ამიტომ, პოლიტიკოსები, მეცნიერები და სამხედროები მთელი სერიოზულობით მსჯელობენ კლიმატის მართვის საკითხებზე. ძალზე დამაფიქრებელია, რომ შარშან მომხდარი, გიგანტური მასშტაბის ორივე კატასტროფა — კლიმატური გახლდათ: ქარიშხალმა „კატრინამ“ აშშ-ში 1228 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და 1 მლნ უსახლკაროდ დატოვა; ჩინეთში გადაუღებელი წვიმების შედეგად, 732 ადამიანი დაიღუპა და 2,4 მლნ იქნა ევაკუირებული.

მოარული ხმებით, ჩინელები არა ბუნებამ, არამედ ამერიკელებმა დასაჯეს — ტაივანის მიმართ მის მიერ გააქტიურებული იარაღის ჟღარუნის გამო. უმალ გაიხსენეს გადაუდებელი წვიმები, რომელიც გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, ამერიკელებთან ომის დროს თავს დაატყდა ჩრდილოეთ ვიეტნამს...

საინტერესოა — მართლაც შესაძლებელია თუ არა ამინდის მართვა? ჟურნალისტის ამ კითხვაზე რუსი მეცნიერი, მოსკოვის მეტეოროლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი გენადი მაზუროვი პასუხობს: „რასაკვირველია. ეს უკვე კარგა ხანია, აღარ წარმოადგენს საიდუმლოს. საბჭოთა მმართველობის წლებში, სამხედროების დაკვეთით, ჩვენ აქტიურად ვმუშაობდით ხელოვნური ნისლის გამოსაწვევად. ამასთანავე, ბუნებრივი ნისლის გაფანტვაც ვისწავლეთ...“

ზოგიერთი რუსული გამოცემის თანახმად, სულ ცოტა ხნის წინ, პენტაგონში, კლიმატური ომის წარმართვის მთელი დოქტრინა შეიმუშავეს. ამერიკული მასმედიის წარმომადგენლებს ხელში ჩაუვარდათ სამხედრო-საჰაერო ძალების ანალიტიკოსთა ჯგუფის მიერ მომზადებული მოხსენება, რომელსაც არაორაზროვანი სახელწოდება აქვს: „ამინდი, როგორც სიძლიერის გამაათმაგებელი: როგორ დავიმორჩილოთ ამინდი 2025 წლისთვის“. მისი ავტორების ღრმა რწმენით, მსგავსი იარაღი ისეთსავე გადატრიალებას მოახდენს, როგორიც თავის დროზე, ბირთვული იარაღის გამოჩენამ მოახდინა. მისი შექმნით, დიდი სახელმწიფოები არიან დაინტერესებულნი. საჭიროების შემთხვევაში, მათ ექნებათ შესაძლებლობა, ვთქვათ, შეერთებული შტატების მიმართულებით გაუშვან „კატრინას“ მსგავსი სიძლიერის ქარიშხალი...

აშშ-ში ჯერ კიდევ 60-იან წლებში ცდილობდნენ დამანგრეველი ქარიშხლების ჩახშობას. ერთ-ერთი წარმატებული ექსპერიმენტი 1969 წელს, ჰაიტის სანაპიროსთან განხორციელდა. ტურისტებმა და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეამჩნიეს ვეებერთელა თეთრი ღრუბელი, რომლიდანაც უზარმაზარი რგოლები გამოდიოდა. თურმე, მეტეოროლოგებმა ტაიფუნის მიმარულებით იოდიზებული ვარცხლის ნაკადის გაშვება მოახდინეს, ამით ის ჰაიტის მოარიდეს და აშშ-სთვის არამეგობრული ქვეყნების — პანამისა და ნიკარაგუის მიმართულებით ააღებინეს გეზი. აღსანიშნავია, რომ ეს ქარიშხალი ათეულობით ნაკლებდამანგრეველი ძალით გამოირჩეოდა, ვიდრე „კატრინა“.

არაბუნებრივ კატაკლიზმებს შორის, განსაკუთრებული ადგილი უკავია გაუსაძლის ყინვას, რომელიც მეცნიერთა თქმით, ასევე შეიძლება, ხელოვნურად გამოიწვიონ. რუსი მეტეოროლოგი-პროფესორი გენადი მაზუროვი ამბობს: „რამდენიმე ატომური ბომბის აფეთქება ან რამდენიმე დიდი ვულკანის ამოფრქვევა პლანეტის თავზე შექმნის მტვრის ფარდას, რომლებსაც ვერ გაარღვევს მზის სხივები. ამის შედეგად, დადგება ხანგრძლივი ზამთარი, რომელიც შეიძლება, რამდენიმე თვიდან, ათეულობით წლამდე პერიოდი გაგრძელდეს. იმედია, მსგავსი ექსპერიმენტის ჩატარებას არავინ განიზრახავს... ცალკეულ ტერიტორიაზე გაუსაძლისი ყინვის გამოწვევა, არა მგონია, მოხერხდეს. აი, ყინვის გახანგრძლივება კი, სავსებით რეალურია. თუ ვთქვათ, მოთოვა, შემდეგ მას ყინვა მოჰყვა, საჭიროა მხოლოდ აღნიშნული ტერიტორიის თავზე ღრუბლების გაფანტვა: ბუნებრივი — წყლის ღრუბლები, ხელოვნურის — მტვრის ღრუბლებისგან განსხვავებით, მზის სხივებს მხოლოდ ზემოდან ქვემოთ ატარებს, რის შედეგადაც, იქმნება სასათბურე ეფექტი და ატმოსფეროც თბება. თუ „მტრის“ ტერიტორიაზე ღრუბელს არ გავაჭაჭანებთ, ეს ეფექტი არ იქნება. დაახლოებით ასეთი კლიმატური ატმოსფერო სუფევს ანტარქტიდაში.“

მე-4 გვ-დან

ობაში მყოფი ადამიანებიც კი ასეთ სისულელს არ ჩაიდენდნენო.

— საქართველოს პრეზიდენტმა კრემლი დივერსიის მოწყობაში დაადანაშაულა. ამას მოჰყვა აზერბაიჯანიდან წამოსული გაზის შეფერხებაც. ამ შემთხვევაში, დასავლეთის მხოლოდ სიტყვიერი მხარდაჭერა რამდენად შედეგიანი შეიძლება იყოს?

— ტერიტორიები წაგვართვეს, ტერაქტებს გვიწყობენ და ამის შემდეგ, ისევ რევერანსებით ველაპარაკოთ? თავში ჩაქუჩს გვირტყამენ და ვკითხოთ — შემთხვევით გამოგექცათ ხელიო?!. შევარდნაძის ხელისუფლება რომ იყოს, ამ ტერაქტის შემდეგ, ათამდე ადამიანი დაირაზმებოდა კრემლისკენ, რომ იქით მოეხადათ ბოდიში და ერთ ადგილზე ეკოცნათ მოსკოვისთვის. სააკაშვილის რეაქცია შეიძლებოდა, კიდევ უფრო მკაცრიც ყოფილიყო. მას რომ ასეთი განგაში არ აეტეხა, CNN, BBC და მთელი საერთაშორისო საზოგადოება ასეთ ხმაურს კი არ ატეხდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ტერაქტის გამო. მით უმეტეს, რომ აფეთქებები სწორედ ისეთ მონაკვეთებზე მოხდა, რომელთა დაზიანებითაც სწორედ საქართველოს ინტერესებს დააზიანებდა. ასეთ სიზუსტეს ტერორისტი თავად, წინასწარ ვერ განსაზღვრავდა, თუ მას „გაზპრომის“ ან ენერგეტიკის სამინისტროს თანამშრომლები არ მიუთითებდნენ...

— მიუხედავად ამისა, გაზსადენთან დაკავშირებით, „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები მაინც გრძელდება: ამის შესახებ ღიად აცხადებენ სახელმწიფო და ეკონომიკის მინისტრები...

— ერთია, რას იტყვის რომელიმე ჩინოვნიკი და მეორე — რაზეა გათვლილი მათი განცხადება... ამ მითქმა-მოთქმამ პრეზიდენტიც შეაწუხა, ამიტომ დაჰკრა მუშტი მაგიდას — „გაზპრომს“ რუსეთს არ მივყიდითო.

— ტერაქტის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებაზე განაწყენებული და რუსეთში გაქცეული ყოფილი ჩინოვნიკების თემაც უფრო აქტიური მითქმა-მოთქმის საგნად იქცა — თითქოს, მსგავს დივერსიულ აქტებს სწორედ ისინი აფინანსებენ. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით?

— საქართველოდან გაქცეულმა ყველა დამნაშავემ რუსეთის სამხრეთ ნაწილში მოიყარა თავი. დამისახელეთ მეორე ქვეყანა, რომელიც კრიმინალებს ასე ხელგაშლილად ეპატიჟებოდა. ვინ შესთავაზებდა თავშესაფარს მილოშევიჩს, ვინ იმეგობრებდა ლუკაშენკოსთან, რუსეთის გარდა, ვინ გადააქცევდა ტელევარსკვლავად ისეთ დამნაშავეს, როგორებიც იგორ გიორგაძე ან ასლან აბაშიძე არიან?!. საქართველოდან გაქცეული ადამიანები, რომლებმაც აქედან მილიონები წაიღეს, დანაზოგის ნაწილს თუნდაც, იმისთვის დახარჯავენ, რომ საკუთარი ბოღმა დაიკმაყოფილონ... ხელაღებით ვერავის დავადანაშაულებ, მაგრამ საინტერესო იქნებოდა, ჟურნალისტებს გაგერკვიათ, იგორ გიორგაძის ფონდი, ანტისოროსული ორგანიზაცია, საიდან ფინანსდებიან და რაში ხარჯავენ ეს ადამიანები ფულს.

— თებერვალში, პარლამენტი სამშვიდობოების საკითხს განიხილავს. შეიცვლება თუ არა მათი სტატუსი?

— იმის მტკიცება, რომ 7 თებერვლამდე, პოლიტიკური პრობლემა მოგვარდება, მივაღწევთ რეგიონის დემილიტარიზაციას და როკის გვირაბს ჩავკეტავთ, — აბსურდია. სამშვიდობოები თავიანთ ფუნქციას ვერ ასრულებენ, მაგრამ 7-ში გადაწყვეტილებას მივიღებთ და 17 თებერვალს ყვავილებით გავაცილებთო, — რომ ვთქვათ, ტყუილი იქნება, ეს შეუძლებელია.

— ისე, ყვავილებით რატომ გავაცილებთ?

— მადლობის ნიშნად, რომ წავლენ. წლის ბოლომდე, ეს საკითხი უეჭველად მოგვარდება.

— ქართულ მხარეს თუ აქვს საკმარისი დოკუმენტური მტკიცებულებები იმისათვის, რომ სამშვიდობოების გაყვანის აუცილებლობა დაამტკიცოს?

— რეგიონის მილიტარიზაცია, ტერორისტული აქტები, კონფლიქტის გაღვივების კონკრეტული ფაქტები, რაც სროლითა და სისხლით დასრულდა; ადამიანთა გატაცებები, მკვლელობები — საკმარისი არ არის?! ჩვენ ამ ფაქტებს დოკუმენტურად დავამტკიცებთ. სამშვიდობოები 1992 წლის სოჭის ხელშეკრულების საფუძველზე შემოვიდნენ, მაგრამ თავიანთი ფუნქცია ვერ შეასრულეს და მათი გაყვანა გარდაუვალია. როცა საქართველო ცისფერჩაფხუტიანებს უფლებამოსილებას შეუწყვეტს, იძულებული იქნებიან, სამშობლოში დაბრუნდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოკუპანტებად გამოცხადდებიან.

— თუ რუსეთს სამშვიდობოების სტატუსის შეცვლა რეგიონის დატოვებას აიძულებს, ქართულ მხარეს ამ ტერიტორიის განკოტროლების რა კონკრეტული გეგმა აქვს — განსაკუთრებით, იმ პირობებში, როცა დემილიტარიზაცია ვერ ხორციელდება?

— რეგიონის უსაფრთხოებაზე ერთობლივი პოლიცია იზრუნებს. გარდა ამისა, ამ პროცესში უნდა ჩაერთოს ეუთოს, ევროკავშირის, თუნდაც გუუამის წარმომადგენლობა. უამრავ ქვეყანაში არსებობს მოუგვარებელი კონფლიქტები, მაგრამ ამ ტერიტორიებზე არც ერთი სამხედრო კონტინგენტი არ დგას. წარმოიდგინეთ, დაძმას ჩხუბი რომ მოგივიდეთ, სახლში კი მეზობელი შემოგეჭრათ და გითხრათ, — მარტოს ვერ დაგტოვებთ, მეშინია, არ იჩხუბოთო... ჩვენ ვეუბნებით რუსებს — წაბრძანდით და არ ვიჩხუბებთ-თქო.

— ჩვენ გვახსოვს „ჰუმანიტარული შტურმი“ — როცა როკის გვირაბის მეორე მხარეს მძიმე ჯავშანტექნიკა მოადგა. ქართულ მხარეს მსგავსი გართულებების შემთხვევაც თუ აქვს გათვლილი?

— თუ სტატუსი შეიცვალა, რუსეთი ასეთ თავხედურ ნაბიჯებს ვეღარ გადადგამს. რუსეთი აღარ არის ისეთი უზარმაზარი გავლენის მქონე ქვეყანა, როცა ევროპის ნახევარი და მთელი კავკასია ჰქონდა დაპყრობილი. საერთაშორისო ურთიერთობებით, ეკონომიკური თვალსაზრისით, გარკვეულწილად, ენერგეტიკულადაც სხვა სახელმწიფოებზეა დამოკიდებული. ეს თავის მხრივ, უამრავ ვალდებულებას აკისრებს მას.

— თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცხინვალში გულუხვად „არიგებენ“ რუსეთის მოქალაქეობას, რაც სპეკულაციისთვის მშვენიერი ნიადაგია...

— საქართველოს ტერიტორიაზე — ცხინვალი იქნება ეს თუ რომელიმე სხვა რეგიონი — ძალის გამოყენებასა და ვინმეს უფლებების შელახვას არავინ აპირებს. განსაკუთრებით, იმ ადამიანებისას, რომლებიც იძულებული გახადეს, რუსეთის პასპორტები აეღოთ. ეს ადგილობრივმა მოსახლეობამ მშვენივრად იცის. უფრო მეტად კი, ამაში მაშინ დარწმუნდებიან, როცა რუსი, როკის გვირაბს მიღმა გავა და კარს მიიკეტავს... ■

ტერიტორიები წაგვართვეს, ტერაქტებს გვიწყობენ და ამის შემდეგ, ისევ რევერანსებით ველაპარაკოთ? თავში ჩაქუჩს გვირტყამენ და ვკითხოთ — შემთხვევით გამოგექცათ ხელიო?!.



16 წლის ქართველმა მოციგურავემ ლიონში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ნამდვილი ფურორი მოახდინა და დებიუტანტისთვის ძალზე საპატიო, მეხუთე ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი და შესაბამისად, ევროპის ჩემპიონობა უკვე მეშვიდედ, წილად ხვდა რუს ირინა სლუცკაიას. ქართველ ელენე გედევანიშვილს კი, დიდი წარმატებები ჯერ კიდევ წინ ელის...

უკვე რამდენიმე წელია, რაც ელენე მშობლებთან და უმცროს ძმასთან ერთად მოსკოვში ცხოვრობს და წარსულში ცნობილი მოციგურავის, ელენა ვოდორეზოვას ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. პირველი გარბენი ყინულზე მან თბილისის საციგურაო სკოლაში შეასრულა. სწორედ აქედან ადევნებდა თვალყურს აღსაზრდელის გამოსვლებს ლიონში ელენეს პირველი მწვრთნელი, ქალბატონი თამრიკო ანჯაფარიძე, რომელსაც სპორტსმენზე მეტი ინფორმაციის მისაღებად შევხვდი.

„ლიონში ელენეს მისი მწვრთნელიც კი ვერ გაჰყვა!..“

ემა ტუხიაშვილი

— ელენე სამწლინახევრის იყო, როდესაც ჩვენი საციგურაო სკოლის ახალბედების ჯგუფში ჩაირიცხა. მისი მწვრთნელი, ჩემი კოლეგა, ლელა ჩიფიკაშვილი გახლდათ. ლელა ფეხმძიმედ იყო და სულ მალე, დეკრეტშიც უნდა გასულიყო, ამიტომ ვთხოვე, რომ ელენეს მასწავლებლობა ჩემთვის დაეთმო. ამ პატარა, ხვეულთმიანი, თმაგაწეწილი გოგონას ეგზოტიკურმა გარეგნობამ და სისხარტემ მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება. ელენეს არაჩვეულებრივი ბუნებრივი მონაცემები აღმოაჩნდა. მაგალითად, ის რასაც ჩვენი ენით „კანიოკს“ ვეძახით — გარბენი ყინულზე, — რთულად შესასწავლი რამაა. იმისათვის, რომ ეს გარბენი კარგად შეასრულო, ბუნებრივი მონაცემები აუცილებელი პირობაა, რაც ელენეს ჰქონდა. ამ პატარა გოგონას ცოტა უმართავი ხასიათი ჰქონდა. 2-3 წლის განმავლობაში, ის თითქმის არ ექვემდებარებოდა ნორმალურ საწვრთნელ პროცესს. მაგალითად, თუ დანარჩენ მოსწავლეებს ჯგუფურ მეცადინეობას ვუტარებდი, ელენესთან ინდივიდუალურად მუშაობა მჭირდებოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ გოგონა არ წამოიზარდა. გარდა ამისა, ელენეს ყინულზე დადგომა იმ წლებს დაემთხვა, როდესაც საქართველოს მოსახლეობას ყველაზე მეტად უჭირდა. მახსოვს, რომ იმ დროს საზოგადოებრივი ტრანსპორტი თითქმის არ დადიოდა და ხშირად, სამსახურში სახლიდან ფეხით მოვდიოდით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ელენეს წარმატება მისი მშობლებისა და ბებიის თავგამოდების შედეგიც გახლდათ. თუ მშობელმა არ მოინდომა, ბავშვი, გენიოსიც რომ იყოს, მათი დახმარების გარეშე ვერაფერს გახდება. სხვათა შორის, ჩვენს სკოლაში ბევრი ნიჭიერი ბავშვი მოდის. ხშირია შემთხვევა, როდესაც მშობლებს ვთავაზობთ, სერიოზულად მოჰკიდონ ხელი სპორტის ამ სახეობაში მომზადებას, მაგრამ სამწუხაროდ, ბევრი უარს ამბობს ამ შესაძლებლობაზე...

ამ პატარა, ხვეულთმიანი, თმაგაწეწილი გოგონას ეგზოტიკურმა გარეგნობამ და სისხარტემ მაშინვე მიიქცია ყურადღება...

— ელენეს მოსკოვში გამგზავრება როდის გადაწყდა?

— დაახლოებით 8 წლის ასაკში, ის საქართველოს ჩემპიონი გახდა. სწორედ ამ შედეგებმა დააჩქარა ის გადაწყვეტილება, რომელიც ელენეს მშობლებმა მიიღეს. ჩვენი სკოლის ყინულის მოედანი პატარა და არასტანდარტულია, ამიტომ დასაოსტატებლად, კლასის ასამაღლებლად, ელენე აუცილებლად უნდა წასულიყო საზღვარგარეთ. ჩვენი სკოლის დირექტორის, ბატონი ირაკლი ჯაფარიძის დახმარებით, ბევრი ისეთი პრობლემის მოგვარება მოხერხდა გოგონასთვის, რომელიც ძირითადად, სოლიდური თანხის გარეშე არ წყდება. წლების წინ, ბატონი ირაკლი თავადაც გახლდათ ფიგურულ სრიალში საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი, ამიტომ სპორტის ამ სახეობის ბევრ ვეტერანს იცნობს. ქართველ და რუს მოციგურავეთა მეგობრულმა ურთიერთობებმა განაპირობა ის, რომ ელენემ ვარჯიში დაიწყო ნორჩ მოციგურავეთა იმ სკოლაში, სადაც შვიდგზის ევროპის ჩემპიონი, ირინა სლუცკაია აღიზარდა. ჩემ შემდეგ, ელენეს მწვრთნელი გახლდათ ცნობილი რუსი ფიგურისტი მარინა სილიცკაია, მოგვიანებით კი, მისი მასწავლებელი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოციგურავე, ელენა ვოდორეზოვა გახდა. ელენე გედევანიშვილმა დიდ მოედანზეც სწრაფად დაიწყო განვითარება და თავის ასაკობრივ ჯგუფში ტოლს არავის უდებდა. ამჟამად ქართველი მოციგურავე ცე-ეს-კას (რუსეთის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის) ბაზაზე ვარჯიშობს, თუმცა, არავინ იცის, რა იქნება მომავალში...

— რას გულისხმობთ?

— ელენეს გამო, ვოდორეზოვას უკვე პრობლემები აქვს: მოგეხსენებათ, რომ ის საქართველოს სახელით გამოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსი მწვრთნელი საკუთარ თანამემამულეებს კონკურენტს უზრდის. ეს კი, ერთგვარ შურსაც აღვივებს: მაგალითად, მოციგურავე სლუცკაიაზე შვიდი ადამიანი მაინც მუშაობს — მათ შორის, მწვრთ-

დაახლოებით 8 წლის ასაკში, ის საქართველოს ჩემპიონი გახდა. სწორედ ამ შედეგებმა დააჩქარა ის გადაწყვეტილება, რომელიც ელენეს მშობლებმა მიიღეს

ნელი, ქორეოგრაფი, ბალეტმაისტერი, მასაჟისტი, ფსიქოლოგი, კოსტიუმერი და ა.შ. ჩვენს ელენეს კი, მხოლოდ ვოდორეზოვა ჰპატრონობს, ისიც — ნაწილობრივ, რადგან გედევანიშვილის გარდა, სხვა მოსწავლეებიც ჰყავს, რომლებსაც ყურადღება არ უნდა მოაკლდეთ. ეს საკმაოდ ძვირად ღირებული სპორტის სახეობაა, ელენეს კი, სწორედ ახლა სჭირდება გვერდში დგომა და პატრონობა იმისათვის, რომ მიაღწიოს იმ შედეგებს, რომლისთვისაცაა დაბადებული.

საოცრად მიზანდასახული ადამიანია, ფიზიკურად პატარა, მაგრამ პიროვნულად ძლიერია

— როგორც ვიცი, ამ მიზნის მისაღწევად, მთელი ოჯახი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად...

— თავდაპირველად, მხოლოდ ელენე და დედამისი გაემგზავრნენ, მაგრამ უდედოდ ყოფნა ძალიან გაუჭირდა ელენეს უმცროს ძმას და ერთი წლის შემდეგ, ის და მამაც მოსკოვში გადავიდნენ საცხოვრებლად. სხვათა შორის, მათი ვაჟი დიტოც ძალიან ნიჭიერი ბიჭია. ელენეს მამას ვთავაზობდი ხოლმე, რომ და-ძმას ერთად ესრიალათ, მაგრამ მშობლებმა ვაჟისთვის სათხილამურო სპორტი არჩიეს. სამწუხაროდ, ბიჭუნას მონაცემები სპორტის ამ სახეობაში, საქართველოში სათანადოდ არ შეაფასეს.

ეს საკმაოდ ძვირად ღირებული სპორტის სახეობაა, ელენეს კი, სწორედ ახლა სჭირდება გვერდში დგომა

მოსკოვში კი, დიტო გედევანიშვილი, 12 წლის ვაჟებს შორის, საუკეთესო მოთხილამურედაა აღიარებული. გარდა ამისა, ნიჭიერ ახალგაზრდას, სახელმწიფო უსასყიდლოდ უზრუნველყოფს თხილამურებით, მწვრთნელით, ვარჯიშის პირობებით და ა.შ. გედევანიშვილები მოსკოვში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობენ და ასეთი ხარჯების უფლებას თავს ვერ მისცემენ. მხოლოდ ერთი რამ მაღელვებს: რამდენიმე წელიწადში, საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობა დიტო გედევანიშვილსაც მოუწევს და მინდა, ყველა ხელშემწყობი პირობა ჰქონდეს იმისათვის, რომ ელენეს მსგავსად, მანაც საქართველოს სახელით იასპარეზოს.

— ბევრი ქართველი მოციგურავე მოღვაწეობს დღეს საქართველოს ფარგლებს გარეთ?

— ქართველი მოციგურავეები მთელ მსოფლიოში არიან დაქსაქსული. მოსკოვში იმყოფება ჩვენი სკოლის დირექტორის, ირაკლი ჯაფარიძის ვაჟი — ოთარი, რომელიც ცნობილ რუს მოციგურავესთან, ეკატერინა ზაიკინასთან ვარჯიშობს და ფიგურული სრიალის ცეკვების სახეობაში ასპარეზობს. ჩვენი სკოლის ყოფილი აღსაზრდელია ანდრეი ტოროსიანი, რომელიც მწვრთნელად მუშაობს ამერიკაში...

— რამდენად მოსალოდნელი იყო თქვენთვის ელენეს წარმატება ევროპის ჩემპიონატზე?

— რა თქმა უნდა, სურვილი ყოველთვის დიდია, მაგრამ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ელენე ასპარეზობდა მასზე გაცილებით დიდ და გამოცდილ მოციგურავეებთან. ამის გათვალისწინებით კი, პირველ ათეულში მოხვედრა ჩვენთვის უკვე უდიდეს წარმატებად ჩაითვლებოდა. მაგრამ ელენემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ძალზე კარგ შედეგს მიაღწია. სხვათა შორის, საოცრად მიზანდასახული ადამიანია, ფიზიკურად პატარა, მაგრამ პიროვნულად ძლიერია. ვერ გადმოგცემთ, რა ხდებოდა ჩვენს სკოლაში იმ დროს, როდესაც საინფორმაციო გამოშვებები ელენეს წარმატებებს გვატყობინებდნენ. ჩვენი მეგობარი, მოთხილამურე გერა აბრამიშვილი გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. დაგვირეკა და გვითხრა: უნდა ნახოთ, რა ეპითეტებით ამკობს აქაური მედია ელენესო. ზოგი პატარა ვუნდერკინდს უწოდებს, ზოგი — ნამდვილ ტორპედოს და იმასაც ამბობენ, მისი პირველი გამოსვლა, დიდი შოუს ულამაზესი დასასრული იყოო... არ დაგავიწყდეთ, რომ ტურნირის პირველ დღეს, 32 ქალბატონი გამოდიოდა, ელენეს გამოსვლა კი ბოლოს იყო. უკვე ეს ფაქტი საკმაოდ მძიმე ფსიქოლოგიურ დატვირთვას განაპირობებს. ამას ემატებოდა ისიც, რომ ყინული ცუდი ხარისხის — უჩვეულოდ რბილი იყო და ციგურები მასზე იოლად ტოვებდა კვალს, რაც მოციგურავეს სწორი მიმართულების აღებაში ხელს უშლიდა. ელენეს გამოსვლამდე, უკვე ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, ადგილები — განაწილებული, მაგრამ მისმა გამოსვლამ ეს მდგომარეობა მკვეთრად შეცვალა.

— ახლა თუ გაქვთ ურთიერთობა ელენესთან?

— ელენე ყოველ წელს ჩამოდის თბილისში და ჩვენი სკოლის მოედანზეც ვარჯიშობს ხოლმე, დიდი შესვენება რომ არ გამოუვიდეს. საკმაოდ ხშირად ველაპარაკები ტელეფონით როგორც მას, ისე მის მშობლებს. როდესაც პირველად გავიგე ლიონში მისი წარმატების შესახებ, მაშინვე მის დედ-მამას დავურეკე. აღმოჩნდა, რომ შვილს ისინი მოსკოვიდან გულშემატკივრობდნენ. მოგეხსენებათ, რომ ევროპაში გამგზავრება სოლიდურ თანხებს მოითხოვს... დედას თურმე, მთელი ის დღე, როდესაც ტურნირი იმართებოდა, ეკლესიაში გაუტარებია. გამოსვლის დასრულებისთანავე, თავად ელენეს დაურეკავს მშობლებისთვის და მოკლედ უთქვამს: ავხტი, ზედიზედ ორი სამმაგი ბრუნი გავაკეთე, კარგად გამოვედიო. თქვენ წარმოიდგინეთ, ლიონში ელენეს მისი მწვრთნელიც კი ვერ გაჰყვა!.. ვოდორეზოვა ავად იყო.

— ვხედავ, ელენეზე საუბრისას სიხარულის ცრემლი გერევათ, თუმცა თქვენს მოსწავლეს დიდი წარმატებები ჯერ კიდევ წინ აქვს. როგორია თქვენი პროგნოზი?

— ელენესთვის ახლა მთავარია, ჯანმრთელობა და კარგი ფიზიკური ფორმის შენარჩუნება. ყველა დანარჩენი პირობა და საშუალება მას ალბათ, მიეცემა საიმისოდ, რომ ოლიმპიურ თამაშებზეც გვასახელოს. ■



ელენე ასპარეზობდა მასზე გაცილებით დიდ და გამოცდილ მოციგურავეებთან

თამუნა კვინიკაძე

ვჯანსულ ჩარკვიანი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის ნათლია გახლავთ. როდესაც მას დავურეკე და ამ საკითხზე სასაუბროდ შეხვედრა ვთხოვე, იუარა: არ მინდა, ვინმეს თავი მოვაბეზრო, არც აღარავის ვახსოვარო... მიუხედავად ამისა, ჩვენი შეხვედრა მაინც შედგა.

„..naqiraveb binaSi cxovrobda, mRvdeli iq miviyvane“

— ბატონო ჯანსულ, რატომ არ გსურდათ ჩვენთან შეხვედრა?

— უკვე აღარავის ვახსოვარ. რაც ჩემ ირგვლივ ხდება, კი არ მწყინს, აღვნიშნავ — ეს ყველაფერი „ქართული მოვლენა“ გახლავთ, მას იგნორირება ჰქვია... რამდენიმე შემთხვევას გავიხსენებ: არ მიმიწვიეს „ვაჟაობაზე“, არ მიმიწვიეს რუსთაველის დღეებზე — არადა, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ვარ; არ მიმიწვიეს შარშან თბილისობაზე, თუმცა, თბილისის საპატიო მოქალაქე და საზოგადოება „თბილისელის“ პრეზიდენტი ვარ... თავის დროზე, წყენა ხმამაღლა გამოვხატე. ალბათ, ამის გამო, წელს მიმიწვიეს, მაგრამ დამირეკეს და მითხრეს, — მოდი და მოსაწვევი წაიღეო. მე მეგონა, მოსაწვევი იყო, თურმე, მისაწვევი ყოფილა, ახლა ასე დაურქმევიათ... 2 წელია, არც ერთ სატელევიზიო არხს არ მივუწვევივარ. ერთი სიტყვით, დღეს ჩემთან ურთიერთობა წამგებიანია. როდესაც თქვენ მეკითხებით ნინოსთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაშიც, უხერხულ მდგომარეობაში ვაგდებ ჩემს ნათლულს და აქაც წამგებიანია ჩემი ნათლიობა. რა თქმა უნდა, ვერც ერთი კაცი ვერ იტყვის, — ჯანსულმა მაწყენინაო. ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს — ისინიც, ვისაც ვახსოვარ და ისინიც, ვინც დამივიწყა.

— ჩვენი საუბრის ძირითად თემაზე გადავიდეთ. რამდენი წლის იყო ქალბატონი ნინო, როდესაც მონათლეთ?

— 17 ან 18 წლის იქნებოდა, უკვე სტუდენტი იყო. ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით.

— რას ნიშნავს — „ვმეგობრობდით“? ახლა აღარ მეგობრობთ?

— ახლა ისეთი სიხშირით ველარ ვნახულობთ ერთმანეთს, როგორც მაშინ.

— ნათლისღების დღესასწაულს თუ გილოცავთ ხოლმე ნათლული?

— გინდა, მაინცდამაინც გამომტყუო რაღაც-რაღაცები?.. ახალი წელი მომილოცა. არ მინდა ამ საკითხზე საუბარი...

— როგორი ბავშვი იყო ქალბატონი ნინო?

— ძალიან ჭკვიანი, ნიჭიერი და მიზანდასახული გოგონა იყო.

— რომელ ეკლესიაში მონათლეთ?

— მაინც არ მეშვებით, ხომ?.. ეკლესიაში არ მომინათლავს. მოგეხსენებათ, რომ ნინო ქუთაისიდან არის. უმაღლესში რომ ჩააბარა, დროებით, ვაკეში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. მღვდელიც იმ ბინაში მივიყვანე. ნათლობას ესწრებოდა ნინოს ბებია (დედის დედა).

— თქვენ გარდა, კიდევ ვინ იყო ნათლია?

— ნათლია მარტო მე ვიყავი.

— ოდესმე თქვენი ნათლულის დასაცავად, თქვენი ჩარევა ხომ არ გამხდარა საჭირო?

— პარლამენტში იყო ასეთი შემთხვევა. ერთმა ტუტუცმა აგდებულად ლაპარაკი დაუწყო. დავამხე თავზე იმ პიროვნებას ყველაფერი. შე ნაძირალა, შენი დედის... — და დავამთავრე... სხვა ასეთი შემთხვევა არ მახსენდება. ნინო მართალი იყო იმ შემთხვევაში და მე უფლება არ მქონდა, მის გვერდით არ დავმდგარიყავი.

— როგორც წესი, ნათლიამ ნათლულს ეკლესიურად ცხოვრება უნდა ასწავლოს. თქვენს შემთხვევაშიც ასეა?

— იყო პერიოდი, როცა მარხვას ვინახავდი. ცუდი დრო გამოვიარეთ. მე თვითონაც მალულად ვარ მონათლული, სტუდენტობის დროს... ისეთი ეკლესიური ცხოვრებით არ ვცხოვრობ, რომ გავითავისო — „გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი შენი“. ჩემი ერთი ლექსი ასე მთავრდება: „ვისაც ვუყვარვარ, მიყვარს და ვისაც ვძულვარ, არ მძულს“... თუმცა, არიან ადამიანები, რომლებსაც მე ვძულვარ.

— რა მიზეზით?

— მე ერთგული კაცი ვარ და ღალატი არ შემიძლია.

— უცნაურია — ერთგულებისთვის ადამიანებს არ იძულებენ.

— მე ჩაშვება და ღალატი არ შემიძლია. უკვე გითხარით, 2 წელია არც ერთ სატელევიზიო არხს არ გავხსენებივარ. როგორ ფიქრობთ — რატომ?

— თქვენ როგორ გგონიათ?

— ეშინიათ.

— რისი ეშინიათ?

— რისი ეშინიათ, ახლა... ხომ ხედავთ, ყველაფერი რომ იხურება. უამრავი რაღაცა ხდება, რის გამოც, შეშინებულები არიან. დღეს ბევრი, წარსულში შემტევი ჟურნალისტი გადახრილია ხელისუფლებისკენ. ვინც არ გადაიხარა, დახურეს.

— მაგალითად?

— „არჩევანის ზღვარზე“ — ყველაზე კარგი, თუკი რამ იყო „მზეზე“. სიმართლის თქმა აღარავის აძლევს ხელს. დღეს ჩემთან ურთიერთობისგან ისეთი პიროვნებები იკავებენ თავს, გაოცებული ვარ.

— თქვენს ნათლულზეც ხომ არ იტყოდით იმავეს?

— ეს თვითონ მას ჰკითხეთ.

— რას გვეტყვით ნინოზე, როგორც პოლიტიკოსზე?

— რა უნდა ვთქვა?!. ჩვენს ქვეყანას დღეს ერთი კაცი მართავს. როდესაც ზურაბ ჟვანია იყო ცოცხალი, ისიც წყვეტდა ხოლმე გარკვეულ საკითხებს... თუ პრეზიდენტი მისცემს საშუალებას, ნინო კარგი პოლიტიკოსი იქნება. თუ არ მისცემს უფლებას და ეყოლება დაშინებული, მაშინ სხვა საქმეა.

— თქვენ როგორ მიიჩნევთ — ჰყავს თუ არა პრეზიდენტს ნინო ბურჯანაძე დაშინებული?

— დიახ, რა თქმა უნდა. ადრე, პარლამენტს ჰქონდა უფლება, დაეთხოვა პრეზიდენტი, დღეს კი, პრეზიდენტს აქვს უფლება, დაითხოვოს პარლამენტი... მოვრჩეთ, რა, ნინოზე ლაპარაკს!

— ხელისუფლებისკენ გადახრილი ჟურნალისტები ახსენეთ. ვის გულისხმობდით?

— არ არის ამის თქმა საჭირო. ძალიან არ მსიამოვნებს ხოლმე, ილიას ამ სიტყვების გახსენება, მაგრამ ამ ბოლო დროს,

თუ პრეზიდენტი მისცემს საშუალებას, ნინო კარგი პოლიტიკოსი იქნება



ხვალ-ზეგ, კახეთში ვაპირებ წასვლას, მინდა, 10 ტომარა მიწა შევიძინო და დავიბარებ, დამმარხონ ჩემი სიმამრის, მიხეილ ჩხეიძის სამოთახიანი ბინის ლოჯიაში

სამწუხაროდ, ხშირად მიწევს: „ყველა ყრუი, ყველა ცრუი“... ცოტა ხნის წინ წავიკითხე — ვიღაც ცისფრების დამცველი ითხოვდა — ამ კატეგორიის ხალხის უფლებები უნდა იყოს დაცული ჩვენს ქვეყანაშიო; პარლამენტზეც კი იყო განაწყენებული — ნახევარს ცისფრები შეადგენენ და მიკვირს, ამ საკითხში რომ არ გვემხრობიანო. დავიღუპეთ, ეს თუ მართლაც ასეა! თუ მართალი არ არის, მაშინ მოსთხოვონ ამის მთქმელს პასუხი!..

— რას გვეტყვით მწერალთა სახლთან დაკავშირებით ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე?

— ვინც უნდა აქტიურობდეს, ის ნაკლებად აქტიურობს.

— ვინ უნდა აქტიურობდეს?

— ისინი, ვინც პიონერთა სასახლეში მომხდარ ამბებზე აქტიურობდნენ და ხმა აიმაღლეს. დღეს ხელისუფლება გეუბნება, რომ გაძლევს სიტყვის თავისუფლებას, რომ მწერალს შეუძლია, იყოს კრიტიკული და რისი სურვილიც აქვს, ის დაწეროს. მაგრამ გართმევს მწერალთა კავშირს, გიხურავს ჟურნალებს, გაზეთებს, გართმევს გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობას, ხურავს ტელევიზიას, მთავარ გადაცემებს... მერე პარლამენტიდან ვიღაც თავხედი ხმამაღლა გიყვირებს — იტლიკინე, რამდენიც გინდაო! — ან, პირიქით — ენას კბილი დააჭირე, „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, რაც მინდა იმას გიზამო... ადრე, დაჭერილ კაცზე იტყოდნენ — ციხეში ზისო; დღეს ციხეში დგანან: 20-კაციან საკანში 100 პატიმარია შეყუჟული!... როცა მამა შვილს ტახტს დაუთმობდა (როსტევანიდან მოყოლებული, ასე იყო), „ვარდთა და ნეხვთა მზე სწორად მოეფინებისო“, — იტყოდნენ! არ უნდა გაამაყდე, არ უნდა გაყოყოჩდე! მერაბ მამარდაშვილის გამონათქვამია — სანამ დროა, სანამ მწვერვალზე ხარ, უნდა წახვიდე და მაშინ დარჩებიო...

ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით... (ბურჯანაძე-ბიწაძეების ოჯახი)

— ამით პრეზიდენტს აძლევთ მინიშნებას?

— ეს ყველა ჭკვიანმა ადამიანმა უნდა იცოდეს და გაითვალისწინოს.

— რა მოგწონთ პრეზიდენტში?

— მე ის მომწონს სააკაშვილის, რომ ვინც ყოფილ პრეზიდენტს უღალატა, დედა უტირა ყველას. რა თქმა უნდა, იმათაც, ვინც არ უღალატა, მაგრამ ასეთები თითზე ჩამოსათვლელები არიან... ჩვენ, ქართველებმა, ქართველობა არ უნდა დავკარგოთ, ამისთვის უნდა ვიბრძოლოთ დიდმა და პატარამ. ისევ მერაბ მამარდაშვილის სიტყვებს გავიხსენებ: „არავითარი აზრი არა აქვს მთელი სამყაროს მოპოვებას, თუ საკუთარ სულს დავკარგავთ“... ახალგაზრდა მინისტრმა დახურა მწერლების ყველა ჟურნალი და გაზეთი. გია ჯოხთაბერიძემ კი, მწერლებს ახალი ჟურნალი დაუარსა. ვის მივემხრო — გველმოქმედებას თუ ქველმოქმედებას?.. პასუხი ერთია — რა თქმა უნდა, ქველმოქმედებას.

— რისი გეშინიათ ცხოვრებაში?

— ერთი რაღაცის ჭეშმარიტად მეშინია: დიდი დრო აღარ დამრჩენია და ეჭვიც კი მეპარება, ჩემზე განაწყენებულნი მომცემენ კი მიწას დასამარხავად?.. ჰოდა, ხვალ-ზეგ, კახეთში ვაპირებ წასვლას, მინდა, 10 ტომარა მიწა შევიძინო და დავიბარებ, დამმარხონ ჩემი სიმამრის, მიხეილ ჩხეიძის სამოთახიანი ბინის ლოჯიაში, სადაც დღეს ვცხოვრობ. სულ ეს არის — გათავდა და მორჩა... ჩემს ნათლულებს მივულოცავ ნათლისღების დღეს. ხოლო ნინო ბურჯანაძეს და ნინო ხვედელიძეს — ამასთან ერთად, მომავალ ნინოობას!

■

„ეს რომ ეხოლოდ ვირუსი იყოს...“

ლიკა ქაჯაია

„ორნითოზით, იმავე ქათმის გრიპის ვირუსით 1930 წელს, ევროპაში 800 ადამიანი დაავადდა. იმისთვის, რომ დავადგინოთ, ფრინველი ან ადამიანი ამ ვირუსით, არის თუ არა დაინფიცირებული, საჭიროა პრეპარატი, რომელიც საქართველოს სააფთიაქო ქსელებში არ მოიძებნება“, — ამბობს მტრედების მოყვარულთა კლუბის თავმჯდომარე ვ[illegible]ალ ალ[illegible]ვილი, რომელიც არა მარტო ამ ვირუსზე, არამედ მტრედების მოვლასა და მათ უცნაურ ჩვევებზე გვესაუბრა.

თუ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას დავეყრდნობით, ორნითოზი (ბერძნ. Ornithos — ფრინველი) ადამიანისა და ფრინველის მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელსაც იწვევს ვირუსი, რომელიც 1930 წელს აღმოაჩინეს ბედსონმა და უესტერნმა. ვირუსის რეზერვუარია მტრედი, თუთიყუში, შინაური ფრინველი, ადამიანი. ადამიანი ავადდება დასნეულებულ ან ვირუსმატარებელ ფრინველებთან კონტაქტის შედეგად. დაავადება გადადის ჰაერწვეთოვანი გზით ან პირის, თვალის ლორწოვან გარსზე ვირუსის მოხვედრის შედეგად. ინკუბაციური პერიოდი საშუალოდ, 10 დღეს გრძელდება. დამახასიათებელი სიმპტომებია: მაღალი სიცხე, თავისა და კუნთების ტკივილი, ფილტვების ანთება; ზოგჯერ აღინიშნება გულისრევა, პირღებინება, კუჭის შეკრულობა და სხვა. დასნებოვნება ხდება სასუნთქი გზით და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მეშვეობით. კლინიკურად დამახასიათებელია სურდო, ძლიერი ფაღარათი, ფეხისა და ფრთის დამბლა.

— არსებობს 800-მდე დასახელების მტრედი, რომელიც 4 ჯგუფად იყოფა: სახორცე, დეკორატიული, მოთამაშე-მოფრინავე და სპორტული, რომელთაც „ფოსტას“ ეძახდნენ, რადგან მათ წერილების ტარება შეეძლოთ. სახორცე მტრედები ამერიკაში დელიკატესად ითვლება და ყველაზე ძვირად ღირებული ხორცია. თუმცა, მათ თავად ამერიკელები არ ზრდიან, ისინი ევროპული საკვებით გამოკვებილი მტრედის ხორცს ანიჭებენ უპირატესობას.

— თქვენ რამდენი სახეობის მტრედი გყავთ?

— 10 სახეობის მტრედი მყავს. თუმცა,

1879 წელს თუ ორნითოზს მოიხსენიებდნენ ფრინველის გიფად, ახლა გრიპი დაარქვეს. ეს რომ მხოლოდ გრიპი იყოს, მე მის განკურნებას შევძლებდი

უკეთესია, გყავდეს ერთი სახეობა, რადგან ეს მოსავლელადაც უფრო ადვილი იქნება და ასე უფრო მიაღწევ მტრედების შთამომავლობის მაღალხარისხიანობას.

— როგორ მრავლდებიან მტრედები? საშუალოდ, რამდენ კვერცხს დებს დედალი მტრედი?

— მტრედი დებს 2 კვერცხს. პირველს, ყოველთვის საღამოს დებს, მეორეს კი — 40-44 საათის შემდეგ — ეს დღის 11-12 საათს ემთხვევა.

— რატომ ხდება ასე?

— მტრედს გამომუშავებული აქვს იმუნიტეტი: თუ ორი ხუნდი ერთად გამოჩეკა, მას ველარ გამოკვებავს. კვერცხის დადების შემდეგ, როგორც დედალს, ისე მამალ მტრედსაც, ჩიჩახვში უგროვდება რძე.

— ეი. ხუნდის კვებაზე ორივე მშობელი ზრუნავს?

— არა მარტო კვებაზე. დედა მტრედი კვერცხზე ჯდება საღამოს 6 საათიდან და დილის 10 საათამდე ზის. შემდეგ, 10-დან 6 საათამდე მას მამა ენაცვლება. თუ გამოვთვლით, გამოდის, რომ დედა უფრო დიდხანს ზის კვერცხზე. მამასაც აქვს რაღაც დატვირთვა.

— რას გულისხმობთ?

— არსებობენ მტრედები, რომლებიც სანამ თავიანთ შვილებს არ გაზრდიან, მანამ ახალ კვერცხს არ დებენ. მაგრამ ზოგიერთი მათგანი კვერცხს მალევე დებს. ამის შემდეგ, ის აღარ აგრძელებს უკვე გამოჩეკილი ხუნდების მოვლას და მათზე პასუხისმგებლობას მამა მტრედი კისრულობს მანამ, სანამ ახლები არ გამოიჩეკებიან.

— რით იკვებებიან მტრედები?

— ხორბლით, სიმინდით, ქერით. მათთვის დელიკატესია ფეტვი. ძალიან უყვართ მზესუმზირა. თუ ჩვენი მტრედები სახურავიდან არ ჩამოდიან, მათ აუცილებლად უნდა ავუტანოთ ნახშირის, აგურის, გაჯის ნატეხები.

— ეს რისთვის სჭირდებათ?

— საკვების მოსანელებლად. ქათმის კუჭში ალბათ, ხშირად გინახავთ შუშის ნამსხვრევები, კენჭები და ა.შ. ამით ფრინველი საჭმელს ფქვავს, ინელებს.

— როდის უნდა დავიწყოთ მტრედების გაწვრთნა და როგორ ვასწავლოთ მათ წერილების ტარება?

— როცა მტრედი 2 თვის გახდება, პატრონმა ის უნდა მიაჩვიოს ერთსა და იმავე ადგილას ჯდომას. კარგია, თუ ეს ადგილი სახურავზე იქნება: რაც უფრო დიდხანს იქნება მაღლა, მით უფრო კარგად დაიმახსოვრებს იმ ადგილს. როცა პატრონი დარწმუნდება, რომ ფრინველმა ეს ადგილი კარგად აითვისა, მერე უნდა დაიწყოს მისი შეშინება, რომ აფრინდეს და სახლს ფრენით შემოუაროს.

— როგორ უნდა შევაშინოთ?

— ვესროლოთ პატარა კენჭი ან სხვა რამ. მაგრამ 1 დღეში მისი რამდენჯერმე შეშინება არ შეიძლება, რადგან შესაძლოა დაფრთხეს და მიჩვეული ადგილის ნაცვლად, სხვაგან დაჯდეს...

— საჭიროა თუ არა სამტრედეს ჩავუტაროთ დეზინფექცია?

— მე თვეში ერთხელ ვაკეთებ დეზინფექციას. თუ ამის შემდეგ, მტრედებს რაიმე ავადმყოფობის სიმპტომს შევამჩნევ, 2 კვირის შემდეგ, მათ ისევ ვუტარებ დეზინფექციას. თქვენ ალბათ, ეს კითხვა იმიტომ დამისვით, რომ ქათმის გრიპის გამო ხალხი ძალზე დაშინდა, არა?.. მე მაქვს წიგნი, რომელიც გამოშვებულია 1962 წელს. იქ არის აღნიშნული, რომ 1879 წელს, გავრცელდა ფრინველის ტიფი, რომელიც იგივე ქათმის გრიპი — ორნითოზია!

ამ მეთოდით, მე განმიკურნავს ყველაზე დასუსტებული მტრედიც კი. მაგრამ გრიპის პარალელურად, შეიძლება განვითარდეს ორნითოზი

— ეი. ამ 2 დაავადებას ერთი და იგივე სიმპტომები ახასიათებს?

— კი, ერთი და იმავე ნიშნებით ხასიათდება. თანაც, 1879 წელს თუ ორნითოზს მოიხსენიებდნენ ფრინველის ტიფად, ახლა გრიპი დაარქვეს. ეს რომ მხოლოდ გრიპი იყოს, მე მის განკურნებას შევძლებდი.

— რას გულისხმობთ?

— ფრინველებში ვითარდება გადამდები სურდო, რომელიც იწყება ცხვირის არეში. ლორწოვანი გამონადენი, იმის მაგივრად, რომ გარეთ გამოვიდეს, ჩადის პირის ღრუში. აქედან გადადის ჩიჩახვში, კუჭში. 4-5 დღის განმავლობაში, ამას პატრონი ვერც კი ამჩნევს, რადგან სურდოს ვერანაირ ნიშანს ვერ ხედავს. 4-5 დღის შემდეგ იმის მაგივრად, რომ დაავადებულმა ფრინველმა თავი ქვევით ჩამოაგდოს, კისერს მაღლა სწევს, იმიტომ, რომ ყანყრატოში გაჭედილი აქვს „კრახმალისმაგვარი“ სითხე. ის ველარ ყლაპავს საჭმელს, მხოლოდ წყლის დალევა შეუძლია და სწორედ წყლით გადასდებს ხოლმე ვირუსს სხვა ფრინველებს.

— როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა ფრინველში ამ სიმპტომებს აღმოვაჩენთ?

— ამ შემთხვევაში, უნდა გავუღოთ პირი, რადგან სწორედ პირიდან გამოსდის ეს გამონადენი. ვიღებთ ბამბას, რომელსაც ვასველებთ ფურაცელინის ხსნარში და კარგად ვუსუფთავებთ პირის ღრუს. ხშირად, ფრინველს სასაზე მიწებებული აქვს ფრჩხილის ფორმის, მედუზისმაგვარი ნივთიერება, რომელიც მას ფრთხილად უნდა მოვაცილოთ. რომ დავრწმუნდეთ, მკურნალობა საფუძვლიანად ჩავუტარეთ თუ არა, ავიღოთ 2-გრამიანი უნემსო შპრიცი, რომელშიც ფურაცელინის ხსნარს ჩავასხამთ, მივადოთ ცხვირის ხვრელთან და ხსნარი უეცრად შევუშხაპუნოთ. თუ ფრინველი ნერწყვს გადაყლაპავს, ე.ი. მას ცალი მხარე სუფთა აქვს. იგივე პროცედურა უნდა ჩავუტაროთ მეორე მხარეს. კარგია, თუ ამ პროცედურას 3-ჯერ ჩავუტარებთ. ამ მეთოდით, მე განმიკურნავს ყველაზე დასუსტებული მტრედიც კი. მაგრამ გრიპის პარალელურად, შეიძლება განვითარდეს ორნითოზი.

— შესაძლებელია თუ არა, ორნითოზით დაავადებული ფრინველის განკურნება?

— ეს შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია იმის დამტკიცება — სწორედ ამ ინფექციასთან გვაქვს საქმე თუ არა. გრიპია სავარაუდოდ მაშინ, როცა ჩატარებული მკურნალობის შემდეგ, ფრინველს თვალის ქუთუთოზე უჩნდება ხაზი, რომელიც შესივებულია. ამ დაავადების დასამტკიცებლად არსებობს სპეციალური პრეპარატი. ვგულისხმობ წამალს, რომელიც საქართველოში არ გვაქვს. მე შევამოწმე ყველა აფთიაქი, ვეტერინარული სამმართველო, მაგრამ იმ პრეპარატს ვერსად გავიმეორებ.

— იქნებ, ამ პრეპარატის სახელი გაგვიმხილოთ?

— ამ მედიკამენტის სახელი ერთხელ ვთქვი და აღარ გავიმეორებ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ როცა წამლის სახელი გავამხილე, ვეტერინარულმა სამმართველომ კაცი გამომიგზავნა: რა თქვიო? მაგრამ არც მათ ვუთხარი, პასუხად კი შევუთვალე: თქვენ რითი ამტკიცებთ ამ დაავადების არსებობას ან არდადასტურების ფაქტს-მეთქი?..

— გინდათ თქვათ, რომ საქართველოში ამ დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში, დაუცველები ვიქნებით?

— აბა, თქვენ რა გეგონათ?! ჩვენები იმასაც კი ვერ დაგიდასტურებენ, ეს ქათმის გრიპია თუ არა. სახელმწიფო მმართველები ხალხს აშინებენ. ყოველგვარი საფუძვლის გარეშე 2 მილიონი ფრინველი უნდა გაეწყვიტათ. რატომ? კაცმა არ იცის. ჯერ უნდა დავამტკიცოთ, არსებობს თუ არა საშიში დაავადება და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოვსპოთ ფრინველები. ისინი იმაზე არ ფიქრობენ, რომ თუ ყველაფერს გავანადგურებთ, ეკონომიკაც დაინგრევა!

— თუ შეგიძლიათ, სახელმწიფოს ამ დაავადების აღმოჩენაში დაეხმაროთ, რატომ არ ცდილობთ ინიციატივის გამოჩენას?

— თუ კერძო პირს, ორგანიზაციას ან ვინმეს ეს აინტერესებს, მობრძანდეს და ჩემს გამოცდილებას გავუზიარებ. ორნითოზით დაავადებული ფრინველი თუ აღმოვაჩინეთ, ჯანსაღ ფრინველს უნდა ჩავუტაროთ პროფილაქტიკა და ისინი დახოცვას გადავარჩინოთ.

— შესაძლებელია თუ არა ამ ვირუსის აღმოჩენა უკვე მკვდარ ფრინველში?

— შეუძლებელია. 1930 წელს, როცა ევროპაში 800 ადამიანი დაავადდა, ხალხს ეგონა, რომ ეს ინფექცია სამხრეთ ამერიკიდან თუთიყუშებმა შემოიტანეს, მაგრამ მერე დარწმუნდნენ, რომ ვირუსი შინაურ ფრინველებში ჩნდებოდა.

— რა გზით გადადის ფრინველის გრიპი ადამიანებზე?

— წყლით, ჰაერწვეთოვანი გზით. შუა აზიაში, ტაშკენტში მინახავს მიწურები, სადაც ფრინველი, საქონელი, ადამიანები ერთად წვანან, წყალს ერთი ჭურჭლიდან სვამენ...

— ეს დაავადება საქონელზეც გადადის?

— არა, საქონელზე არ გადადის. ცხოველებზე მხოლოდ ტუბერკულოზი გადადის.

— შეიძლება თუ არა, უკვე დაავადებული ფრინველის ხორცის ჭამის შემდეგ, ინფექცია ჩვენზე გადმოვიდეს?

— რა, ცოცხალი ფრინველი უნდა ვჭამოთ? ის ხომ იკვლება, იხარშება, იწვება! არ გადადის, მაგრამ დაინფიცირებული ფრინველის ხორცის ჭამა რა სასიამოვნოა?!. ორნითოზით დაავადებული ფრინველი სასწრაფოდ უნდა გავანადგუროთ. ■

რაში დაიხარჯება 700 მილიონი და რომელ ავადმყოფებს დაეხმარება სახელმწიფო

ხელისუფალთათვის ჯანდაცვის სისტემის მოწესრიგება მთავარი თუ არა, ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი რომაა, ამის შესახებ ბოლო დროს, მათ ხშირად უთქვამთ. წლეულს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანდაცვისთვის გამოყოფილი 700 მილიონზე მეტი ლარით, სისტემის პრიორიტეტები დაფინანსდება.

თამარ როსტიაშვილი

პოლიკლინიკების, სოფლების ამბულატორიების რუბილიტაცია, სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენელთათვის განსაზღვრული უფასო სტაციონარული დახმარება, მოსახლეობის ურგენტული დახმარება — გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ ხარჯის სრულ ან ნაწილობრივ დაფარვასა და სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ მოქალაქეთა სოციალურ დახმარებას გულისხმობს. სამაგიეროდ, ღარიბი მოსახლეობის, სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფის ხარჯზე, მიმდინარე წლის ზაფხულიდან შეწყდება ორსულთათვის გათვალისწინებული 200-ლარიანი ვაუჩერების გაცემა. ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული პრობლემის დასაძლევად, სახელმწიფო მომავალ დედებს მხოლოდ ორსულობის პერიოდში, აუცილებელი უფასო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფს. ერთ-ერთი წარმატებული პროექტი — უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება — წლეულსაც გაგრძელდება. განსაზღვრულია მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი, რომელსაც სამედიცინო დახმარება — ზოგიერთი დაავადების დიაგნოსტიკა თუ მკურნალობა — სრულიად უფასოდ უტარდება. ამ მხრივ, ინფორმაციის ნაკლებობის გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ჯერჯერობით უცნობია, რომ გარკვეული სახეობის სამედიცნო მომსახურების ხარჯს მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, სახელმწიფო გაიღებს.

რა ცვლილებებია მოსალოდნელი ჯანდაცვის სფეროში და როგორ შეგვიძლია ვისარგებლოთ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურებით? — ამ კითხვებზე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ***სანდრო ურუშაძე*** *გვიპასუხებს:*

— წლეულს, საბიუჯეტო თანხებით, სახელმწიფო დაქვემდებარებაში არსებულ თითოეულ საავადმყოფოს სრულად დავაფინანსებთ. გამოიკვეთა პრიორიტეტები და სახელმწიფო მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს ქვეყანაში სამედიცინო სფეროს მოწესრიგებისა და განვითარებისათვის. პრიორიტეტულ საკითხებში იგულისხმება: უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამა, მოსახლეობის ურგენტული მომსახურება, სოფლის ამბულატორიების მშენებლობა და გარემონტება. პროგრამის ფარგლებში, კახეთში, იმერეთში, აჭარასა და შემდგომში, უკვე შიდა ქართლში, მოხდება სოფლების ამბულატორიების არა მარტო გარემონტება და უახლესი სამედიცინო აპარატურით აღჭურვა, არამედ გაიზრდება მედპერსონალის სახელფასო ფონდი. გარდა ამისა, წლეულს იგეგმება ექიმებისა და ექთანების პროფესიონალური გადამზადების პროგრამის განხორციელება, რათა მათი კვალიფიკაცია შეესაბამებოდეს სამინისტროს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. იმისათვის, რომ სოფლის ამბულატორიაში ექიმი თუ ექთანი პაციენტს თანამედროვე სამედიცინო ტექნიკით მოემსახუროს, მას, ტექნიკასთან მუშაობის შესაბამისი ცოდნა უნდა ჰქონდეს. სწორედ ამიტომ ვაპირებთ, რომ მედპერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მათთვის სპეციალური ტრენინგები გავმართოთ.

— ამბულატორიები სოფლებში როდის გაიხსნება და რა სახის სამედიცინო მომსახურებას შესთავაზებს გადამზადებული მედპერსონალი იქ მისულ ავადმყოფს?

— ამბულატორიები, როგორც უკვე აღვნიშნე, ოთხი რეგიონის მასშტაბით, წლეულს, 1-ლი ივნისიდან, 100 სოფელში გაიხსნება. დაწესებულებები დაახლოებით პოლიკლინიკის ტიპის იქნება. უმეტესწილად, აქამდე უმოქმედო, სოფლის პოლიკლინიკები გარემონტდება. ამბულატორიები სამედიცინო ტექნიკით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა. კვალიფიციური მედპერსონალი ნებისმიერი სქესისა და ასაკის ავადმყოფს მოემსახურება. ამბულატორიებში მოეწყობა ლაბორატორიები, სადაც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას სრუ-

ლყოფილად გამოიკვლევენ. სახელმწიფოს მიერ აგრეთვე დაფინანსდება ორსულთა პატრონაჟის პროგრამა.

— სადღეისოდ, ევროსტანდარტის დონის სამედიცინო კლინიკა დედაქალაქში მრავლადაა, მაგრამ მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, ავადმყოფების უმრავლესობა მაინც „ძველმოდურ“ პოლიკლინიკებში დადის. თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი ამბულატორიებით სარგებლობა სოფლის მოსახლეობისთვის რამდენად ხელმისაწვდომი იქნება?

— სოფლის ამბულატორიაში აღრიცხული ნებისმიერი მოქალაქისთვის გარკვეული სახის მომსახურება უფასო იქნება. კერძოდ: ოჯახის ექიმის ან უბნის თერაპევტის კონსულტაცია (მათ შორის, ბინაზე ვიზიტიც), ლაბორატორიული გამოკვლევები, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული, ბავშვთა კონტინგენტის აცრა. აქვე აღვნიშნავ, რომ 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის აცრები თბილისის პოლიკლინიკებშიც უფასოა. ამბულატორიებში განხორციელდება ფთიზიატრიული დახმარება, აგრეთვე, სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება. იმ მომსახურების გარდა, რომელიც ნებისმიერი კატეგორიის მოქალაქისთვის უფასოა, სოფლის ამბულატორიებში 15 წლამდე და 65 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეები დამატებითი შეღავათებით ისარგებლებენ. სამამულო ომის ვეტერანებისთვის, მათთან გათანაბრებული პირებისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ნაბრძოლთათვის, აგრეთვე, მუდმივად (გადაადგილების უნარს მოკლებული) მწოლიარე პირთათვისა და ონკოონკურაბელური (მძიმე ონკოლოგიური დაავადების მქონე) პაციენტებისთვის წელიწადში 4-ჯერ, ამბულატორიის ექიმის ბინაზე გამოძახება უფასოა. ეს ინფორმაცია თითოეული ავადმყოფისთვის ამბულატორიებში ხელმისაწვდომი იქნება.

— ამბულატორიები მხოლოდ რეგიონებში გაიხსნება თუ მსგავსი პროგრამა თბილისშიც განხორციელდება?

— ამ ეტაპზე, ამბულატორიები მხოლოდ რეგიონებში აშენდება და გარემონტდება, რადგან სამედიცინო კლინიკების არარსებობის პრობლემა რაიონებსა და სოფლებში უფრო მწვავედ დგას, ვიდრე თბილისში. დედაქალაქში პოლიკლინიკები მეტ-ნაკლებად გამართულად მუშაობს და სამედიცინო კლინიკაც ჭარბი რაოდენობითაა.

— თქვენი თქმით, სახელმწიფო, ორსულთა პატრონაჟს უზრუნველყოფს. 200-ლარიანი ვაუჩერები, რომლითაც ორსულები შარშან იყვნენ უზრუნველყოფილი, წლეულსაც დარიგდება?

— ეს სახელმწიფო პროგრამა წლეულსაც გაგრძელდება. ორსულთა პატრონაჟი წარმოადგენს სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტს და ითვალისწინებს უფასო კონსულტაციებს და გამოკვლევებს, რომლებიც ორსულებს უტარდებათ პროფილაქტიკური ვიზიტების დროს. ამბულატორიებში ორსულთათვის უფასო იქნება მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია, სისხლის, შარდის ანალიზი, მცირე მენჯის ღრუს ორგანოთა ექოსკოპია და ა.შ. რაც შეეხება ვაუჩერებს — ეს პროგრამა ივნისამდე გაგრძელდება, ხოლო შემდგომ, შესაძლოა, შეჩერდეს და ამ ვაუჩერებისთვის განსაზღვრული თანხები, უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის სოციალური დახმარებისთვის გამოვიყენოთ. აღსანიშნავია, რომ წლევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებულია უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო დაზღვევა. ეს გულისხმობს: სოციალურად დაუცველი კატეგორიის მოქალაქეთა, როგორც ამბულატორიულ, აგრეთვე სტაციონარულ მკურნალობას. აღნიშნული პროგრამის განხორციელება უკვე დაწყებულია. სამედიცინო დაზღვევის პოლისები სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღრიცხვაზე მყოფ მოსახლეობას დაურიგდება.

— როგორც აღნიშნეთ, ჯანდაცვის ერთ-ერთი პრიორიტეტი, მოსახლეობის ურგენტული დახმარებაა. კონკრეტულად რას ითვალისწინებს აღნიშნული პროგრამა?

— ურგენტული მომსახურების პროგრამა გულისხმობს მოსახლეობისთვის გადაუდებელი (ურგენტული) სამედიცინო სტაციონარული დახმარების გაწევას. სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება მოხდება თანაგადახდის პრინციპით. ზოგიერთ შემთხვევაში, მოქალაქე გადაიხდის მომსახურების მხოლოდ 25%-ს. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ განსაზღვრულ კლინიკებში. ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტის, საავადმყოფოში ოპერაციული მკურნალობის ხარჯების 60%-ს სახელმწიფო ფარავს. თუ პაციენტი საჭიროებს ქიმიოთერაპიას და პრეპარატების ჯამური ღირებულება 300 ლარს არ აღემატება, სახელმწიფო ფარავს ღირებულების 50%-ს, ხოლო თუ პაციენტის მკურნალობის ხარჯი 300 ლარს აღემატება, სახელმწიფო მხოლოდ 150 ლარს გაიღებს. ბავშვებისათვის კი, ქიმიოთერაპია მთლიანად უფასოა. სახელმწიფო ფარავს ტუბერკულოზით, მალარიითა და შიდსით დაავადებული პაციენტების მკურნალობის ხარჯებსაც. სრულად ვაფინანსებთ ინსულინზე დამოკიდებული ავადმყოფების სამედიცინო დახმარების პროგრამას. სახელმწიფო აგრეთვე ფარავს ფელინკეტონური დაავადებით დასნებოვნებული ბავშვების სამედიცინო მომსახურების ხარჯებს. წლევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ონკოლოგიური სენით დაავადებული პაციენტების ნარკოტიკებით მომარაგების პროგრამაც. თანაგადახდის პრინციპი მოქმედებს შინაგანი ორგანოების გადანერგვითი სამედიცინო ოპერაციების დროს. რაც უფრო დიდია ოპერაციის ხარჯი, მით უფრო მეტ ნაწილს ფარავს სახელმწიფო.

— როგორც ვიცით, შიდსით, მალარიითა და ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების მკურნალობას „გლობალ-ფონდი“ აფინანსებს. სახელმწიფო ამ დაავადებებით დასნებოვნებულ ავადმყოფებს დამატებით მომსახურებასაც სთავაზობს?

— „გლობალ-ფონდი“ დიდ დახმარებას გვიწევს, მაგრამ მხოლოდ დონორი ორგანიზაციებიდან გადმორიცხული თანხები საკმარისი არ არის. შიდსით დაავადებული პაციენტები, რომლებიც ჯანმრთელობის მხრივ მძიმე მდგომარეობაში არიან, სტაციონარებში მკურნალობენ, ამისთვის კი, დამატებითი თანხებია საჭირო. ეს თანხები სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ირიცხება. ■

ურგენტული მომსახურების პროგრამა გულისხმობს მოსახლეობისთვის გადაუდებელი (ურგენტული) სამედიცინო სტაციონარული დახმარების გაწევას. სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება მოხდება თანაგადახდის პრინციპით

ძმის მკვლელობაში სამივე სასამართლომ დამნაშავედ ცნო

„ამ ამბავმა ცხოვრება დამინგრია და მორალურად გამანადგურა"

უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო პალატამ ძმის მკვლელობისთვის მსჯავრდებულის, 1956 წელს დაბადებული ზურაბ ხარატიშვილის საკასაციო საჩივარი განიხილა. წინა სასამართლოების მიერ დამნაშავედ ცნობილი ხარატიშვილი პალატის მოსამართლეებმაც ძმის მკვლელად გამოაცხადეს. მათი თქმით, საქმის მასალების შესწავლის შედეგად, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მან თავისი უფროსი ძმა, შურისძიების მოტივით, მართლაც, გამოასალმა სიცოცხლეს. მსჯავრდებული ჩადენილ დანაშაულს არ აღიარებს და თავს უდანაშაულოდ აცხადებს. მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი კი, სასამართლო პროცესებზე მის გამართლებასა და, როგორც თავად აღნიშნავდა, მტკიცებულებების არარსებობის მოტივით, მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას მოითხოვდა. ადვოკატის პოზიცია არც უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა.

ზურაბ ხარატიშვილი



მოკლული რამინ ხარატიშვილი

თბილისის საოლქო სასამართლომ ზურაბ ხარატიშვილს, მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის, 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. აღსანიშნავია, რომ ხარატიშვილისთვის ეს პირველი ნასამართლეობა არ გახლავთ. ციხეში ის შვიდჯერ იჯდა, ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო მოხმარების გამო. ნარკომანობის ფაქტს თავად მსჯავრდებული და მისი ოჯახის წევრებიც ადასტურებენ. რაც შეეხება ძმის მკვლელობაში ბრალდებას, ამას კატეგორიულად უარყოფენ (მკვლელობასთან დაკავშირებით, მსჯავრდებულის პოზიციის, ისევე, როგორც დაზარალებული მხარის ვერსიის შესახებ ვრცლად 2005 წელს, „გზის" №47-ში ვწერდით).

მკვლელობა 2002 წლის 28 მარტს, თბილისში, სანზონის დასახლებაში მოხდა. განაჩენის თანახმად, რომელიც უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა, დაახლოებით დღის 4 საათისთვის, ზურაბ ხარატიშვილს შინ ძმა — რამინ ხარატიშვილი ესტუმრა. მათ დაიწყეს ქეიფი. ცოტა ხანში, ნასვამ ძმებს ჩხუბი მოუხდათ, დაზარალებული მხარის ვერსიით — სავარაუდოდ ფულის, დაახლოებით 2.000 დოლარის გამო, რომელსაც ზურაბ ხარატიშვილი ძმას ციხეში შესაგზავნად სთხოვდა. ამავე ვერსიის თანახმად, როცა ძმის წინააღმდეგობას წააწყდა, ზურაბ ხარატიშვილმა მასთან გასწორება გადაწყვიტა, აიღო დანა და ძმას ის გულმკერდის არეში ჩაარტყა. შემავალი ჭრილობის გამო, დაზიანდა მარცხენა ფილტვი და ამის შედეგად, რამინ ხარატიშვილი ადგილზევე გარდაიცვალა. ზურაბ ხარატიშვილი კი, განაჩენის თანახმად, მიიმალა.

მსჯავრდებულის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ მსგავს ფაქტს მათ საცხოვრებელ ბინაში ადგილი არ ჰქონია. მათი თქმით, ზურაბ ხარატიშვილი სახლიდან დილით გავიდა და მას შემდეგ, დიდი ხნის მანძილზე, აღარ გამოჩენილა. აღნიშნავენ იმასაც, რომ დროებით გაუჩინარება მისგან მოულოდნელი სულაც არ ყოფილა, რადგან არაერთხელ მოქცეულა ასე. რაც შეეხება რამინ ხარატიშვილს — შემთხვევის დღეს, ის რძალს, როგორც ეს უკანასკნელი აცხადებს, სადარბაზოსთან შეხვდა და ერთად ავიდნენ ბინაში. სადილობისას, რამინს საკვები არ მოეწონა, დალია ორი ჭიქა ღვინო, გადაჯდა დივანზე და ამის შემდეგ, ცუდად გახდა. ყვირილზე მოგროვდნენ მეზობლები, გამოიძახეს „სასწრაფო დახმარება", მაგრამ „სასწრაფო" გვიან მოვიდა. იმ დროისთვის, რამინ ხარატიშვილი უკვე გარდაცვლილი იყო და ამის შესახებ რძალმა შეატყობინა მის ქალიშვილს; უთხრა, რომ მამამისი ინფარქტით გარდაიცვალა.

ის, რომ მისი მაზლი „ალბათ ინფარქტით" გარდაიცვალა, მას, როგორც თავად ამბობს, „სასწრაფოს" ექიმმა უთხრა. გარდაცვლილის ტახტზე დასვენებამდე, სხეულზე სისხლი არ შეუნიშნავს, არც სახის არეში უნახავს დაზიანება.

მსჯავრდებულის მეუღლის ეს ჩვენება არც ერთმა სასამართლომ არ გაიზიარა. უზენაესი სასამართლოს პალატის მოსამართლეებმა დაადასტურეს განაჩენი იმ ნაწილშიც, რომ ზურაბ ხარატიშვილის ოჯახის წევრებმა მოკლულს, კვალის დაფარვის მიზნით, სისხლი მოსწმინდეს და ბინაში სისხლით დასვრილი ადგილებიც დაასუფთავეს. სააპელაციო პალატის სხდომაზე, მოწმის სახით, დაჰკითხეს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ის ექიმიც, რომელიც იმ დღეს, გამოძახების საფუძველზე, ხარატიშვილების ოჯახში მივიდა. *„იქ გამოძახებიდან 15 წუთში მივედით. რამინ ხარატიშვილი უკვე გარდაცვლილი იყო, ჩაცმული და გასუფთავებული, ტახტზე ესვენა. მის სხეულსა და ტანსაცმელზე სისხლი არ შეგვიმჩნევია. დიასახლისმა გვითხრა, რომ ან გარდაცვლილი ოთხი დღის მანძილზე იმყოფებოდა სტუმრად მათ ოჯახში და ამ ხნის განმავლობაში, სისტემატურად იღებდა ალკოჰოლურ სასმელს. გვითხრა, რომ მის მაზლს გული აწუხებდა და ინფარქტიც ჰქონდა გადატანილი. მისი თქმით, ის უეცრად ცუდად გახდა და დავარდა. როცა ადგილზე მივედით, გვამს საძილე არტერია უკვე გაშეშებული ჰქონდა, ეს კი გარდაცვალებიდან ერთ საათში ხდება"*, —

განმარტა ექიმმა **მ. ბიჭაშვილმა**.

საქმის მასალების მიხედვით, რამინ ხარატიშვილი ძმის ოჯახში 4 დღის წინ კი არა, შემთხვევის წინადღეს მივიდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატის სხდომაზე დაკითხვისას, ზუსტად იგივე აღნიშნა თავად მსჯავრდებულის მეუღლემაც.

დაზარალებული, **რუსუდან ხარატიშვილი** (რამინ ხარატიშვილის ქვრივი):

„სწორედ ამ და სხვა წინააღმდეგობებმა მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჩემი ქმარი სიცოცხლეს საკუთარმა ძმამ გამოასალმა. ამის დაჯერება თავიდან არ მინდოდა, ამაზე ფიქრიც კი მზარავდა, მაგრამ ფაქტებს ვერსად გავექცეოდი. განსაკუთრებით კი, იმან აღმაშფოთა, რომ ზურაბის ოჯახის წევრები ჯიუტად უარყოფდნენ მომხდარს და ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა სიმართლე არ გამოაშკარავებულიყო. ამისთვის ცილიც კი დასწამეს ჩემს ქმარს — თითქოს ის მოთამაშე იყო, წლების მანძილზე ფულზე თამაშობდა, ერთხელ, დიდი თანხა წააგო და მეც, ვალების გადასახდელად, იძულებული გავხდი, სამუშაოდ საბერძნეთში წავსულიყავი. ასეთ ფაქტს სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია და ეს მხოლოდ და მხოლოდ ბინძური ცილისწამებაა. ამის თქმა მსჯავრდებულის ოჯახის წევრებს თავიანთი პოზიციის გასამყარებლად დასჭირდათ. ააგეს ვერსია იმის თაობაზე, თუ როგორ დაჭრეს ჩემი ქმარი ქუჩაში უცნობმა პირებმა და შემდეგ, დაჭრილი მივიდა ძმის ოჯახში. თუკი რამინს მოთამაშედ გამოაცხადებდნენ, მათი აზრით, ეს ვერსია უფრო დამაჯერებელი გახდებოდა. მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს და არც შეიძლებოდა, მიეღწიათ, რადგან ტყუილებზე აგებულ ვერსიას არც ერთი სასამართლო არ დაიჯერებდა და ასეც მოხდა. მათი სიტყვები არც რამინის რომელიმე მეგობარს, ახლობელს ან შეზობელს დაუჯერებია, რადგან ყველამ კარგად იცის ჩემი ქმრის პატიოსანი ცხოვრებისა და შეუბღალავი წარსულის შესახებ. გული მწყდება იმაზეც, რომ ჩემს მდგომარეობაში არ შევიდნენ. ამ ამბავს ნამდვილად არ გავახმაურებდი, ჩემთვის სიმართლე რომ ეთქვათ. სწორედ ამ მიზნით, როცა მივხვდი, რომ საქმის გამოძიებისას ყველა გზა ზურაბისკენ მიდიოდა, პროკურატურიდან საჩივარი გამოვიტანე და ამის საფუძველზე, მის მიმართ საქმე შეწყდა. ეს, მომხდარი ფაქტიდან 6 თვის შემდეგ მოხდა. არ მინდოდა, ჩვენს ოჯახში მომხდარი ასეთი შემზარავი და სამარცხვინო ფაქტი გახმაურებულიყო და ზურაბს ძმის მკვლელის სახელი დარქმეოდა. მაგრამ არც ეს საქციელი დამიფასეს და სიმართლე მაინც არ მითხრეს. უფრო მეტიც, გამაღიზიანებლად იქცეოდნენ. ამის შემდეგ, კვლავ საბერძნეთში დავბრუნდი. იქ ჩემი მულიც ცხოვრობდა. როცა შევატყობინე, პროკურატურიდან საჩივარი გამოვიტანეთქი, მითხრა — ასე რატომ მოიქეცი, არ გაინტერესებს, ქმარი ვინ მოგიკლა? მე მაინტერესებს გაირკვეს, ვინ არის ჩემი ძმის მკვლელიო... ამ სიტყვებმა ჩემი მოთმინების ფიალა აავსო. მაშინვე გადავწყვიტე, რა ენერგიისა და ნერვების ფასადაც არ უნდა დამჯდომოდა, ბოლომდე მიმეყვანა საქმე და სიმართლე გამერკვია. დაუყოვნებლივ დავრეკე საქართველოში და ჩემი ოჯახის წევრებს ვუთხარი, პროკურატურაში საჩივარი კვლავ შეეტანათ, რათა საქმეზე ძიება განახლებულიყო. გამოძიება ზუსტად იმ შედეგით დასრულდა, რასაც ვეჭვობდი და ვგრძნობდი. ყველაფერი ჩემი მაზლის დანაშაულზე მეტყველებდა. საქმე პირველად, თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ განიხილა. სასამართლო კამათის დროს, პროკურორმა ჩემი მაზლის 14 წლით თავისუფლების აღკვეთით დასჯა მოითხოვა. ამან ძლიერ გააღიზიანა განსასჯელის ოჯახი. მისმა ვაჟმა სიტყვიერი შეურაცხყოფაც კი მოგვაყენა მე და ჩემს ქალიშვილს, ჩემს სიძეს და ჩემს ძმას. გაიძახოდა — დაგცხრილავთ, დაგხოცავთო! სასამართლო დარბაზიდან გამოსულმა, მანქანა დაგვიმსხვრია. განსასჯელის ახლობლებისგან საფრთხეს ყოველ წუთს მოველოდით. ამას თან დაერთო სატელეფონო ზარებიც, სისტემატურად, ღამის საათებში — 2, 3 და 4 საათზე. უბედურება თავიდან რომ აგვეცილებინა და ჩემი მაზლიშვილი დაგვეშინებინა მაინც, პროკურატურაში საჩივარი შევიტანეთ. მაგრამ როცა შევიტყვე, რომ ასეთი ქმედებისთვის მას 3-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, პროკურორს პირადად ვთხოვე, საჩივარი გაეუქმებინა, რადგან არ მინდოდა, ახალგაზრდა ბიჭის ბედში ასე უხეშად ჩავრეულიყავი და ჩემი მიზეზით, მას მომავალი დამახინჯებოდა. მოწინააღმდეგე მხარე პალატის სხდომაზეც გამოხატავდა აგრესიას ჩვენი მისამართით. ეს პალატის თავმჯდომარემ — იური ტყეშელაშვილმაც შეამჩნია და მსჯავრდებულის მეუღლეს შენიშვნა მისცა — როგორც ჩანს, კანონმდებლობას კარგად არ იცნობთო... ცხადია, მოსამართლემ იმაზე მიანიშნა, რომ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ჩემი რძლის ქმედებაც ითვალისწინებს. თუმცა, ამ ამბავმა ისე დამღალა, რომ ახალი საჩივრების წერას ნამდვილად არ ვაპირებ. ღმერთი განსჯის ყველას. მომხდარმა მკვლელობამ ცხოვრება დამინგრია და მორალურად გამანადგურა, მაგრამ სასამართლოში არც მორალური და არც მატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დამიყენებია. ჩემთვის უმთავრესი, მხოლოდ სიმართლის დადგენა იყო“.

სასამართლო პროცესზე, მსჯავრდებულის მხარემ ყურადღება გაამახვილა არაპირდაპირი მოწმეების ჩვენებებზე, რომლებიც გამოძიებამ თავდაპირველად, ბრალის დამადასტურებელ ძირითად მტკიცებულებად გამოაცხადა, სასამართლოზე კი, ყველა ეს ჩვენება გამოირიცხა. ამის მიზეზი გახდა ის, რომ მოწმეებმა გამოძიების პერიოდში მიცემული ჩვენებები უარყვეს და განაცხადეს, რომ ყველაფერი ზეწოლის შედეგად დაწერეს. აღნიშნულ ჩვენებებში ისინი წერდნენ, თუ როგორ უთხრა მათ ზურაბ ხარატიშვილმა, რომ ჩხუბისას, ძმა შემოაკვდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, დაზარალებულის მხარეს განსხვავებული მოსაზრება აქვს. მისი თქმით, მოწმეები მსჯავრდებულის მხარემ მოისყიდა, დააშინა და მუქარის შედეგად შეაცვლევინა ჩვენებები. ამ მხრივ, უზენაესი სასამართლოს განჩინებაში კომენტარი დაფიქსირებული არ გახლავთ, თუმცა მითითებულია, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიებით სრულყოფილადაა დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კანონი დარღვეული არ არის და ზურაბ ხარატიშვილის ქმედება სწორადაა დაკვალიფიცირებული. სასჯელის ნაწილში პალატის მოსამართლეებმა ცვლილება მაინც შეიტანეს. იმის გამო, რომ მსჯავრდებულს ორი შვილი ჰყავს, შეფარდებული სასჯელი მეტისმეტად მკაცრად მიიჩნიეს და ის 2 წლით შეამცირეს. ხარატიშვილს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მიუხედავად ამისა, მსჯავრდებულის ადვოკატი — გირშელ ძებნიაური ბრძოლის გაგრძელებას სტრასბურგში აპირებს. ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის უფლებები, როგორც წინასწარი, ასევე სასამართლო გამოძიების პერიოდში, უხეშად დაირღვა და ამდენად, ევროპის სასამართლოს ფორმატში საჩივარი თავსდება.

გირშელ ძებნიაური:

„ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ არა მკვლელობის დეტალებზე, არამედ იმ კანონდარღვევებზე, რაც ამ საქმეში ფიქსირდება. მტკიცებულებებიდან ამოირიცხა ოთხი მოწმის ჩვენება; ამის შემდეგ, საქმეში არ დარჩა ბრალის დამადასტურებელი არც ერთი რეალური და უტყუარი საბუთი. ხარატიშვილს ჩადენილი დანაშაული, საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, არ უდასტურდებოდა, არ არსებობს დანაშაულის არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი მოწმე. განაჩენი სრულიად უსაფუძვლოდ დაეყრდნო მხოლოდ დაზარალებულისა და მისი ახლობლების ჩვენებებს, რომლებიც მხოლოდ რამინ ხარატიშვილის გარდაცვალების ფაქტს ადასტურებენ და უშუალოდ დანაშაულთან დაკავშირებით, რეალურს ვერაფერს ამბობენ, რადგან შემთხვევის მოწმეები არ ყოფილან. სასამართლომ კი, ამ საკითხზე საერთოდ არ იმსჯელა. არ გაითვალისწინა და უხეშად დაარღვია კანონმდებლობის ის მუხლი, რომელიც ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტას მიუთითებს“, — აცხადებს ადვოკატი.

■

„ჰელოუინის“ დღესასწაულის წინ ჩადენილი სადისტური მკვლელობა

19 წლის ახალგაზრდამ ყოფილ შეყვარებულს ყელი გამოსჭრა

ამერიკის შეერთებული შტატების, კერძოდ კი, ლოს-ანჯელესის სამართალდამცავი უწყება, „ჰელოუინის“ დღესასწაულის წინ მომხდარი, საშინელი მკვლელობის საქმეს იძიებს. სადისტურ დანაშაულს 22 წლის გოგონასა და მისი 43 წლის მამის სიცოცხლე შეეწირა. მესამე პიროვნება, რომელიც შემთხვევის დღეს მათთან ერთად იმყოფებოდა, სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. ის მკვლელს რაღაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით დაუსხლტა ხელიდან და გაიქცა.

მკვლელობა 19 წლის ახალგაზრდამ — უილიამ ფრეუნდმა ჩაიდინა. გამოძიების ინფორმაციით, უილიამ ფრეუნდი შაბათს, სპეციალურად „ჰელოუინისთვის“ შეკერილ შავ, გრძელ მოსასხამსა და ნიღაბში გამოეწყო, აიღო ცეცხლსასროლი იარაღი და ავტომანქანით ახლომდებარე სახლისკენ წავიდა. იმ სახლში მისი ყოფილი შეყვარებული ცხოვრობდა.

კარი გოგონას მამამ გაუღო. ფრეუნდმა არ დააყოვნა და მას ცეცხლსასროლი იარაღიდან მაშინვე ესროლა. შემდეგ, ზღურბლთან უსულოდ დაცემულ მსხვერპლს მშვიდად გადაბიჯა, რათა ყოფილი შეყვარებული ჩაეგდო ხელში. იარაღიდან გასროლის ხმაზე ერთ-ერთი ოთახიდან გამოსული გოგონა ნიღბიან მკვლელს ჰოლში შეეფეთა. ფრეუნდმა მას ზედიზედ ორი ტყვია დაახალა, ძირს დაცემულს კი, ყელში დანაც გამოუსვა. როგორც ამბობენ, იმ დროს, მათ სახლში მოკლული მამაკაცის ახალგაზრდა მეგობარი ქალიც იმყოფებოდა. თავდაპირველად, ის მკვლელმა ვერ შეამჩნია. როცა ქალი მიხვდა, თუ რა ხდებოდა, გაქცევით უშველა თავს, თუმცა, შოკურ მდგომარეობაში მყოფი, თან ისტერიკულად კიოდა. ყვირილისა და სროლის ხმაზე სახლის სხვა მობინადრეებიც გამოვიდნენ. ბინიდან გამოსულმა ფრეუნდმა მათაც დაუმიზნა იარაღი, მაგრამ საბედნიეროდ, არც ერთი მათგანისთვის არ უსვრია, მათ მხოლოდ ემუქრებოდა მოკვლით. შემდეგ, ავტომანქანაში ჩაჯდა და შინ დაბრუნდა. იქ მან იმავე იარაღით თავი მოიკლა...

მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ვერსია ვრცელდებოდა. თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ ფრეუნდი ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, საკუთარ ქმედებებს ვერ აკონტროლებდა და საშინელი მკვლელობებიც გონებაამღვრეულმა, გაუცნობიერებლად ჩაიდინა. თავიდან ეგონათ, რომ ფრეუნდი მოკლულებს საერთოდ არც იცნობდა და შემთხვევით შევიდა მათ ბინაში. მაგრამ მოკლული გოგონას მეგობრების დაკითხვის შემდეგ, სიმართლე გაირკვა. გამომძიებელს მათ უთხრეს, რომ გოგონას ხანმოკლე რომანი ჰქონდა ფრეუნდთან, მათი ურთიერთობა მხოლოდ ერთი თვე გაგრძელდა, ერთმანეთს უმტკივნეულოდ დაშორდნენ და ამის კონკრეტული მიზეზი მათთვის უცნობია. დაიკითხნენ მკვლელის ახლობლებიც. აღმოჩნდა, რომ ზემოთ აღნიშნული რომანის შესახებ მათ არაფერი იცოდნენ, მაგრამ როგორც დაკითხვისას აღნიშნეს, ფრეუნდი ყოველთვის მშვიდი და გაწონასწორებული ახალგაზრდა იყო. ვერავის წარმოედგინა, რამ მიიყვანა 19 წლის ბიჭი ამ საშინელ დანაშაულამდე და შემდეგ — თვითმკვლელობამდე.

ფრეუნდის სასოწარკვეთილი მშობლები აცხადებენ, რომ მათ შვილის ხელში ცეცხლსასროლი იარაღი ან დანა არასდროს უნახავთ და საიდან მოიტანა ისინი, არ იციან. გამოძიების ვერსიით კი, ფრეუნდმა გოგონასთან დაშორება მტკივნეულად განიცადა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და სასტიკი შურისძიება გადაწყვიტა. აღსანიშნავია ისიც, რომ ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ფრეუნდის ორგანიზმში არც ალკოჰოლი და არც ნარკოტიკი არ აღმოჩნდა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, „ჰელოუინის“ დღესასწაულს კრიმინალური ფაქტები ყოველთვის თან სდევს. ბოლო „ჰელოუინზე“, ამ მხრივ პრობლემები შეიქმნა სხვა შტატებსა და ქალაქებშიც. მაგალითად, ვისკონსინის შტატის ქალაქ მედისონში მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისთვის 400-მდე პირი დააკავეს, ოჰაიოს შტატის ქალაქ ათენსში კი — 100-მდე ადამიანი. თუმცა, სამართალდამცველები იმასაც აღნიშნავენ, რომ წინა წლებში, უარესი სიტუაციაც ყოფილა.

მანიაკი ტაქსისტი 7 წლის მანძილზე კლავდა ქალებს

ეგვიპტის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა ალექსანდრიის მკვიდრი — 46 წლის მამაკაცი დააკავეს. ამბობენ, რომ მან მთელი 7 წლის მანძილზე, ოცამდე ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე. სერიული მკვლელი ტაქსისტად ასაღებდა თავს. მგზავრებს შორის ის პოტენციურ მსხვერპლს, ჩვეულებრივ, ქალებს არჩევდა. იტყუებდა მათ სხვადასხვა თემაზე საუბრით, ამასობაში უკაცრიელი ადგილისკენ აიღებდა გეზს და განზრახვაც სისრულეში მოჰყავდა. მანიაკის იარაღს, ძირითადად, ჩაქუჩი და რეზინის ზონარი წარმოადგენდა.

გამოძიების ინფორმაციით, მანიაკმა მკვლელობების ჩადენა მას შემდეგ დაიწყო, რაც ცოლს გაეყარა. განქორწინების ინიციატორი სწორედ მისი მეუღლე ყოფილა. სასამართლო პროცესზე ერთადერთ მიზეზად, მან ქმართან სექსუალური კავშირის დროს დაუკმაყოფილებლობა დაასახელა. ცოლის ამ განცხადებამ ქმარზე ძალიან იმოქმედა. შეურაცხყოფილი და გაბრაზებული, მას შემდეგ ქალებს ვერ იტანდა და თუკი სადმე გადაეყრებოდა, ხელსაყრელ მომენტს არ უშვებდა ხელიდან და მაშინვე ჯავრს იყრიდა მათზე. დაკავებულმა მანიაკმა ჩადენილი დანაშაულებიდან მხოლოდ 7 მკვლელობაში ცნო თავი დამნაშავედ. მათგან ორი ქალი, როგორც თავად მკვლელმა აღიარა, მან ჯერ გააუპატიურა და შემდეგ მოკლა.

ოთხი ქალიშვილის მკვლელი მამა

10 იანვარს, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ჩადენილმა მხეცურმა დანაშაულმა ყველა შეძრა. 50 წლის მოქალაქემ საკუთარ ოჯახში საშინელი ტრაგედია დაატრიალა — მან სამზარეულო დანით დახოცა თავისი ოთხი ქალიშვილი. ამის შემდეგ შეეცადა, ცოლიც დაეჭრა, მაგრამ ქალი მას ხელიდან დაუსხლტა და გაქცევა მოახერხა. „მთელი დღე სამსახურში ვიყავი. ბოლო დროს, ქმარი ძალიან გაღიზიანებული და განერვიულებული იყო. იმ საღამოსაც, შინ რომ დავბრუნდი, ჩხუბი დამიწყო, შემდეგ ცემაზე გადავიდა, ხის დაფა აიღო და იმით მირტყამდა“, — მოუყვა სამართალდამცველებს დაზარალებული.

დამნაშავემ შემთხვევის ადგილიდან მიმალვა სცადა, მაგრამ პოლიციამ ოპერატიულად იმოქმედა. როცა დარწმუნდა, რომ სამართალდამცველებს ვეღარ გაექცეოდა, საკუთარ თავს განაჩენი თავად გამოუტანა: დანით, რომლითაც მან ქალიშვილები დახოცა, სხეულზე მძიმე ჭრილოები მიიყენა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. პოლიციის უფროსის — ფრანც პოლცერის განცხადებით, საუკუნის ბოლო მეოთხედის მანძილზე, რეგიონში დაფიქსირებული ფაქტებიდან ეს ყველაზე სასტიკი დანაშაულია. მისივე თქმით, ქალიშვილების მკვლელი მამა წარსულში არასდროს ყოფილა შემჩნეული რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში. ოფიციალური ცნობით, ოჯახი უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა. სახლი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, კვირის ბოლოს, აუქციონზე უნდა გაეყიდათ. დედის გარდა, სიკვდილს მეხუთე ქალიშვილიც გადაურჩა: მკვლელობის მომენტში, ის შინ არ იმყოფებოდა. როცა დაბრუნდა, დახოცილი დების გვამები მშობლების საძინებელში სწორედ მან აღმოაჩინა. ამჟამად, „წითელი ჯვრის“ ადგილობრივი განყოფილება დედა-შვილის დასახმარებლად შემოწირულობებს აგროვებს.

■

პანტომიმის თეატრის დამფუძნებელმა, რეჟისორ ამირან შალიკაშვილმა გასულ წელს წიგნი (მსახიობის მონოლოგი) სახელწოდებით — „ცრემლიანი შემოდგომა“ გამოუშვა, რომელიც არსად იყიდება, რადგან ბატონი ამირანი მიიჩნევს, რომ საქართველოში ლიტერატურა არავის უყვარს და ყუთში ჩაწყობილი წიგნები „მზეთუნახავებად“ აქცია, საკუთარ კაბინეტში ჩაკეტა... ამ უცნაურ ადამიანს უცნაური ამბიციებიც აქვს. მისი თქმით, ის გენიალური მთხრობელია. მაგალითად კი, მოჰყავს ის, რომ თუ ქალი მოეწონება და მას სიყვარულს აუხსნის, ეს ქალი მისი სიყვარულით დაიფერფლება. ამასთანავე, ბატონი ამირანი ახალგაზრდების გამოწვევას ცდილობს. იგი ამაყად აცხადებს: მომიყვანეთ ნებისმიერი ახალგაზრდა, შემეჯიბროს თუნდაც, სექსში და ვნახოთ, მე უფრო ბებერი ვარ თუ ის თქვენი ახალგაზრდაო...

„მახინჯი ვარ, მაგრამ შენთვის კაეკარგდები“... რატომ ცდილობს ამირან შალიკაშვილი ახალგაზრდების გამოწვევას

ლიკა ქაჯაია

— მამაჩემი უზბეკეთში გადაასახლეს. დედაჩემიც მას გაჰყვა. მე უცხოეთში დავიბადე. გადასახლებიდან ვიღაცამ ჩამომათრია. არც დედა მყავდა, არც მამა. ბებიამ წამათრია ლანჩხუთში, სოფელ აკეთში. იქ ხან ჩაის ვკრეფდი, ხან ყანაში, ხან ვენახში ვმუშაობდი და ა.შ. ბავშვობიდანვე ვწერდი ლექსებს. 13 წლისა ვიყავი, როცა თბილისში ჩამოვედი და ჩემი ლექსები გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ მივიტანე. იქ ასეთი პასუხი მივიღე: თქვენი ლექსის დასაბეჭდად ფიქრიც კი არ ღირსო... ახლა კი, ჩემი ლექსები „მწერლის გაზეთსა“ და „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდეს. კრიტიკოსები ამბობდნენ: აუ, რა კარგი ლექსებიაო!

— ლექსების კრებულის გამოშვებას ხომ არ გეგმავთ?

— სიტყვა „კრებული“ არ მიყვარს. შეიძლება გამოვუშვა ლექსების წიგნი.

— როგორც ვიცი, გამოვიდა თქვენი წიგნი — „ცრემლიანი შემოდგომა“.

— კი, გამოვიდა და ატყდა ერთი ბუმი.

— რას გულისხმობთ?

— ნათელა არველაძემ, რომელიც ისეთი საზიზღარია, რომ არაფერი მოსწონს და რეზო მიშველაძემ, ცამდე ამიყვანეს...

— თქვენი წიგნი რა ჟანრს მიეკუთვნება?

— იქ ასახულია ჩემი ცხოვრების პირველი ნაწილი: 1939 წლიდან — 1973 წლამდე. ახლა ამ წიგნის მეორე ნაწილს ვწერ. ერთ-ერთ თეატრმცოდნეს ვუთხარი: 1973 წლიდან — 1992 წლამდე ჩემი ცხოვრების პერიოდს ოქროს ხანას შევადარებდი, რადგან ჩემი შემოქმედებითი კოლექტივის ნაწილი გერმანიაში დატოვეს-მეთქი. ჩაიცინა: რა ოქროს ხანა, ბიჭო, რა დროს ეგაა, რომელ საუკუნეში ცხოვრობო?!. წიგნის მეორე ნაწილს, მის ჯიბრზე ვწერ. რაც შეეხება ჟანრს, ეს არც მემუარებია, არც მოთხრობა ან რაღაც სხვა. მე მას მსახიობის მონოლოგი ვუწოდე. მეუბნებოდნენ — ეს პროზასთან გატოლებული წიგნიაო, მაგრამ მე ამას ვერ ვიტყვი, რადგან თანამედროვეობაში გვყავს ისეთი საოცარი პროზაიკოსი, როგორიც გურამ დოჩანაშვილია და მის გვერდით მე რა მინდა?!

— თქვენი წიგნი არსად იყიდება...

— ადამიანებს ლიტერატურა არ უყვართ. მინდოდა, ჩემი წიგნი ფართო მასებისთვის მიმეწოდებინა, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან ჩემგან 20-მა ე.წ. განათლებულმა ადამიანმა წაიღო წიგნი და აქედან, ის მხოლოდ 2-მა წაიკითხა.

— მაგრამ ხომ არსებობენ ადამიანები, რომელთაც ლიტერატურა უყვართ!

— თქვენ ლენინის დატოვებული სიტყვები ვერ ჩამოიშორეთ: ხელოვნება, ლიტერატურა ხალხს ეკუთვნის. სინამდვილეში, ხელოვნება მარტო ხელოვანი ადამიანებისთვისაა, ლიტერატურა — ლიტერატორებისთვის, მხატვრობა — მხატვრებისთვის და ა.შ. სხვათა შორის, მე გენიალური მთხრობელი ვარ. იცი, როგორი სიყვარულის ახსნა ვიცი? — მე რომ სიყვარული აგიხსნა, დღე და ღამე ჩემზე იფიქრებ, ვერ მოისვენებ. მიუხედავად იმისა, რომ მახინჯი სიფათი მაქვს...

— კი, მაგრამ ასე როგორ დამაბნევთ?

— მე ვიცი, რომ მახინჯი ვარ, მაგრამ ჩემთან ის სიმღერა — „მახინჯი ვარ“... — არავითარ კავშირშია. პრინციპში, ჩემისთანა კაცმა შეიძლება ვინმეს სიყვარული აუხსნას? ეს ხომ საშინელებაა!..

— თქვენ, კითხვაზე არ მიპასუხეთ.

— შენ ეტყობა, გათხოვილი ხარ. მე რომ სიყვარული აგიხსნა, შენი ქმარი სადმე დამხვდება და თოფს მესვრის. ასე რომ, თავი დამანებე *(იცინის)*... ისე, თუ გაინტერესებს, ამას პირადი გა-

მოცდილებიდან გეუბნები. ქალებს სიყვარულს ავუხსნი თუ არა, ისინი ჩემ წინ იფერფლებიან. ზოგჯერ არაფრის თქმა არ მჭირდება, ქალის შესაბმელად ჩემი ერთი შეხედვაც საკმარისია. მოდი, გულახდილად მითხარი, ვერ დაგაბი თუ *(იცინის)*?.. ხომ არ გეწყინა?

— არა, მაგრამ თქვენი მეულლის ადგილზე ყოფნას ნამდვილად არ ვისურვებდი... ხშირად აძლევთ ეჭვიანობის საბაბს?

— ეს სულ არ მაინტერესებს. ქალი, რომელიც არ ეჭვიანობს, ქალი არ არის. ეჭვიანობა ყველაზე დადებითი თვისებაა. მე სპეციალურად „ვქმნი“ ეჭვიანობას. თეატრალი კაცი კონფლიქტების გარეშე ვერ იარსებებს... როგორც ხედავ, ცალი თვალი გამრუდებული მაქვს. ერთხელ, ოპერაციის გაკეთება მოვინდომე, მაგრამ მითხრეს: ოპერაციას თუ გაიკეთებ, ის ამირანი აღარ იქნებიო. გამრუდებულად ვუყურებ ცხოვრებას *(იცინის)*. 66 წლის ვარ და შეყვარებული მყავს.

— თქვენი ასეთი გულახდილობა თქვენს შვილებს მოსწონთ?

— რას ნიშნავს ეს კითხვა? ე.ი. ახალგაზრდებმა უნდა იცხოვროთ და მე უნდა მოვკვდე?! რა, მამაშენს აწყენს ქეიფი, დროს ტარება, ქალები?! წლები მიდის, შეიძლება, ფიზიკურად ვბერდებით, მაგრამ გული არ ბერდება. მე სიბერე გავიარე მაშინ, როცა 17-20 წლის ვიყავი, როცა არავინ მყავდა, ახლა კი ახალგაზრდა ვარ... თქვენ გეცინებათ, მაგრამ თუ გინდათ ეს დავამტკიცო, მომიყვანეთ ნებისმიერი ახალგაზრდა და შემეჯიბროს, ნებისმიერ საქმეში, თუნდაც — სექსში.

— ახალგაზრდების მიმართ აგრესიას განიცდით?

— მე არა ვარ იმ კაცთა მოდგმის, რომ ჩემს მოწაფეებზე რამე ვთქვა. მე თუ თვითონაც შეცდომად ვარ მოსული ამ ცხოვრებაში, ჩემი მოწაფის გულისთვის — დიდი ბოდიში აკაკი წერეთელთან, — თავს არ მოვიკლავ იმის გამო, რომ კაცად ვერ გამიზრდია. მე ყველა ახალგაზრდას, შენი თამადობით, ვუსურვებ ბედნიერებას და... ერთი თხოვნა მაქვს შენთან, შემისრულებ?

— გისმენთ.

— სხვებივით არ დაგავიწყდეს, რომ არსებობს ამირან შალიკაშვილი. იყავი ისეთი, როგორიც ხვალინდელი დღე გათენდება.

— გინდათ თქვათ, რომ არავის ახსოვხართ?..

— საქართველოში ამირან შალიკაშვილი არ უყვართ, მაგრამ აფასებენ ჯონ მალხაზ შალიკაშვილს. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ის ამერიკაშია. გაიგეთ, რომ ის თქვენი არ არის და არც არასდროს იქნება! დღეს, ვიღაც მხატვრებს აფასებენ, ფიროსმანი ისე დაივიწყეს, ვითომ რაღაც „თხლე“ იყო. იცოდე, რომ ჯერ შენიანი უნდა დააფასო და მერე — სხვა!..

■

მარიკა ვერულაშვილის აზრით, გემოვნება ინდივიდუალური ცნებაა და არ შეიძლება მასზე ზოგადად ლაპარაკი — შეიძლება, ერთ ადამიანს ერთი შეხედულება ჰქონდეს ამა თუ იმ ნივთზე, ტანსაცმელზე, ლიტერატურულ თუ მუსიკალურ ნაწარმოებზე, მეორეს — სრულიად სხვაგვარი. ამიტომაც, ის არასდროს დაობს გემოვნებაზე ერთადერთ ქალიშვილთან — სალომესთან და მის შენიშვნებსაც აუღელვებლად იღებს... პოლიტიკოსი ქალბატონის პოლიტიკური, ლიტერატურული თუ მუსიკალური გემოვნებისა და შეხედულებების გასარკვევად, მას შინ ვესტუმრეთ.

რატომ „იბრუნეგა“ მარიკა ვერულაშვილი

და რა მოთხოვნებს უყენებს მაყაკაცებს

ნინო ჯავახიშვილი

— გემოვნება დროსთან მჭიდრო კავშირშია. სალომე ხშირად მეუბნება — დედა, მართალია, შენ კლასიკური სტილის ტანსაცმელი უფრო მოგწონს, მაგრამ ეს რა შარვალი და პიჯაკი გიყიდია? შენ არ იცი, რა არის ახლა მოდაშიო?!. მოკლედ, უკვე პრეტენზია აქვს გემოვნებაზე და მაკრიტიკებს კიდეც. ხშირად ვურჩევ, ესა თუ ის წიგნი წაიკითხოს, მაგრამ ნურას უკაცრავად — მას სულ სხვა იზიდავს. „ბიძია თომას ქოხი“ წაიკითხე-მეთქი, ვთხოვდი, ის კი საბავშვო ენციკლოპედიაში იქექებოდა. ხშირად ისეთ კითხვებს მისვამს, მაგიუებს... მე თვითონ ორი უკიდურესობა მჭირს — მომწონს აზიური და ზედმიწევნით ევროპული სტილი ან მათი კომბინაცია. სადაც ახლა ვსხედვართ, ადრე სარდაფი იყო. ხანგრძლივი „არქეოლოგიური გათხრები“ ჩავატარე, რის შედეგსაც თვითონვე ხედავთ. ეს იდეა მე მომივიდა აზრად, რასაც დედაჩემი ძალიან აპროტესტებდა. მეუბნებოდა — მაგ „პადვალში“ ჩამომსვლელი არ ვარ, რაც გინდა, ის გააკეთეო. ახლა კი, ისე მოსწონს აქაურობა, ზემოთ, მეორე სართულზე აღარც ადის. შევეცადე, ინტერიერი ევროპული და აზიური სტილის ნაზავი ყოფილიყო და ვფიქრობ, ეფექტური გამოვიდა. ყველაფერს თავისი ხიბლი აქვს.

ნუცუბიძის პლატოზე მდებარე ბინა, რომელშიც მარიკა ცხოვრობს, თავდაპირველად, ოროთახიანი იყო. მერე ორი საძინებელი მიაშენეს. მოგვიანებით კი როგორც უკვე აღნიშნა, სარდაფიც საცხოვრებელ ფართად აქცია და ქუჩის მხრიდან ცალკე შემოსასვლელიც გაჭრა. ბინაში შესვლისთანავე, არცთუ ისე დიდ მისაღებში აღმოჩნდებით. ხელმარცხნივ მყუდრო სასადილო ოთახი და სააბაზანოა, ხელმარჯვნივ — მისაღები, რომლის ერთ კუთხეში ბარია გაკეთებული. იქ ყველა სტუმარს — მარიკას მეგობრებს — თავ-თავისი სასმელი აქვს. ოთახს ამშვენებს და სიმყუდროვეს სძენს ძველი აგურით ნაშენები ბუხარი. იქვე ტყავის სამეული დგას — შეგიძლიათ, ბუხრის წინ კომფორტულად მოკალათდეთ და მოგიზგიზე ცეცხლის ყურებით დატკბეთ.

მეორე სართულზე კი, სამი საძინებელი და ერთი მისაღები ოთახია განთავსებული. მარიკას საძინებელში დგას ტელევიზორი, რომელიც გვიანობამდე ჩართულია — ღამის საინფორმაციო გამოშვებას ყოველთვის უყურებს. პოლიტიკოს ქალბატონს ტრილიაჟის წინ ჯდომა და თავის მოწესრიგებაც ძალიან ჰყვარებია. საძინებელში რამდენიმე ფუმფულა სათა-

მაშოსაც „დაუდვია ბინა“...

— ეს სათამაშოები ძალიან მიყვარს და ამიტომ ჩემს შვილს ვთხოვე, ამ ოთახში იყოს-მეთქი. განსაკუთრებით მიყვარს პატარა ძაღლი — გიორგი არველაძის ნაჩუქარია. შარშან ძალიან ცუდად ვიყავი, საავადმყოფოში ვიწექი და მაშინ მომიტანა. ექიმებთან ლაპარაკი რომ აღარ მინდოდა, სახეზე ავიფარებდი ხოლმე, პროტესტის ნიშნად... სხვათა შორის, ეს სათამაშო ძაღლი ავსტრალიაშიც კი მყავდა „წაყვანილი“ სამოგზაუროდ“...

— როგორც ჩანს, ცხოველები, განსაკუთრებით ძაღლები, ძალიან გიყვართ: თქვენს სახლს უშველებელი გერმანული ბოქსიორი დარაჯობს...

— 2 წლის წინ, ჩემმა მეგობარმა სალომეს საშობაო საჩუქარი მიართვა — გერმანული ბოქსიორი. მაილო ჰქვია. ძალიან მგრძნობიარეა: ამას წინათ, სალომე ავად გახდა, სიცხე ჰქონდა და ჩაეძინა. მაილო რამდენჯერმე ავიდა მის საძინებელში, მაგრამ ვერაფრით გააღვიძა. მთელი დღე საჭმელს არ გაჰკარებია, ვიდრე სალომემ არ გაიღვიძა და არ მიეფერა.

— თქვენს მისაღებში ბევრი ძველებური ნივთია. თვითონ შეიძინეთ?

— ბევრი ნივთი ბებიაჩემის — დედაჩემის დედის დანატოვარია. ძალიან მიყვარს ძველებური ნივთები. თუნგები ბებიას მზითევში მოჰყვა, თიხის უძველეს ქოთანში კი, მეორე ბებია პომიდვრის მწნილს დებდა. დღემდე ვუფრთხილდები მათ.

— სახლში თუ გაქვთ ისეთი ადგილი, სადაც გამორჩეულად კომფორტულად გრძნობთ თავს?

— ძალიან მიყვარს ბუხართან ჯდომა, როდესაც გარეთ თოვს ან წვიმს და ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს. რაც არ უნდა დაღლილი მოვიდე სამსახურიდან, შემიძლია, საათობით ვიჯდე და ვუყურო. ბავშვობაში მეგონა, ნაცარქექია ზარმაცი ადამიანი იყო. ახლა მივხვდი — ზარმაცი არ ყოფილა, თურმე, რამდენს ფიქრობდა ნაცრის ქექვისას...

— მწვადს თუ წვავთ ხოლმე ბუხარში?

— ერთხელ მოვინდომეთ, მაგრამ ბუხარი ახალი აშენებული იყო და აქ ისეთი კვამლი დადგა, ერთმანეთს ვეღარ ვხედავდით. აღმოჩნდა, რომ მილი კარგად არ იყო გაყვანილი და ამან გამოიწვია ოთახში კვამლის დაგროვება.

— ვინ ზრუნავდა თქვენი გემოვნების დახვეწაზე?

— რადგან დედა მუშაობდა, ეს საქმე უფროს ძმას ჰქონდა დაკისრებული. მაშინ ბევრი საბავშვო ჟურნალი გამოდიოდა და ძმას ხშირად მოჰქონდა ჩემთვის. დღესაც ახსოვს, როგორ დავდევდი უკან და ვაწუხებდი — წამიკითხე-მეთქი... მაინტერესებდა კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურა. ერთადერთი რამ, რის გამოც შეიძლებოდა, მეგობრებს ერთმანეთისთვის თვალები დაგვეთხარა, წიგნი იყო. რატომ დამიკარგე ჩემი წიგნი-თქო? — ამ მიზეზით ხშირად ვჩხუბობდით... ძალიან მიყვარს რუსული ლიტერატურა და ვთვლი, რომ ყველამ დედანში უნდა წაიკითხოს გენიოსი რუსი მწერლების ნაწარმოებები. დრო იცვლება. ალბათ ამის გამოა, რომ ჩემი შვილი ჯერ ვერ დავაინტერესე რუსული ლიტერატურით. ბავშვობაში იმდენად ხშირად ვკითხულობდი ნოდარ დუმბაძის ყველა ნაწარმოებს, რომ თითქმის ზეპირად ვიცოდი. სკოლის პერიოდში, ხშირად ვაწყობდით ლიტერატურულ საღამოებს და ერთმანეთს ლექსების თქმაში ვეჯიბრებოდით. — აბა, ვის არ ამოეწურებოდა მარაგი?.. სხვათა შორის, სალომესაც უყვარს პოეზია. გული მწყდება, რომ დღეს, კანონპროექტების გარდა, არაფრის წაკითხვის დრო აღარ მრჩება.

მაილო ჰქვია. ძალიან მგრძნობიარეა...

— საინტერესოა, როგორ ჩამოგიყალიბდათ პოლიტიკური გემოვნება და ვინ არის თქვენთვის მისაბაძი პოლიტიკოსი?

— არასდროს მიოცნებია, პოლიტიკოსი გავმხდარიყავი. ჩემი მიზანი არც პარლამენტარობა ყოფილა. ისე ჩავები ამ საქმიანობაში, რომ ვეღარც მივხვდი როდის გავხდი პოლიტიკოსი. ამას წინათ, სალომე ისტორიაში გაკვეთილს მაბარებდა. სწორედ მაშინ გავიაზრე, რომ წლების შემდეგ, შვილიშვილებს უნდა მოვუყვე საქართველოს უახლესი ისტორია: ამ ისტორიის რაღაც ნაწილი ვარ — მე ხომ თითოეული გადაწყვეტილების მიღების მომენტი და ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა მახსოვს... რაც შეეხება იმას, თუ ვინ არის ჩემთვის მისაბაძი — ალბათ, მიშა სააკაშვილი. თუმცა, მიბაძვით, არავის ვბაძავ. საერთოდ არ მიყვარს ხმამაღალი განცხადებების კეთება, მით უმეტეს ახლა, რადგან ყველა ფიქრობს, რომ პრეზიდენტის აზრის გამხმოვანებელი ვარ. ამის გამო, ხშირად, ვერიდები მიკროფონთან მისვლას და აზრის დაფიქსირებას. თანაც, არ შემიძლია ვიღაცების ლანძღვა. შეიძლება, ეს პოლიტიკოსისთვის დიდი მინუსია, მაგრამ რა ვქნა? სხვანაირად არ შემიძლია... მიშა არის მაგალითი ერთგულების, მხარში დგომის. ბევრისგან განსხვავებით, მან იცის საკუთარი სიტყვის ფასი. ექსპრომტად, ნაჩქარევად არ იღებს გადაწყვეტილებებს და რაც ყველაზე მთავარია, შეუძლია მადლობის გადახდა. მეშვიდე წელია, მასთან ვმუშაობ და არაერთი ღამე გაგვითენებია საქმეში გართულებს. კაბინეტში ძლივს რომ შელასლასდები და მაინც რომ არ დაავიწყდება თქმა — დიდი მადლობა, მარიკუნაო, — ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს.

ეს სათამაშოები ძალიან მიყვარს...

— როგორ ფიქრობთ — გულისხმიერება აუცილებელია პოლიტიკოსისთვის? შეგახსენებთ კახეთში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევას: გასულ ზაფხულს, 17 წლის ბიჭი დაიხრჩო; 5 დღის მანძილზე, მაშველებთან ერთად, თანასოფლელებიც ამაოდ ეძებდნენ მიცვალებულს, ბოლოს, გზა გადაკეტეს და მოითხოვეს — მკვდარი მაინც ვიპოვოთ, ვინმემ ყურადღება მოგვაქციოსო! ამ ამბავს თქვენც შეესწარით...

— დიახ, მეც შევესწარი ამ ამბავს. მაშინ, დედათა მონასტერში მივდიოდი. ჩემთვის სულერთი არ იყო, რაც იქ მო-

ტესტი

ერთგული მკითხველი

1. რომელია „წიწვის“ სინონიმი?

ა) პოპროჭინა;
ბ) კაპარჩხინა;
გ) კოკოჩინა.

2. გერმანიის გაერთიანების შემდეგ, დაახლოებით რამდენი საზღვრის დამცველი გერმანული ნაგაზი დარჩა „სამსახურის“ გარეშე?

ა) 6500;
ბ) 650;
გ) 65.

3. ძველი რომაელებისა და ძველი გერძნეებისთვის უცხო იყო:

ა) შარვალი;
ბ) ქამარი;
გ) ქუდი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ვისმინე: მეც ხომ დედა ვარ, მეც ერთადერთი შვილი მყავს... დედამისი მთხოვდა — იქნებ, დაგვეხმაროთ, ჩემი შვილი დამატირებინეთო. მეორე დღესვე გავგზავნე პროფესიონალი მყვინთავები და ნახევარ საათში იპოვეს ის საწყალი ბავშვი. იცით, რამდენჯერ გადამიხადეს მადლობა იქაურებმა?!. გამაოცა ამ ხალხის მადლიერების გამოხატვამ. არადა, განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია... ისე მალე გადის დრო, სხვა არაფერი შეგრჩება ამ ქვეყანაზე — ღმერთი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სიკეთე ვაკეთოთ და ამაზე უარი როგორ უნდა ვთქვათ?!.

— ახლა საუბრის თემას დავუბრუნდეთ და თქვენს მუსიკალურ გემოვნებაზეც ვისაუბროთ.

— მიყვარს კლასიკა. რომელიმე მომღერლის ან სიმღერის ამოჩემება მჩვევია და მთელი დღე ვუსმენ ხოლმე. ბოლო ხანს, გიო ხუციშვილის სიმღერებს ვუსმენ, მანამდე, ნატო გელაშვილის სიმღერები მქონდა აკვიატებული. მუსიკის მოსმენას განწყობა სჭირდება, ჯაზს და როკს 15 წუთზე მეტხანს ვერ ვიტან — ძალიან „ვიგრუზები“... მიყვარს რუსული ესტრადაც.

— თუ არსებობს ადამიანი, ვის გემოვნებასაც თვალდახუჭული ენდობით და რჩევას ეკითხებით?

— ყოველ დილით ვცდილობ, სამსახურში გავიპარო, რადგან დედაჩემი თავიდან ფეხებამდე მათვალიერებს ხოლმე. დედა კარგად კერავდა და ბავშვობაში მისი შეკერილი კაბები მეცვა. ახლაც ვთხოვ ხოლმე, სტილის შერჩევაში დამეხმაროს, თუმცა ხშირად, არ ვითვალისწინებ მის რჩევებს... ორი ძმა მყავდა, მაგრამ ჩაცმაში არასდროს მზღუდავდნენ. მახსოვს, ჩემმა დეიდაშვილმა ლამაზი სარაფანი მაჩუქა, ცოტა არ იყოს, ზედმეტად დეკოლტირებული იყო. ჩემი ძმა მეტყოდა ხოლმე — იცოდე, სახლში რომ მოხვალ, ერთხელაც, ეგ სარაფანი დაჭრილი დაგხვდებაო, — რის გამოც ძალიან ვბრაზობდი... სალომეს აზრი მნიშვნელოვანია ჩემთვის. მას უკვე სხვა ხედვა აქვს. თუ მითხრა — კარგად გამოიყურებიო, ე.ი. მართლაც ასეა: ძალიან კრიტიკულია.

— თუ ჩაერევით სალომეს ცხოვრებაში, თუკი მისი რჩეული თქვენს გემოვნებას არ დააკმაყოფილებს?

— ვაიმე, ვაიმე, ყველაზე მტკივნეულ თემას შეეხე!.. ერთადერთი, რასაც მოვითხოვ იმ ადამიანისგან, ვინც შემდგომში სალომეს გვერდით იქნება, ის არის, რომ ძალიან, ძალიან უყვარდეს. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. სიყვარული ისეთი რამაა, ყველაფერს შეგაძლებინებს და გაგაკეთებინებს. თუ ერთმანეთი ეყვარებათ, ყველა დაბრკოლებას გადალახავენ.

— ბოლოს ისიც მითხარით, თქვენს გემოვნებაში როგორი მამაკაცი ჯდება?

— *(იცინის)* აუცილებლად მაღალი უნდა იყოს — დაბალი მამაკაცები მაკომპლექსებენ. ამას წინათ, ბესო ბერულაშვილი შაყირობდა — უნდა გაგათხოვო, თავდაპირველად კი „სატენდერო კომისია“ შევქმნათ, შენი „სატენდერო“ პირობები მითხარიო; თანაც, გამაფრთხილა — იცოდე, შემოსატანს თვითონ ვიღებო... ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი — ვოცნებობ, მქონდეს სახლი ნაძვნარში, იყოს დიდი თოვლი, სახლში კი იმსიგრძე ნაძვის ხე იდგეს, რომ მისი წვერი ჭერს სწვდებოდეს-მეთქი. ამის გამო ბესო მაშაყირებდა — „სატენდერო“ პირობა ალბათ, ის იქნება, რომ შენი რჩეული „ვერხუშკას“ უნდა სწვდებოდეს, რა შეგვჭამე ამ ტყითა და ნაძვის ხითო?!. საერთოდ, პრეტენზიული არ ვარ და არასდროს ვამბობ რამეზე — მინდამეთქი! არ ვითხოვ მამაკაცისგან, მთვარეზე მაცხოვროს და იქ რომანტიკული საღამოები მომიწყოს. მთავარია, არ მომატყუოს და გული არ მატკინოს... ■

ვნანობ, ასე რომ მოვიქეცი

უარი ჯენიფერ ლოპესს, „გზავნილომანია“ და ახლა კი – ფაფუ!

„მარი, ძნელად დასაჯერებელია, რომ ეს „გზავნილები“ რეალურია და შენი შეთხზული არ არის. მიკვირს, სად არის ამდენი სულელი ადამიანი, ასეთ სისულელეებს რომ გწერს. თუმცა, საღოლ! მეც ხომ წამოვეგე ანკესს. ჰოდა, ვნანობ, ამ მესიჯს რომ გწერ. კიდევ იმას ვნანობ, რომ არ გიცნობ, რათა შენთან ერთად განმეხილა ყვითელი პრესის საფუძვლები. პატივისცემით, ნუკრი“.

არ დაგიმალავთ — ამ მესიჯმა აღმაშფოთა. ნუკრი ნანობს, რომ მე არ მიცნობს, მაგრამ გარწმუნებთ — რომ მიცნობდეს, უფრო ინანებდა, რადგან არ ვაპატიებდი, ჩემს მკითხველებს სულელებს რომ ეძახის. დარწმუნებული ვარ, მერე მართლაც, გულით ინანა, ეს რომ მომწერა. მაგრამ მესიჯს, ისევე, როგორც გაფრენილ სიტყვას, უკან ვეღარ დააბრუნებ. ამიტომ თავიდანვე ასჯერ უნდა გაზომოთ და ერთხელ გამოგზავნოთ...

„რამდენიმე წერილი წავიკითხე, რომელსაც ათენიდან გწერდნენ. ძალიან მაინტერესებს, „გზა“ ათენშიც იყიდება?“ — გვეკითხება მეორე მკითხველი. რა თქმა უნდა, იყიდება. ოღონდ, იქ ჟურნალი 3 დღის დაგვიანებით, კვირას ჩადის. ამიტომ ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს მესიჯებს აქაური მკითხველებისგან ვიღებ, კვირასა და ორშაბათს — საბერძნეთიდან. აქვე გაცნობებთ: „გზა“ მარტო ათენში როდი იყიდება — ჩემს მობილურზე ხშირად შემოდის მესიჯი რუსეთიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, ამერიკიდან და თურქეთიდან. ახლა სწორედ საზღვარგარეთიდან — კერძოდ, გერმანიიდან გამოგზავნილ მესიჯს გაგაცნობთ.

მარი ჯაფარიძე

ქართველი მაინც ქართველია

„სულ 2 თვეა, რაც გერმანიაში ვიმყოფები. აქ სამუშაოდ არ ჩამოვსულვარ, გულახდილად გეტყვით, რომ გასათხოვრად ჩამოვედი. რამდენიმე თვით ადრე, საქართველოში ყოფნისას, დავრეგისტრირდი ერთ-ერთ გერმანულ გაცნობის საიტზე (გერმანული ენა კარგად ვიცი). რამდენიმე მამაკაცი გავიცანი და ერთ-ერთი მათგანი ძალიან მომეწონა. რამდენიმეთვიანი ურთიერთობის შემდეგ, ოჯახის შექმნა შემომთავაზა. მეც, ბევრი ფიქრის შემდეგ, დავთანხმდი. შევაგროვე ყველა საჭირო საბუთი და დეკემბრის დასაწყისში, გავფრინდი კიდეც. გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში ჩემი ახლო ნათესავი ცხოვრობს და თავდაპირველად, მასთან მივედი. რამდენიმე დღის შემდეგ, ავა (ასე ერქვა ჩემს საქმროს) დამიკავშირდა და შევთანხმდით, რომ ჩემს ქალაქში ჩამოვიდოდა და შინ წამიყვანდა. ჩვენ შორის დიდი მანძილი იყო, სამგზავროდ 10-12 საათი მაინც სჭირდებოდა. შუაღამისას ჩამოაღწია და ღამის 2 საათზე, ჩემი ჩემოდნებიანად ჩავბარგდი მის მანქანაში. მთელი ღამე ვიარეთ. თავდაპირველად ვცადე, საუბარი გამება, მაგრამ ჯიუტად დუმდა. მერე, გზა აერია და მითხრა: შენ რომ გისმენდი, გზა ამებნა და ხმა აღარ გამცეო. მეც ვიჯექი გაჩუმებული და გზას გავყურებდი. გამთენიისას ძილი მოერია, მანქანა გააჩერა და შემომთავაზა, დავიძინოთო. რაღას ვიზამდი? სავარძლის საზურგეს მივეყრდენი და მთელი 3-4 საათი მის ხვრინვას ვუსმენდი... დილით გზა განვაგრძეთ. შუადღისას, როგორც იქნა, მის სახლამდე მივაღწიეთ. დაღლილობისა და შიმშილისგან სული მძვრებოდა. ჯერ მშობლების სახლში მიმიყვანა. ეზოში მამამისი გამოგვეგება, მომიკითხა და შვილს მოახსენა, რომ თურმე, დედამისს სახლი დაულაგებია, ახლა, საღამოსთვის ვახშმის სამზადისში იყო და ჩვენთვის არ ეცალა... საღამოს ვახშმად დაგვპატიჟა და იქიდან ისე წამოვედით, რომ სახლში არ შევსულვართ. ავას მშვენიერი, კერძო სახლი ჰქონდა პატარა სოფელში. საუკეთესო პეიზაჟი იშლებოდა მისი ფანჯრებიდან. ბინა ყველანაირად კეთილმოწყობილი გახლდათ. ვისადილოთო, — შემომთავაზა და ძალიან გამიხარდა, რადგან უზომოდ მშიოდა. მაგრამ ჩემი სიხარული ნაადრევი ყოფილა, რადგან შინ საჭმელი არ აღმოაჩნდა, მხოლოდ გამხმარი ყველი და პურის რამდენიმე ნაჭერი იყო. ცოტა მოვციცქნე და ტელევიზორს მივაჩერდი, გულგასივებული. ასეთ რამეს ნამდვილად არ ველოდი. ავამ ერთ ოთახში შემიყვანა, კარადაზე მიმითითა და მითხრა — შეგიძლია, შენი ტანისამოსი აქ შეინახოო. ვალაგებდი ტანისამოსს და თან ვფიქრობდი, რომ ძალიან უცნაურ ადამიანთან მოვხვდი. ის კი ისევ ჩემს ოთახში შემოვიდა და — დავიძინოთო, მითხრა. მე მხრები ავიჩეჩე — როგორც გინდა-მეთქი. ჩემს ოთახში საწოლზე საბანი ასწია და ლოგინში უცებ შეხტა. თან თავის გვერდით, ლეიბზე ხელი დაატყაპუნა იმის ნიშნად, რომ მეც იქ უნდა დავწოლილიყავი. გაოგნებული გავედი მეორე ოთახში. ერთხელ გამომძახა — რას შვრები, არ მოდიხარო? — არა, აქ, დივანზე დავიძინებ-მეთქი, — ვუპასუხე. — ქაინ პრობლემ! — მიპასუხა და 2 წუთში, ხვრინვა ამოუშვა. მე თვალიც არ მომიხუჭავს. მას კი, რამდენიმე საათის განმავლობაში გადაბმულად ეძინა... თავიდან ბოლომდე გავაანალიზე, იქ რომ დავრჩენილიყავი, რა მელოდა და შოკში ჩავვარდი. ჩემი ტანისამოსი ისევ ჩანთებში ჩავყარე, ავა გავაღვიძე და ვუთხარი, რომ ისევ იქ წავეყვანე, საიდანაც მომიყვანა. ადგა, უხმოდ ჩაიცვა, მანქანაში ჩამსვა და პირველსავე სადგურში ჩამომსვა: — აქედან შენით გააგრძელე გზაო, — მითხრა და გაოგნებული დამტოვა. ძალიან ვნანობ, ასე სულელურად რომ მოვიქეცი. ნუთუ ამხელა გზა მხოლოდ იმიტომ გავიარე, რომ ასეთი იმედგაცრუება მენახა?! ახლა,

მალე დავბრუნდები საქართველოში. აბა, აქ რაღა მესაქმება?! უცხოელი კაცების დედაც ვატირე! ქართველი მაინც ქართველია. ნინო“.

ნინოს, მწარე გამოცდილება, მაგრამ სწორი გადაწყვეტილება მიუღია. მომდევნო რესპონდენტი კი, სრულიად განსხვავებული აზრის გახლავთ...

დაქალის დედა თუ მეტოქე?

„გამარჯობა. მე 25 წლის გოგო ვარ. ცხოვრებაში რამდენჯერმე ვიყავი შეყვარებული, რამდენჯერმე ვინანე, რომ შემიყვარდა და იმდენჯერვე გადავწყვიტე, რომ ეს იქნებოდა ბოლო და არასოდეს არავის შევიყვარებდი. მაგრამ ხომ იცით, სიყვარული არ გეკითხება — გინდა თუ არა და მაინც შემიყვარდა ერთი არაჩვეულებრივი ბიჭი. ინიციატივა მისგან წამოვიდა. მეც ისე შემიყვარდა, რომ ასეთი გრძნობა მანამდე, არავის მიმართ არ მქონია. ერთი ბავშვობის მეგობარი მყავს, სალომე. მან, რა თქმა უნდა, პირველსავე წუთებიდან ყველაფერი იცოდა ჩემი და პაპუნას ურთიერთობის შესახებ. სალომეს დედასთან, ნატოსთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა. ახალგაზრდა ქალი იყო და არ უჭირდა შვილის მეგობრებთან ურთიერთობა. ჩვენთან ერთად მოილხენდა ხოლმე და მასაც მეგობრად ვთვლიდით. არც მისი შვილი და არც მე არაფერს ვუმალავდით და თანატოლივით ვეჭორავებოდით ხოლმე. რა თქმა უნდა, არც პაპუნას გამოჩენა დამიმალავს. სალომე დანახვისთანავე მოიხიბლა მისით და დედამისთან იმდენი აქო ჩემი შეყვარებული, რომ ნატო ძალიან დაინტერესდა და მთხოვა, მათთან სტუმრად მიმეყვანა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და პაპუნაც დავითანხმე. სწორედ იმ დღეს დაუდგამს თვალი ნატოს ჩემი შეყვარებულისთვის და მალე ლოგინშიც ჩასწოლია. ამის შესახებ თურმე, ჯერ სალომემ გაიგო და დედასთან უკმაყოფილებაც მოუვიდა. იმას რომ ვერაფერი შეასმინა, მერე მეც გამიმხილა ეს საშინელი ამბავი. ლამის გავგიჟდი. მაშინვე პაპუნას დავურეკე და პასუხი მოვთხოვე. არ უარყო. მაშინვე აღიარა, რომ ნატოზე იყო შეყვარებული და ისიც გამიმხილა, რომ მასზე დაქორწინებას აპირებდა... კარგა ხანს შოკიდან ვერ გამოვდიოდი. მაინც ვერ მივხვდი, რაში სჭირდებოდა 14 წლით უფროსი ქალი... მათი დაოჯახების შემდეგ, სალომე საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიდა და უკვე 2 წელია, დებივით ვცხოვრობთ. ახლა ისე ვარ გულნატკენი, რომ მართლა აღარავის შევიყვარებ. ქართველი კაცები ერთნაირები არიან. ერთ უცხოელს მოვძებნი და იმედია, იმას მაინც არავინ წამართმევს. თიკა შ-ძე“.

ამ ქალებს ხომ ვერაფერს გაუგებ. ერთი ამბობს — ქართველი კაცი ჯობიაო, მეორეს — უცხოელები უფრო მოსწონს... მესამე — ერთსაც იწუნებს, მეორესაც და — სუყველა წყალსა და მეწყერს წაუღიაო, გაიძახის...

არამკითხე მოამბე

„28 წლის, გასათხოვარი გოგო ვარ. 23 წლის ისე შევსრულდი, რომ ბიჭისთვის არც კი მეკოცნა. მერე, ერთმა ოხერმა და „თავგასიებულმა“ ისე შემაყვარა თავი, რომ ბევრი ხვეწნაც არ დასჭირვებია, ლოგინში ისე ჩამიწვინა... სულ მალე შევიზიზღე ეს კაცი, რადგან საშინელი ჩვევები გამოავლინა. ხელი ჩავიქნიე, მის გარეშე არ დავიკარგები-მეთქი, ვთქვი და სამუდამოდ გამოვემშვიდობე. ამ ადამიანის არსებობისა და ჩვენი ურთიერთობის შესახებ დაწვრილებით მხოლოდ ერთმა ადამიანმა, ჩემმა მეგობარმა გოგომ იცოდა. მაია თავდაპირველად, არ მიჯერებდა, მაგრამ მერე, ფაქტის წინაშე დადგა და სხვა რა გზა ჰქონდა?! ერთი სიტყვით, საიდუმლო გავამჟღავნე და მერე, ეს სანანებლად გამიხდა... ამის შემდეგ, გავიდა 3 წელი. კაცებს სათოფეზე აღარ ვეკარებოდი, ახლოს არავის ვუშვებდი და არც ვფიქრობდი, რომ დრო იყო, გავთხოვილიყავი... მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, რომ ჩემს გულში სიყვარული ჩუმად შემოპარულიყო. გიორგის ვხვდებოდი, ოჯახის შექმნასა და მომავალზე ვლაპარაკობდით, მაგრამ გულზე ლოდად მქონდა ჩემი რამდენიმეთვიანი რომანი, რომელიც ახლა, ნამდვილ სიყვარულს საფრთხეს უქმნიდა. ვერა და ვერ ვბედავდი, რომ გიოსთვის მეთქვა ჩემი გასაჭირის შესახებ. დარდი ისევ მაიას გავუზიარე. თუ გინდა, მე ვეტყვიო, — შემომთავაზა, მაგრამ მე შორს დავიჭირე. რატომ უნდა ეთქვა მას?! ხომ ჯობდა, მე თვითონ ამეხსნა ყველაფერი?! ერთ მშვენიერ დღეს, გიომ ისე მოაწყო ყველაფერი, რომ მისი მეგობრის სახლში მარტონი აღმოვჩნდით. მე წინააღმდეგობას ვუწევდი, არ ვნებდებოდი, მაგრამ მან უეცრად, სახეში სილა გამაწნა და მითხრა: იმ ნაბიჭვარს ხომ დაუწექი, მე უარს რატომ მეუბნები? არ მოგწონვარო?.. თვალთ დამიბნელდა. ამის შემდეგ, უკვე ყველაფერი სულერთი იყო... ერთადერთი, რაც ვკითხე, ის იყო — ვისგან გაიგე ეგ ამბავი-მეთქი? აღმოჩნდა, რომ ჩემს დაქალს ჩაუკაკლავს მისთვის სიმართლე. იმ დღის შემდეგ, გიო აღარ მინახავს. მაიასაც დავშორდი. ვნანობ, რომ მას ეს საიდუმლო გავანდე. ახლა ყველა კაცი ჭირსაც წაუღია!.. გავიგე, თურმე, ბავშვის შვილად აყვანის პროცედურა მარტივდება. ერთ პაწიას ვიშვილებ და გავზრდი. პატივისცემით, ნუნუ“.

წითური ეშმაკი

„გამარჯობა, მარი, „გზავნილების“ კითხვა ახლა დავამთავრე. სიმართლე რომ გითხრა, ძალიან მომწონს ეს რუბრიკა და კარგად ვერთობი ხოლმე ამბების კითხვისას. რაც შეეხება დღევანდელ თემას, რამდენჯერმე მქონია შემთხვევა, როცა ჩემი საქციელი ძალიან ვინანე. მაგალითად, დღემდე ვერ მომინელებია ჩემი ცხენის გაყიდვა. შეიძლება, თქვა — აბა, შენა ყოფილხარო!.. — მაგრამ რომ იცოდე, როგორ მყავდა მიჩვეული, ამას აღარ იტყოდი. შეიძლება, არ დაიჯერო, მაგრამ როცა დავუძახებდი, ჩემკენ მორბოდა, ჩემ გარდა, არავის იკარებდა. მე კი, სულელმა, გავყიდე. „წითური ეშმაკი“, ხასიათის გამო დავარქვი. კვირას დილით, „კამაზის“ ძარაზე რომ ავიყვანე, თითქოს მიხვდა, რასაც ვუპირებდი და დაიხვიხვინა. როდესაც მყიდველს ავშარის თოკი გადავეცი, ხმამაღლა დაიჭიხვინა და ყალყზე დადგა, ახალ პატრონზე საკბენად გაიწია. იძულებული გავხდი, ჩემი ხელით ამეყვანა მანქანის ძარაზე. ისეთი თვალებით შემომხედა, რომ ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. თვალებიდან ცრემლი სდიოდა... მერე გავიგე, რომ იმ ნაბიჭვარს დაუკლავს და „საკალბასეში“ ჩაუბარებია. აი, ჩემი ერთ-ერთი სინანულიც ეს არის“.

საჩუქარი საყვარლის ცოლს

„ვერასოდეს ვაპატიებ თავს, რომ საყვარელი ისე შემიყვარდა, თავს მერჩივნა. ნაირნაირი საჩუქრით ვანებივრებდი, სითბოსა და სიყვარულს არ ვაკლებდი, კაფე-ბარებსა და სხვადასხვა ქალაქში დამყავდა... თვითონ კი, ერთხელაც არ დავუპატიჟებივარ ყავაზე. სარვამარტოდ, ჩემი ნაჩუქარი ფულით ცოლს საჩუქარი უყიდა, მე კი ტელეფონითაც არ მომილოცა... მაშინ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, რადგან უზომოდ მიყვარდა. მაგრამ ერთმანეთს დავშორდით და ახლა გულზე ვსკდები. რა სულელი ვიყავი, როგორ მიყენებდა! ღმერთი გადაუხდის სამაგიეროს, რადგან ჩემი სიყვარული ვერ დაინახა. მე ხომ მისგან არაფერს ვითხოვდი! ძალიან ვნანობ და თავს ვერასოდეს ვაპატიებ ამ გამოშტერებას. რამ გადამრია ასე?!.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გადავხედოთ

„დალშე“ ზონიდან მოგიყვებით...“

„გუშინ ჩემი ერთ-ერთი თაყვანისმცემლის დაბადების დღეზე ვიყავი, რომელიც ამავდროულად, ჩემი შეყვარებულის ძმაკაცია. ამ ბიჭთან ვალსი ვიცეკვე, თან — ძალიან ჩახუტებულმა. თითქოს ამით იმედი მივეცი... ამ ამბავს საშინლად ვნანობ, რადგან მასთან მხოლოდ მეგობრობა შემიძლია“.

„ძალიან მიყვარს „გზავნილები“. ყველა მკითხველს ვგულშემატკივრობ. მინდა ვთხოვო იმ ადამიანებს, ვინც ამბავს გვიყვება ხოლმე და გვპირდება, რომ შეგვატყობინებს, რა მოხდება მომავალ-

ში. დროზე, რა! მაინტერესებს ამბის გაგრძელება... კიდევ, საბას „ვბალელშჩიკობ“, რომელიც თეთრფაფახიან გოგოს ეძებს. მიდი, რა, თეთრფაფახიანო, გამოეხმაურე ამ დატანჯულ ბიჭს!.. ამას იმიტომ ვწერ, რომ მეც თეთრფაფახიანი ვარ, მაგრამ ის გოგო არა ვარ, ვისაც საბა ეძებს, რადგან თბილისელი არა ვარ. აბა, ჰე, გკოცნით. ნია“.

„მარი, ძალიან გთხოვ, დამეხმარე... „გზის“ №52-ში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ მესიჯში გოგონა წერდა, რომ პატიმარი დათო შეუყვარდა. ამ გოგონას გაცნობა მინდა, რადგან მეც ანალოგიურ სიტუაციაში ვარ. მეც პატიმარი შემიყვარდა. იქნებ, იმ გოგომ წაიკითხოს და გამომეხმაუროს“.

„ახლა დავამთავრე „გზავნილების“ კითხვა და გადავწყვიტე, ერთხელ მეც მოგწერო. შარშან, ჩემზე 10 წლით უფროს ბიჭს ვაშაყირებდი. მას კი ისე შევუყვარდი, რომ დღემდე ვერ მომიშორებია. ჩემს საქციელს ძალიან ვნანობ, მაგრამ აბა, რაღა დროს?! კიდევ, მინდა გამოვეხმაურო იმ ქალს, რომელმაც ქმარს თავი გადაპარსა. ჯიგარია! მე, მის ადგილზე, კი არ გადავპარსავდი, სულ წავაცლიდი. რაც ეგ მესიჯი წავიკითხე, იმის შემდეგ, ქუჩაში თავგადაპარსულ კაცს რომ დავინახავ, ყველა, იმ ქალის ქმარი ან მისი ძმაკაცი მგონია. მოღალატე კაცები ერთ ქვაბში უნდა მოვხარშოთ. ეს ბებრები მაინც რამ გადარია, ჰაა? ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩემმა მომავალმა მეუღლემ ღალატი გაბედოს, თორემ მერე, მე მოგწერთ, რასაც ვუზამ“.

„ძალიან ბევრ ჩემს საქციელს ვნანობ. ამწუთას კი, იმას, რომ თიანეთელ დათოსთან არ დავწექი და ჩემს ქმარს არ ვუღალატე. იცით, ჩემი ქმარი რას აკეთებს?.. სხვა ქალთან დადის, ფულსა და გულს სხვასთან ხარჯავს. მე კი, მამაკაცის ალერსიც მენატრება და „პრიჩუდის“ ყიდვაც. დათო კი ისე მეფერებოდა, რომ ახლაც მბურძგლავს. დათო, შენთან მინდა! ჩემი ქმარი ღირსია, რომ ვუღალატო და შური ვიძიო, მაგრამ მერე?.. ვიცი, ახლა მაგას ვინანებ და ღირს კი, ასეთი შურისძიება?..“

„ცხოვრებაში ერთადერთ რამეს ვნანობ: ადამიანებს თვალდახუჭული ვენდობი. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე. სოსო, აფერისტი ხარ. მარიკა“.

„ვნანობ, მაგრამ გვიანაა. კახას ჯინაზე, ჯონის თავი შევაყვარე და ახლა ველარ ჩამომიშორებია. მომშორდი, სატანავ! „ხულიგანკა“.

„ვეხმაურები 21 წლის საბას, რომელიც ფაფახიან გოგოს ეძებს. მე ის ფაფახიანი არა ვარ, მაგრამ შენ თუ ვარკეთილელი საბა ხარ, რომელიც მეტროში გავიცანი და ტელეფონის ნომერი არ მივეცი, ახლა მინდა, რომ გამომეხმაურო... ნათია“.

„მესიჯებით გავიცანი ზურა. ურთიერთობა ძალიან კარგად ავაწყვეთ. ის თბილი და ყურადღებიანი ადამიანია. რამდენჯერმე გადავწყვიტეთ შეხვედრა, მაგრამ ვერ ვახერხებდით. ხან მე მქონდა პრობლემა, ხან — ზურას. ამასობაში კი, დრო გადიოდა. ერთმანეთს უფრო შევეჩვიეთ... ერთი დღეც რომ არ დაემესიჯებინა, გიჟს ვგავდი. მისი მესიჯების გარეშე ველარ ვიძინებდი. ბოლოს და ბოლოს, ნათლისღებას მოვახერხეთ შეხვედრა. მთელი ღამე არ მძინებია. ათასჯერ მაინც წარმოვიდგინე ეს შეხვედრა. ის კი ისეთი აღმოჩნდა, როგორი ბიჭებიც მე არ მომწონს. შეხვედრამდე კი ვეუბნებოდი — გარეგნობას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი, — და მჯეროდა, რომ ეს ნამდვილად ასე იყო... მალე, დავემშვიდობეთ ერთმანეთს და დღემდე არ დაუმესიჯებია. მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობდი, იმედგაცრუება არ შემტყობოდა, ალბათ, მაინც შენიშნა რაღაცა და სწორედ ამიტომ აღარ მიმესიჯებს... ვნანობ, რომ ასე გაიწელა ჩვენი შეხვედრა და ასე მივეჩვიე მას. ვნანობ, მაგრამ უკვე გვიანია“.

„მივმართავ „გზის“ წინა ნომრის ერთ-ერთი მესიჯის ავტორს, რომელიც მამათელ თეონა ჩხაიძეს სწერდა. მამათში, ასეთი სახელისა და გვარის ორი გოგონაა. შენ რომელს სწერ? მე თბილისში მცხოვრები თეონა ვარ, მამათიდან“.

„შემთხვევით გავიგე, რომ ვიღაც „ძუკნას“ ჩემი ქმრის დათრევა უნდოდა. ისეთი დღე ვაყარე, რომ მთელი ცხოვრება ემახსოვრება. ქალებო, იცოდეთ, რომ მეც გიერთდებით ასეთი „ძუკნების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ანის კი ვეტყვი: სად გაგიგია საზიარო ქმარი?! თუ ჩემია, ჩემი უნდა იყოს!.. მარი, მაგარი ხარ, მაინც გამაბრიყვე და წერილი მომაწერინე...“

„ერთი ბიჭი შემიყვარდა და ჩემს ვითომ საუკეთესო მეგობარს გავუმხილე საიდუმლო. მერე, ისე მოხდა, რომ ამ გოგოს შეყვარებულს მე შევუყვარდი. ამის გამო, გვანცა გაბრაზდა და ჩემზე შური იძია. მე მისი შეყვარებული არ მიყვარდა. მან კი ჩემი საიდუმლო მთელ სკოლაში „გააბაზრა“. ამ ბიჭმა კაიფი დამიწყო. მისი საქციელი აუტანელი იყო... ამის გამო, მთელი ღამეები არ მეძინა და მასზე ვფიქრობდი. ახლა კი ძალიან ვნანობ, რომ ის ბიჭი შევიყვარე, გვანცას კი საუკეთესო მეგობრად ვთვლიდი. ახლა ორივე მეზიზღება... ერთ დროს მიყვარდი,/ შენ ვერ გამიგე,/ იდიოტივით ტვინი წამიღე,/ მაგრად დამღალე,/ უკვე მკიდიხარ,/ ახლა სხვა მიყვარს,/ აღარ მინდიხარ!, აი, ასე“.

„ვნანობ, რომ ჯენიფერ ლოპესს პაემანზე არ დავთანხმდი. კიდევ იმას ვნანობ, რომ მესიჯს გწერ და 6 თეთრი მეხარჯება. წინა კვირას რომ გამოვგზავნე, იმ მესიჯს არ ვნანობ, რადგან ის დაიბეჭდა, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებ. დათო“.

„ერთ დღეს, რამდენიმე გოგო და ბიჭი დისკოთეკაზე წავედით. კარგად ვიმხიარულეთ და შინ წამოვედით. მათ სულ ცოტათი ჩამოვრჩი და ვიღაც ბიჭი ამეკიდა. ჯერ მითხრა, შენთან საქმე მაქვსო, მერე გაუპატიურება დამიპირა, სახეში გამარტყა... ჯერ წინააღმდეგობას ვუწევდი, მერე, თითქოს დავნებდი და ყურადღება რომ მოადუნა, ამით ვისარგებლე და გამოვიქეცი. გამომეკიდა, მაგრამ ვერ დამიჭირა. ოხ, რა საშინელება იყო!.. ძალიან ვნანობ, რომ იმ დისკოთეკაზე ისეთ გოგოსთან ერთად წავედი, რომელსაც ცუდი სახელი ჰქონდა“.

„სამწუხაროდ, ძალიან ბევრ რამეს ვნანობ. 16 წლის მომიტაცეს. ჩემი ქმარი ძალიან მიყვარს. უკვე 2 წელია, ცოლქმარი ვართ. საქმე კი ისაა, რომ ჩემი მეუღლის მეგობარს ვუყვარვარ. მე სულელიც, ვუჯერებდი, ვმეგობრობდით... ახლა ვხვდები, რომ ამის ღირსი არ ყოფილა და ჩემს საქციელს ძალიან ვნანობ. ყველა ბიჭი ერთნაირი მატყუარაა. მას კი მინდა, ვუთხრა: ვანო, არ გაპატიებ! პატარა“.

„რჩევა მათ, ვისაც შეყვარებულს „აწერავენ“: ჩემი შეყვარებული მოსწონდა ერთ გოგოს. ერთხელ მკითხა: ბიჭს თავი როგორ მოვაწონოო? მეც ავდექი და იმის საპირისპირო ვუთხარი, რაც ჩემს შეყვარებულს მოსწონდა. ასე დავაშორე ერთმანეთს“.

„ეჰ, იმდენი სანანებელი მაქვს, რომ მათ რაოდენობასაც კი სინანულით ვიხსენებ. ვნანობ, რომ საკუთარ თავს არასოდეს ვაფასებდი, რომ უამრავს ვუყვარდი და ერთიც ვერ შევამჩნიე. ვნანობ, რომ დროზე არ ვუთხარი იმას, ვინც მიყვარდა, ვნანობ, რომ ქალებს მხოლოდ სხვებზე შეყვარებულები უყვართ და ხშირად, ამაში ხედავენ რომანტიკას, ვნანობ, რომ ყველას იმედი გავუცრუე, რომ დედამიწაზე ყველაზე ამაყ ქალს შევაყვარე თავი და არათუ ვერ დავინახე, გავაუბედურე კიდეც... ვნანობ, რომ გათხოვილ ქალებში დავძვრებოდი, ვნანობ, რომ არა ვარ თავისუფალი... კიდევ ბევრ რამეს ვნანობ და მგონი, ამ ყველაფრისთვის ჩემი თავი მძულს კიდეც. ყოველივე ამის შემდეგ, ძმაკაცებმა ისეთი „კლიჩკა“ შემარქვეს, რომ საერთოდ ვაფრენ: „ცოდვას“ მეძახიან. ისე კი, ნიკუშა მქვია“.

„ის დღე ყველაზე საშინელი იყო, როცა გავიგე, რომ ჩემს დაქალს ლეიკემია ჰქონდა... სიცოცხლის ხალისი, თაკოსთან ერთად დავკარგე. არ ვიცი, ერთ დღეს რა დამემართა, მაგრამ საავადმყოფოში მის სანახავად არ მივედი. მეორე დღეს, დილაადრიან, ტელეფონმა დარეკა და დედამ უპასუხა. მისი ცრემლიანი თვალების დანახვისთანავე მივხვდი, რომ თაკო... ცხოვრებაში ისე არაფერი მინანია, როგორც ის, რომ იმ დღეს, საავადმყოფოში არ მივედი...

თაკო, ჩემო პატარავ, ძალიან მიყვარხარ და მენატრები! შენი კისკისი მომენატრა, პატარავ! ნია“.

„სიყვარული არის ფაცხა,/ იმ ფაცხაში დამრჩა რაცხა,/ დამეხმარეთ ვინცხამ რაცხა,/ სიყვარულმა დამამარცხა!/ მარი, „გზავნილომანია“ მჭირს, მიშველეთ! რა ვქნა?“

„ვნანობ, რომ ჩემი გასაჭირის შესახებ ერთ ბიჭს მოვუყევი. ამბავი ჩემს ძმას ეხებოდა. ვიცი, ის კარგი ბიჭია და არსად იტყვის, მაგრამ ახლა ძალიან მწყდება გული, რომ ყველაფერი ვუამბე ჩემთვის უცნობ პიროვნებას. თამუნა“.

„მარი, ახლა დავამთავრე „გზავნილების“ კითხვა. ახალ თემაზე კი მოგწერდი, მაგრამ მეშინია, რომ ჩემები ამომიცნობენ. „გზავნილების“ წასაკითხად რიგი დგას ხოლმე. ჩემი ოჯახის ყველა წევრი შენი ფანია. ამიტომ თავს შევიკავებ. შენი მომავალი კოლეგა“.

„20 წლის გოგონა ვარ. შარშან, ჩემმა მეგობარმა გოგომ ერთი ბიჭი გამაცნო. დავმეგობრდით და შეხვედრებიც დავიწყეთ. საკმაოდ კარგი და თბილი ურთიერთობა გვქონდა. ცოტა ხანში მივხვდი, რომ შემიყვარდა და ამის შესახებ ვუთხარი კიდეც. აი, სწორედ აქ დავუშვი შეცდომა. ჩემმა სიტყვებმა ისე შეაშფოთა, რომ... წავიდა და წავიდა... მერე, ალბათ იმის შიშით, არ ამეკიდოსო, ცოლიც მოიყვანა. აი, რას ვნანობ ყველაზე მეტად“.

„ირაკლი 4 წელი მიყვარდა. ახლა კი — ფაფუ!.. და ერთი სულელი ბიჭი მომეწონა“.

„მარი, შენთვის ჩემს პირად ცხოვრებაზე ძალიან ბევრი მაქვს სათქმელი. წყნარი ცხოვრება მქონდა, ერთი გოგო მიყვარდა — ნათია. მისმა მშობლებმა ჩემს სიძეობაზე უარი თქვეს და შვილი სხვაზე გაათხოვეს. მეც სხვაზე დავქორწინდი. ერთმანეთს კი დღესაც ვერ ვივიწყებთ. ვნანობ, რომ მის მშობლებს დავუჯერე... „დალშე“, ჩემს ცხოვრებას მაშინ მოგიყვებით, როცა ზონაზე გადავალ. მგონი, უინტერესო არ იქნება“.

„ეჰ, მთელი ცხოვრება სისულელეებს ჩავდივარ და მერე ვნანობ ხოლმე. ერთხელ, ტელეფონზე მესიჯი მომივიდა. ვიღაც მწერდა, რომ ჩემი გაცნობა უნდოდა. თავიდან, თავი დავიფასე, მაგრამ მერე, გავიცანი. აღმოჩნდა, რომ ჩემი ნომერი საერთო ნაცნობს მიუცია. მე კი მეუბნებოდა, — მაგარი ბიჭია, უამრავი გოგო დასდევს და მისი გულის მონადირებას ცდილობსო... როდესაც ავდექი და სიყვარული ავუხსენი, მითხრა, რომ ცოლიანი იყო და თუ მისი ოჯახის დანგრევას შევეცდებოდი, თავის საქციელზე პასუხს არ აგებდა... იმის მიუხედავად, რომ ცოლი ჰყავს, მე მაინც მიყვარს. დავიფიცე, რომ არასოდეს ვნახავ. ვნანობ, რომ ეს ადამიანი გავიცანი, მაგრამ მაინც სიგიჟემდე მიყვარს“.

„მე ის თეთრფაფახიანი გოგო ვარ, რომელსაც საბა ეძებს. როგორ დავუკავშირდე?“

„ჩემს წარსულს რომ გადავხედე, მართლა ვნანობ, რომ ისეთი კაცი შევიყვარე, რომელსაც ჩემი არ ესმის. დიდი ხანია, ვითმენ, მაგრამ ახლა, უკვე ზღვარს გადააბიჯა. ვიტყვი ხოლმე: ყველაფერი დამთავრდა-მეთქი, მაგრამ ძალა არ მყოფნის მის დასავიწყებლად. ცხოვრება ულმობელია, მაგრამ მერწმუნეთ, მხოლოდ შვილებისთვის ვცხოვრობ, რადგან მათ უჩემოდ ძალიან გაუჭირდებათ... თეა“.

„მოდი, ჩემს ამბავსაც გაგანდობთ. ყველაზე მეტად წინა ახალი წლის დადგომას ვნანობ. მაშინ ვენდე კაცს, რომელმაც დღეს, ცოლი მოიყვანა. ვნანობ, რომ არაკაცებით არის სავსე ქვეყანა“.

„იცით, რა უბედური ვარ?.. 15 წლის ასაკში გავთხოვდი და ძალიან ვნანობ, ასე რომ მოვიქეცი. „გზის“ მუდმივი მკითხველი, ო. შ“.

„ახლახან, ძალიან მაგარი ბიჭი გავიცანი. შავი, ოდნავ გრძელი თმა აქვს და ცისფერი თვალები. მე ის მაგრად მიყვარს. გიო, ვიცი, რომ „გზავნილებს“ ყოველთვის კითხულობ. თუ შენს თავს ამოიცნობ, გთხოვ, ისევ „გზავნილებში“ მიპასუხე. ქეთი“.

„ჩემს დაქალს ძალიან მკაცრი დედა ჰყავს. ის ვერც ჩვენ გვიტანდა და ვერც ჩვენი დაქალის, ნინოს შეყვარებულს. ჩვენი ხმის გაგონებაც კი არ უნდოდა და თუ დავრეკავდით, შვილს ტელეფონთანაც კი არ ეძახდა. ერთხელ, დავურეკე ჩემი დაქალის, მაკას დედის სახელით და „ჩვენი შვილების „გარყვნილებაზე“ ველაპარაკე. საუბრის შემდეგ, ნინოს დედამ მაკას დედასთან დარეკა და გაირკვა, რომ არავითარ მშობელს არ დაურეკავს მისთვის და ეს მხოლოდ მისი შვილის უზრდელი დაქალის ოინი იყო. გალანძღვას კი გადავურჩი, მაგრამ მაკა დღემდე არ მელაპარაკება, დედამისის სახელით რომ დავრეკე, იმიტომ. ნეტავ, არ დამერეკა ან მაკას დედის მაგივრად, დედაჩემის სახელით მელაპარაკა. ძალიან ვნანობ...“

„იცით, რას ვნანობ?.. ჩემს შეყვარებულთან გატარებული საღამო კარგად რომ ვერ გამოვიყენე. ახალი წლის ღამე, ჩემი „დებილობის“ გამო, ჩვენთვის უკანასკნელი აღმოჩნდა“.

„მართლა ძალიან ვნანობ, რომ ადამიანი, რომელიც ძალიან მიყვარდა, იმის გამო უარვყავი, რომ ჩემს მშობლებს არ მოსწონდათ. მათ მიაჩნდათ, რომ ლაშა ჩემი შესაფერისი არ იყო. თუმცა, არც ლაშას უაქტიურია. ყოველთვის მე ვაქტიურობდი, ის კი მიმტკიცებდა, მიყვარხარო... ამის შემდეგ, ყველა ბიჭს ეჭვის თვალით ვუყურებ, რადგან ყველა მისნაირი, დედიკოს ბიჭი მგონია“.

„ერთი ბიჭი შემიყვარდა. 16 წლის რომ გავხდი, მომიტაცა და რაჭაში წამიყვანა. იქ იმხელა თოვლი იდო, რომ მთელი კვირა ვიყურყუტეთ. მეტი რა გზა მქონდა — ავდექი და დავრჩი. ჩემები გადაირივნენ, ერთადერთი შვილი ამ ნარკომანის ხელში როგორ დავტოვოთო, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე და დათოსთან დავრჩი... თავიდან, ყველაფერს ვარდისფერი სათვალით ვუყურებდი, მაგრამ მერე, ყველაფერი თავდაყირა დადგა. ხომ იცით, როგორ იციან ფულიანი მამიკოების ბიჭებმა?.. წამალმა სულ გადარია, აღარ ახსოვს, რომ ცოლი ჰყავს... თან მეუბნება, რომ სიგიჟემდე ვუყვარვარ. მე კი თავს უბედურად ვგრძნობ. იქნებ მიხვდეს, რომ მარტო ქუჩა ვერ უშველის. მე კი ძალიან ვნანობ, რომ ნაადრევად გავთხოვდი. ხატია“.

„ერთი ბიჭი მიყვარს, რომლის ხასიათიც არ ვიცი. არც ის ვიცი, მასზე როგორი შთაბეჭდილება მოვახდინო — მხიარული თუ სერიოზული გოგოსი? ბიჭებო, როგორი გოგონები მოგწონთ? გამიმხილეთ, რა! იქნებ, რჩევაც მომცეთ?.. ლიზი“.

„ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე, რომ ჩემი უპასუხო სიყვარულისთვის წერტილი დამესვა... მას შემდეგ, 2 წელი გავიდა. შეყვარებულიც მყავდა, თითქოს ბედნიერიც ვიყავი, მაგრამ თურმე, თავს ვიტყუებდი. ამდენი ხნის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ისევ დიტო მიყვარს. ვნანობ, ასე რომ მოვიქეცი“.

„ძალიან ვნანობ, რომ ჩემს საყვარელ ადამიანს ვაწყენინე, მაგრამ კაცი ვარ და კაცურად უნდა მოვიქცე, სხვანაირად არ გამოვა. თეონა მანჯგალაძე, სიგიჟემდე მიყვარხარ! ლევანი“.

„8 წლის წინ, საქმრო მყავდა. ამ დროს, ერთი თაყვანისმცემელი გამომიჩნდა. ჩემს საქმროს ვეუბნებოდი — გავიპაროთ, თორემ, მოტაცებას მიპირებენ-მეთქი. არ დამიჯერა. დამცინოდა და მეუბნებოდა — შენ ხომ მხოლოდ მე გიყვარვარ და სხვას როგორ გაჰყვები ცოლადო?! 28 დეკემბერი იყო. რაიონში, პაპაჩემის დის გასვენებაში ვიყავი. სწორედ გასვენებიდან მომიტაცა. იმ ღამით, ერთად არ გვძინებია. მეორე დღეს კი, ჩემი მშობლები მოვიდნენ. ჩემმა მომტაცებელმა ტირილი დაიწყო და მე, სულელსა და ჩემს საქმროზე გაბრაზებულს, შემეცოდა. ჰოდა, ავდექი და მასთან დავრჩი... ქალ-ვაჟი გავუჩინე. 5 წლის განმავლობაში, 14-ჯერ დავცილდით ერთმანეთს. საბოლოოდ დაშორების შემდეგ 4 დღე რომ გავიდა, ჩემმა ძველმა საქმრომ დამირეკა... უკვე 2 წელია, ერთად ვართ. უზომოდ მიყვარს ჩემი „სიფორცხლე“. ხვანცალა“.

„გზავნილების“ მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: მავნე ჩვევა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ საკუთარი ან ახლობლების მავნე ჩვევების, თვისებებისა და ქცევების შესახებ. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

თინეიჯერები

გულახდილი დაუსწრებელი დიალოგი გოგონებსა და ბიჭებს შორის

უზნეობა თუ უბრალოდ, ზედმეტი გულახდილობა; აღვირახსნილობა თუ გადაჭარბებული ანცობა; სექსუალური გარყვნილება თუ ნაადრევი აქსელერაცია; სულიერი სიცარიელე თუ ასაკობრივი ნიჰილიზმი; გონებ-ის დაბინძურება თუ რეალურ გარემოსთან „შერწყმა"; ჩვენი დროის „გმირები" თუ გმირობამოწყურებული მეოცნებეები; ან იქნებ, ამ ყველაფრით ერთდროულად გამოირჩევიან დღევანდელი თინეიჯერები, რომლებიც ერთმანეთს მარტივი, გასაგები ენით ახასიათებენ და იმედია, ეს, იოლად გასაგები თუ არა, ყურადსაღები და დამაფიქრე-ბელი მაინც გახდება მათივე თანატოლებისთვის, აღმზრდელების — მუდმივი ოპონენტებისთვისაც და იმ მოზრდილებისთვისაც, რომლებიც მათთან მეგობრობენ და სჯერათ მათი... ბიჭები გოგონებს ახასიათებენ და არ იციან, რომ თავადაც მოუწევთ კრიტიკის ქარცეცხლში გავლა. თავდაპირველად, ბიჭებს მოვუსმინოთ.

ირმა ხარშილაძე

დათა, 13 წ.:

— გოგონები თითქოს, უფრო თანამედროვეები არიან, უფრო მისდევენ მოდას.

ნიკა, 14 წ.:

— ამ თაობის გოგონები ყველაფერში გარკვეულები არიან — მაგალითად, რა ხდება ქალაქში, რა ხდება სხვა ქვეყნებში. მე მყავს მეგობარი გოგონები, რომლებთანაც ურთიერთობა ძალიან მიადვილდება, რადგან ყველგან მოგყვებიან, გვერდით გვიდგანან, თანაგვიგრძნობენ. მათ თიკოებს ვეძახით (უმრავლესობას ჰქვია თიკო და იმიტომ). განსხვავდებიან სხვა გოგონებისგან, რადგან, ზოგიერთს რომ ეტყვი, მიყვარხარო, სხვანაირად იგებს — ვთქვათ, როგორც კაცს უყვარს ქალი. თიკოებთან კი ჩვეულებრივი, ნორმალური ურთიერთობა გვაქვს.

კაპი, 13 წ.:

— ჩემ ირგვლივ არიან მოწესრიგებული გოგონები, ყველაფერში ნორმა იციან: ჩაცმაში, ლაპარაკში, ურთიერთობაში. მეორე კატეგორიაც არის, იმათ სულ აგდებულად ველაპარაკები, იმიტომ, რომ თვითონ მიწვევენ.

ანდრო, 13 წ.:

— იცით, როგორ იქცევიან?.. ბიჭი როგორც იგინება, ისე იგინებიან. აი, დიდი ბიჭები როგორც ამბობენ — ჩემი დედაო, — თითქმის ეგრე. ისეთ სიტყვებს ამბობენ, მრცხვენია მაგათ გვერდით გავლა. მე გოგო, ბუნებრივი, წყნარი, მშვიდი მომწონს, — არც სიგარეტს უნდა ეწეოდეს, არც სხვა რაღაცას — ვთქვათ, პლანს... მე რომ სიგარეტს ვეწეოდე და ჩემმა კლასელმა გოგომ მთხოვოს, გამასინჯეო, დავუშლი, — შენ გოგო ხარ და არ მოგაწევინებ-მეთქი, ვეტყვი. მაგალითად, ჩემი შეყვარებული ძალიან მაგარი გოგოა, 5 წელია, ერთად დავდივართ. წელს, დის დაქალმა გაასინჯა სიგარეტი, იმას მოეწონა და დაიწყო მოწევა. მე ვუთხარი — არ მინდა, ჩემმა შეყვარებულმა სიგარეტი მოსწიოს-მეთქი. იმანაც გაითვალისწინა და თავი დაანება. მე ამას ვაფასებ. მე დაც მყავს. რომ დავინახო, სიგარეტს ეწევა, არ ვიცი, რას ვუზამ.

გიორგი, 13 წ.:

— გოგოებს სამ ჯგუფად დავყოფდი (ჩემი კლასელების მაგალითზე): ძალიან აზიატები, მოდას რომ არ მისდევენ; მეორე — ზომიერად მოდურები და მესამე — ზედმეტად მოდურები. ძალიან აზიატები ჩვენთან არ მეგობრობენ და გვეუბნებიან — მხოლოდ იმისთვის შემოვედით ამ სკოლაში, რომ ვისწავლოთო. „შატალოზე" წასვლა როცა კი გადაგვიწყვეტია, ბოლო მომენტში, შეშინებიათ და დარჩენილან.

გიგო, 14 წ.:

— დღევანდელ გოგონებს მეც სამ კატეგორიად დავყოფდი: პირველი — სწავლობენ და არ მისდევენ მოდას; მეორე (ჩემი მეგობრები) — ზედმეტად არ იპრანჭებიან, არ ეწევიან, არ უზრდელობენ, შეურაცხყოფას არ მოგაყენებენ და მესამე — ძალიან ამპარტავნები: ყველაფერზე წავლენ იმისთვის, რომ „პარადი" წაიყვანონ. ძაან მაგარი ჰგონიათ თავი, მოდას „აწვეებიან" და არ სწავლობენ. მე ეს ძალიან არ მომწონს.

ნიკა:

— ძალიან არ მომწონს გოგო, რომელიც სიგარეტს ეწევა. ბიჭი რომ ეწევა, არც ის მომწონს, მაგრამ გოგო — განსაკუთრებულად. გოგოებზე ისიც გამიგონია, რომ წებოს სუნთქავენ.

გიგო:

— მე ვიცი, მეცხრეკლასელი გოგონები ტაქსიში ჩამსხდარან და იქ გაუკეთებიათ ეს.

გიორგი:

— სიგარეტს რომ ეწევი, თავბრუ გესხმის, რომ შეეჩვევი, აღარ დაგაკმაყოფილებს და გადახვალ სხვა „ბალახზე", მერე — ნარკოტიკზე და ეგრე ხდები ნარკომანი.

ნიკა:

— ნარკოტიკი — საშინელებაა! სიგარეტის მოწევას ვერ ანებენენ თავს და მერე, უარესი არ არის?! ნარკოტიკიც საამაყო გახდა. ბევრს ვიცნობ, რომ ტრაბახობს ამით.

გიგო:

— გოგოების ნაწილსაც ის ბიჭები მოსწონს, ვინც პირიდან ბოლს უშვებს...

გიორგი:

— გოგოების ნაწილი კი, ასაკის შესაფერისად არ იცვამს. ერთი ჩემი კლასელია, მასწავლებელმა უამრავჯერ უთხრა — ჭიპი არ გამოაჩინოო, — მაგრამ მაინც ეგრე მოდის სკოლაში. ზოგს ყურზე „სკრეპები“ აქვს, თავზე „შპილკები“, ძალიან მოდური ჰგონია თავი. მე არ მიზიდავს ასეთი გოგოები.

ანდრო:

— გოგო ისე არ უნდა აჰყვეს მოდას, რომ გაუსწროს. სკოლის ტუალეტებსა და სადარბაზოებში მაგ გოგოებზე ისეთი რაღაცები წერია, გული გაგისკდება...

აჩი, 14 წ.:

— აღარ იციან, რა ქნან, „მაზები“ სად წაისვან, ძაან „ძერზკობენ“ და ამით ბიჭებს თავს აწონებენ. ეგეთები, სახეზე რაღაცა რომ გაუჩნდებათ, ეგრეთვე კრემებს წაისვამენ და სალონში გაიქცევიან... ახალი წესი აქვთ: შარვალი უნდა გადაიხიონ, ძაან მაგარი ჰგონიათ თავი, მაგრამ ჩემი აზრით, არაფერს წარმოადგენენ.

ლევანი, 14 წ.:

— დადიან ბაზრობებზე — ვთქვათ, ლილოში, იყიდიან რაღაცას 200 ლარად, ჩვენთან კი ამბობენ — ელიტარულ მაღაზიაში ვიყიდე და 500 დოლარი მივეციო. ეს მაგარი რამე ჰგონიათ — რა, „ეგრეხებათ“ ბაზრობა?!

გიგო:

— ბაზრობა იმისთვის გახსნეს, რომ რაღაც იყიდო. ხალხს უჭირს, ამიტომაც დაცინვით უნდა ილაპარაკო?!.

აჩი:

— არ მიყვარს ეგეთი გოგოები. დაუნახავენ ვიღაც გოგოს, ვთქვათ, ორლარიანი რაღაც აცვია, მივლენ და დაცინვას დაუწყებენ — ბანძი ხარ, მე 500-დოლარიანი მაცვიაო!.. ბანძი თვითონ არ გამოდის?!

ნიკა:

— ადამიანი არ შეიძლება შეაფასო ტანსაცმლით, საცხოვრებელი ადგილით და ფულით. ეს გოგოები, მე ვიცი, შეიყვარებენ ვინმეს ფულის გამო, მერე, რომ გაღარიბდეს, მიატოვებენ...

ანდრო:

— ჰოდა, მასეთებს ღმერთი დასჯის...

ბიჭები შეშფოთდნენ, როცა გოგონებსაც მიეცათ აზრის გამოთქმის საშუალება, თანაც — მათ დაუსწრებლად. მგონი, არცთუ უსაფუძვლოდ: გოგონები რატომღაც, უფრო „დაუნდობლები“ აღმოჩნდნენ:

თამუნა, 13 წ.:

— ჩემი აზრით, არიან მეგობრული ბიჭები და ისეთები, რომლებსაც გოგონებთან ურთიერთობა არ შეუძლიათ. არიან ისეთებიც, რომლებიც მარტო გოგონებთან მეგობრობენ. მე მომწონს ისეთები, ბიჭთანაც რომ მეგობრობენ და გოგოსთანაც. მაგრამ ბევრი ბიჭი ვერ უგებს გოგოს. ზოგი, იცით, რით გვაწონებს თავს?.. ან — წამოგვარტყამს, ან გაგვაბრაზებს. ამით ნამდვილად არ მოგვეწონება. უფრო ჭკვიანურად უნდა მოიქცნენ.

საუბარი გიპურია ამ ასაკის მოზარდებისთვის. აქ ჩანს თაობის ბევრი თავისებურება

რუსა, 14 წ.:

— მე არ მომწონს ბიჭი, რომელიც გოგოს ურტყამს. ძალიან „მარიაჟიც“ არ მომწონს, მეგობრობა რომ არ შეუძლია გოგოსთან.

თინი, 14 წ.:

— გამომწვევად ჩაცმულ გოგონებს ბიჭები კარგად ექცევიან, მაგრამ თავის მეგობარ გოგონებთან მათზე, ცუდს ლაპარაკობენ. კლასში ერთი გოგო გვყავს, ყველა ბიჭი ეტენება; მერე ჩვენთან მოდიან და მასზე ცუდს ლაპარაკობენ, აგინებენ. მოკლედ, ბევრი ბიჭი ორპირია.

თამუნა:

— შეიძლება, ორ გოგოს ერთდროულად აბამდნენ. მე მქონია, ეგეთი შემთხვევა: ერთ ბიჭს ჩემი დაქალი ცალკე შეუბია, მე — ცალკე. გოგოსთვის ეს დიდი დარტყმაა. იმ ბიჭს თავი ძალიან მაგარი ტიპი ჰგონია, მე კიდევ, ეგეთ ბიჭს პატივს ვერაფრით ვერ ვცემ. მასეთ ბიჭს გოგოსგან სიყვარული და სითბო არ სჭირდება, სხვა რამე უნდა..

— **რა?**

— გოგოსგან სექსი უნდა. ჩემი აზრით, ჩვენს ასაკში ეგრეა...

მარიამი, 14 წ.:

— ბევრ ბიჭს შეუძლია გოგოსთან მეგობრობა ისე, რომ სხვასთან არ იჭორაოს.

ელენე, 13 წ.:

— არიან „მარიაჟები“ — დანებს და რაღაცებს დაატარებენ... ეგეთები ნაკლებად მომწონს.

თამუნა:

— ახლა, მთლად წყალში გადასაგდებებიც არ არიან ბიჭები... ბიჭს შეუძლია, გოგოს ძალიან გაუგოს: გოგო უფრო გათქვამს მეორე გოგოს საიდუმლოს, მეგობარი ბიჭი კი, სხვასთან არ გაამხელს ამ საიდუმლოს... გააჩნია ბიჭს. შეიძლება, გოგოზე კარგი მეგობრობაც იცოდეს.

რუსა:

— მე, მაგალითად, ორი სკოლა გამოვიცვალე. V კლასამდე ერთ სკოლაში ვიყავი, იქ ძალიან მეგობრული ბიჭები იყვნენ. V კლასში სხვა სკოლაში გადავედი და იქ ერთმა ბიჭმა, მისი ჭკუით, შემიტყუა და ფუნიკულორზე დამპატიჟა. მეორე ბიჭმა დამირეკა და გამაფრთხილა: არ წახვიდეო... მოკლედ, არის ისეთი კატეგორია, შენგან რაღაც რომ უნდა და მეორე — რომელსაც ეცოდები და პატივს გცემს. მე, მაგალითად, მომწონს ერთი ბიჭი და მიმაჩნია — ის იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც გვერდით ისეთი გოგო ეყოლება, რომელსაც ყველაფერს მისცემს. ძალიან პოპულარული და განთქმულია და მგონია, შანსი არ მაქვს, იმას შევუყვარდე...

ელენე, 13 წ.:

— მე მომწონს ბიჭები, რომლებმაც გოგოსთან მოქცევა იციან და არა — ქაჯობა.

თინი:

— ახლა, გოგოებიც იმის მიხედვით არჩევენ, ვინ ეწევა პლანს, ვინ არის ქუჩაში კაი ბიჭი, ვის აქვს კაი სახელი და ვის ჰყავს კაი „კუტოკი“.

რუსა:

— ჩემში ძალიან დიდ ანტიპათიას იწვევს ბიჭი, რომელიც გოგოსავით იპ-

ფრაზა

ყოველ ასაკს თავისი ზამბარა აქვს, რომელსაც მოჰყავს მოძრაობაში ადამიანი.

ჟან-ჟაკ რუსო

გენიალური

რანჭება და ლაპარაკობს. არ მესმის, როგორ შეიძლება ასეთთან იმეგობრო. ურთიერთობის სურვილიც კი არ მაქვს.

ელენე:

— ძალიან ბევრია ეგეთი გოგო, ე.წ. ცისფერი ბიჭები რომ მოსწონს. მეგობრობენ კიდეც მათთან. მე მაგარი ანტიპათია მაქვს მაგათ მიმართ.

რუსა:

როგორც წესი, ასეთ გოგონებს უფროსი ბიჭები მოსწონთ და თანატოლ ბიჭებს ბავშვებად აღიქვამენ

— არც ის მომწონს, ბიჭი რომ არაა ასე ვთქვათ, ცისფერი და მაინც, სულ გოგოებთანაა...

თიკო, 14 წ.:

— ასეთ ბიჭებს ყველა მასხრად იგდებს.

რუსა:

— მე მიმაჩნია, რომ ბიჭი უნდა იყოს ძალიან სერიოზული, ზომიერად ჰქონდეს იუმორის გრძნობა და შეეძლოს, გოგოსთანაც და ბიჭთანაც ნორმალური მოქცევა.

სოფო ვერულაშვილი, *ფსიქოლოგი*:

— საუბარი ტიპურია ამ ასაკის მოზარდებისთვის. აქ ჩანს თაობის ბევრი თავისებურება, რომელიც სწორედ ასაკითაა განპირობებული. 13-14 წლის მოზარდებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთობა თანატოლებთან, როგორც ასაკიდან, ისე სქესიდან გამომდინარე: თანატოლი — ავტორიტეტია, თანატოლები — მნიშვნელოვანი „სხვები“. ჩნდება დეფილაციის (თანატოლებთან დაჯგუფების), ე.წ. „სასტავად“ და „სასტავში“ ყოფნის მოთხოვნილება, გადაცემის, ჰობის, ლიდერობის მოთხოვნილება. ამ დროს, ვაჟები „მოდურ“ გოგონებთან კომფორტულად ვერ გრძნობენ თავს, ვერ ლიდერობენ. შეიძლება, ვერც აცნობიერებენ ამას, მაგრამ განა მართლა არ მოსწონთ ტუჩის საცხი, ან — საყურე, ან — ლამაზად დავარცხნილი თმა!.. უბრალოდ, ამ გოგონების ქცევა მათ შორის, ფსიქოლოგიურ მანძილს ზრდის. როგორც წესი, ასეთ გოგონებს უფროსი ბიჭები მოსწონთ და თანატოლ ბიჭებს ბავშვებად აღიქვამენ. უფრო ხშირად, ამ ასაკის ბიჭი თანატოლ გოგონას ჩამორჩება ფსიქოფიზიოლოგიური განვითარებით და ეს იგრძნობა მათ ურთიერთობაში. სწორედ ესაა მიზეზი ამ ბიჭების ნეგატიური დამოკიდებულებისა ზოგიერთ გოგონას მიმართ, თორემ რეალურად, ეს არ არის ნეგატიური. ამ ასაკში (გარდატეხის ასაკში) მოზარდის ორგანიზმში გააქტიურებულია ერთი პატარა უჯრედი და ჯირკვალი — ჰიპოფიზი. ამის შედეგად, იწყება სწრაფი ზრდა, აქტიურდება ჰორმონები და ორგანიზმში მიმდინარეობს მთელი რიგი რევოლუციური ცვლილებებისა; იზრდება სექსუალური ინტერესი და ეს ბუნებრივიცაა: ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ზონებზე, ყალიბდება პირველადი და მეორადი სქესობრივი ნიშნები. მოზარდს უჩნდება მძაფრი განცდების მოთხოვნილება. პირველად შეიძლება გაუსინჯოს გემო ნარკოტიკს, განსაკუთრებით — ჯგუფური მოხმარების ნარკოტიკებს: სიგარეტს, პლანს, ანაშას. ჯგუფურს ვეძახით იმიტომ, რომ ამ ასაკში, ადამიანი თანატოლებთან ერთად მოიხმარს მას. 13-14 წლის ასაკში, იმდენადაა გამძაფრებული სექსუალური ლტოლვა, რომ მხოლოდ რეალური ობიექტის არსებობის შემთხვევაში კი არა, შეიძლება, კუნთების დაჭიმულობის, ზედმეტად მოტმასნილი ჯინსის ველოსიპედზე ან ცხენზე ჯდომის შედეგად აღინიშნებოდეს სექსუალური აგზნება. იგივე შეიძლება გამოიწვიოს უეცარმა შიშმაც, ტკივილმაც... ამას ვუწოდებთ არაადეკვატურ გამღიზიანებლებს. ვთქვათ, ვაჟის შემთხვევაში, შიშს მოჰყვა ერექცია; თუ მეორედ და მესამედ გამეორდა არაადეკვატური გამღიზიანებლით აგზნება, შეიძლება, სექსუალური გადახრა ჩამოყალიბდეს... ბუნებრივია, ამ ასაკის გოგონა ამჩნევს, რომ ვაჟს მასთან სექსი უნდა და თუ ისინი მარტონი დარჩებიან და შესაფერისი სიტუაცია შეექმნებათ, მართლაც, შეიძლება რამე მოხდეს, რასაც მოჰყვება ფსიქოლოგიური თუ ფიზიოლოგიური გართულებები...

ყოველივე ამის გამო, ჯანსაღი განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვიზრუნოთ მოზარდების ფსიქოსექსუალურ განათლებაზე უფრო ადრეულ ასაკში, ვიდრე მათთვის ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ დონეზე გახდება აქტუალური სექსუალური მოთხოვნილებები. ამაში კი, მოზარდებს აუცილებლად ესაჭიროებათ შესაბამისად განათლებული მოზრდილების — პედაგოგების, მშობლების დახმარება. ■

მრავალშვილიანი ოჯახის გაშვილებული ბავშვები ჯარგ ოჯახებში იზრდებიან, მაგრამ...

ალეკო და ზოია ურიადმყოფლების ოჯახი მრავალშვილიანია. მათ 9 შვილი — 5 ბიჭი და 4 გოგო ჰყავთ: სვეტა, ვიქტორი, ვაჟა, პოლინა, რიტა, ეკა, გიორგი, ტარიელი და ზაზა. მაგრამ დღესდღეობით ოჯახში 7 ბავშვია, რადგან გაჭირვების გამო, 2 წლის ზაზა და 5 წლის ტარიელი გააშვილეს.

ზოია გალიევა **წარმოშობით ციმბირიდანაა, მან მომავალი მეუღლე ლაითურში ჩაის კრეფის დროს გაიცნო, შეუყვარდა და ცოლად გაჰყვა. დანარჩენს თავად მოგვითხრობს.**

მარეხ ჭონიშვილი

— ციმბირში დავიბადე და გავიზარდე, მშობლები და დედმამიშვილები იქ მყავს. დაქალებმა სამუშაოდ

ქალბატონ ზოიას შვილი და შვილიშვილი

საქართველოში წამოსვლა გადავწყვიტეთ და ჩაის საკრეფად, მახარაძეში *(ახლანდელი ოზურგეთი. — ავტ.)* წამოვედით. სწორედ აქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. 4 გოგო ვიყავით, მან კი რატომღაც, მე ამირჩია, თავი შემაყვარა და ცოლადაც გავყევი.

— როგორ შეეგუეთ ახალ გარემოს?

— ძალიან გამიჭირდა. დედამთილს ვერაფერს ვაგებინებდი: მან რუსული არ იცოდა, მე კი — ქართული. დროთა განმავლობაში ვისწავლე, მაგრამ ხომ

შვილებთან ერთად

ხედავთ, კარგად ახლაც ვერ ვლაპარაკობ და ამის ძალიან მრცხვენია... როდესაც შეყვარებულები ვიყავით, ჩემი ქმარი მეუბნებოდა: გამომყევი ცოლად და არაფერს გაგაკეთებინებ, ხელისგულზე გატარებო. თავის სოფელს მიქებდა, მიყვებოდა — სახლის წინ მანდარინის ხეებია, ეზოში გასვლა არ დაგჭირდება ხელს ფანჯარაში გაყოფ და მოკრეფო...

— მერე, გჯეროდათ?

— თან მჯეროდა, თან — არა, მაგრამ მიყვარდა და რა ქონება ექნებოდა, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამიტომაც, როცა ცოლობა მთხოვა, მეც სიხარულით დავთანხმდი. სახლში რომ მომიყვანა, დავინახე, რომ ძალიან ღარიბულად ცხოვრობდა. აქ, ამ ადგილას არაფერი იყო *(თავის ეზოსა და სახლს მიჩვენებს. — ავტ.)* ერთი პატარა სახლი ედგათ. მაგრამ გული არ გავიტეხე, ახალგაზრდა ვიყავი და შრომა არ მეზარებოდა.

— რამ გადაგაწყვეტინათ ამდენი შვილის გაჩენა?

— ბავშვები ძალიან მიყვარს, მაგრამ 9 შვილის გაჩენას მაინც არ ვაპირებდი. 2 შვილზე მეტი არ მინდოდა, მაგრამ დედამთილმა მითხრა: რა არის 2 შვილი? კიდევ გააჩინეო, — და შემდეგ, კიდევ 2 გავაჩინე. ჩემს ქმარს ძალიან უყვარს ბავშვები და მთხოვდა, რომ კიდევ გამეჩინა, მაგრამ მე უარი ვუთხარი, რადგან იმ პერიოდში, ჩემი დედამთილი გარდაიცვალა, ქმარი მუშაობდა და დამხმარე არ მყავდა, მარტო კი ძალიან მიჭირდა ბავშვების მოვლა. მერე, ქმართან უთანხმოება მომივიდა და ციმბირში წავედი ჩემს ოჯახთან. ბავშვებიც წავიყვანე. დაბრუნებას არ ვაპირებდი, მაგრამ ჩემი გოგო ძალიან ცუდად გახდა, იქაურ ჰავას ვერ შეეგუა. ქმარს დავუკავშირდი. რომ გაიგო, ბავშვი ცუდად იყო, ჩამოვიდა და წამოგვიყვანა. მას შემდეგ აქ ვარ და კიდევ 5 შვილი გავაჩინე.

— როგორ აუდიოდით ამდენი შვილის გაზრდას?

— სანამ დედამთილი ცოცხალი იყო, არ გამჭირვებია, ბავშვების გაზრდაში ის მეხმარებოდა. მე და ჩემი ქმარი ვმუშაობდით. კომუნისტური პარტიაც გვეხმარებოდა. სახლი, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, მათი აშენებულია. მთავრობის შეცვლის შემდეგ კი, ძალიან გაგვიჭირდა. ქმარი ავად გახდა, ველარ მუშაობდა, ბავშვებს ნორმალურად, საჭმელს ვერ ვაჭმევდი. ამიტომაც გავაშვილე ორი შვილი — ზაზა და ტარიელი.

ვიცი, რომ კარგ ოჯახებში არიან, მათ კარგად უვლიან. 2 წლის ზაზა

— არ გაგიჭირდათ ბავშვების გაშვილება?

— გამიჭირდა?! რომელ დედას არ გაუჭირდება ბავშვის „გასხვისება“?! მაგრამ ის უფრო აუტანელია, როცა ხედავ, შენს შვილებს შიათ და ვერაფერს აჭმევ, ვერ აცმევ და ელემენტარულ პირობებს ვერ უქმნი იმისთვის, რომ ნორმალურ ადამიანებად გაიზარდონ... ახლა კი ვიცი, რომ კარგ ოჯახებში არიან, მათ კარგად უვლიან. ჩემი შვილები ხშირად ნახულობენ ერთმანეთს. ბავშვების დედობილ-მამობილებმა პირობა მომცეს: ბავშვები, რომ გაიზრდებიან და სრულწლოვნები გახდებიან, მოიყვანენ და ანახვებენ მათ სახლს, ოჯახს, მშობლებს. გული იმანაც დამწყვიტა, რომ სოფელში ამბობდნენ, თითქოს ბავშვები გავყიდე და მათში ფული ავიღე, მაგრამ ეს სიცრუეა.

— როგორები არიან თქვენი შვილები? ძალიან ცელქობენ?

— როგორც ყველა ბავშვი, ესენიც ცელქები იყვნენ. მაგრამ ახლა გაიზარდნენ, საოჯახო საქმეებშიც მეხმარებიან და ერთმანეთსაც უვლიან. მარჯვე ბავშვები არიან და იმის კარნახი არ სჭირდებათ, თუ რა გააკეთონ. გოგონები სახლს ალაგებენ, ძროხებს წველიან, საჭმელს აკეთებენ, ბიჭები კი მამას ეხმარებიან. ბავშვებს ძალიან უყვართ ერთმანეთი. ხანდახან ცოტას წაკამათდებიან, მაგრამ ერთმანეთს პატივს სცემენ და ეს ძალიან მახარებს.

— სახელები ვინ შეურჩია ბავშვებს?

— ქართული სახელები რომლებსაც ჰქვიათ — ჩემმა ქმარმა, რუსული კი, მე დავარქვი. ამ საკითხზე კამათი და ჩხუბი არ მოგვსვლია... უფროსი შვილი 27 წლისაა, პატარა კი — 12-ის. 42 წლის ვიყავი, როცა ნაბოლარა შემეძინა. გოგო ადრე მომტაცეს — 14 წლის ასაკში. იმ პერიოდში ფეხმძიმედ ვიყავი, ამიტომ ერთ-ერთი ჩემი შვილი, შვილიშვილზე 2 წლით უფროსია. ორი გოგო მყავს გათხოვილი. ერთს სამი შვილი ჰყავს, მეორეს — 2.

— რას საქმიანობენ თქვენი უფროსი შვილები?

— უფროსებმა სკოლა დაამთავრეს, მაგრამ სწავლა არსად გაუგრძელებიათ. პატარები კი სკოლაშიც ვერ შევიყვანე — სასკოლო ნივთებს ვერ ვყიდულობდი. სამი მათგანი, ამ ცოტა ხნის წინ გავგზავნე ზესტაფონში მამა გრიგოლთან სასწავლებლად. არ მინდა, რომ წერა-კითხვის უცოდინარები იყვნენ. უფროსი ბიჭები — ვაჟა და ვიქტორი თვითონ ცდილობენ, ცხოვრება მოიწყონ, რადგან იციან, რომ მშობლები ვერაფრით დავეხმარებით. ერთ-ერთი, თურქეთში დადის სამუშაოდ, მეორე კი — ერაყში იყო წასული, სამშვიდობო ბატალიონის შემადგენლობაში.

— რომელიმე შვილს ხომ არ

უფროსი შვილი 27 წლისაა, პატარა კი — 12-ის

გამოარჩევთ სხვებისგან?

— ვერ გამოვარჩევ — ყველა ერთნაირად მიყვარს. შეიძლება, პატარა რომელიც იყო, იმას უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევდი, ვეფერებოდი, მაგრამ ისე, ვერ გამოვარჩევ, ყველას ტკივილი ერთნაირად მტკივა.

— ციმბირში, თქვენს ოჯახში, რამდენი ხანია, არ ყოფილხართ?

— უკვე 20 წელია, არ ვყოფილვარ. ძალიან მენატრებიან ოჯახის წევრები, მაგრამ იქ წასვლას ბევრი ფული უნდა და მე ამის საშუალება არა მაქვს.

— თავიდან რომ იწყებდეთ ცხოვრებას, ისევ გამოჰყვებოდით თქვენს მეუღლეს?

— მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გაჭირვება გადავიტანე და ახლაც გვიჭირს, მაინც არ ვნანობ, რომ გამოვყევი. თუმცა, ბევრ რამეს შევცვლიდი ჩემს ცხოვრებაში. ბავშვებს არავითარ შემთხვევაში არ გავაშვილებდი, ჩემთან მეყოლებოდნენ... ფულს გადავინახავდი... მეგონა, სულ ის დრო იქნებოდა, მე და ჩემი ქმარი ვიმუშავებდით, ბავშვები დაიზრდებოდნენ, ისწავლიდნენ და მოგვეხმარებოდნენ. მაგრამ კომუნისტური წყობილება რომ დაიშალა, ჩვენც გაგვიჭირდა. უმუშევარი დავრჩით. დახმარებით კი, არავინ დაგვხმარებია. თუმცა, არ ვითხოვ დახმარებას — მხოლოდ ის მინდა, რომ ჩემს შვილებს სამუშაო ჰქონდეთ, მშრომელი ბავშვები არიან და მუშაობა არ ეზარებათ...

■

14 წლის წინ "გაირეკვლილი" შვილის დაბრუნება

1991 წლის 7 მარტს, 29 წლის მანანა ნათიძეს გურჯაანის რაიონის სამშობიაროში მეოთხე შვილი — სრულიად ჯანმრთელი ვაჟი შეეძინა. ორი დღის შემდეგ კი, მას მოულოდნელად აცნობეს, რომ ბავშვი დაიღუპა. გარდაცვალების დაუსაბუთებელი და არადამაჯერებელი მიზეზის გამო, მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ჩვილი ექიმებმა გაყიდეს... ვერაფრით გაარკვიეს, თუ ვინ იშვილა ბავშვი. თანაც ერთ-ერთმა ექიმმა მკაცრად გააფრთხილა — თავი დაანებე იმ ბავშვის ძებნას, თორემ, სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადაგექცევაო... სიცოცხლე ამ ოჯახს მართლაც, ჯოჯოხეთად გადაექცა — ყოველ წამს და ყოველ წუთს, დაკარგულ შვილზე ფიქრმა გააჭაღარავა ცოლ-ქმარი. ბოლოს და ბოლოს, მაინც იპოვეს 14 წლის წინ დაკარგული ბიჭი.

სოსო და მანანა ნათიძეები გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში ცხოვრობენ. 14 წლის წინ დაწყებულ ტანჯვაზე თავად ქალბატონი მანანა მოგვითხრობს.

ნინო ჯავახიშვილი

— 1973 წელს დავქორწინდით. ერთმანეთი გვიყვარდა და სკოლა დავამთავრე თუ არა, ცოლადაც გავყევი. ჩემი მეუღლე მრავალშვილიანი ოჯახიდან არის და თავიდანვე მითხრა — მინდა, 4 შვილი მყავდეს — 2 გოგო და 2 ბიჭიო. პირველი, ქალიშვილი შეგვეძინა — ახლა 25 წლისაა, მეორეც გოგონაა — 23 წლის, ნოდარი კი — 20 წლის. მეოთხე შვილის გაჩენას აღარ ვაპირებდი. ერთხელ, სოსომ სიზმარი ნახა და ვიღაცამ უთხრა — ბიჭი გაგიჩნდებათო. მართლაც, მალე დავფეხმძიმდი. არც მიფიქრია, ბავშვი მომეშორებინა, თუმცა თავიდანვე ცუდი წინათგრძნობა მქონდა.... როდესაც მეორე შვილი გამიჩნდა, სიზმარში ვნახე — ვითომ 4 მტრედი მყავდა: ორი, ერთ მხარზე მეჯდა, ორიც — მეორეზე; ვამბობდი, ესენი ჩემი მტრედები არიან და რა ბედნიერი ვარ, რომ ამდენი მტრედი მყავს-მეთქი; უეცრად, ხალხი აირია და დავინახე, რომ ვიღაც ქალი და კაცი ცდილობდნენ, ჩემი მტრედების დაჭერას. ფეხზე ვერ ვდგებოდი, ისე ვუყვიროდი მათ — რა გინდათ ჩემი მტრედებისგან, რატომ იჭერთ-მეთქი?! ბოლოს დავინახე, რომ ერთი მტრედი პატარა სახლის სახურავზე დაფრინდა... ეს სიზმარი 8 წლის შემდეგ, 1991 წელს ამიხდა, როდესაც გურჯაანის სამშობიაროში საკეისრო კვეთა გამიკეთეს, სხვისი მკვდარი ჩვილი გამოგვატანეს სახლში. ცოცხალი შვილი კი გამიყიდეს...

— უფრო დაწვრილებით მოგვიყევით ამ მშობიარობის შესახებ...

— მშობიარობამდე კაჭრეთში ექოსკოპია გავიკეთე. ახლაც კარგად მახსოვს, ექიმმა რომ იხუმრა — ისეთი კარგი ბიჭია, მალე სკოლაშიც წავაო... სამშობიაროდ გურჯაანის რაიონში გამგზავნეს. იქ ყველა მიცნობდა, რადგან სამჯერვე იქ ვიმშობიარე. მთავარი ექიმი — ნათელა გოგოლაშვილი იყო. პედიატრი კი — თამრიკო ზარდიაშვილი... 7 მარტის ღამე იდგა. ჩემები ყველანი სახლში გაუშვეს — დღეს აღარაფერი იქნებაო... ღამით, ნათელა ექიმმა, ვითომდა მდგომარეობის

სოსო და მანანა ნათიძეები გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში ცხოვრობენ

გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვიტა, საკეისრო კვეთა გაეკეთებინა. მშობიარობის შემდეგ, საწოლზე ისე დავუგდივარ სველი, გალუმპული, რომ საბანიც არ დაუფარებიათ ჩემთვის... გონზე რომ მოვედი, გავიძახოდი — ვინ ხართ, მომხედეთ-მეთქი!.. ცოტა ხანში, ბავშვთა ექიმი შემოვიდა და მახარა, რომ დაიბადა სრულიად ჯანმრთელი ბიჭი, 2,5 კგ-ს იწონის — ვაჭამეთ და კარგად არისო. ექთანმა შემომიყვანა ბავშვი, გულზე დავიწვინე და ისე ვეფერებოდი, რადგან ფეხზე ადგომა არ შემეძლო. მეორე დილით, მოვიდა ჩემი ქმარი და ყველას ჩაუთვალა ფული, რამდენსაც მაშინ იღებდნენ. 9 მარტს, ვიდრე ჩემები მოვიდოდნენ, დილით შემოვიდა პედიატრი და მითხრა — ბავშვი დაიღუპაო. — რას ამბობთ, რა მოუვიდა, ხომ ჯანმრთელი იყო-მეთქი?! — არა, დაიღუპა, ეს-ესაა, ამოუვიდა სულიო... რომ აღარ მოვეშვი, მერეღა მითხრეს — უბედური შემთხვევა მოხდა, დენის სათბურაზე დაიწვაო. მომატყუეს... რამდენიმე ექიმს ვკითხე და ყველამ მითხრა, რომ დენის სათბურათი ბავშვი სასიკვდილოდ არ დაიწვებოდაო... მშობიარობის შემდეგ, 3-4 დღე საერთოდ გათიშული ვიყავი. არ ვიცი, რას მიკეთებდნენ... ჩემს ქმარს ზეწარი მოატანინეს ბავშის გასახვევად. საგულდაგულოდ იყო გახვეული და შეკრული დაღუპული ჩვილი, გარედანაც რაღაც ქაღალდი შემოეხვიათ; რომ არ გაგვეხსნა — ალბათ, იმიტომ... მანქანაში რომ ვსხდებოდით, პედიატრმა ამოიღო ფული და გვიბრუნებდა — მე არა ვარ ამის ღირსი, თქვენს შვილს ვერ მოვუარეო, — გვითხრა... სახლში რომ მოუყვანიათ, ჩემებს ბავშვი მაინც გაუხსნიათ და უნახავთ, რომ ხელ-ფეხზე კანი აღარ ჰქონდა, ჩვილს ძვლები უჩანდა... დედაჩემს ეს ამბავი დაუმალავს ჩემთვის — უარესად განერვიულდებაო. ჩემმა ქმარმა საკუთარი ხელით გათხარა საფლავი ჩვენს ეზოში, პატარა კუბო შეკრა და დამარხა. სოსოს ეჭვი შეჰპარვია და ბავშვი აუწონია — 4 კილომდე ყოფილა... ისე ხომ არ დავაგდებდი იმ ბავშვსო, — მითხრა მერე და დაიქადნა — სულერთია, ექიმებს არ გავახარებ, თუკი დავამტკიცებ, რომ ჩვენი შვილი გააშვილესო... ერთმა ექთანმა სამშობიაროშივე მითხრა — მოწმედ ვერ დაგიდგები, მეშინია, მაგრამ ეძებე, შენი შვილი გაყიდულიაო... ერთ-ერთმა ექიმმა კი გამაფრთხილა — დაანებე, იმ ბავშვის ძებნას თავი, თორემ, სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადაგექცევაო... როგორ არ ვეცადე, სიმართლე გამეგო, მაგრამ სად წაიყვანეს და ვინ იშვილა, ვერ გავარკვიე. სამ შვილს გაზრდა და მიხედვაც უნდოდა, ამიტომაც ძალა მოვიკრიბე და გადავწყვიტე — როცა შვილებს დავზრდი, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და ჩემს შვილს მაინც ვიპოვი-მეთქი. ჩვენს რაიონში თუკი ვინმეზე გავიგებდით, რომ აყვანილი იყო, ყველას ამბავს ვკითხულობდით. ერთი წუთითაც არ მჯეროდა, რომ შვილი მომიკვდა, ვიცოდი, ცოცხალი იყო. 7 და 8 მარტს, ყოველ წელს, სანთლები მენთო, ვყიდულობდი მისთვის ტანსაცმელს; მეშინოდა — ვაითუ, ეს ყველაფერი სიგიჟეა და მკვდარსაც ხომ მიხედვა უნდა-მეთქი...

ვუთხარი: სამი შვილი მყავს, მაგრამ გულის ის ცარიელი კუნჭული, რომელიც შენ დამიტოვე, ვერც ერთმა შვილმა და ვერც ერთმა შვილიშვილმა ვერ ამოავსო-მეთქი...

— თქვენი ბიჭი პირველად სად ნახეთ, როგორ შეხვდით?

— წლების წინ, თანასოფლელმა, გელა აკოფაშვილმა მთხოვა — შენმა გოგომ ბავშვი მომინათლოსო. სწორედ იქ ვნახე პირველად. გელას და — ფატი, ჩემზე ერთი წლით უმცროსია, გურჯაანშია გათხოვილი. ვიცოდი, რომ ბავშვი აყვანილი ჰყავდა. ვალერი რომ დავინახე, მაშინვე გულზე ვიტაცე ხელი, თვალი ველარ მოვწყვიტე — ვაიმე, ჩემს ნოდარს როგორ ჰგავს-მეთქი!.. დედის გულმა იგრძნო, რომ მისი შვილი იყო, თორემ, ადრეც რამდენი ნაშვილები ბავშვი მინახავს, რატომ რომელიმეს არ დავადე ხელი — ჩემია-მეთქი?!. სუფრასთან რომ ვისხედით, საუბრისას, ვალერის ბებიამ მკითხა — რატომ დაგელუპა მეოთხე შვილიო? — ჩემი შვილი ცოცხალია და აუცილებლად ვიპოვი-მეთქი, — ვუპასუხე. შევამჩნიე, რომ ვალერის პაპა ამ სიტყვებმა რატომღაც ძალიან ააღელვა. ფატის დამ კი მითხრა — ჩემმა დამ, ორი დღის ბავშვი აიყვანა, ჭიპლარი სახლში მოსძვრა, 2,5 კგ იყო, დაბადების მოწმობის აღება ძალიან გაჭირდა და ამიტომ 8-9 თვე აქვს „დაკარგულიო“ (მოწმობაში დაბადების თვედ, მართლაც, დეკემბერი უწერია). აყვანილ ბავშვებს ზოგჯერ წელიწადსაც კი უკარგავენ, მერე მშობლებმა რომ ვერ იპოვონ. — რაკი ასეთი ეჭვი გაქვს, იქნებ, ვინმე ნაცნობი გენახა, საბუთებს გადასინჯავდით და გაიგებდით — ვინ იშვილაო, — მითხრა ფატის დამ... ფატის თავიდან არ სცოდნია, რომ ჩემი შვილი იშვილა, მერე გაუგია. ეს საქმე მამამისს მოუგვარებია, ფულიც მას გადაუხდია. როდესაც ფატის დედამთილი ვნახე, მაშინვე ვიცანი — ეს ის ქალი იყო. ვინც წლების წინ, ჩემს პალატაში, ვითომ შემთხვევით შემოვიდა და რაღაცები გამომკითხა. მახსოვს, ვიღაცის დაჟინებული მზერა ვიგრძენი და დავინახე, კართან უცხო ქალი იდგა. საკეისრო გაკეთებულს ვეძებო, — მითხრა. ჩემ გარდა, მაშინ არავის ჰქონდა საკეისრო გაკეთებული და ვუთხარი — მე ვარ-მეთქი. — სადაური ხარო? — მკითხა, — რამდენი შვილი გყავსო?.. ვუთხარი, რომ მეოთხე ბიჭი დამელუპა. — არ ინერვიულო, კიდევ კარგი, სხვა შვილებიც რომ გყოლიაო, — დამამშვიდა და წავიდა; მითხრა — ნათესავის მოსანახულებლად მოვედიო... თურმე, ფატი ნერვიულობდა — შვილი არ მეყოლება და ოჯახი დამენგრევაო. ბავშვის აყვანის წინააღმდეგნი იყვენ დედამთილ-მამამთილი — ნაბიჭვარს ოჯახში არ შემოგაყვანინებთ, უნდა ვიცოდეთ, ვისი ჯიშისა იქნებაო. ამიტომაც გაიკითხეს ჩვენი ამბავი...

— ვალერის გამზრდელებმა როგორ მიიღეს ის ამბავი, რომ ბავშვს მშობლები გამოუჩნდნენ?

— მივედით სახლში და ვუთხარი ფატის — ბავშვი, რომელსაც შენ ზრდი, ჩემი შვილია; მითხარი, როგორ ან ვისგან იშვილე-მეთქი; მიპასუხა — წნორის ბაზარში მომიყვანა ვიღაცამ და იქ ვიყიდეო... მისმა ძმამ თქვა — გურჯაანის სამშობიაროდან გამოვიყვანეთო, ფატის მამამ კი — რკინიგზის პოსტზე მოიყვანა ვიღაცამ და წამოვიყვანეო. რომელი ერთის უნდა დაიჯეროს კაცმა?! გენეტიკური ანალიზი გავაკეთოთ-მეთქი, — შევთავაზე. 200 დოლარი მომეცი წვეთ სისხლში და ისე წაიყვანე ანალიზისთვისო, — მითხრა... ისიც კი ვუთხარი ფატის, რომ არასდროს დავუშლიდი ბავშვს მათთან მისვლას, მათთან ცხოვრებასაც: შვილს არ წაგართმევ, ოღონდ დედმამიშვილები არ დაუკარგო-მეთქი... ახლა თანახმაა გენეტიკურ ანალიზზე, რადგან ექიმებისგან აქვს მხარდაჭერა. მე კი ძალიან მეშინია, რომ ექსპერტიზის პასუხები გაყალბდება!..

— თვითონ ვალერომ როგორ გაიგო ეს ამბავი? თქვენ უთხარით, რომ ნაშვილებია?

— არა, რას ამბობთ?! ეს ამბავი უკვე რამდენიმე წელია ვიცი, მაგრამ არ ვეუბნებოდი: ვფიქრობდი — დიდი რომ გაიზრდება, მაშინ ვეტყვი, ახლა გარდა-

ტეხის პერიოდი აქვს და შვილს ზიანს ვერ მივაყენებ; იმედი მქონდა, იქნებ, თვითონაც უთხრან-მეთქი... გასულ ზაფხულს, ჩვენი სოფლელი ბიჭი დაიხრჩო ტბაზე, ისიც ნაშვილები იყო. ბიჭებს უთქვამთ ვალერისთვის — ის ბავშვიც ისე დაიღუპა, ვერ გაიგო, და-ძმა რომ ჰყავდა, შენც ნაშვილები ხარ და და-ძმა გყავსო... ვერ ასახელებს, ვინ უთხრა, აქ ყველას ხომ არ იცნობს!

— როგორი იყო მისი რეაქცია?

— რას ამბობთ, მე დედმამიშვილები მყავსო?! — თურმე, იმ დღეს, სიხარულით დაფრინავდა. ჩვენთანაც მოსულა და დაუძახია თურმე, — ნოდარის ნახვა მინდაო, — მაგრამ მეზობელს უთქვამს — ნოდარი სახლში არ არის, მინდორშიაო. რამდენიმე საათის შემდეგ, სტუმარი გავაცილე და დავინახე, რომ ვალერი ჩვენს ჭიშკართან ახლოს სკამზე იჯდა: ნოდარს ელოდებოდა. ისეთი თვალებით მიყურებდა, ღამის გული გამისკდა. დავიჯერო, რაიმე იცის-მეთქი? — გამკრა გულში ეჭვმა. ამხანაგთან ერთად იყო. მითხრა — ნინოსთან (ჩემს შვილთან) მივდივართ და ხომ არაფერს დაგვაბარებთო? ნინო ამავე სოფელშია გათხოვილი. მისულან ნინოსთან. შენ ჩემი და ხარო, — უთქვამს ვალერის და გადახვევია. ნინოს შეხვეწნია თურმე — სანამ მამაჩემი არ მივა სახლში, დედას არ უთხრათ, ვერ გაუძლებსო. მაგრამ ჩემმა მაზლიშვილმა ვეღარ დამიმალა ეს ამბავი. მოვიდა სახლში და მითხრა — მანანა ბიცოლა, გამაგრდი, ვალერიმ უკვე იცის, შენი შვილი რომ არისო. ვღრიალებდი — რატომ უთხრეს, ჯერ პატარაა, ცოდოა, თავს რამე არ აუტეხოს-მეთქი!.. მერე ნოდარი ქუჩაში შეხვედრია და უთქვამს — ვიცი, ჩემი ძმა ხარო, — გადახვევიან ერთმანეთს და უტირიათ... ნოდარმა დაურეკა სოსოს, რომელიც მაშინ თბილისში იყო და უთხრა — სასწრაფოდ ჩამოდი, ვალერიმ ყველაფერი გაიგოო. მერე ნოდარმა მოიყვანა ჩვენს სახლში და მითხრა — დედი, 14 წლის ნანატრი შვილი მოგიყვანეო. — შვილო, რამდენი წელი, რამდენი დღე და ღამე გამითენებია შენზე დარდით, არ გეგონოს, რაკი არ გამიზრდიხარ, არ მიყვარხარ, სამი შვილი მყავს, მაგრამ გულის ის ცარიელი კუნჭული, რომელიც შენ დამიტოვე, ვერც ერთმა შვილმა და ვერც ერთმა შვილიშვილმა ვერ ამოავსო-მეთქი, — ვეუბნებოდი ტირილ-ტირილით. ნუ ტირი, არ იდარდოო, — აქეთ მამშვიდებდა, — ყოველთვის ვნატრობდი, და-ძმა მყოლოდა და აკი, ამიხდა ეს სურვილიო!.. მაშინვე ვთხოვე — შენს გამზრდელებს ნუ მიატოვებ, ამაგს ნუ დაუკარგავ, ისინი ცოდონი არიან, აქაც იყავი და იქაც-მეთქი. ყველაფერი გამომკითხა — რა მოხდა, როგორ მოხდა. მისაყვედურა კიდეც — ამდენი ხანი თუ იცოდით ეს ამბავი, რატომ არ მეუბნებოდითო? მთელი დღე ჩვენთან იყო... საღამოს პაპამისი და ბიძამისი მოვიდნენ წასაყვანად, გაეგოთ, რაც მოხდა. ვალერი არ მიჰყვებოდა — ჩემს ძმასთან ერთად მინდა ყოფნაო. მაშინ პაპამისმა იცით, რა უთხრა?.. — იცოდე, თუ ამათი შვილი არ აღმოჩნდი, მაშინ ჩვენც აღარ მიგიღებთ და სადღა წახვალო?!. ეს როგორ უნდა უთხრა ბავშვს?!. მე თუ არ ვარ მისი დედა, ვიღაც ხომ არის! ზოგი ჩემზე ამბობს — სამი შვილი ჰყავს და ამ გაჭირვებაში მეოთხეს რაღას ეჭიდება, რაში სჭირდებაო?!. აუცილებელია, მილიონერი ვიყო, რომ ბევრი შვილი მყავდეს?! მერე რა, რომ გლეხები ვართ!.. მთელმა სოფელმა იცის, როგორი შვილები დავზარდე?!.

— როგორც ვიცი, ვალერის აღმზრდელებმა გიჩივლეს...

— გვიჩივლეს — ბავშვს რატომ უთხარით, ნაშვილები ხარო? ციხეში ჩაგსვამთო! — დაგვემუქრნენ. ჩვენი ადვოკატი ყველაფერს აკეთებს სიმართლის დასადგენად. ამას წინათ, მოვიდა ცოლ-ქმარი და თან ვიღაც მოწმე მომიყვანა — ეს ქალი იქ იყო, წნორის ბაზარში რომ ვიყიდე ბავშვიო. ფატის ვუთხარი — აბა, ერთი შეხედე ჩემს შვილებს და ვალერის, ამას გენეტიკური ანალიზი უნდა?! შეხედე, როგორ ჰგვანან ერთმანეთს; შენ ხომ არ იცი, რას ნიშნავს შვილი, არ იცი, რას ნიშნავს ფეხმძიმობა; შვილი ხომ ღმერთის საჩუქარია და შენ თუ არ გეღირსა ეს ბედნიერება, მე რატომღა გამაუბედურე, შვილი გულიდან რატომ მომგლიჯე-მეთქი?!. რომ მიჰყავდათ, ვალერიმ ტირილი დაიწყო, — აქ, თქვენთან მინდა დარჩენაო. ჭიდაობას ხომ არ დავიწყებდი — არა, ჩემი შვილია და ჩემთან უნდა დარჩეს-მეთქი, ხომ არ გავგლეჯდით ბავშვს შუაზე! მეცოდება... ის კი ვუთხარი — დაიმახსოვრე, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ვიბრძოლებ, რომ დედმამიშვილებთან დაგაბრუნო-მეთქი. ისე საცოდავად მიყურებდა, თითქოს შველას მთხოვდა. ახლა შეიძლება, დააკავონ, მაგრამ 20-25 წლისასაც სახლში ხომ ვერ გამოკეტავენ?!

— ერთი წუთით მაინც თუ უშვებთ იმას, რომ გენეტიკური ანალიზის პასუხი უარყოფითი იქნება? რატომ იკავებთ თავს ექსპერტიზისგან?

— თუ ექსპერტიზის პასუხები არ გაყალბდება და თუ ამ ქვეყანაზე კიდევ არსებობს სამართალი, ვიცი, რომ არ ვტყუი! მეშინია, პასუხები არ გაყალბდეს და ამიტომაც ვითხოვ შველას ყველასგან ვისაც ეს შეუძლია — დამეხმარონ ჩემი შვილის დაბრუნებაში!.. ერთხელ, ვალერის ვუთხარი — მეცოდება დედაშენიც-მეთქი... იცით, რა მიპასუხა? შენ ვინ შეგიცოდა ან მე ვინ შემიცოდა, ყველას თავისი პასუხი მოეთხოვებაო!.. ამ ცოდვისთვის მართლა ყველას მოეკითხება პასუხი!

P.S. *კითხვებზე, რომლებიც ქალბატონ მანანას აწუხებს, დრომ და მართლმსაჯულებამ უნდა გასცეს პასუხი. მანამდე კი ერთს ვიტყვით — რაიონში ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ როგორც იტყვიან — ძალა აღმართს ხნავს — და არაერთი საჩივარი კვლავაც ქაღალდზე რჩება...*

ალბათ, მოკლე ხანში, გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნაც მზად იქნება — ამის შესახებ თავად ქალბატონმა მანანამ შეგვატყობინა. ჩვენ კი აუცილებლად გაცნობებთ, როგორ განვითარდება მოვლენები და დაუბრუნდება თუ არა ვალერი თავის მშობლებს.

■

საკუთარი ოჯახის ბოლი სხვის ცეცხლსა სჯობია.

ხალხური

ფრაზეებ

გენიალური

ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე იღბლიანები...

ყველაზე ძვირად ღირებული საშინაო რობოტი

2000 წლის 23 იანვარს, იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში, კომპანიამ — „ჯეპენიზ თემზ“ — გასაყიდად გამოიტანა რობოტი — TMSUK IV. ამ მოდელის წონა 82 კგ-ს, სიმაღლე — 1,2 მ-ს, ხოლო ფასი — 44.800 დოლარს (დღევანდელი კურსით, ეს თანხა 49.508 დოლარს გაუტოლდა) შეადგენს. რობოტს, რომელიც ტელეფონით იმართება, მარტივი დავალებისა და მასაჟის შესრულებაც კი შეუძლია.



უმაღლეს წერტილზე მანქანით

ფოლკსვაგენ ტაურეგ SUV-ის საჭესთან მსხდომი რაინერ ზიტლოუ და რონალდ ბორმანი (ორივე — გერმანია) საკუთარი მანქანით 6081 მ სიმაღლეზე ავიდნენ. ეს, 2005 წლის 29 იანვარს მოხდა.

რეკორდსმენებმა მანქანით არგენტინისა და ჩილეს საზღვარზე მდებარე ვულკანი — ოხოსდელ-სალადო დალაშქრეს. წერტილი, სადამდეც მათ ავტომობილით მიაღწიეს, უფრო მაღლა მდებარეობს, ვიდრე ევერესტის ალპინისტთა საბაზო ბანაკი (5500 მ) და აფრიკის უმაღლესი მწვერვალი — კილიმანჯარო (5895 მ).



ჩქაროსნული სავარძელი

ბრიტანელმა ედ ჩაინამ (ფოტოზე) და მისმა თანამემამულემ დევიდ დევენპორტმა მოტორიზებული ავეჯი — მათ შორის, საწოლები და აბაზანები დაამზადეს. მათ შორის ყველაზე სწრაფმავლად, 1,3 ლ სამუშაო მოცულობის ძრავათი აღჭურვილი დივანი წარმოადგენს, რომელიც 140 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს. მოწყობილობაზე გაცემულია ლიცენზია, რომელიც ინგლისის ტრასებზე გადაადგილების უფლებას იძლევა. შექმნის დღიდან, მას უკვე 10 ათას 8,5 კმ აქვს გავლილი.

| | | |

სტივ ფოსეტი

ამერიკელი სტივ ფოსეტი (ფოტოზე — მარცხნივ) — პირველი ადამიანია, რომელმაც კომპანია „სქეილდ კომპოზიტეს“ თვითმფრინავით (აშშ) ისე შემოუფრინა დედამიწას, რომ საფრენ აპარატში საწვავის დამატებით ჩასხმა არ დასჭირვებია. მან 2005 წლის 1-ელ მარტს, ქალაქ სალინში (კანზასის შტატი) აიღო სტარტი და ამავე ქალაქში 3 მარტს დაეშვა მიწაზე. ფოსეტმა დედამიწას „ვერჯინ ატლანტიკ გლობალ ფლაიერის“ თვითმფრინავით შემოუფრინა, რომელიც მხოლოდ ერთი ტურბორეაქტიული ძრავათია აღჭურვილი, გადაფრენას კი თითქმის 5 ტ საწვავი დასჭირდა.



— იქნებ, თქვენი პირველი რეკორდი გაიხსენოთ.

— ეს იყო მაშინ, როცა 1993 წლის სექტემბერში, იალქნიანი ნავით ირლანდიას შემოვუარე. წინა რეკორდი 72 დღეს შეადგენდა, მე კი იგივე მანძილი 45 დღეში დავფარე.

— როგორ ემზადებით ხოლმე მოგზაურობისთვის?

— ბევრს დავრბივარ და ვცდილობ, ყოველდღიური ვარჯიში არასდროს ჩავაგდო. ზოგჯერ, სიმაღლესთან დაკავშირებული აკლიმატიზაციის გავლა მიწევს. „ვერჯინ ატლანტიკ გლობალ ფლაიერით“ გადაფრენის წინ, სპეციალური — თავისუფალი რადიკალების დაბალი შემცველობის დიეტას ვიცავდი.

— თქვენს სამომავლო გეგმაზე რას გვეტყვით?

— პლანერით სტრატოსფერომდე მიღწევა მსურს. კოსმოსური სკაფანდრი მჭირდება, ამიტომ კვლავ ნასასთან (ამერიკის ავიაკოსმოსური სააგენტო) ერთად ვიმუშავებ. პლანერით სიმაღლეზე ფრენის ამჟამინდელი რეკორდი 15000 მ-ს შეადგენს.

— ვის მიიჩნევთ გმირებად?

— სახელოვან პოლარულ მკვლევარებს — შეკლტონსა და ნანსენს.

— ყველაზე დიდი ხიფათი როდის შეექმნა თქვენს სიცოცხლეს?

— 1998 წელს, როცა ჩემი საჰაერო ბურთი 8800 მ სიმაღლეზე ჭექა-ქუხილში მოყვა.

— განსაკუთრებით რომელი რეკორდით ამაყობთ?

— საჰაერო ბურთით დედამიწის გარშემო პირველი მოგზაურობით. ამაზე 8 წლის მანძილზე ვმუშაობდი და რეკორდის დამყარება მხოლოდ მეექვსე ცდაზე მოვახერხე. ბოლოს და ბოლოს, უნიკალური გამოცდილება შევიძინე, რაც ერთი კაცის მიერ საჰაერო ბურთის მართვისა და ფრენის სიძნელეების დაძლევაში მდგომარეობს.

უდიდესი დამუშავებული ალმასი

მსოფლიოში უდიდესი დამუშავებული ალმასი — „ფენსი ბლეკ“ („შავი საოცრება“), წვრილ-წვრილ წითელ კრისტალებთან ერთად, 555,55 კარატს იწონის. 2004 წლის ივნისისთვის, მას 55 წახნაგი ჰქონდა. ეს სამუშაო, ბელგიელი რან გორენშტეინის დაკვეთით შესრულდა. 5-იანის გამეორებას მუსლიმანური სამყაროსთვის გარკვეული საკულტო მნიშვნელობა აქვს.



ყველაზე მეტი ბურთი ხახაში

ეს რეკორდი 2003 წლის 6 ივლისს დაამყარა ოქროსფერმა რეტრივერმა ოჯიმ — აშშ-ის ქალაქ დალასში მცხოვრები, მილერების ოჯახის ძაღლმა, რომელმაც ხახაში 5 ჩოგბურთის ბურთის დაჭერა მოახერხა.

...ის	გრიპის გამომწვევი	მწერალი ... ბუდაძე	$2^3=?$	ლოცვა, რომელსაც ეკლესიას გარს უვლიან	საყვავილე	ბოსტნეული	ფეხით გასასვლელი ადგილი მდინარეზე
							
...ვითმფრინავში, ... ყუთი	მცირე არხი	ალიყური	მამაკაცის ქვედა სამოსი	სხეული ხელ-ფეხის გარეშე	მძარცველი, ყაჩაღი	მ/ფ „შერეკილები“ პერსონაჟი	

ანტივირუსული ეფექტი

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ვირუსი ლათინურად შხამს ნიშნავს. ზოგჯერ ვირუსები ათწლეულების განმავლობაში ცხოვრობს ჩვენს ორგანიზმში ისე, რომ თავს არაფრით ავლენს. მაგრამ გარკვეულ პირობებში ისინი აქტიურდება და ბევრ უსიამოვნებას გვაყენებს.

დღეისათვის, 500-მდე ვირუსია გამოვლენილი. ზოგიერთი მათგანი — როგორებიცაა: ყვავილი, წითურა, ტრაქომა, პოლიომიელიტი — მედიცინამ უკვე დაამარცხა. სამწუხაროდ, მსგავსი მიღწევით თანამედროვე მედიცინა ვერ იამაყებს სხვა ინფექციების — სასქესო და კანის ჰერპესის, ლიქენის, პაროტიტის, გრიპის, ვირუსული პანკრეატიტის, ჰეპატიტის, მწვავე რესპირატორული ინფექციისა და ბევრი სხვა ვირუსული პათოლოგიის შემთხვევაში.

ვირუსული დაავადებები უმეტეს შემთხვევაში, გადაღლისა და იმუნიტეტის შესუსტების დროს მწვავდება. არსებობს ისეთ ვირუსთა ჯგუფი, რომლებიც სწრაფად მრავლდება გაცივებისა და ალერგიულ ფაქტორთა ზემოქმედებისას. ვირუსული ინფექციების გამწვავების მთავარი პროვოკატორი გაცივებაა, რაც მეტისმეტად დათბილული, „სათბურისებრი“ ცხოვრების წესის შედეგია.

დადგენილია, რომ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, წელიწადში 200 საათი მაინც უნდა დავყოთ ბუნებაში, ჩვენ კი საშუალოდ, მხოლოდ 80 საათს ვატარებთ ჰაერზე. სამაგიეროდ, ოპტიმალურზე 20%-ით უფრო თბილად ვიცვამთ და თანაც, თბილ შენობებში ვიმყოფებით, კონტრასტული შხაპითა და ტანის დაზელით სხეულის გაკაჟებისთვის კი არ გვცალია, უფრო ზუსტად — ამის სურვილი არ გვაქვს. სხვათა შორის, გრილი წყლის გადავლება (თუნდაც, წელს ზემოთ) 2 წუთის განმავლობაში, პირველ ადგილს იკავებს გამაჯანსაღებელ პროცედურებს შორის. მნიშვნელოვანია მსუბუქად ჩაცმა, უფეხსაცმლოდ სიარული ოთახში, თბილ ამინდში კი — ბალახზე.

თუ თქვენ მაინც დაგემართათ ვირუსული ინფექცია, იზრუნეთ იმაზე, რომ დაავადება არ გადავიდეს ქრონიკულ ფორმაში. ეცადეთ, მიიღოთ ზომები იმისთვის, რომ ოჯახის წევრებს არ გადაედოთ ინფექცია. მიიღეთ ხახვისა და ნივრისგან დამზადებული ხალხური სამკურნალო პრეპარატები.

ხალხური მედიცინა გაცივებისას, სამკურნალო საშუალებად, უძველესი დროიდან იყენებდა თეთრი ტირიფის ქერქსა და გრაკის ხეს (გრაკლას), რომლებიც სალიცილს შეიცავს.

კავკასიაში გრაკლის ხის ფოთლებისა და ყვავილების ჩაი გამოიყენება. საქართველოში ეს მცენარე ამჟამად ჯაგეკლიან ველებზე, კლდის ფერდობებსა და ფოთლოვან ტყეებში გვხვდება. ის დაბალ ბუჩქს წარმოადგენს, აქვს კიდედაკბილული ფოთლები, ხუთწვერიანი თეთრი ყვავილები, რომლებსაც ქოლგის ან ფარის მსგავსი ფორმა აქვს. ნაყოფი პატარა ზომის ფოთლურებია.

ნაყენის მოსამზადებლად, 1 ჩაროზის კოვზ ნედლეულს ასხამენ 1 ლიტრ მდუღარე წყალს და სვამენ თითო ჭიქას, სამჯერ დღეში თბილ-თბილს.

გრაკლის ხისგან საკმაოდ გემრიელი ნაყენიც მზადდება. ამ მიზნით, მისი ყვავილების 2 ს/კ-ს ასხამენ 0,5 ლ არაყს, ამატებენ 10 გ შაქარს, ათავსებენ ბნელ ადგილას 2 კვირით, შემდეგ, გადაწურავენ და იღებენ 50 გ-ს ჭამის წინ.

■

რომ არ გამოგვეპაროს...

რომელი სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებაა საჭირო იმისათვის, რომ საშიში დაავადება არ გამოგვეპაროს და იგი დასაწყისშივე აღმოვაჩინოთ? აშშ-ის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის სპეციალისტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები სხვადასხვა ასაკის ადამიანებისთვის.

20-დან 40 წლამდე

● ამ პერიოდში, ორჯერ მაინც უნდა ჩაიტაროთ ზოგადი სამედიცინო გამოკვლევა ექიმის მეთვალყურეობით. პირველი ვიზიტისას, აუცილებლად შეიმოწმეთ სისხლში ქოლესტერინის დონე. თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები და ქრონიკული დაავადებები არ გაქვთ, სისხლის სხვა ანალიზები აუცილებელი არ არის;

● წელიწადში ერთხელ ესტუმრეთ სტომატოლოგს;

● თუ მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები გაგიჩნდათ, მისი შემოწმება ორ წელიწადში ერთხელაა საჭირო;

● ყოველწლიურად შეიმოწმეთ არტერიული წნევა;

● მამაკაცებმა ყოველთვიურად უნდა ჩაიტაროთ თვითგამოკვლევა, რათა არ გამოეპაროთ სათესლე ჯირკვლების კიბოს საწყისი ეტაპი;

● ქალებმა ყოველთვიურად დამოუკიდებლად უნდა გაისინჯონ სარძევე ჯირკვლები; გარდა ამისა, წელიწადში ერთხელ უნდა გაიარონ გამოკვლევა გინეკოლოგთან და ჩააბარონ ნაცხი ცერვიკალური (საშვილოსნოს ყელის) კიბოსა და სხვა დაავადებების სადიაგნოსტიკოდ; თუ ზედიზედ სამი წლის განმავლობაში, ნაცხის გამოკვლევის შედეგები კარგია, მაშინ შემდგომი კვლევა შეიძლება უფრო იშვიათად — ორ-სამ წელიწადში ერთხელ ჩაიტაროთ.

40-დან 50 წლამდე

● გააგრძელეთ ყოველწლიური ვიზიტები სტომატოლოგთან;

● იმის მიუხედავად, გაქვთ თუ არა მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები, ორ წელიწადში ერთხელ ესტუმრეთ ოკულისტს; 45 წლის შემდეგ საჭიროა შემოწმება გლაუკომაზე;

● გააგრძელეთ არტერიული წნევის გაკონტროლება;

● თუ სისხლში ქოლესტერინის დონე ნორმალურია, მაინც განაგრძეთ მისი შემოწმება ხუთ წელიწადში ერთხელ;

● მამაკაცები განაგრძობენ სათესლე ჯირკვლების თვითგამოკვლევას, ქალები — სარძევე ჯირკვლებისას, ამასთან ერთად, სტუმრობენ გინეკოლოგს;

● 40 წელზე მეტი ხნის ქალები ყოველწლიურად იკეთებენ მამოგრამას, მკერდის კიბოს გამორიცხვის მიზნით;

● 45 წლის ასაკში, ყველამ უნდა ჩაიტაროს დიაბეტის ტესტი.

50-დან 60 წლამდე

● განაგრძეთ ყოველწლიური ვიზიტი სტომატოლოგთან;

● პერიოდულად გაიზომეთ სისხლის წნევა;

● ორ წელიწადში ერთხელ შეიმოწმეთ მხედველობა;

● თუ ქოლესტერინის დონე ნორმალური გაქვთ, შეიმოწმეთ იგი ყოველ მე-5 წელს;

● სასურველია, თერაპევტის კონსულტაცია ყოველწლიურად ან რამდენიმე წელიწადში ერთხელ მაინც;

● 50 წლის შემდეგ მამაკაცებმა ყოველწლიურად უნდა ჩაიტარონ სწორი ნაწლავისა და წინამდებარე ჯირკვლის გამოკვლევა;

● ყოველწლიურად გაიკეთეთ განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე.

● 50 წლის შემდეგ, გრიპის მოსალოდნელი ეპიდემიებისას უნდა გაიკეთოთ გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია;

● ისევ ძალში რჩება სათესლე და სარძევე ჯირკვლების თვითგამოკვლევის აუცილებლობა;

● სამ წელიწადში ერთხელ, შეიმოწმეთ სისხლი შაქარიან დიაბეტზე.

60 წლის შემდეგ

● განაგრძეთ ყოველწლიური ვიზიტი სტომატოლოგთან;

● რეგულარულად იმოწმეთ წნევა;

● ორ წელიწადში ერთხელ, შეიმოწმეთ მხედველობა;

● ყოველწლიურად შეიმოწმეთ სმენა;

● თუ ქოლესტერინი მანამდე ნორმაში გქონდათ, განაგრძეთ მისი შემოწმება სამ წელიწადში ერთხელ;

● სიმსივნის გამორიცხვის მიზნით, 5 წელიწადში ერთხელ უნდა გაკეთდეს რექტომანოსკოპია (სწორი და სიგმოიდური ნაწლავების გამოკვლევა ენდოსკოპიით;

● ქალებმა ყოველწლიურად უნდა გაიკეთონ მამოგრაფია, ესტუმრონ გინეკოლოგს და აიღონ ნაცხის ანალიზი;

● სასურველია, გრიპის საწინააღმდეგო აცრები ყოველწლიურად;

● შეიმოწმეთ სისხლში გლუკოზის შემცველობა სამ წელიწადში ერთხელ.

P.S. *ასეთია რეკომენდაციები ამერიკელებისათვის. ჩვენში კი, არათუ დაავადების პროფილაქტიკისათვის, არამედ უკვე განვითარებული სერიოზული პათოლოგიების დროსაც, ხშირ შემთხვევაში, ავადმყოფი ვერ ახერხებს სათანადო გამოკვლევასა და მკურნალობას. და მაინც, ვინაიდან მკურნალობა ყოველთვის უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე დაავადების პროფილაქტიკა, იქნებ ჯობდეს, გარკვეული პერიოდულობით მაინც ჩავიტაროთ ზოგიერთი ზემოთ აღნიშნული პროფილაქტიკური კვლევა.* ■

ქალის სილამაზის საიდუმლო

ინგლისელმა ფსიქოლოგებმა ამოხსნეს ქალის მიმზიდველობის საიდუმლო. მამაკაცებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ ქალები, რომელთაც სისხლში ქალური სასქესო ჰორმონების — ესტროგენების დიდი რაოდენობა აღენიშნებათ.

ფსიქოლოგიური ლაბორატორიის მეცნიერთა ჯგუფმა გადაიღო 18-დან 25 წლამდე 59 ქალის ფოტოპორტრეტი და შემდეგ განსაზღვრა მათში ქალური ჰორმონების დონე. ამის შემდეგ, მეცნიერებმა გამოჰკითხეს 30 მოხალისე — 15 მამაკაცი და 15 ქალი. მათ სთხოვეს, შეეფასებინათ, თუ რამდენად მომხიბლავები არიან ფოტოსურათებზე გამოსახული ადამიანები. გამოკითხულებმა უპირატესობა მიანიჭეს ქალებს, რომელთაც უფრო მაღალი ჰქონდათ ესტროგენების დონე. ამ ფოტოსურათებზე აღბეჭდილები უფრო ქალურები იყვნენ. მათ შედარებით დიდი თვალები, მსხვილი ტუჩები, პატარა ცხვირი და ნაკლებად განვითარებული ყბის ძვლები ჰქონდათ.

მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული მხარეა. სინამდვილეში, გამოკვლევის შედეგებმა მამაკაცური არჩევანის ევოლუციური შინაარსი აღმოაჩინა. როდესაც მამაკაცი ირჩევს ქალურობის მქონე, სუსტი სქესის წარმომადგენელს, სინამდვილეში, ის ირჩევს უფრო ფერტილურ ქალს, რომელსაც ესტროგენების სიჭარბის გამო, ბავშვის ჩასახვის, ორსულობისა და მშობიარობის მეტი უნარი აქვს და მაშასადამე, მას უკეთ შეუძლია გვარის გაგრძელება...

ასე რომ, ესტროგენების შემცველობასთან პირდაპირ კავშირში ყოფილა არა მხოლოდ ფერტილურობა, არამედ მიმზიდველობაც. კარგადაა ცნობილი, რომ ეს ჰორმონები გავლენას ახდენს მკერდისა და ტიპური ქალური ფიგურის (ვიწრო წელისა და განიერი თეძოების) ფორმირებაზე. მაგრამ ისინი თურმე, გარეგნობაზე უფრო ძლიერად მოქმედებს: ესტროგენები, კანზე ზემოქმედებისას, მას ნაზსა და გლუვს ხდის, ძვლებზე ზეგავლენისას კი, აფერხებს მათ ზრდას და არ აძლევს საშუალებას, ისეთივე დიდი ზომის გახდეს, როგორიც მამაკაცის ძვლებია. სწორედ ამით აიხსნება, რომ ქალებს ნაკლებად განვითარებული ყბები და პატარა ცხვირი აქვთ. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

1. ქავი ციხის გალავანია.
2. სიქადული და სიამაყე სინონიმებია.
3. პავიანები მებრძოლები და მკვლელები არიან.



4. ენტონი ჰოპკინსის მშობლები პურის მცხობლები იყვნენ.
5. შენობის ზედა სართულს საქართველოში ძველად ქორედი ერქვა.
6. ცუცქი უკანალს ნიშნავს. აქედან წარმოდგება სიტყვა „ჩაცუცქვა“.
7. ხვაშიადი სპარსული წარმოშობის სიტყვაა და საიდუმლოს, გულისნადებს ნიშნავს.
8. „ბოინგის“ ქარხანა მარტო ელექტროენერგიაში წელიწადში 22 მილიონ დოლარს იხდის.
9. ლეგენდარული საბჭოთა მფრინავი ვალერი ჩკალოვი მოხალისედ შევიდა წითელ არმიაში.
10. „წიგნი ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ მკითხველს ტელევიზორი გამოართვევინოს“, — ამბობს ჭაბუა ამირეჯიბი.
11. ქართლ-კახურ ჩოხას უსარტყლოდ ატარებდნენ. საჩოხედ მეტწილად ქართული, დაღესტნური და ოსური შალი იხმარებოდა.
12. ელვის პრესლი ძალზე გულუხვი ადამიანი იყო. ერთხელ ვიღაც ნაცნობს გულთბილი მოკითხვის პასუხად, საკუთარი ავტომობილი — „პონტიაკი“ აჩუქა.
13. ლოდების სატყორცნ მანქანას, რომელსაც ქართველები ძველად, ბრძოლებში ციხესიმაგრეების დასანგრევად იყენებდნენ, ფილაკვანი ერქვა.
14. „ვსე მუშჩინი ადენაკავიე, დვე რუკი, დვე ნაგი ა პო სერედინე სვოლაჩ!“ — ამბობენ რუსი ქალები.
15. „ალიო, ვი კტო, როკფელერ?! ია ვას ნე უზნალ, ბუდიტე ბაგატი!“ — ტელეფონის ყურმილს ჩაჰკიოდა საესტრადო სცენაზე მსახიობი კლარა ნოვიკოვა.
16. „სჯობს პასტერიზებული რძე იყოს მაცივარში, ვიდრე ძროხა — სამზარეულოში!“ — ასეთი გახლავთ უცოლო მამაკაცების დევიზი.
17. მადამ ტიუსოს მუზეუმში ცვილის ფიგურის დამზადებას ნახევარი წელი უნდებიან. ერთი ფიგურა საშუალოდ 30.000 გირვანქა სტერლინგი ჯდება.
18. „არ არსებობს ისეთი ცუდი მდგომარეობა, რომლისგანაც პოლიტიკოსებმა უარესის შექმნა ვერ შეძლონ,“ — ამბობს ირლანდიელი დრამატურგი ბრენდან დიჰანი.
19. ნიურნბერგის პროცესზე 11 გან-

სიზმრად ქცეული ცხოვრება და ახალი წელი...

ინგა ჯაყელი

ჩემს რაჟიკო ბიძიას, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, კიდევ ერთი დასაფასებელი თვისება აქვს: საშობაო ღორს ისე კლავს, რომ განწირულ კიკილს კი არა, დაჭყვიტინებასაც ვერ ასწრებს ის საცოდავი და „ბედნიერი“ — „გაღიმებული“ ტოვებს წუთისოფელს...

— არ გადამრიო! ღორის ღიმილი სად გაგონილა?!. — ვასავსავებ ხელებს და ვცდილობ, კვალში ჩავუდგე დათვივით დაკუნთულ, ბაჯბაჯით მიმავალ კაცს, რომელსაც იღლიაში ალესილი დანები აქვს ამოჩრილი და ცოლოურს მიიჩქარის, საგანგებო მიწვევით საშობაო ღორის დასაკლავად.

— წამო, წამო და შენი თვალით ნახავ, რავარი „ნათელიც“ გოდოუვა გატრუსულ ცხვირ-პირზე. ღორის დაკვლაც ხელოვნებაა და მართალია, დიპლომს არა, მარა ცოდნას ნამდვილად მეითხოვს. თუ იცი, რა საცოდაობას მაყურებიეს გუშინ, ჩემი ქალაქელი ბიძაშვილის შვილებმა?.. დოუტენიათ თოფი დათვის ტყვიით და სხვაფრად რომ ვერ გააკავეს საცოდავი პირუტყვი, რეჯგვეს შორიდან! არადა, ვერც ის მოარტყეს ზუსტად. გედეირია ღორი და აქეთ გამეეკიდა ამ ცოდვის შვილებს! ერთმანეთს ახტებოდენ კიკილით; რომ არ მიმესწრო, დაგლეჯდა, რომელსაც მიეწეოდა. რაღას ვიზამდი?! ევიღე თოფი და ვესროლე დამიზნებით. შადრევანივით გაასხა სისხლმა... გადამყვენ თან — შენ ხარ ჩვენი მხსნელიო! — მარა არ დავრჩი: თოფით მოკლულ ღორს რავა დავაკარებდი პირს?!.

— ვითომ რა უჭირდა? — არ მესმის მე.

— იმას რომ უჭირდა, იმფერს მტერსაც არ ვუსურვებ. ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს, ძმისშვილო, არ გოუგია ჩვენს გვარსა და ჯილაგში ვინმეს, თოფით მოკლული ღორი და არც მწამს მისი რამე!

...რაჟიკო ბიძიას ცოლოურს, მოყვარული ცოლისძმების გარდა, 90 წელს მიტანებული სიდედრი — სონა ბებოც ელოდა, რომელსაც ყოველთვის ძალინ უხაროდა სიძის დანახვა, მაგრამ რაჟიკო ბიძიას რატომღაც არ სჯერა მისი გულწრფელობის:

— სად გეიგონე, გოგო, შენ, სიდედრს სიძის დანახვა უხაროდეს?!. ჩემი სიხარული თუ უნდა, 90 წელს კი არ იცოცხლებდა!.. აგერ ნახავ, წინ თვარ გემიძღვანიოს და მომინელოს. ჩემზე უკეთ ახსოვს ყველაფერი. სხვათა შორის, წლევანდელ ახალ წელს, 70 წელი გახდა, რაც გათხოვდა და აღნიშვნას აპირებს...

— ახალ წელს ჰქონდა ქორწილი?

— სწორედაც ახალ წელს, მარა სანამ არ გახსნილდა, არ მოგვცა ქეიფის ნება და ამაღამ იქნება, რაც იქნება!..

...მოკლედ გეტყვით, რომ რაჟიკო ბიძიამ მართლაც ვირტუოზულად დაკლა ღორი: მუჭით სიმინდი დაანახვა და ბავშვივით დაუყვავა, ჯერ ყურის ძირში დაუწყო ფხანა, მერე ნელ-ნელა მუცლისკენ ჩაჰყვა:

— კი არ გეწყინოს ახლა შენ ჩემგან ეს ამბავი; რას ვიზამთ — ყველას რაცხა გვევალება წუთისოფელში და საშობაოდ რომ არ გვჭირდებოდე, ამდენს ვინ გაცლიდა მზის და ცის ყურებას?! რავარც შენი დაძმა დატკვირეს თოთოობაში, შენც ისე უდროოდ მეგესპობოდა სიცოცხლე!..

ღორი გაინაბა, დაბარბაცდა და ნებიერად მიწვა წინასწარ დაგებულ გაშლილ ცელოფანზე. რაჟიკო ბიძიას სეფე ბიძია ჩაენაცვლა ფხანაში და მართლა ისე გამოუსვეს ღორს ყელში ალაპლაპებული დანა, რომ ერთიც არ დაუჭყვიტინია...

— ა, მოდი და ნახე, თუ არ იღიმებს! — ხელი დამიქნია რაჟიკო ბიძიამ და დაამატა: — იმფერი ბედნიერი სახე აქვს, უკვე შეხვდა ალბათ, დედ-მამას და წინაპრებს...

სანამ „შავ სამუშაოს“ უტრიალებდნენ, მე თავიდან მომიშორეს და არც ბევრი ვახვეწნინე — სასტუმრო ოთახში შევედი და ნეტარებით მივეფიცხე აგიზგიზებულ ბუხარს. სონა ბებოც იქვე იჯდა, შვილიშვილების მიერ დედაქალაქიდან საგანგებოდ მისთვის ჩამოტანილ სავარძელში და წუხდა: ვაითუ, ბოვშებმა, რავარც საჭიროა, ისე ვერ მოუარონ ღორსო!.. ლამარა ბიცოლას ნათქვამი გამახსენდა: მის ხელში დავბერდით და დღემდე ბოვშებს გვეძახის, ნაკეთებ საქმესაც სულ გვიმოწმებსო!..

სონა ბებოს ცოტა ყურს აკლია და ამიტომ ხმამაღლა ვკითხე:

— გავიგე, ახალ წელს გქონიათ ქორწინების 70 წლისთავი-მეთქი! — და თვალი ბუხრის თავზე დაკიდებული ძველი სურათისკენ გავაპარე, საიდანაც ამაყად გადმომცქეროდა ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ბოხოხიანი და ყურებამდე ულვაშაწკეპილი კაცი. სონა ბებოსაც გაექცა სურათისკენ თვალი და ისეთი ცეცხლი აუციმციმდა თვალებში, 16 წლის შეყვარებულ გოგონებს რომ ახასიათებთ:

— წუხელაც მესიზმრა, ისევ ისეთი იყო — ცეცხლის ნაპერწკლებს ყრიდა თვალებიდან. მოვიდა, მომეხვია, მკოცნა და მკოცნა!.. ხშირად მესიზმრება და ეს მაცოცხლებს. იცი, რა ბიჭი იყო?!. ჩვენი უბნის გოგოები ერთმანეთს ვწიწკნიდით მისი

გულისთვის. ეგ რომ ამეივლიდა და ბრიალა თვალებით გადმოგვხედავდა, გულსუსტებს გული მისდიოდათ... მე არც მთვლიდენ სათვალავში, 15 წლის ვიყავი, უფროსი დები და ბიძაშვილები იდგნენ გასათხოვრების რიგში!.. არადა, მაინცდამაინც მე დამადგა თვალი და გამოაგზავნა მაშვალი. იწყინა მამაჩემმა: ლიდა და ზინა გოუთხოვრები მყავდენ და სონა სახლიდან გავუშვა, რა საკადრისიაო?! უარი შეუთვალა. იქით გრიშუკამ მეიყვანა თურმე გული — მე ქალს ვინ დამიკავებსო! — და ახლა, გალმა სოფელში გოუშვია მაჭანკალი. ეს რომ გევიგე, გადევირიე. თან მოენემ ის

ამბავიც მომიტანა — თანხმობა შემოუთვლიათ, საშობაოდ დოუთქვამთ ნიშნობა და ორი კვირის მერე — ქორწილიო!.. დაჯდნენ ჩემი დები და დასცხეს ტირილი. იმათ ბიძაშვილები შეუერთდენ და გედეირია მამაჩემი: დაგხოცავთ ჩემი ხელით ყველას, რომც ენდომა, ხუთივე ერთად რავა მიყობოდითო?!. მე ისევ არ მაგდებს ვინმე სათვალავში და მომივიდა გული — მასე არ უნდა თქვა!.. — ჩევიცვი, რაც საუკეთესო ვნახე ჩემი დების გარდერობში, ზინას ახალ ბოტებში ვტუცე ფეხი, მევიხვიე ლიდას ქაშმირის შალი და გევიპარე სახლიდან. სულ ტყე-ტყე ვიარე და უკვე ბინდდებოდა, გრიშუკას ეზოს ჭიშკარი რომ შევაღე... დედა ჰყავდა შინ მარტო და სამზადში საქმიანობდა — ახალი წლის დასახვედრად ემზადებოდა. 1935 წელი შემოდიოდა... ოვუარე გვერდი და ის იყო, სახლის კარს მივადექი, რომ დიდი ძაღლი გამოვარდა და ატეხა ყეფა. შემეშინდა, შევკივლე და შევგლიჯე კარი. თურმე, გრიშუკა ტანისამოსს იცვლიდა და ჩოვუვარდი შიშველ კაცს მკლავებში... ისე დეიბნა, თვალები მეიფშვნიტა: დევიჯერო, ისევ მძინავსო?!. დევირცხვინე და ავტირდი, მარა, იმის თქმა მაინც მოვასწარი — თუ მომკლავ, თვარა, აქედან წამსვლელი არ ვართქვა!.. გედირია სიხარულით, მებდღვნა გახარებული და შემაგდო ბურთივით ჯერ კიდევ თბილ ლოგინში... მოკლედ, დედამთილი პურის ცხობას რომ მორჩა და შინ შემოსასვლელად მეიცალა, ჩვენ უკვე ჩოვუდგით სული ბიცოლაშენ თალიკოს, რომელიც ზუსტად ცხრა თვისთავზე დეიბადა იმ ამბის მერე!.. ახალი წელი ქორწილად გვექცა. ცოტა ხანს კი გამებუტენ დები და მშობლები, მარა, მალევე მეიბრუნეს გული. რავა ვთქვა, თვარა ჩემი გრიშუკას ხვევნა-ალერსი რომ მახსენდება, რომ დამჭირდეს, ერთხელ კი არა, ათასჯერ გავცვლიდი მშობლებსაც და ყველა ნათესავსაც მის ერთ მოფერებაში! — დაასრულა თხრობა სონა ბებიამ და კიდევ უფრო დაუწია ხმას: — ჩემი ცოდვით წოუვიდა ისთე გლახათ საქმე გიტლერს! რა ომი ეიტეხა, აპა! გამომგლიჯა ხელიდან ორმოცდაერთში ჩემი ქმარუკა და მას მერე, კაცს მხოლოდ სიზმარში ვნახულობ. ვინ იცის, რამდენჯერ დამსიზმრებია ის ახალი წელი, ტყე-ტყე რომ გავრბოდი სიყვარულთან შესახვედრად?!. 5 შვილი გავზარდე მარტომ და გრიშუკას დანატოვარმა სითბომ შემაძლებინა ეს, მისი სუნის გახსენებაზე, ახლაც ჟრუანტელი მივლის ტანში...

...გაიშალა, მაგრამ რა სუფრა გაიშალა! უამრავი ნათესავი და მოყვარე შეიყარა ერთად. თამადად რაჟიკო ბიძია აირჩიეს, როგორც უფროსი და საამაყო სიძე. მანაც განსხვავებული სასმისით შესვა „მოძალადე“ სიდედრის სადღეგრძელო: სონას რომ არ ემარჯვა, მე რა მენაღვლებოდა, მაგრამ თქვენი ბუნდღაც არ იქნებოდა აქაო! — ნიშნის მოგებით გადახედა მოხუცის მონაგარს, რომლებიც თავს დასტრიალებდნენ მოგონებების მორევში ჩაძირულ სონა ბებოს, რომელიც ხშირ-ხშირად აპარებდა ცრემლიან მზერას, ბუხრის თავიდან მომზირალი მეუღლისკენ!..

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის „უბის წიგნაკიდან“:

სასჯელს მიუსაჯეს ჩამოხრჩობა. აქედან ერთმა (გერინგმა) თავი მოიკლა. განაჩენის სისრულეში მოყვანას უფროსი სერჟანტი ვუდსი ხელმძღვანელობდა. ჩამოხჩობილთა გვამები დახაუს ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკის ღუმლებში დაწვეს. ცხედრები ისეთივე გზით გაანადგურეს, როგორითაც მანამდე ფაშისტები გაზის კამერებში დახოცილ ებრაელთა გვამებს ანადგურებდნენ.

20. „მოხუცებს უყვართ კეთილი რჩევების მიცემა, რადგან ცუდი მაგალითის ჩვენება აღარ ძალუძთ“, — ამბობდა ფრანსუა დე ლაროშფუკო.

21. ხო ში მინის სხეულის ბალზამირებისათვის ორი რუსი სპეციალისტი მიიწვიეს საბჭოთა კავშირიდან. ერთ-ერთი მათგანი, 1924 წელს, ლენინის ცხედრის ბალზამირებაში იღებდა მონაწილეობას.

22. რომის პაპი რომ გარდაიცვლება, მისი სიკვდილის დამოწმებას თავისი პროცედურა აქვს. უმაღლესმა კარდინალმა მას სამჯერ უნდა მოუხმოს სახელით და ვერ მიიღოს პასუხი. შემდეგ სარკეს მიუტანენ ცხვირთან და აკვირდებიან, დაიორთქლება თუ არა სუნთქვისგან. შემდეგ პატარა ხის ჩაქუჩს მსუბუქად ურტყამენ შუბლში, რის შემდეგაც თითიდან ხსნიან პაპობის დამადასტურებელ ბეჭედს. ბუხარში ინთება ცეცხლი, რომელიც თეთრად ბოლავს. საბუხრე მილიდან ამოსული თეთრი კვამლი კი მრევლს პაპის გარდაცვალებას ამცნობს.

23. ერიქსონი ასტრიდ ლინდგრენის ქალიშვილობის გვარია. მისი ქმარი სტურე ლინდგრენი ვერასდროს იფიქრებდა, მისი ცოლი თუ მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულს გახდიდა მის გვარს.

24. როდესაც აკა მორჩილაძეს ლიტერატურული პრემია „საბა“ გადასცეს, სამადლობელ სიტყვაში მოკლედ განაცხადა: „მე ბევრი ჭკვიანური ლაპარაკი არ ვიცი, მაგრამ მადლობის გადახდა შემიძლია. პრიზი გამიხარდა! რაც შეეხება ფულად პრემიას, ის ჩემს მევალეებს გაუხარდათ!“

25. ერთხელ თელაველი კოლორიტი გეგე სუფრაზე მოხვდა, რომელსაც ტანდაბალი კაცი თამადობდა. თამადამ მოადგილედ გეგე აირჩია, რომელიც მასზე ლამის ორი თავით მაღალი იყო. რამდენჯერაც თამადა წამოდგებოდა, იმდენჯერ მოადგილესაც უწევდა ფეხზე ადგომა. ბოლოს თამადამ სთხოვა, ბრძანდებოდეთ, ბატონო, თქვენ დამჯდარიც ამდგარსა ჰგავხართო.

თუ ფსიქოლოგებს დავუჯერებთ, სტერეოტიპულ აზროვნებას უარყოფითად განწყობილი ადამიანები ამკვიდრებენ და ამას საზოგადოების ჯანსაღი აზრიც ეწირება. მაგალითისთვის: დასვით კითხვა, როგორები არიან დედისერთები და პასუხიც არ დააყოვნებს — ნებიერნი, ეგოისტები, დედის კალთას ამოფარებულები... სინამდვილეში რა ხდება? დედისერთის ფსიქოტიპს „დამსხვრევას“ თავად დედისერთები შეეცდებიან.

ნეკა სებისკვერაძე: ყოველთვის მინდოდა, უფროსი ძმა მყოლოდა

ინგა უბილავა

ამ თემაზე ნეკას სერიოზულად არასოდეს უფიქრია, რადგან არ უგრძნია, რომ დედისერთობა რამეში ხელს უშლიდა ან პირიქით. ინტერვიუში შეიტყობთ, როგორ პასუხობს ნეკა სებისკვერაძე მათ, ვინც ჭორებს უყრის, თითქოს ნაშვილები იყოს.

— როგორ ფიქრობთ, რას უკავშირდება დედისერთას განსაკუთრებულობა?

— აზრი, რომ დედისერთა რაღაცით განსაკუთრებულია, ალბათ იმით არის განპირობებული, რომ მის მიმართ გადამეტებულ სიყვარულს, მზრუნველობას იჩენენ, ზოგჯერ ფანატიკურსაც კი. თავად დედისერთებს ამგვარი ყურადღება უორმაგებს პასუხისმგებლობის გრძნობას. ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ მათ შეუძლიათ არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ სხვებზე ზრუნვაც. ერთი სიტყვით, დედისერთა სულ ამტკიცებს — მარტო ვარ, მაგრამ ძლიერი.

— ეგოიზმის გამოვლენაში რა ეხმარებათ?

— დედისერთების ეგოისტობა, ვფიქრობ, ქართულ ოჯახებში გაბატონებული არასწორი აღზრდის შედეგია. თუ შვილს ჩაუნერგავ, რომ ის ყველაზე მაგარია და თან ერთადერთი, გაუჭირდება იმის გაცნობიერება, რომ შეცდომებს უშვებს. თუმცა, თუ ასტროლოგებს ვენდობით, ეგოიზმი გარკვეულ ზოდიაქოს ნიშნებს კოსმოსიდან აქვთ მონიჭებული.

— ნეკაზე არ უთქვამთ, ეგოისტიაო?

— არ მახსოვს, ასე შევეფასებინე ვინმეს. ჩემი აქტიურობა და მიზანსწრაფულობა მეგობრებს არასოდეს აღუქვამთ არასწორად. მეტის მოპოვების, სხვებზე წინ დგომის, კარიერის გამო არაფერს ვაკეთებ. ცდება, ვინც ასე ფიქრობს. უბრალოდ, დედისერთები თვითდამკვიდრებისთვის უფრო შემართებით იბრძვიან.

— ბევრი დედისერთასგან მსმენია — და-ძმა რომ მყავდეს, გავგიჟდებოდიო ან პირიქით. შენ თუ გიგრძნია მათი საჭიროება?

— ყოველთვის მინდოდა, უფროსი ძმა მყოლოდა. არასოდეს მიფიქრია, რა კარგია, და-ძმა რომ არ მყავს, ყველაფერი ჩემია-მეთქი. არა მგონია, ოჯახში სხვა ბავშვების ყოფნას გაველიზიანებინე ან დავეჩაგრე. მშობლებმა ამწუთასაც რომ გამიჩინონ და-ძმა, ზუსტად ისეთი ვიქნები, როგორიც ვარ — ისევე ვიზრუნებდი საკუთარ თავზე და დიდი სიამოვნებით მოვუვლიდი პატარა და-ძმას.

— შენს დამოუკიდებლობას დედა არ ეწინააღმდეგებოდა, არ ითხოვდა, მისი სურვილების შესაბამისად გეცხოვრა?

— დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ადრეულ ასაკში გამოვამჟღავნე. აბსოლუტურად მარტოსაც მიმოქმედია, გადამიდგამს დაუფიქრებელი ნაბიჯიც, მაგრამ არ მინანია. რა ვქნა, დედიკოს რომ არ მოეწონოს, უარი რომ მითხრას — ამგვარი განცდა არ მქონია. ეს არ ნიშნავს, რომ მათ აზრს არ ვითვალისწინებ ან არ მაინტერესებს, თუმცა საბოლოოდ გავაკეთებ იმას, რასაც გული მკარნახობს.

ჩემზე ამბობენ, ნაშვილებიაო და ამას იმით ხსნიან, რომ ჩემი მშობლები ასაკოვანნი არიან...

— რამდენად ობიექტურია დედისერთას დედა შვილის ნიჭის შეფასებისას?

— დედისერთების დედებს (და არა მარტო მათ), ხშირ შემთხვევაში, კარგ დედობად მხოლოდ შვილზე ფანატიკური ზრუნვა მიაჩნიათ. დარბიან, ეძებენ კარგ სკოლას, კარგ წრეს, მუსიკის მასწავლებელს... ამ დროს ავიწყდებათ, რომ შვილს თავს ახვევენ საკუთარ სურვილებს.

— დედაშენი არ გაქებს? სტიმულიც ხომ არის საჭირო?

— დედა სულ ცდლობს, შენიშვნა მომცეს, გამოსწორებისაკენ მომიწოდოს. ბავშვობაში საყვედურები მაღიზიანებდა. ერთხანს ვფიქრობდი კიდეც, თუ ასეთი ცუდი ვარ, სხვებს რატომღა მოვწონვარ, რატომ მაქებენ-მეთქი?! ყველაფერი ზომიერი უნდა იყოს — შენიშვნაც და ქებაც. დედა მაქებს, მაგრამ მხოლოდ სხვებთან. მის ნათქვამს ზოგჯერ შემთხვევით მოვკრავ ხოლმე ყურს...

— მამას როგორი პოზიცია უჭირავს?

— მამა პირიქით, ცდილობს წამახალისოს. კარგად ხედავს, რომ ზოგჯერ ვცდები, მაგრამ ამას მე კი არა, დედას უმხელს. ეტყობა არ უნდა, გული მატკინოს.

— დედაშენს უნდოდა, მომღერალი ყოფილიყავი? ამას იმიტომ გეკითხები, რომ დედისერთებს ხშირად დედების განუხორციელებელი ოცნებების ახდენა უწევთ.

— დედაჩემს უნდოდა კონსერვატორიაში ჩამებარებინა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს ოდესღაც თვითონვე უნდოდა. სხვათა

ვანიკო თარხნიშვილი: ავადმყოფი დედის შვილიც ავადმყოფია

ინგა უბილავა

წარმოგიდგენიათ გაბრაზებული, ვანიკო თარხნიშვილი? ალბათ ძნელად, მაგრამ დედისერთობის შესახებ დასმულმა კითხვებმა ის სერიოზულად აღაშფოთა. დაასკვნა, რომ დედისერთობა პათოლოგია არ არის და თუკი ვინმეს ასე ეჩვენება, დროა, იზრუნოს თავის ფსიქიკურ მდგომარეობაზე.

— ვანიკო, რომ მითხარი, ტიპური დედისერთა ვარო, რა იგულისხმე?

— ადამიანის პიროვნული ჩამოყალიბება ბავშვობის ასაკში ხდება. ამ დროს კი ნებისმიერი ბავშვი ყველაზე ახლოს დედასთან არის, მით უმეტეს, დედისერთა. რახან დედისერთაზე გადაჭარბებულად ზრუნავენ, ჰგონიათ, რომ სხვანაირია. ყველაფერი აღზრდაზეა დამოკიდებული — დედისერთა ან ზედმეტად განებივრებული, მომთხოვნი ტიპი გამოვა, ტვინის მჭამელს რომ იტყვიან, ისეთი, ან პირიქით.

— რატომღაც საზოგადოება თვლის, რომ ყველა დედისერთა ეგოისტი უნდა იყოს.

— პირადად მე არასოდეს დამიჭერია თავი თავკერძობაში — განსხვავებული ტიპი ვარ, თუმცა ზოგიერთს უთქვამს — ეგოისტურად იქცევიო. იმას, რაც მე მჭირს, არ ვიცი, ეგოიზმი ჰქვია თუ არა — ძალიან მსიამოვნებს სხვისთვის კარგის კეთება, რათა ამით სიამოვნება მივანიჭო უპირველესად საკუთარ თავს. მთავარია, ეგოიზმი არ იყოს ავადმყოფური. პირველობა, ბრძოლა გამორჩეულობისთვის ჩემთვის უინტერესოა.

— დედისერთა ახერხებს გულახდილი იყოს სხვებთან?

— სულ ცოტა, ოცდაათ კაცთან მაინც ვარ გულახდილი, თუმცა აბსოლუტურად გულახდილი ადამიანი არ არსებობს.

— მამასთან როგორი ურთიერთობა აქვთ დედისერთებს?

— ჩემს შემთხვევაში ყველაფერი ფანტასტიკურად იყო და არის. ისე, საინტერესოა ამ თემაზე გამოკითხვის ჩატარება. მეჩვენება, კითხვები იმაზე მიუთითებს, თითქოს დედისერთობა ანომალია იყოს. დედისერთა ჩვეულებრივი ადამიანია. მეტი ყურადღება, მეტი მზრუნველობა და სიყვარული მშობლების მხრიდან, მერწმუნეთ, პიროვნულ პრობლემებს არ აჩენს. ხაზგასმით მინდა ვთქვა, ვისაც დედისერთობა ანომალია ჰგონია, თავად აქვს დარღვეული ფსიქიკა.

— ფსიქოლოგების აზრით, დედისერთა ვაჟებს ოჯახის შექმნისას უჭირთ არჩევანის გაკეთება და ამაში დედები უშლიან ხელს. ეს შეფასებაც მცდარია?

— ფსიქოლოგები ამ დროს ვითომ ფროიდს ეყრდნობიან, მაგრამ არ შეიძლება ფსიქოანალიტიკოსის ნააზრევის პირდაპირ გაგება. ეს კითხვა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დედისერთობაზე უტრირებული შეხედულებაა ჩამოყალიბებუ-

ჩემს შემთხვევაში ყველაფერი ნორმალურად იყო — 20 წლის ასაკში მოვიყვანე ცოლი...

შორის, დედას კარგი ხმა ჰქონია, თუმცა, როგორც ამბობს, ჩემგან განსხვავებით, იმდენად მორიდებული ყოფილა, არასოდეს უფიქრია სცენაზე.

— დედისერთებს ხშირად უჩიჩინებენ, რომ ისინი თავიანთი დედების ბიოლოგიური მემკვიდრეები არიან. ნეკასთვის ნაცნობი სიტუაციაა?

— სარკეში ჩახედვის შემდეგ იმის გარკვევა, სინამდვილეში ვარ თუ არა ჩემი მშობლების ბიოლოგიური ნაწილი, არც მომაფიქრდებოდა. სხვათა შორის, ვიცი, ჩემზე ამბობენ, ნაშვილებიაო და ამას იმით ხსნიან, რომ ჩემი მშობლები ასაკოვანნი არიან. როცა მსგავსი ჭორის დაყრის სურვილი უჩნდებათ, ცხადზე ცხადია — შური ამოძრავებთ. კარგად ვიცი, როგორ გავჩნდი, დედამ ჩემ გამო რა გადაიტანა... მილოცვის წერილები მაქვს წაკითხული, დედას საავადმყოფოში რომ უგზავნიდნენ.

— უცხო ქალზე რომ გითხრან, დედაშენიაო?

— სერიალს ხომ არ იღებენ?

— მშობლები არც მაშინ გაგიწევენ წინააღმდეგობას, როცა ოჯახის შექმნის დრო მოვა და მათი დატოვება მოგიწევს?

— ამგვარი არჩევანის წინაშე ჯერ არ დავმდგარვარ. ისე, უნდა ვაღიარო, რომ დედისერთობას მართლაც აქვს ერთი უარყოფითი მხარე — ძნელია რაღაცით ატკინო გული იმ ადამიანებს, რომლებიც შენზე არიან ჩაბღაუჭებული. არა მგონია, ჩემმა მშობლებმა ჩემს ბედნიერებას რაიმეთი ხელი შეუშალონ.

— ცხოვრების იოლად მოსაწყობად ბიჭები ხშირად დედისერთებს ირჩევენ...

— ჩემი ბინის და პირობების გამო რომ შემიყვარონ, არა?! არა მგონია, ურთიერთობა ვიქონიო მეშჩან ადამიანთან.

— საზოგადოება ყველა იმ „ბედნიერებასთან“ ერთად, რასაც დედისერთას მიაწერს, გულჩვილიც ხდება მის მიმართ — იცოდებს, და-ძმა რომ არ ჰყავს.

— რამდენი და-ძმა, ბიძაშვილი ან მამიდაშვილიც არ უნდა გყავდეს, ცხოვრების გზა მარტოს გაქვს გასავლელი და ამას ვერსად გაექცევი. როგორ მაღიზიანებს, როცა დედისერთას საცოდავ ადამიანად მიიჩნევენ.

— დაბოლოს, რამდენი შვილის დედად წარმოიდგენ თავს?

— ჩემი ხასიათიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, ხუთი შვილი მეყოლება-მეთქი. თუმცა ვინ იცის, გათხოვების შემდეგ, იქნებ სხვა აზრზე დავდგე. ყველაზე კარგი ვარიანტია ოთხი შვილი — ორი გოგო, ორი ბიჭი.

■

ლი. ჩემს შემთხვევაში ყველაფერი ნორმალურად იყო — 20 წლის ასაკში მოვიყვანე ცოლი. ამის შესახებ იცოდა დედამ, გვერდში მედგა. ფანტასტიკური ურთიერთობა აქვს ჩემს მეუღლესთან. არავის შეურაცხყოფ, მაგრამ დედა, რომელიც შვილსა და რძალს შორის დგება, გაუთვითცნობიერებელია. ასეთი რამ მხოლოდ დედისერთა შვილების დედებს არ ემართებათ. დედა, რომელიც ფიქრობს, თავისი შვილისთვის როგორი ცოლი იქნება შესაფერისი, ავადმყოფია. ავადმყოფი დედის შვილი კი ჯანსაღი ფსიქიკის ვერ იქნება.

— ვანიკო, თუ ატყობ, რომ ნერვიულობ?

— არ მიყვარს, როცა ავადმყოფურად განწყობილი ადამიანების აზრების განზოგადება ხდება. თუ საზოგადოება და ფსიქოლოგები დედისერთებზე ასე ფიქრობენ, საქმე ცუდად ყოფილა.

— მოდი, დავანებოთ თავი ამ თემას. მითხარი, დედისგან შენიშვნებს იღებ?

— იმდენად დაკავებული ვარ, ვერ ვახერხებ ხშირად მოვინახულო, თუმცა ტელეფონით ვსაუბრობთ ხოლმე. მსაყვედურობს, შენს ამბებს სხვისგან რატომ უნდა ვიგებდეო.

— ცოლ-ქმარი ცალკე უნდა ცხოვრობდეს?

— დიდ ოჯახში ცხოვრება ახალბედა ოჯახისთვის სასურველი არ არის. ცოლი რომ მოვიყვანე, მშობლებმა ბინა დაგვითმეს. ერთი რამე უნდა მოგიყვეთ: სულ რამდენიმე თვისა ვიყავი, როცა ჩემი მშობლები ერთმანეთს გაშორდნენ. ფსიქოლოგები ამბობენ, შეუძლებელია, „არეულ ოჯახში“ შვილებს პრობლემები არ ჰქონდეთო. უნდა გავაწბილო ისინი: მზრუნველობა და სიყვარული არც ერთისგან არ მომკლებია, პირიქით, გაორმაგებულად ვიღებდი ყველაფერს. ხან დედასთან ვრჩებოდი, ხან მამასთან და ყველაფერი იდეალურად იყო.

— არ გნდომებია, და-ძმა გყოლოდა?

— ხუთი წლის ვიყავი, როცა ჩემი დეიდაშვილი ნინჩო დაიბადა. ის იყო ფაქტობრივად ჩემთვის და. მყავს და-ძმაც, მამის მხრიდან. ჩემზე 14-15 წლით უმცროსები არიან.

— გახსოვს მათ დაბადებაზე როგორი რეაქცია გქონდა?

— ო, ძალიან გამიხარდა. გიორგი 6 წლის იყო, თამუნა ხუთის, როცა ცოლი მოვიყვანე. ჩემს ცოლს უცებ დაუმეგობრდნენ. სხვათა შორის, ვამაყობ ორივეთი, კარგად სწავლობენ და კარგი ადამიანები არიან.

— უფროსი ძმაც ყოფილა ვანიკო?!

— უფროს ძმად ვერ წარმომიდგენია საკუთარი თავი. ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს, ჩემთვის — დედა, მეუღლე, დეიდაშვილი, და, ძმა — ყველასთვის უპირველესად მეგობარი ვარ. ამასაც მსაყვედურობენ ხოლმე. ■

ეკა მინდაძე

— კრისტი, მოგვიყევი, სად და როგორ გაატარე ახალი წლის ღამე.

— სახლში, იმიტომ, რომ მაღალი ტემპერატურა მქონდა — 38 და 7 ხაზი. ამის გამო, იმდენად შეუძლოდ ვიყავი, რომ არსად წასვლის სურვილი არ მქონდა. აი, ასეთი მაგარი დრო ვატარე *(იცინის)*!.. სახლიდან პირველად, შობას გავედი. აი, ძველით ახალ წელს კი, მოვახერხე ჩემს მეგობრებთან ერთად გართობა.

— საერთოდ, ახალ წელს ოჯახში ხვდები ხოლმე თუ სტუმრად?

— რა თქმა უნდა, ოჯახში, ხოლო შემდეგ, 2 საათიდან, მე და ჩემი მეუღლე მივდივართ მეგობრებთან ამ დღესასწაულის აღსანიშნავად.

— წელს თქვენი ოჯახის მეკვლე ვინ იყო?

— მიშა (მეუღლე).

— შენ თუ დადიხარ ხოლმე ვინმეს ოჯახში მეკვლედ?

— ბავშვობაში დავდიოდი, მაგრამ დღესდღეობით, ამ პასუხისმგებლობას თავს ვარიდებ *(იცინის)*. ისე, კარგი ფეხი მაქვს. დაკვირვებული ვარ, რომელ ბარშიც არ უნდა შევიდე, არ არსებობს, ჩემი შესვლიდან რამდენიმე წუთში, ერთი მაგიდა მაინც თავისუფალი რომ დარჩეს. ჩემი მეგობრებიც ამჩნევენ ამას და ამბობენ: კრისტის შესვლა და ხალხის შემოყოლა ერთიაო. აი, ასეთი ფეხბედნიერი ვარ!

— ბავშვობაში ალბათ, სხვებივით, შენც გჯერდა თოვლის ბაბუის, არა?

კრისტი 2006 წელს სახლში, ოჯახთან ერთად შეხვდა და მაღალი ტემპერატურის გამო, არა მარტო იმ ღამით, არამედ შობამდე, სახლიდან გასვლა ვერ მოახერხა. რამდენად იღბლიანი იყო გასული წელი მისთვის, რას გეგმავს 2006-ში და რით გამოირჩევა პროექტი, რომელშიც ის ახალ რეალურ ტელეშოუში მონაწილეობს? — ყველა ამ კითხვაზე კრისტი ჩვეული გულახდილობით გვიპასუხებს.

ოცდოლში — ოცი ათასიდან!

„...მეცენატობა მაინც გასწიონ...“

— კი. სხვათა შორის, თოვლის ბაბუის დღესაც მჯერა, გინდ დაიჯერე, გინდ — არა.

— ალბათ, წელსაც მიიღე თოვლის ბაბუისგან რაიმე საჩუქარი, ხომ?

— რა თქმა უნდა, თოვლის ბუბამ წელს ისეთი ჩანთა მაჩუქა, რომელიც მომწონდა და მინდოდა, რომ მქონოდა. ისე, ოჯახში ყველაზე მეტ საახალწლო საჩუქარს ჩემი ქალიშვილი, ნატალი იღებს. მან, ვიდრე ახალი წელი დადგებოდა, ჯერ ბაღში მიიღო თოვლის ბაბუისგან საჩუქარი, ახალი წლის ღამეს კი — ოჯახში. უკვე ორი წელია, მიშა იცვამს თოვლის ბაბუის კოსტიუმს, გადის გარეთ და იქიდან საჩუქრებით დატვირთული შემოდის. ნატალის დედაჩემიც ახვედრებს საახალწლო საჩუქრებს და ცალკე მამამისთანაც, ნატალის მისვლისთანავე, საგანგებოდ მისთვის იბარებენ თოვლის ბაბუას.

— ბავშვობაში, თოვლის ბაბუის რომელი საჩუქარი გიხარიოდა ყველაზე მეტად?

— ისევე, როგორც ყველა პატარა გოგონას, მეც მინდოდა, თოვლის ბაბუას ლამაზი თოჯინა, ზღაპრების წიგნი და ბევრი კანფეტი მოეტანა.

— ბავშვობაში ვინ იყო შენი საყვარელი ზღაპრის გმირი?

— რომელიმეს გამოყოფა გამიჭირდება, თავისებურად ყველა გმირი მომწონდა. პატარაობისას, რამდენიმე ზღაპრის გმირი განვასახიერე კიდეც სცენაზე, რითაც ძალიან ბედნიერი ვიყავი. მაგალითად, პირველ კლასში, საახალწლო ზეიმზე წითელქუდა ვიყავი; ვიყავი კონკია და ბოშა ქალიც. ერთ-ერთ ზეიმზე იმდენად კარგად ვიცეკვე ბოშა

ქალის ცეკვა, რომ ყველანი აღფრთოვანებული მიკრავდნენ ტაშს. იმ ზეიმიდან ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ის, რომ ამ ცეკვისთვის თოვლის ბაბუამ ძალიან ლამაზი თოჯინა მაჩუქა.

— ბავშვობაში ყველაზე მეტად რა სათამაშო გიყვარდა?

— ძალიან მიყვარდა ლამაზად გაფორმებული ზღაპრების წიგნი და თოჯინა. მახსოვს პატარა რომ ვიყავი, ერთი დიდი ჩანთა მქონდა, სადაც ბევრი წიგნი, სახატავი რვეული, ფანქრები და მძივები მეწყო. ამ ჩანთას ყოველთვის თან დავატარებდი, მეორე ხელში კი, მუდამ თოჯინა მეჭირა. აი, ასეთი ბავშვი ვიყავი...

— იყავი თუ არა პრანჭია გოგო?

— მეტ-ნაკლებად. ისე, ძალიან პრანჭია არ ვყოფილვარ. ჩემი გემოვნებით ჩაცმა სადღაც, 5 წლიდან დავიწყე. მახსოვს, ბავშვობაში ყველაზე მეტად სარაფანი მომწონდა, სხვათა შორის, იმ სარაფანს „კასინკა“ თან მოჰყვა.

— საახალწლო ტელეგადაცემები როგორ მოგეწონა?

— ვინაიდან სახლში ვიყავი მთელი ახალი წლის ღამე, შესაბამისად, ტელევიზორის ყურება მომიხდა და მინდა აღვნიშნო, რომ გადაცემების მრავალფეროვნებით არც ერთი ტელევიზია არ გამოირჩეოდა. მგონი, წინა წლებში გაკეთებული გადაცემები სჯობდა წლევანდელს.

— როგორი იყო შენთვის 2005 წელი?

— შემოქმედების მხრივ, მთელი წელი, ჩვენი სააგენტოს მოდელებს არაფერი გაგვიკეთებია, თუ არ ჩავთვლით, აპრილსა და ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებულ ჩვენებას. ადრე კი ჩვენებები სისტემატურად იმართებოდა. ვნახოთ, რა იქნება, ამბობენ, სამოდელო ბიზნესი კვლავ გამოცოცხლდებაო... რაც

ვნახოთ, რა იქნება, ამბობენ, სამოდელო ბიზნესი კვლავ გამოცოცხლდებაო...

შეეხება პირად ცხოვრებას — წინა წლის სასაყვედურო არაფერი მაქვს...

— კრისტი, საახალწლო სამზადისში მიიღე თუ არა მონაწილეობა?

— მე უფრო სახლის დიზაინზე ვიყავი გადართული: მოვრთე ნაძვის ხე და საზეიმო ელფერი მივეცი მთლიანად სახლს. რაც შეეხება კერძებს — ისევ და ისევ, ჩემი ავადმყოფობის გამო, ვერ შევძელი რაიმე კერძის მომზადება. სუფრის გაწყობაში მიშას დედა დამეხმარა, რომელმაც მართლაც, გემრიელი კერძები მოგვიმზადა.

— გაიხსენე ახალი წლის ღამე, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდა.

— დიდი სიამოვნებით გავიხსენებ 2004 წლის ძველით ახალ წელს — იმ ღამეს, როცა ახლოს გავიცანი მიშა. მანამდეც ვიცნობდი, მაგრამ ჩვენი დაახლოება მოხდა ძველით ახალი წლის ღამეს, „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“.

— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ახალ წლის ღამეს, ბევრი დაგელიოს?

— არა. მე ალკოჰოლი საერთოდ არ მიყვარს. სხვათა შორის, შამპანურიც არასოდეს დამილევია. სუფრაზე ვსვამ მხოლოდ წითელ ღვინოს და იმასაც, სამ ყლუპზე მეტს — ვერა. საერთოდ, ვფიქრობ, წყალზე გემრიელი სასმელი არ არსებობს.

— ახლო მომავალში თუ აპირებ ზამთრის კურორტზე წასვლას?

— არა. სასტიკად არ მიყვარს ზამთრის სიცივე და თოვლი. ზამთარში ერთადერთი ნათელი წერტილი არის ახალი წელი. იმდენად ვერ ვიტან სიცივეს, რომ შემიძლია, მთელი ზამთრის პერიოდი სახლში ვიჯდე. თოვლი რომ მოდის, ვიცი, ბევრს ძალიან უხარია. მე კი ამაზე არანაირი რეაქცია არა მაქვს, პირიქით — ვერ ვიტან.

— ყველაზე მეტად, რა გინდა რომ აგიხდეს 2006 წელს?

— ვფიქრობ, მთავარია, ჯანმრთელობა. შეიძლება, ვინმეს ბანალურად მოეჩვენოს ჩემი ნათქვამი, მაგრამ მართლაც, ჯანმრთელობის ფასი არაფერია. თუ ადამიანი ჯანმრთელია, ის ყველაფერს მოესწრება. ამიტომაც, ყველა ჩემიანის და არა მარტო მათი, მთელი ერის კარგად ყოფნას ვისურვებდი. გარდა ამისა, მინდა, ერთ საკითხსაც შევეხო: თუკი ჩვენ პრეტენზია გვაქვს, რომ ევროპის ქვეყანა ვართ, კეთილი ვინებოთ და მაღაზიებში ისეთი თუ არა, იმასთან მიახლოებული ფასდაკლებები მაინც გავაკეთოთ, როგორიც ევროპის ქვეყნებშია საშობაო დღეებში მიღებული. აბა, 10-15%-იანი „სეილი“ რა „სეილია“?!

— მომავალში თუ არის დაგეგმილი სამოდელო ბიზნესში რაიმე სიახლე?

— კი, რა თქმა უნდა. როგორც ჩვენი დირექტორისგან, ქალბატონ ნატასგან ვიცი, სამოდელო სააგენტო „ნატალი“ 2006 წელს რამდენიმე ჩვენებას გეგმავს.

— დაბოლოს, რას გვეტყვი „რუსთავი 2“-ის ახალ რეალურ შოუზე, რომელშიც შენც მონაწი-

რაც შეეხება პირად ცხოვრებას — წინა წლის სასაყვედურო არაფერი მაქვს...

ლეობ და ბევრი ცნობილი ადამიანიცაა ჩართული?

— არ ვიცი, ვინ როგორ მოხვდა იქ, მაგრამ მე ამ პროექტში შოთიკო კალანდაძის წყალობით ჩავები: მან შემომთავაზა და მეც დავთანხმდი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერობაზე. ჩვენი პროექტის მიზანია, ცნობილი საოპერო მომღერლის, ცისანა ტატიშვილის ცოცხალი შესრულებისას ჩაწერილი 14 უნიკალური არიის განახლება. გადავწყვიტეთ, ის ჩანაწერები, რომლებიც შემორჩენილია, გავასუფთაოთ და გამოვუშვათ დისკი. გარდა ამისა, გვსურს, რამდენიმე არიის რემიქსიც ჩავწეროთ და შესაბამისად, კლიპიც გადავიღოთ. არ ვიცი, რამდენად გვაქვს გამარჯვების შანსი, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, რომ ჩვენ შევძლებთ ამ პროექტის საჭიროებაში ბიზნესმენების დარწმუნებას. თუ ისინი ჩათვლიან, რომ ის ფულის მომტანი არ იქნება, მაშინ მეცენატობა მაინც გასწიონ, რომ გადავარჩინოთ ეს უნიკალური ჩანაწერები. მეტს ვერაფერს ვიტყვი იმიტომ, რომ ბევრი ლაპარაკის უფლება არ მაქვს. უბრალოდ, ერთს დავუმატებ — პასუხს იანვრის ბოლოს შეგვატყობინებენ. არ ვიცი, გაიმარჯვებს თუ არა ეს პროექტი. 20 ათასი პროექტიდან მხოლოდ 20 დარჩება... ■

გიორგი შავგულიძე მომხიბვლელი კოლორიტულობით გამოირჩეოდა სცენაზეც და ცხოვრებაშიც. მისთვის დიდი და მცირე როლები არ არსებობდა. არასოდეს წარმდგარა მაყურებლის წინაშე მოუმზადებელი, მხოლოდ გარეგანი ექსპრესიის „სამოსით“. ყოველი მისი მცირე როლიც კი ხალასი და ჭეშმარიტი ნიჭიერებიდან გამომდინარეობდა და გარეგან ბრწყინვალეებაში აისახებოდა...

ჯორჯი შავგულიძის და ლიზა ვაჩნაძის სიუჟეტული ავანი

რატომ სასჯელად შავგულიძეები ყველიდ ჩაჩვიანის საღამოზე

თამუნა კვინიკაძე

გიორგი შავგულიძემ, როგორც მსახიობმა, ქუთაისის სცენაზე აიდგა ფეხი. 1928 წელს, თანამშრომლად ჩაირიცხა ქუთაისის თეატრის დასში, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა.

გიორგი კარგი გარეგნობის, მორცხვი და მორიდებული ახალგაზრდა იყო, მაგრამ ერთი ცუდი ჩვევა ჰქონდა — თურმე, ხშირად იგვიანებდა რეპეტიციაზე. ამისთვის კი მაშინ მსახიობები მკაცრად ისჯებოდნენ და ჯარიმდებოდნენ. მაგრამ კოტე მარჯანიშვილი მის გვარს მალულად შლიდა დაჯარიმებულთა სიიდან, რადგან მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. სამწუხაროდ, გიორგი, მარჯანიშვილის მფარველობის ქვეშ დიდხანს არ ყოფილა. მალე დიდი რეჟისორი გარდაიცვალა.

დოდო ანთაძემ აღადგინა სპექტაკლი „ხატიჯე“. ხატიჯეს როლს თამაშობდა ლიზა ვაჩნაძე, ხოლო ახალგაზრდა ინჟინერს გიორგი შავგულიძე განასახიერებდა.

„ერთ დილას, ხატიჯეს და ინჟინრის შეხვედრის ეპიზოდის რეპეტიცია უნდა გაგვეკეთებინა. მე სცენაზე ვიდექი და ველოდი პარტნიორს (შავგულიძეს). ჩვეულებისამებრ, კარგა მოგვიანებით შემოვიდა დარბაზში და ამოვიდა სცენაზე, გაბრაზებულმა დოდომ ხმამაღლა გამოსძახა: რა ამბავია, ბატონო, ახლა მაინც მოდი დროზე, ამისთანა შეყვარებული გელოდებაო“... — იხსენებს ლიზა ვაჩნაძე. თურმე, მაშინ ნასროლი ეს ფრაზა ორივეს გულში მოხვედრია, რადგან გრძნობდნენ, რომ ეს მარტო სცენურ რომანზე არ იყო ნათქვამი...

ერთხელ, თეატრალურ ტანსაცმელში გამოწყობილი ლიზა და ელენე დონაური (კოტე მარჯანიშვილის მეუღლე) ვერ გაურჩევია ერთმანეთში. „პიესაში ორივეს გვეცვა ერთნაირი კაბები და სახეზე შავი ჩადრები გვქონდა ჩამოფარებული... დონაური ჩემზე ადრე მორჩა გრიმის გაკეთებას და ჩავიდა კულისებში, მაგრამ ისევ მალე ამობრუნდა, სიცილით მითხრა: ჩადი კულისებში, შავგულიძე გელოდებაო“. ლიზას გიორგი საშინლად აღელვებული დახვედრია: რა მომივიდა, დავიღუპე, ალბათ დონაური ეტყვის კოტეს ამ ამბავს, თეატრში ველარ მოვალო, — შეუჩივლია მას ვაჩნაძისთვის.

„თურმე, დონაური ზურგით იდგა კულისებში, ჟორას ბნელში ვერ გაურჩევია, მე ვგონებივარ და მოხვევია დონაურს ზურგიდან...“ როდესაც დონაური შემობრუნებულა და დაუნახავს შავგულიძე, ერთი კი შეუყვირია, მაგრამ მალე მიხვედრილა მის შეცდომას. როცა მისი დაფეთებული სახე და შეშინებული თვალები დაუნახავს, გაუცინია, ლოყაში შემოურტყამს მისთვის და უთქვამს: Ничего, ничего, бывает – ошибся...

მინდოდა, დილის რეპეტიციაზე დაგვიანებისთვის ბოდიში მომეხადა შენთვისო... — ასე გაუმართლებია თავი გიორგის ლიზას წინაშე. განა, ბოდიშის მოსახდელად მოხვევა იყო საჭირო?! დონაურს სთხოვეს, რომ კოტესთან არაფერი ეთქვა; დაპირებაც მიიღეს. მაგრამ მეორე დღეს, რეპეტიციაზე მისვლისთანავე, კოტეს გამოუძახებია ორივე თავის კაბინეტში. „წარმოიდგინეთ, რა დაგვემართებოდა. არ ვიცოდით, რა გველოდა, რისთვის გვიბარებდა. კარის წინ დავიწყეთ ჩურჩული: არა, შენ შედი წინ, არა — შენო. მაგრამ გაიღო კარი. თვითონ კოტემ მოგვკიდა ხელი ორივეს და შეგვიყვანა კაბინეტში“. მას ჟორასთვის ვითომ გაბრაზებით უთქვამს: Ты что думаешь, всех Вачнадзе можно обнимать, мерзавец! მერე, მოფერებით დაუმატებია: Подождите, приеду из Москвы и я вам в театре устрою грандиозную свадьбу...

1933-1934 წლებში, ლიზა ვაჩნაძე თამაშობდა გულთამზეს როლს „ყვარყვარე თუთაბერში“, ხოლო ერასტის, გიორგი შავგულიძე ასახიერებდა. ლიზა იხსენებს პატარა სცენას ამ სპექტაკლიდან: „პიესაში არის ასეთი სცენა, სადაც გულთამზე და რევოლუციონერი ერასტი შემორბიან წისქვილში. ერასტის მოსდევენ ჟანდარმები, ამიტომ გულთამზე, ერასტის წისქვილის უკან მალავს. თვითონ კი გამომწვევად ეძახის ახლად შემოსულ ყვარყვარე თუთაბერს (უშანგი ჩხეიძე ასრულებდა ყვარყვარეს როლს) და შორიდან ეალერსება, რადგან უნდა, ერასტის ააცილოს მისი ყურადღება. ამით გათამამებული ყვარყვარე მუხლზე დაისვამს გულთამზეს და დაუწყებს ხვევნა-კოცნას; ერასტი დიდხანს ვერ მოითმენს, გადმოხტება საფარიდან და განზე ისვრის...“ ლიზამ რამდენიმე სპექტაკლის შემდეგ შეამჩნია, რომ მასა და ყვარყვარეს, გიორგი ალერსის სცენას არ აცლიდა, რეპლიკას არ ელოდებოდა და სწრაფად ხტებოდა ხოლმე საფრიდან. ეს, რა თქმა უნდა სცენარს აფუჭებდა. ამიტომ ლიზამ საყვედური უთხრა, რის პასუხადაც მიიღო — კარგი ბატონო, დაგაცდითო...

იმ საღამოს გამართულ რეპეტიციაზევე გაუთვალისწინებია შენიშვნა შავგულიძეს — თურმე, სულ აღარ გამოდიოდა საფრიდან. გადი, შავგულიძეო, — ჰკარნახობდნენ კულისებიდან, მაგრამ ამაოდ. „ჟორჟიკა, ბიჭო გამოდი“, — გადაულაპარაკებია უშანგისაც. ამ დროს გადმომხტარა საფრიდან, ჩვეულებრივზე უფრო მრისხანე ყოფილა. რა იყო, ჟორჟიკ, რეპლიკა ვერ გაიგეო?! — მეგობრულად გადაუხვევია ხელი უშანგის. ჟორას ნიშნის მოგებით გადაუხედავს ვაჩნაძისთვის და უთქვამს: არა, ბატონო, ამან მთხოვა — გვაცალე ალერსიო და... უშანგი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ სცენური რომანი მათ პირად ცხოვრებაშიც იყო გაგრძელებული.

„რამდენიმე დღის შემდეგ, მსახიობთა ფოიეში ვისხედით მე და ჟორა. მას ხელში პაპიროსის ჩასაწყობი (პორტსიგარი) ეკავა, შიგნით ჩემი სურათი ჰქონდა ჩაკრული. ამ დროს გამოიარა უშანგიმ, შეჩერდა ჩვენთან, ჟორას გამოართვა პორტსიგარი, გახსნა და ჩემი სურათი რომ დაინახა, ღიმილით უთხრა — ამ საღამოს რეპლიკას ადრე ვიტყვიო“... — იხსენებს ლიზა ვაჩნაძე.

ლიზა ვაჩნაძე და გიორგი შავგულიძე 1934 წელს დაქორწინდნენ. მალე, ტყუპი ბიჭიც შეეძინათ, რომლებიც მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახალგაზრდა მხატვარმა, პეტრე ოცხელმა მონათლა. ბავშვები 2 იანვარს დაიბადნენ. იმ დღეს, ჟორა თამაშობდა შალვა დადიანის პიესაში — „კაკალ გულში“ — კანცელარიის ერთ-ერთ მოხელეს. სცენაზე შემოდიოდა ყბაახვეული და უფროსს სთხოვდა: გამიშვით სახლში, კბილი მტკივაო. 2 იანვარს ეს სპექტაკლი გადიოდა. დაწყების წინ, ჟორას ბავშვების

დაბადება შეუტყვია. როდესაც გამოსულა სცენაზე, უფროსისთვის სათხოვნელად, მსახიობებს, რომლებიც სცენაზე იმყოფებოდნენ, დაუნახავთ, რომ ყბა აღარ ჰქონდა ახვეული. შეშფოთებულან — ნეტავ, რას ეტყვის უფროსს, რისთვის გამიშვიო? — მაგრამ შესულა თუ არა, გაბრწყინებული სახით წამოუყვირია — მომილოცეთ, ტყუპი ბიჭი შემეძინა, უფროსო, სახლში გამიშვიო...

საღამოს, სპექტაკლის შემდეგ, შეპარულან სამშობიაროში ჟორა და ვანო გვინჩიძე. ბავშვებს, რა თქმა უნდა, ეძინათ, მაგრამ ექთანს აღარ მოეშვა თურმე. ექთანმაც უარი ვეღარ უთხრა და უჩვენა ორივე ბავშვი. ჟორას მაშინ უნახავს პირველად ახალშობილი ჩვილი და საშინლად არ მოსწონებია. „ვეღარაფრის თქმა ვეღარ მოახერხა, შერცხვენილივით იყო ვანოსთან, მე კი საშინლად მეწყინა ასეთი ცივი შეხვედრა შვილებთან“, — მოგვიანებით ასე იხსენებდა ამ ამბავს მისი მეუღლე. ამის შემდეგ, ჟორას თურმე, დიდხანს აღარ მოუსურვებია ბავშვების ნახვა. მერე კი, დიდი სიამაყით ჰყვებოდა ხოლმე მეგობრებში შვილების შესახებ. სახლში რომ მიდიოდა, ეზოდან დაიყვირებდა ხოლმე — ძმები შავგულიძეები აქ ცხოვრობენო?..

შავგულიძეები წულუკიძის ქუჩაზე უსარკმლო, ბნელ, თერთმეტკვადრატულმეტრიან ოთახში ცხოვრობდნენ. არანაირი პირობები მათ არ ჰქონდათ. წერდნენ განცხადებებს, ვისთანაც შეიძლებოდა, სთხოვდნენ ბინას, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ვერც ერთი მათი განცხადება დანიშნულების ადგილამდე ვერ აღწევდა. ამ გაჭირვებას მათი ერთი შვილიც შეეწირა... გადიოდა დრო, მათი საყოფაცხოვრებო პირობები კი არა და არ იცვლებოდა. მოგვიანებით, მეორე ბავშვიც ავად გაუხდათ. აბა, შვილო, რა წამალი გამოვწერო, ამ პირობებში რა წამალი უშველისო?! — უთქვამს ექიმს.

ბევრი ფიქრის შემდეგ, ლიზამ, როგორც მშობელმა მშობელთან, ცეკას პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის სახელზე დაწერა წერილი. მისი ვაჟი, ნუკრის კლასელი იყო. „აღვწერე ჩვენი მდგომარეობა, თუ რა პირობებში იზრდებოდა და სწავლობდა მისი შვილის ამხანაგი“... ლიზამ ნუკრი დაარიგა: ბოლო გაკვეთილზე ჩარკვიანისგან წიგნი ეთხოვებინა, ვითომ გაკვეთილის მოსანიშნად, წერილი ჩაედო და წიგნი უკან დაებრუნებინა. მე მაგას ვერ გავაკეთებო, — უარი უთქვამს ნუკრის, მაგრამ შემდეგ, დედას დაურიგებია, რომ მის ასეთ საქციელში ცუდი არაფერი იყო და დაუთანხმებია.

ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ, ლიზა ქალაქის აღმასკომში დაიბარეს. „შევედი თუ არა კაბინეტში, რომელიც აღნიშნული იყო მოწვევაში (ახლაც არ ვიცი, ვისთან), მაგიდასთან მჯდომმა მამაკაცმა გასაღები დადო ჩემ გვერდით და რაღაც ქაღალდზე ხელი მომაწერინა. მერე ხელი ჩამომართვა. არ მესმოდა, რაში იყო საქმე. მან შემატყო, რომ ვერაფერი გავიგე, გასაღებს სულ არ მივაქციე ყურადღება და გაოგნებული აქეთ-იქით ვიყურებოდი. მან გასაღებზე მიმითითა და მითხრა: აიღეთ გასაღები, მართალია, ორი ოთახია, მაგრამ ჯერ ეს იყოსო. მე ვერ აღვწერ იმას, თუ რა დამემართა.“

აღმასკომში წასულ ლიზას, სახლში ჟორა ელოდებოდა. ასეთი დაფეთებული რომ დაუნახავს, გასცინებია — რას ჰგავხარ, ჩქარა მაჭამე, კინოსტუდიაში რეპეტიცია მაქვსო. ლიზას ორდერი გაუწოდებია და — ბინა მივიღეთო, — წამოულულღლღებია. მაგრამ სანამ გასაღები არ უჩვენებია, ჟორას ეს ამბავი მანამდე არ დაუჯერებია. „ბინაში რომ შევედით, ჟორამ ბავშვივით დაიწყო ოთახებში სირბილი, მე კი სიხარულის ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდიოდა“.

ამის შემდეგ, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ სუფრაზე, შავგულიძეები, პირველად, კანდიდ ჩარკვიანის, როგორც გულისხმიერი კაცის სადღეგრძელოს სვამდნენ.

აი, ასე იცოდა მან განიარაღება. ასეთი „მასკარადების“ მოწყობა უყვარდა და ამით ყველას ახალისებდა...

ახალ ბინაში გადასული ჟორა ბედნიერი იყო. ერთხელ ლიზასთვის უთხოვია — მოდი, მე და შენ აღვნიშნოთ ბინის მიღება, წავიდეთ პლეხანოვის ბაღში კინოში და სურათის შემდეგ, სავახშმოდ შევიდეთ იქვე რესტორანში; ხომ არ გგონია, ძვირი დაგვიჯდება, ყველაზე მეტი 100 მანეთიო. ლიზა ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ დაეთანხმა, ხოლო მოგვიანებით ამ ამბავს ასე იხსენებდა: „სურათის დამთავრების შემდეგ შევედით რესტორანში, ალბათ იქ იცნობდნენ ჟორას და რომ დაინახეს ქალთან იყო, ცალკე კაბინეტში მიგვიპატიჟეს. ჟორამ მოატანინა ყველაფერი, ტკბილეულიც. ოფიციანტი რამდენჯერაც შემოვიდა, იმდენჯერ შემათვალიერა. ჟორას კი მნიშვნელოვნად უღიმოდა. ჟორაც განგებ, როგორც უცხოს, ისე მექცეოდა. კარგა ხანს ვისხედით. ბოლოს მოითხოვა ჟორამ ანგარიში და ქვითარი ჩემკენ გადმოდო. დავხედე ანგარიშს და ეს სასიამოვნოდ ჩატარებული საღამო ჩამშხამდა — 230 მანეთი ეწერა. რაღას ვიზამდით, გადავიხადეთ და წამოვედით. უკვე გვიანი იყო. მოდი, ფეხით წავიდეთო, მითხრა. გადამხვია ხელი და სიმღერა წამოიწყო, ვითომ მთვრალები ვართო; ხვალ ალბათ გეტყვიან: ჟორა ვიღაც ქალთან ხელგადახვეული მიდიოდა და ორივენი მთვრალები იყვნენო... პლეხანოვის ქუჩაზე ცხოვრობდა კაკო კვანტალიანი. თურმე, კაკოს თეატრში მართლა ხუმრობით ეთქვა: წუხელ ჟორა დავინახე, ერთი გოგო ჰყავდა ჩაბღუჯული და ორივენი მთვრალები იყვნენო. აი, ასეა — მითხრა ჟორამ, ამისთანა ჭორს იტყვიან ხოლმე, მოდი და დაიჯერეო, — დაიზღვია თავი...“

ერთ დღეს, დილით ლიზას და ჟორას ძალიან უჩხუბიათ. ლიზას ჩაუცვამს და გაბრაზებული, თავის მეგობართან წასულა. იქ საღამომდე დარჩენილა და სახლში მოგვიანებით დაბრუნებულა იმ იმედით, რომ ჟორა შინ არ დახვდებოდა. „მეც უკვე გადამიარა გაბრაზებამ, შევაღე კარი და ვხედავ, ტახტზე ზის ვიღაც უშნო, აყლარწული, უცნაურად გამოწყობილი და შეღებილი ქალი შლიაპით. რომ შევედი, ფეხზე წამოდგა. მომეხვია და საოცრად ნაზი ხმით მითხრა: „ოო, დარაგაია, ნაკანეც“... ჟორა ჩემს ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, ხოლო ფეხზე თავისი ფეხსაცმელი ეცვა, რაც კიდევ უფრო უშნოს ხდიდა მას. ტუჩები საშინლად ჰქონდა წითლად შეღებილი. მეტ სასაცილოს ვერაფერს ნახავდით. როგორ არ დაეზარა, ამდენი ხანი ასე ჯდომა და ლოდინი, მით უმეტეს, რომ არ იცოდა, როდის მოვიდოდი. აი, ასე იცოდა მან განიარაღება. ასეთი „მასკარადების“ მოწყობა უყვარდა და ამით ყველას ახალისებდა.“

გიორგი შავგულიძის ერთადერთი ვაჟი ნუკრი მოქანდაკეა. იგი არის ავტორი თავისი მამის ბიუსტისა.

1974 წლის 2 აპრილს, დაიბადა პატარა გიორგი შავგულიძე, სწორედ იმ დღეს, როდესაც მისი პაპა უკანასკნელად გავიდა სახლიდან...

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-3)



და მიუსაფარი — ლიზი კი, მეგობრობის ხელს გაუწვდის...

ახალგაზრდა ექიმი ლანა მესხი კოლეგის, გიზო ვაშაკიძის მეგობრის, გიგი გიგაურის ფარმაცევტულ ფირმაში მუშაობს. გივის სურს, ლანას ბებიის, რაჭაში ცნობილი სახალხო მკურნალის რეცეპტებით დამზადებული წამლები გამოუშვას. ლანა სოფელში ბებიის სანახავად მიდის... მანამდე, მის ცხოვრებაში ახალგაზრდა ბიზნესმენი ლევან ქართველიშვილი გამოჩნდება, რომელიც მალე გერმანიაში სტაჟირებაზე მიდის. ლევანი ქვრივია (მისი მეუღლე მძარცველებს შემოჰკვდომიათ) და 6 წლის ქალიშვილი ჰყავს...

ბებიას, ლანა თავისი საქმის გამგრძელებლად ეგულება. ის შვილიშვილს დამხმარედ, ჭკუასუსტ ყმაწვილს — იონას შესთავაზებს, რომელიც სამკურნალო ბალახებში კარგად ერკვევა. სოფელში ლანას მოულოდნელად, გიზო მიადგება კარზე, მაგრამ ვერც ლანას და ვერც ბებიამისს გივის წინადადებაზე ვერ დაითანხმებს...

ლანა თბილისში ბრუნდება. გივის მდივანი, თინიკო მას გაუზიარებს ეჭვს, რომ გიგაური ნარკოტიკებით ვაჭრობას მისდევს. ცოტა ხანში კი, თინიკოს მიეცემა შესაძლებლობა, შეფის წამლების საცავში შევიდეს და მობილური ტელეფონით გადაიღოს იქ შენახული ყუთები. ამ მასალის ლანასთვის საჩვენებლად, თინიკო დაქალს შინ ესტუმრება და ქორწილისთვის საკუთარ სამზადისზეც მოუყვება: საზღვარგარეთიდან ჩამოსული მისი ძველი მეგობარი, ლაშა მალევე სთხოვს თინიკოს ხელს... დაქალების ვარაუდით, გივი გიგაურის ბედი ბეწვის ხიდზე კიდია და შესაძლოა, ძალიან იოლად ჩავარდეს...

თუმცა, სიტუაცია სულ სხვანაირად შემობრუნდება: გიგაურის კვალში ჩამდგარი პოლიციელები ნარკოტიკებს რატომღაც, მის კაბინეტში შემთხვევით დარჩენილ ლანას პიჯაკში იპოვიან და ქალიშვილს ქალაქის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში ამოაყოფინებენ თავს.

საკანში ლანას, სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი სამი ქალი ხვდება. მათგან ყველაზე ძლიერი და გავლენიანი — ფისო თავიდანვე მტრად მოეკიდება, ყველაზე სუსტი ცოტა ხანში, ლიზი თავის ადვოკატთან შესახვედრად წაიყვანეს, ლანა კი საწოლზე ობოლი ბავშვივით მოიკუნტა და ფიქრს მისცა თავი. თავიდან, მთელმა განვლილმა ცხოვრებამ თვალწინ ისეთი სისწრაფით ჩაურბინა, რომ კინაღამ სუნთქვა შეეკრა. შემდეგ, ცოტა სული მოითქვა და ფიქრში საკუთარი წარსულის ყველაზე შთამბეჭდავ და სამახსოვრო ეპიზოდებს გადასწვდა: აი, სკოლაში პირველად მისული ლანა დედას კაბის კალთაში გამეტებით ჩაჰფრენია და დანარჩენ თანატოლებსა და მათ მშობლებს გაფართოებული თვალებით ათვალიერებს... უცერად, საიდანღაც ჩნდება ახალგაზრდა, სანდომიანი ქალი, რომელიც ამბობს, რომ ქეთი ჰქვია და მათი კლასის დამრიგებელია, მერე, ყველას საკლასო ოთახში ეპატიჟება. ოთახში შესული მშობლები — ძირითადად დედები — პატარა მერხებზე, შვილების გვერდით, რის ვაი-ვაგლახით სხდებიან, თუმცა, თვალები მაინც ანცად უციმციმებთ: ეტყობა, ყველას თავისი ბავშვობა ახსენდება...

ამასობაში, ქეთი მასწავლებელი კიდევ ერთხელ, ყველას ულოცავს ახალი სასწავლო წლის დაწყებას, შემდეგ, მშობლებს საკლასო ოთახის დატოვებასაც მორიდებით სთხოვს და ისინიც, ერთმანეთის მიყოლებით, გარეთ გადიან. ლანა დედას ხელში აფრინდება და არ უშვებს. „გამიშვი, საყვარელო, სირცხვილია...“ — ეჩურჩულება მას თამარი, ფრთხილად აშვებინებს ხელს და ოთახიდან სწრაფად გადის. ლანას გული ამოუჯდება, თუმცა ხმამაღლა ატირებას — დედა მინდაო! — მის წინ მჯდომი თითისტოლა გოგონა ასწრებს. მას სხვა გოგონები და ერთი ლოყებღაჟღაჟა ბიჭუნაც აჰყებიან. ლანა მათ გაოცებული თვალს ადევნებს და თავად საერთოდ ავიწყდება ტირილი... ხმაურზე მშობლები საკლასო ოთახში ისევ ერთმანეთის მიყოლებით შემოლაგდებიან, შვილებს მიუალერსებენ და ამშვიდებენ. მათ შორის, მხოლოდ თამარი არ ჩანს. ლანა ცოტა ხანს კარს მაინც იმედით შესცქერის, შემდეგ კი — ჩემი დედიკო მინდაო! — აბღავლდება და ახლა უკვე მისი ყვირილ-ტირილი აპობს ჰაერს...

იმ წუთებში ლანას ჯიუტად სჯერა, რომ დედამ სამუდამოდ მიატოვა და რაც მეტად ამშვიდებენ მშობლები და ქეთი მასწავლებელი — შენი დედიკოც მალე მოვაო, — ტირილს მით უფრო უმატებს. უეცრად, საკლასო ოთახში გულგახეთქილი თამარი შემორბის და ატირებულ შვილს გულში იკრავს. — „სად იყავი, სად?“ — პაწია მუშტებს ზურგზე გამეტებით უბრაგუნებს მას გულამომჯდარი ლანა...

ის უცნაური გაუჩინარება ლანამ დედას წლების შემდეგაც ვერ აპატია და ბევრჯერ ისევ უკითხავს, — მაშინ მაინც სად გაქრიო?.. თუმცა, ამ კითხვაზე პასუხი სულ ცოტა ხნის წინ მიიღო: თურმე, მაშინ, მოზღვავებული სიხარულის თუ ნერვიულობისგან, თამარს კუჭი აშლოდა და საკლასო ოთახიდან გასვლისთანავე, ტუალეტში მოუკურცხლავს. „კი, მაგრამ ამ პროზაული მიზეზის ახსნას ამდენი წელი რატომღა მოანდომე?“ — ჰკითხა მას აშკარად იმედგაცრუებულმა ლანამ. — რა ვიცი... — დამნაშავესავით მხრები აიჩეჩა თამარმა. — იმ წუთებში ისე შემეცოდე, რომ ყველაზე ლამაზ ტყუილსაც კი ვერაფრით გეტყოდი, მერე და მერე კი, სიმართლის თქმისაც ძალიან შერცხვაო... „ეჰ, ჩემო საწყალო დედიკო!.. შენ სირცხვილი და თავის მოჭრა მაშინ ნახე, ნაციხარი შვილი რომ მოგადგება კარზე...“ — ამოიოხრა ლანამ, შემდეგ კედლისკენ შებრუნდა და დაძინება სცადა. მაგრამ წათვლემაც ვერ მოასწრო, რომ ადვოკატთან შესახვედრად იხმეს...

ლანამ თინიკოსგან იცოდა, რომ მას ადვოკატობას ლაშა გაუწევდა. როცა ოთახში სრულიად უცნობი მამაკაცი შემოვიდა, გაოცებული ქალიშვილი ფეხზე ინსტინქტურად წამოდგა.

— ნუ ღელავთ! ახლავე ყველაფერს აგიხსნით!.. — მისალმების მაგივრად, ლანას დამშვიდება სცადა მამაკაცმა, თან, დაჯდომა შესთავაზა.

ლანა სკამს მორჩილად დაუბრუნდა.

— მე თქვენი ადვოკატი, ირაკლი იაშვილი ვარ. — დაიწყო მამაკაცმა.

— მერე ლაშა?

— ლაშა ინწკირველიც თქვენი ადვოკატი იქნება, ოღონდ, ამ ეტაპზე, საქმეს ჩემი აქტიურობა უფრო წაადგება, ლაშა კი ცოტა მოგვიანებით შემომიერთდება.

— ესე იგი, მოგვიანებით, ხომ?.. — თავისთვის ჩაილაპარაკა ლანამ და თან, სევდიანად გაეიღმა. — მაშინ ჯერ თქვენ გისმენთ, ბატონო... — ადვოკატის სახელი ვეღარაფრით გაიხსენა მან.

— ირაკლი... — შეაშველა იაშვილმა.

— დიახ, დიახ, ბატონო ირაკლი, — ლამაზი თვალები შეანათა ადვოკატს ლანამ. — თქვენ ალბათ, ლაშას მეგობარი იქნებით, ხომ?

— არა, — უპასუხა ირაკლიმ. — მე და ლაშა აქამდე ერთმანეთს მხოლოდ შორიდან ვიცნობდით... მეგობრობით კი,



— აბუვანთან ვმეგობრობ...

— ჩე — ვისთან?! — შეკრთა ლანა.

უფლებ — ლევან ქართველიშვილთან, — მშ-
ისევ აიდად დაუკონკრეტა ირაკლიმ. — მე
წამარ ისი ფირმის ადვოკატიც ვარ...

ოცხლ — ესე იგი, ჩემი ამბავიც ლევანმა გაგაგ-
—ინათ? — ნერვიულობისგან ხმა აუთრ-
მიუჯოლდა ლანას.

აღარ — არა. თქვენი ამბავი ლევანს მე გავ-
ჩამოაგებინე და დახმარებაც თვითონვე
ვებიშევთავაზე, რადგან ადრე გიგაურის ფირ-
-მის ადვოკატიც ვიყავი და იქაურ საქმეებს
დეტალურად ვიცნობ.

ლი — ა-ა... — ისევ ჩაფიქრდა ლანა და
დომერელა დაუმატა: — არ მიკვირდა, ლე-
-ვანი გივის ამბებს საიდან იგებს-მეთქი?!.

გი — რა თქმა უნდა, ჩემგან იგებდა...
მოთუმცა, ყველაფერი ვერც მე გავთვალე.
ვი რას ვიფიქრებდი, სიტუაცია ასე უცნაუ-
ურად თუ შემობრუნდებოდა?

გა — და მახეში გიგაური კი არა, მე
გა გავებმებოდი, ხომ?.. — სევდიანად გაეღიმა
ლანას.

ლ — ისე, არც გიგაურია უკეთეს დღე-
ნაში...

— რა? ისიც დაიჭირეს?

ამ — ჯერ არა, მაგრამ თუ ასე გააგრძე-
ესლა...

— ე-ეჰ!. — გააწყვეტინა ადვოკატს
ლანამ. — დამერწმუნეთ, რომ გააგრ-
ძარ ლებს. ნარკოტიკებს კი, ისევ მის რომ-
ერ ირიმე გულუბრყვილო თანამშრომელს
„ ღმოუჩენენ“... ან იქნებ, თქვენც არ
გვ- ერათ, რომ ის ნარკოტიკი გივიმ ჩამ-
ი ამ ო ჯიბეში?

რ — რა თქმა უნდა, მჯერა, ოღონდ...
— ბსათქმელი აღარ დაასრულა იაშვილ-
მა. ლ

-ო — რა ოღონდ? — გაუკვირდა ლანას.

-ა — რა და საქმეს სჭირდება, რომ...
მოკ ლედ, სასამართლოზე უნდა თქვათ,
რომ- წამლის ის ფირფიტა გიგაურმა
ჯიბ ში ჩუმად კი არ ჩაგიდოთ, არამედ
თვით ონ გამოართვით, იმიტომ, რომ...

— რას ამბობთ?!. — გააწყვეტინა
ადვო ატს გაოგნებულმა ლანამ. — თა-
ვად ვა ბიარო, არამზადა გიგაურს ნარკო-
ტიკი ა ქეთ ვთხოვე-მეთქი?!.

— ნ არკოტიკი კი არა, უბრალო
ტკივილ ამაყუჩებელი...

— მაგრამ, ექსპერტიზამ ხომ უკვე
დაადგინა, რომ ის წამალი ნარკოტიკი
იყო! ამ დილითაც, სწორედ იმ დასკვნას
არ მიფრიალებდა ცხვირწინ გამომძიებე-
ლი!.

— ვინ?.. — შუბლი შეიკრა იაშვილმა.
— დოღონაძე?

— დიახ, დიახ, ბატონი ავქსენტი!.. —
ცივად გაეღიმა ლანას. — საერთოდ,
ახალგაცნობილი ადამიანის სახელს ძნელად
ვიმახსოვრებ, მაგრამ ამ კაცს ისეთი იშ-
ვიათი სახელი ჰქვია, რომ...

— იცით, ერთხელ, ჩვენს ავქსენტის
რა დაემართა?.. — სიტუაციის განსამუხ-
ტავად, შორიდან მოვლა არჩია იაშვილ-
მა.

— აბა, საიდან უნდა ვიცოდე?! —
ისევ მოიღუშა ლანა.

— ავარიაში მოყვა... უფრო სწორად
კი, საკუთარი სახლის წინ, საკუთარსავე
ცინცხალ ბე-ემ-ვეში რომ ჯდებოდა,
მოსახვევიდან ვიღაც გიჟი ძველისძველი
„ვოლგით“ გამოვარდა, ბე-ემ-ვეს ნახე-
ვარი „კრილო“ ჩამოათალა და ჩვენი
ავქსენტიც თან გაიყოლა...

— საწყალი... — მაინც შეებრალა ლანას
გამომძიებელი. — ბეწვზე არ გადარჩენი-
ლა...

— გადარჩენით კი გადარჩა, მაგრამ
იმ ამბავს დიდი და პატარა კარგა ხანს
სიცილით იხსენებდა...

— არ მესმის, სასაცილო რაღა იყო.

— მეც არ მესმოდა, სანამ არ გავიგე,
რომ იმ „ვოლგის“ პატრონსაც დოღონ-
აძესავით ავქსენტი ერქვა... — სიცილი
ვეღარ შეიკავა იაშვილმა.

— ჰმ... — ცალყბად გაეღიმა ლანას.
— ბედის ირონიაც ამას ჰქვია... თუმცა,
მეც მაგრად დამცინა ბედმა...

— ახლა კი ისევ საქმეს მივხედოთ! —
სასწრაფოდ დასერიოზულდა იაშვილი.
— ძალიან გთხოვთ, კარგად მომისმი-
ნოთ, აღარ შემეწინააღმდეგოთ და ყვე-
ლაფერი, რასაც ახლა გეტყვით, სასამარ-
თლოზე სიტყვასიტყვით გაიმეოროთ...

— გააჩნია, რას მეტყვით... — ბო-
ლომდე უკან მაინც არ დაიხია ლანამ.

— ისევ გიმეორებთ, — დაიწყო იაშ-
ვილმა, — იმ ავადსახსენებელ დღეს, ის
წამლის ფირფიტა გიგაურმა მალულად
კი არ ჩაგიდოთ ჯიბეში, არამედ...

— არა-მეთქი! — გააწყვეტინა ლანამ,
— ამას არ ვიტყვი! იმიტომ, რომ ამით
გივის ბნელ საქმეებთან ჩემს პირდაპირ
კავშირს ვაღიარებ!.. თანაც, მე ხომ ექიმი
ვარ და აბა, „წამლის ბარიგის“ დამცველ
ექიმს ახლოს ვინღა გაიკარებს?!.

— თუ დამაცდით, მიხვდებით, რომ
ასე არ მოხდება, — კვლავ მშვიდად
უპასუხა იაშვილმა. — სასამართლოზე
იტყვით, რომ იმ დღეს, დილიდანვე თავი
გტკიოდათ, რაზეც თქვენს მეგობარ თი-
ნიკოს ტელეფონით შესჩივლეთ და რამე
ტკივილგამაყუჩებელიც სთხოვეთ. თინი-
კომ ანალგინი შემოგთავაზათ. მაგრამ უცებ
გაახსენდა — შეფი ანუ გივი გიგაური
საწყობშია ჩასული, რაღაც წამლებს ახ-
არისხებს, ამიტომ გირჩიათ, — ჯერ მას-
თან ჩადი, იქნებ რამე „ფირმა“ ტკივილ-
გამაყუჩებელი მოგცესო. გიგაური მარ-
თლაც, საწყობში დაგხვდათ. უფრო ზუს-
ტად, თქვენ რომ მიხვედით, იქიდან უკვე
გამოდიოდა და თან ცელოფანის პარკით
რაღაც მოჰქონდა. როცა გაიგო, რისთვის
მიაკითხეთ, საწყობში შებრუნება გადაწ-
ყვიტა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, პარკიდან
ანალგინის მთელი კოლოფი ამოიღო, თქვენ
თვალწინ გახსნა და იქიდან ამოღებული
ერთი მთლიანი ფირფიტა მოგცათ და
გითხრათ: ეს „ფირმა“ ანალგინია, გერმა-
ნიიდან საჩუქრად ჩამომიტანესო. შეფს
ძალიან ეჩქარებოდა, ამიტომ ისე სწრაფად
გაგცილდათ, რომ მისთვის მადლობის
თქმაც ძლივს მოასწარით...

— ბატონო ირაკლი! — უკვე მერამ-
დენედ ვერ მოითმინა ლანამ. — მაპატი-
ეთ, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ სრული
სიცრუეა!

— ის კი სიმართლეა, რასაც გიგაურის
წყალობით გაბრალებენ?.. — ხმას აუწია
იაშვილმა.

— არა, მაგრამ... — დაიბნა ლანა.

— მაშინ ნუღარ მაწყვეტინებთ!.. —
გაღიზიანდა ადვოკატი. — სად გავჩერ-
დი?

— გიგაურმა რომ წამლის ფირფიტა
მომცა და უკანმოუხედავად გაიქცა... —
მაშინვე შეაშველა სიტყვა შემკრთალმა
ლანამ.

— ჰო... თქვენ ფირფიტისთვის არც
კი დაგიხედავთ, პიჯაკის ჯიბეში ისე
ჩაიდეთ, მერე თინიკოსკენ გასწიეთ და
წამლის დასალევად წყალი სთხოვეთ.
მაგრამ როცა წამლის ფირფიტაზე ვერ-

ანაირი წარწერა ვერ აღმოაჩინეთ, მისი დალევა გადაიფიქრეთ. თინიკომ ჩვეულებრივი ანალგინი დაგალევინათ. ის ფირფიტა კი ისევ ჯიბეში შეინახეთ, რათა მოგვიანებით, შეფისთვის დაგებრუნებინათ და ისიც გეკითხათ, ფალსიფიცირებული ანალგინი ხომ არ შემოგატყუესო?..

თავჩაქინდრული ლანა ადვოკატს უკვე სიტყვისშეუბრუნებლად უსმენდა, თუმცა, აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაცაზე გამალებული ფიქრობდა...

— ქალბატონო ლანა, მისმენთ? — ჰკითხა უცბად იაშვილმა.

— დიახ, რა თქმა უნდა! — მაშინვე ასწია თავი ლანამ.

— რაზე ფიქრობთ?

— მომკალით და მაინც არ მესმის, საქმის ასე ჩახლართვა რა საჭიროა. ხომ შეიძლებოდა, ყველაფერი ისე გვეთქვა, როგორც იყო! ბოლოს და ბოლოს, თინიკოს ხომ უტყუარი სამხილიც აქვს... თუ თქვენ ამაზე საერთოდ არაფერი იცით?

— დამშვიდდით, — გააწყვეტინა იაშვილმა. — უკვე საქმის ყველა დეტალი ზეპირად ვიცი. თქვენს თინიკოს ნამდვილად სერიოზული სამხილი აქვს, მაგრამ გიგაურს კიდევ უფრო სერიოზული პატრონი ჰყავს, თანაც იმდენად „მაღლა“, რომ თუ საჭირო გახდა, მარტო თქვენ კი არა, ათ თქვენისთანა უდანაშაულოსაც სულ თავისუფლად გამომამწყვდევს ციხეში!

— თქვენ ეს გივიმ გითხრათ?

— არა. ლაშამ გაარკვია თავისი არხებით...

— მაშინ, მე ტყუილს ვიტყვი თუ მართალს, რაღა მნიშვნელობა აქვს?! — ხმა გაებზარა ლანას.

— ერთი ეს მითხარი — მოულოდნელად შენობით ლაპარაკზე გადავიდა გაცოფებული იაშვილი. — გინდა, ხვალ საღამოს სახლში რომ დაბრუნდე?

— როგორ არ მინდა?! — დაიბნა ლანა.

— მაშინ დღეს შენი ხმა აღარ გავიგონო!.. ხვალ კი, სასამართლოზე, ჩემს ნათქვამს სიტყვასიტყვით გაიმეორებ, გასაგებია?!. — მაგიდაზე დასაკრავად გამზადებული მუშტი ბოლო წამს ჰაერში შეაჩერა და მერე, ხელი ნელ-ნელა დაუშვა იაშვილმა. დამფრთხალმა ლანამ კი მას თავი უსიტყვოდ დაუქნია...

საკანში დაბრუნებულ ლანას, თათა საწოლზე ნებიერად წამოწოლილი დახვდა, ფისო კი, მეორე თაროზე, ფეხმორთხმით იჯდა და ქაღალდის საჭრელი პატარა, პლასტმასისტარიანი დანით ყანწებივით წამოზრდილ ხელის ფრჩხილებს გულმოდგინედ იქნიდა.

— ლიზი ჯერ არ დაბრუნებულა? — თავისი მეზობლის ფაქიზად გასწორებულ საწოლს სევდიანად გახედა ლანამ.

— არა და არც დაბრუნდება. — გემრიელად გაიზმორა თათა.

— რატომ? — შეწუხდა ლანა. — რამე ხომ რა მოხდა?

— მოხდა, აბა, არ მოხდა? ააორთქლეს შენი ლიზი!.. ფაფუ! იყო და აღარ არის! — მეტი დამაჯერებლობისთვის, ჯერ ხელი ხელს დაჰკრა, შემდეგ კი, ხელისგულებს სულიც შეუბერა თათამ.

— მორჩი, რა! — ჩამოსძახა თათას ფისომ.

— მე კი მოვრჩები, ჩემო ფისო, მაგრამ ხომ ხედავ, როგორ უცბად „დაჩმორდა“ ჩვენი „კარატისტკა“! — თავისას მაინც არ იშლიდა თათა. — რომ ჰკითხო, ძაან მაგარი ვინმეა, რომ იტყვიან, ურტყამს — აგდებს!.. მაგრამ თურმე, მაინც იმ „ერთი გაბანება“ ლიზის იმედად არ ჰქონია დიდი გული?!

— ლიზის რა დაემართა-მეთქი? — ისევ იკითხა ლანამ.

— ააორთქლეს-მეთქი, ვერ გაიგონე? — ხმას აუწია თათამ.

— აბა, ახლა, ორივემ მოკეტეთ! — როგორც იქნა, ფრჩხილების ქნას მორჩა ფისო, დანას რამდენჯერმე შეუბერა სული, დაკეცა და ბალიშის ქვეშ ამოდო.

— ეგ დანა საიდან? — თვითონაც რომ არ ელოდა, ისე მოულოდნელად და ჯიქურ ჰკითხა ლანამ ქალს.

— რაო?!. — გაოცებისგან ჯერ თვალები გადმოეკარკლა, შემდეგ კი საწოლზე წამოჯდა და ხელები გაშალა თათამ. — ფისო, გესმის, რას გიბედავს?! არა, არა, ეს უბედური ნაღდად წერას ჰყავს ატანილი...

— მორჩი-მეთქი, ბაზარს! — ისევ ბრაზიანად ჩამოსძახა ფისომ თათას, შემდეგ ბალიშის ქვეშიდან დანა გამოიღო, გახსნა და ლანას თვალი თვალში ბოროტად გაუყარა: — შენი ბედი, რომ „სროკის“ მომატება არ მაწყობს, თორემ, ჯერ ყელს გამოგღადრავდი და მერე, შენს სისხლს სულ წვეთ-წვეთად დავლევდი!..

ის იყო, მართლაც წერას ატანილ ლანას ფისოსთვის კიდევ რაღაც უკმეხად უნდა ეპასუხა, რომ საკნის კარი გაიღო და ლიზი აჩრდილივით უხმაუროდ შემოვიდა.

— ლიზი! — მაშინვე მასთან გაჩნდა გახარებული ლანა. — სად ხარ ამდენ ხანს?

— ჩემს ადვოკატთან მქონდა შეხვედრა, — საწოლამდე ძლივს მილასლასდა და მოწყვეტით დაჯდა ლიზი.

— ეგ ვიცი, მაგრამ ამდენ ხანს რაზე ლაპარაკობდით? — მაშინვე ლიზის პირდაპირ, საწოლზე მოკალათდა ლანა. — რამე ახალი ხომ არ მოხდა?..

— მოხდა... ოღონდ, კარგი არაფერი... — თავი ხელებში ჩარგო ლიზიმ და აქვითინდა.

— აუ, ისევ დაიწყო!.. — უმალ კედლისკენ იბრუნა პირი თათამ. — ვერ ვიტანთ ამის სლუკუნ-კრუსუნს... ფისოო, — ასძახა მან შემდეგ, დაქალს, — უთხარი, რა, მოკეტოს!

— იტიროს, რა, ჩვენი რა მიდის?! — რატომღაც ისევ საკუთარ ფრჩხილებს მიუბრუნდა ფისო.

— ხომ იცი, რომ ტვინს წაიღებს... — თავისას მაინც არ იშლიდა თათა.

— მაშინ აგერ ა, დანა! დაარტყი ... ხმა გააკმენდინე! — უეცრად, გაშლილ... დანა დამიზნებით ესროლა დაქალს გა... ცოფებულმა ფისომ, მაგრამ ააცილა დ... დანა იატაკზე ხმაურით დავარდა.

— რას აკეთებ, გაგიჟდი?! — კედელ... აეკრა აცახცახებული თათა.

— გიჟები შენკენ მოიკითხე! — საწოლიდან უცბად ისკუპა ფისომ, დანა... აიღო და თათას მოუღერა: — განა არ... ვიცი, რა ახვრობაც გაქვს ჩაფიქრებული!.. ამიტომ დაგასწრებ და მაგ ბინძურ... ენას ძირში მოგაჭრი!..

— ფისო, გაჩერდი! — არაადამიანური ხმით იკივლა უცბად ლიზიმ. — ვისზე ისვრი ხელს?!.

ლიზის კივილზე, ფისოს დანიანი ხელი ჯერ ჰაერში გაუშეშდა, შემდეგ ნელ-ნელა დაუშვა, დანა დაკეცა, ბალიშის ქვეშ ამოდო და საწოლზე შიშისგან მოკუნტულ თათას ერთი გემრიელი წიხლი ჩააზილა:

— ლიზი მართალია, შენზე ხელის გასვრა ნაღდად არ ღირს...

ხმაურზე, საკნის კარი გაიღო და ხელკეტიანი ზედამხედველი შემოვარდა.

— რა ხდება აქ? — თვალები დაუბრიალა მან ქალებს.

— არც არაფერი, უფროსო, — საუთარი ბალიში დინჯად გაასწორა ფისომ. — უბრალოდ, საწოლზე ასვლა მინდოდა, მაგრამ ფეხი დამიცდა. გოგოებს კი შეეშინდათ, „პოლზე“ ტვინი რ... დაასხასო...

— ნეტავ, მართლა დაგესხა! — ... ლით ინატრა ზედამხედველმა. — ამხელ... ძროხა მაღლა „კოიკაზე“ რომ არ... აფორთხდე, დაბლა ვერ დაეგდები?!

— სუფთა ჰაერი მიყვარს, უფროსო... — კვლავ არაფერი შეიმჩნია ფისომ.

ზედამხედველის გასვლის შემდეგ, საკანში ცოტა ხნით სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ, ფისო ხვნეშით ადგა საწოლზე და მალე, უდარდელი ხვრინვაც ამოუშვა. ცოტა ხანში, ქვეყა საწოლზე, ნაცემი ძაღლივით მოკუნტულმა თათამაც მას მიჰბაძა. ლანამ კი, პოლოს და ბოლოს, შვებით ამოისუნთქა და ლიზის მიუბრუნდა:

— ახლა მაინც ამიხსენი, რა მოხდა.

— რა და ყველამ ჩემს წინააღმდეგ შეკრა პირი, — ძლივსღა ამოთქვა და მაშინვე ისევ ცრემლები წასკდა ლიზის.

— ვინ ყველამ? — ჩაეძია ლანა.

— ჩემმა მეზობლებმა... ყველას პირში წყალი ჩაუგუბებია: არაფერი გვინახავს და გაგვიგონია, ისიც კი პირველად გვესმის, მამუკა რომ ლიზის სცემდაო... მარტო ჩვენი კარის მეზობელს, მარი დედას უთქვამს სიმართლე და გამომძიებლისთვის ყველაფერი დაწვრილებითაც მოუყოლია. მაგრამ მარისაც ჩემი დედამთილი სცემია პირში: ყველაფერს იგონებ, ჩემთან ხარ ნაჩხუბარი და გიდა, ჩემს მკვდარ შვილზე აუგის თქმით... ოიმ შურიო... მაგრამ ეს მაინც არ არის მთავარი...



— აბა?.. კიდევ რა მოხდა?

— ჩემს დედამთილს ჩემთვის დედობის უფლების ჩამორთმევაც მოუთხოვია... — ისევ აქვითინდა ლიზი. — შვილი თუ წამართვა, თავს ნამდვილად აღარ ვიცოცხლებ...

— ნუ სულელობ, რა!.. — გვერდით მიუჯდა მას ლანა. — წაგართვას, რა, აღარ უშლიან?!. ქალისთვის დედობის ჩამორთმევა ასე ადვილი რომ იყოს, ბავშვების ნახევარი უდედოდ დარჩებოდა...

— ეგ მეც ვიცი. მაგრამ შენ ჩემს დედამთილს არ იცნობ... — ამოიოხრა ლიზიმ. — იმან თუ რამე მართლა მოინდომა...

— შენი დედამთილი კიდევ, შენ არ გიცნობს. და თუ შენც რამე მართლა მოინდომე... — ხელი მზრუნველად მოხვია და ბავშვივით დაარწია ასლუკუნებული ლიზი ლანამ. — წეღან არ იყო, გაცოფებული ფისო რომ დააოკე და დანაც გააგდებინე?..

— მართლა, — გაახსენდა უცბად ლიზის. — ხომ არ იცი, ის დანა სად წაიღო?

— როგორ არ ვიცი! ბალიშის ქვეშ ამოიდო, მაგრამ შენ ეს რაში გაინტერესებს? — დაეჭვდა ლანა.

— არა, ისე... — დამნაშავესავით ჩაქინდრა თავი ლიზიმ. — მეშინია, კიდევ არ გაგიჟდეს და თათას მართლა რამე არ დამართოს...

— ნუ გეშინია, — დაამშვიდა ლანამ. — ფისომ დღეს ორთქლი საკმარისად გამოუშვა: მანამდე, იმ დანით მეც მემუქრებოდა...

გოგონებმა ცოტა ხანს კიდევ იჩურჩულეს, შემდეგ, ლანა თავის საწოლს დაუბრუნდა და დაძინება სცადა, მაგრამ — ამაოდ.

— ვერ იძინებ? — გამოსძახა მას ლიზიმ.

— ვერა, — უპასუხა ლანამ. — თვალი ვერაფრით მოვხუჭე.

— რაზე ფიქრობ?

— რა ვიცი... ათას რამეზე: ჩემს უწინდელ ცხოვრებაზე, სტუდენტობის წლებზე, ბავშვობაზე...

— როგორი ბავშვობა გქონდა?

— ალბათ, როგორიც ყველას, ჩვეულებრივი, ნორმალური...

— ძალიან ცელქი იყავი?

— არც ისე... უფრო ბუტია ვიყავი, ვიდრე ცელქი...

— მე კი ბავშვობიდანვე უცნაურობები მჭირდა...

— მაინც?

— იცი, რას ვაკეთებდი, როცა ჩემი და მაბრაზებდა ან დედ-მამა მტუქსავდა?.. საძინებელში ჩავიკეტებოდი, საწოლზე წამოვწვებოდი, ჭერს თვალს გავუშტერებდი და წარმოვიდგენდი, როგორ მოვკვდი...

— რაღაცას ნუ იგონებ, რა!.. — გააწყვეტინა ლანამ. — ბავშვები ეგეთ რამეებზე არ ფიქრობენ.

— აი, მე კი ვფიქრობდი! — მაინც დაიჟინა ლიზიმ. — ვიწექი და თითქმის ცხადად ვხედავდი, როგორ მოვკვდი, როგორ ჩამაცვეს ჩემი საყვარელი კაბა, ჩამასვენეს კუბოში, კუბო ოთახის შუაში დადგეს და ირგვლივ ყვავილებით სავსე ლარნაკები შემოუწყვეს... ვხედავდი გაგიჟებულ დედაჩემს, რომელიც ჩემს კუბოს ახლიდა თავს, გამწარებულ მამაჩემს, რომელიც ოთახში ბოლთას სცემდა და რაღაცას გაურკვევლად ბუტბუტებდა, ჩემი და კი ოთახში შემოსვლას საერთოდ ვერ ბედავდა, კარში უშნოდ გახიდულიყო და ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდა...

— აღარ გააგრძელო, რა! — შეეხვეწა ლანა, მაგრამ ლიზი თავისას მაინც არ იშლიდა:

— ჰო-ჰო... მართლა ასე იყო... და იცი, ამ ყველაფრის წარმოდგენა როგორ მშველოდა?.. საძინებლიდან ყოველთვის დამშვიდებული გამოვდიოდი... რა ქენი? გამოიდარეო? — მკითხავდა ხოლმე დედაჩემი და გულში ნაზად ჩამიკრავდა, რის მერეც, მართლაც, ბოლომდე ვმშვიდდებოდი... იცი, ასე რამდენჯერ მყავს საკუთარი თავი გამოტირებული?!. ალბათ, ამიტომაა, რომ სიკვდილის საერთოდ აღარ მეშინია...

— გეხვეწები, რა, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ! — გააწყვეტინა ლანამ.

— მართლა, კინაღამ არ დამავიწყდა?!. — მაშინვე ლოგინზე წამოჯდა ლიზი, საწოლის თავზე გადაფენილი ჟაკეტის ჯიბიდან ოთხად მოკეცილი თაბახის რამდენიმე ფურცელი ამოიღო და ლანას გაუწოდა.

— ეს რაღაა? — ფურცლები უხალისოდ ჩამოართვა ლანამ.

— წერილებია. ერთს ჩემს შვილს ვწერ, მეორეს — დედაჩემს...

— მერე, მე რატომ მაძლევ? — ფურცლების უკან დაბრუნება სცადა ლანამ, მაგრამ ლიზიმ ხელზე ორივე ხელი შემოხვია და შეევედრა:

— ძალიან გთხოვ, აქედან რომ გახვალ, ეს წერილები ჩემს კარის მეზობელს — მარი დეიდას მოუტანე... მისამართი ზედვე წერია... ის კი დედაჩემს გადასცემს... ძალიან, ძალიან გეხვეწები, უარი არ მითხრა, — ლიზის ატირებას აღარაფერი აკლდა.

— კარგი... კარგი, დამშვიდდი, — წერილები საგულდაგულოდ შეინახა ლანამ.

— ოღონდ, იცოდე — სანამ აქედან არ გახვალ, არ წაიკითხო!

— მერეც არ წავიკითხავ, — იწყინა ლანამ. — და საერთოდაც, არ მესმის, სხვისი წერილები რატომ უნდა წავიკითხო?!

— კარგი... როგორც შენ გინდა... — საწოლზე უცბად დაწვა ლიზი და მაშინვე კედლისკენ შებრუნდა...

— ლიზი, გძინავს? — ცოტა ხნის შემდეგ შეეხმიანა მას ლანა. — მაგრამ პასუხად მხოლოდ ქალის მშვიდი სუნთქვა მოესმა...

დილით ლანას, ფისოს გაბმული ღრიალი ჩაესმა:

— გააღეთ, თქვე დამპლებო! — კარს მუშტებს გამეტებით უბრაგუნებდა იგი. — არ გესმით, გოგომ ვენები გადაიხსნა-მეთქი?!.

ამ სიტყვებით შემდეგ საბოლოოდ გამოფხიზლებული ლანა საწოლიდან სწრაფად წამოხტა და შიშველი ფეხები რაღაც ბლანტ სითხეში ჩადგა. ლანამ ძირს დაიხედა და ელდა ეცა: იატაკზე სისხლის გუბე იდგა. პირდაპირ, საწოლზე კი, ცვილის თოჯინასავით უძრავად იწვა ლიზი, რომელსაც სისხლში მოსვრილი ხელი დაბლა ჩამოვარდნოდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

არცთუ ისე დიდი ხანია, რაც ქართველ რეპერებს შორის, ახალი სახე გამოჩნდა. მისი სასცენო სახელია სალჯი. მას რეპსა და რეპერებზე განსხვავებული აზრი აქვს და ამ შეხედულების გამომზეურებაც სურს. მეგობრებთან და თანამოაზრეებთან ერთად, „რეპსაძმაკაცოც“ კი ჩამოუყალიბებია, რომელსაც „13 კრისტალი“ ჰქვია და მწვავე განცხადებებსაც აკეთებს...

სალჯი: „მუშტს მხოლოდ ყოველდღიურ შემთხვევაში გამოვიყენებთ“ ანუ რა ხდება ქართულ რეპსამყაროში

მარი ჯაფარიძე

— ჩემი ნამდვილი სახელი და გვარია გიორგი ჯიხვაშვილი. 28 წლის ვარ. დიდი ხანია, ლექსებსა და სასიმღერო ტექსტებს ვწერ. ჩემი ლექსები ყოველთვის ხალისიანი შინაარსით გამოირჩეოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ცხოვრებამ თავისი სასტიკი სახე დამანახვა, ჩემი ლექსების შინაარსიც შეიცვალა და შესაბამისად, მძიმე გახდა... ჩემი სასცენო სახელი ჩემი გოგონას — სალომეს ინიციალებითაა შედგენილი. ის ახლა 8 წლისაა. დაბადებიდან, ცერებრალური დამბლითაა დაავადებული. მოგეხსენებათ, ჩემი თაობა რამდენიმე ომს მოესწრო. მკვლელობისა და ძალადობის გარდა, ვერაფერს ვხედავდით. ჩემი რამდენიმე მეგობარი აფხაზეთის ომში დაიღუპა. ვაუკაცური კანონებით ვარ აღზრდილი. ჩემი მეორე შვილი, საბა სულ 3 წლისაა და ის ერთადერთი ადამიანია, რომელმაც ჩემი მოხუცებულობისა და დაუძლურების შემდეგ, საკუთარ თავზე უნდა აიღოს ავადმყოფი დის მოვლა-პატრონობა და ატაროს ის მძიმე ჯვარი, რომელსაც ახლა მე ვატარებ... სწორედ ცხოვრებამ და მისმა სასტიკმა კანონებმა მაიძულა, რომ რეპი „მებაზრა“ და შვება ამაში მენახა: ეს ის მუსიკალური მიმდინარეობაა, რომლითაც შემიძლია, ხალხს მოვუყვე არა მარტო ჩემი შვილის, არამედ ყველა იმ ადამიანის შესახებ, რომლებიც ჩემ გარშემო ცხოვრობენ... რამდენიმე ხნის წინ ჩამოვაყალიბე „რეპსაძმაკაცო“, რომელსაც „13 კრისტალი“ დავარქვით. ამ საძმაკაცოს საფუძვლად უდევს ის 13 სუფთა სიტყვა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს.

— ჩამოთვალეთ ეს სიტყვები...

— სიყვარული, მეობა, კაცობა, რწმენა, ზრდილობა, მონანიება, პატიოსნება, თავმდაბლობა, ერთგულება, მოთმინება, დანდობა, დაფასება, გაგება. ალბათ, ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი დამეთანხმება, რომ ჩვენი მომავალი თაობა სწორედ ამ სიტყვების იდეოლოგიით უნდა აღვზარდოთ.

— რატომ მაინცდამაინც 13 სიტყვა?..

— ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და ცრურწმენას არ უნდა ავყვეთ. 13 ისეთივე რიცხვია, როგორიც სხვა დანარჩენი.

— ვინ არიან გაერთიანებულნი ამ საძმაკაცოში?

— ჩვენთან არიან არა მარტო რეპერები, არამედ ისეთი ხალხიც, ვინც რეპს არც კი უსმენს. სულ 300-მდე კაცია. ამ საძმაკაცოს შექმნა ჩემი იდეა იყო. ამის შესახებ ვუთხარი ჩემს მეგობარს, ამიგოს და მასაც მოეწონა. ჩვენ ვცდილობთ, რომ რეპი საქართველოსთვის სასიკეთოდ გამოვიყენოთ. თავდაპირველად, რეპის „ოჯახის გაწმენდას“ მოვახდენთ.

— რას გულისხმობთ „ოჯახის გაწმენდაში“?

— დავიწყოთ იმ რეპერების ჩამოთვლით, ვინც დღეს საქართველოში პოპულარულია. მაგალითად, შავი პრინცი, რომელიც ნარკომანის იმიჯით დამკვიდრდა, ლექს-სენი — ცინიკოსის იმიჯით, ბედინა — განგსტერის იმიჯით, კაბუ — ჰომოსექსუალისტის და ემქეი — ჯამბაზის იმიჯით. ჩვენ მოვუწოდებთ მათ, რომ კაცურად იცხოვრონ. თუ ეს შედეგს არ გამოიღებს, მაშინ მუშტს ვიხმართ და ისე განვდევნით რეპერთა ოჯახიდან.

— მეტისმეტად თამამ განცხადებას ხომ არ აკეთებთ?! არ გეშინიათ, რომ ეს მათთან მწვავე დაპირისპირების საფუძვლად იქცეს?

— ის, რაც მე ვთქვი, არ არის მხოლოდ ჩემი აზრი. ამ აზრს იზიარებს ბევრი ადამიანი. შემიძლია, დაგისახელოთ კიდეც. ჩვენ ჯერ სიტყვით მივმართავთ მათ, რომ გონს მოეგონ. მუშტს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოვიყენებთ.

— მოდი, ცალ-ცალკე გვითხარით ჩამოთვლილ რეპერებზე — ვისთან რა პრეტენზია გაქვთ?

— მაგალითად, ლექს-სენთან ის პრეტენზია მაქვს, რომ თუ უცხოეთიდან ვცდილობთ რაიმის გადმოღებას, მარტო ცუდი რატომ უნდა გადმოვიღოთ?! როცა კაცი ფულს შოულობს, ის ვალდებულია, ქველმოქმედებაშიც დახარჯოს. 15-ათასიან ბე-ემ-ვეში კი არ უნდა ჩაჯდეს; იყიდოს ნაკლებფასიანი მანქანა და დანარჩენი, ხალხს მოახმაროს, კეთილი ინებოს და გაჭირვებულს დაეხმაროს... მოკლე ხანში, „13 კრისტალი“ აპირებს, კონცერტი გამართოს სპორტის სასახლეში. ჩვენ აუცილებლად შევავსებთ სპორტის სასახლეს და შემოსული თანხით აუცილებლად დავეხმარებით გაჭირვებულებს. ლექს-სენი, მამუკა ღლონტის ხელში, ფულის საჭრელი მანქანა იყო. ამას მიხვდა და „მაესტროდან“ წავიდა. იმის შემდეგ, თითქოს ცოტა გამოსწორდა კიდეც...

— სპორტის სასახლეში გამართულ კონცერტში, თქვენ გარდა, კიდევ ვინ იმღერებს?

— მე ჩამოვაყალიბე „13 კრისტალის“ პატარა თაობის ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია დაახლოებით 15 ბიჭი. მათთვის ვწერ ტექსტებს, ვმუშაობთ სტუდიაში სიმღერების ჩაწერაზე და მალე, ალბომსაც გამოვუშვებთ. კონცერტზე ასე, 20-მდე რეპერი იმღერებს.

— მიგაჩნიათ, რომ იმ ცნობილ რეპერებს, რომლებიც ჩამოთვალეთ, თქვენთან ერთად სიმღერის უფლება არა აქვთ?

— თუ მათ უნდათ, რომ ამ სფეროში იღვაწონ, მაშინ, ცხოვრების სტილი უნდა შეიცვალონ. თუ ძველებურად იცხოვრებენ, ვაიძულებთ, რომ საერთოდ დაანებონ სიმღერას თავი. ნორმალური ადამიანი ამ 13 სუფთა სიტყვას არ გადაახტება და როცა შეეცდება, რომ გადაახტეს, სწორედ მაშინ მოხვდება მუშტი.

— საინტერესოა, პირადად თუ იცნობთ იმ ადამიანებს, ვისაც ასე ემუქრებით?

— კაბუს დიდი ხანია, ვიცნობ — ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როცა ქუჩაში ვცხოვრობდი. არ არის სატრაბახო ის, რომ მე

არ არის საგრაბახო ის, რომ მე მძიმე ბავშვობა მქონდა, რადგან ვატყობ, რომ ჩემი ცოდვები ჩემმა შვილმა ზღო...

მძიმე ბავშვობა მქონდა, რადგან ვატყობ, რომ ჩემი ცოდვები ჩემმა შვილმა ზღო... ყველაზე მეტი პრეტენზია სწორედ კაბუსთან მაქვს, რადგან ის, კაცის სახელს ამოფარებული, ფულს ჰომოსექსუალისტის იმიჯით აკეთებს. თანაც, დააკვირდით — თუ ტელევიზიაში ჰყავთ მიწვეული ჰომოსექსუალისტი, მის ოპონენტად აუცილებლად კაბუს იწვევენ. გამაგებინეთ, სად არის ლოგიკა?.. ადამიანი მათით ჭამდეს პურს და თან კიცხავდეს და კილავდეს?!. მას მუდმივი როლი აქვს მინიჭებული ჰომოსექსუალურ „ჟანრში“ და თან ამაყად აცხადებს, რომ კარგი მსახიობი და რეპერია. რატომ არის ასე დარწმუნებული იმაში, რომ მასზე უკეთ ვერავინ შეასრულებს „გომიკის“ როლს?! მაგრამ კაცები ამას არ ვკადრულობთ და თუ კაბუს არ ეთაკილება, მაშინ მას არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია კაცობაზე. შესაძლოა, ბევრმა თქვას, რომ ის მსახიობია და ალბათ, კაბუც სწორედ ამაში პოულობს თავის გამართლების საფუძველს, მაგრამ ცისფრის როლის თამაშით, ის კაცობას ლახავს. შემდეგ გამოდის სცენაზე და პატრიოტულ სიმღერებს მღერის. სწორედ ეს მიმაჩნია კაცური იდეოლოგიის შეურაცხყოფად. რეპი კაცური ჟანრია და არავის გასასვრელი არ არის. ის ჩემნაირი, ტკივილგამოვლილი ადამიანის „ხვედრია“...

— რეპერებს შორის, არ გიხსენებიათ ბიგ-თიკო. განგებ აუარეთ გვერდი, რადგან ქალია, თუ მის მიმართ პრეტენზია არა გაქვთ?

— თიკოს მიმართ რა პრეტენზია უნდა მქონდეს?! ძალიან ნიჭიერი გოგონაა, კარგი ხმა აქვს და გარეგნობითაც მშვენიერია. ის ისეთივე ფულის საჭრელი მანქანაა მამუკასთვის, როგორიც ლექს-სენი იყო. ის მიხვდა და წავიდა. მიკვირს, თიკო რატომ ვერ ხვდება ამას. ჩემი რჩევა იქნება, წავიდეს „მაესტროდან“ და შეცვალოს სიმღერის სტილი. ჯაზისა და სოულის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი იქნება. რა უნდა რეპში?!. თუ არა და, რაც მაია წყნეთელს ურჩია მეფემ, სწორედ ის რჩევა უნდა გაითვალისწინოს: შექმნას ოჯახი და გაუზარდოს საქართველოს ნამდვილი ვაჟკაცები. დაანებოს თავი დანარჩენებთან ჭიდილს. თუ არ დაანებებს, მას ბრმა იარაღად გამოიყენებენ.

— თქვენ თქვით, რომ ქუჩაში ცხოვრობდით. რას ნიშნავს ეს?

— მოვა დრო და ამ კითხვაზე აუცილებლად გავცემ პასუხს. ჩემს ცხოვრებაზე ლაპარაკი არ მინდა. ყოველივე ამის შესახებ ჩემს სიმღერებში მოვყვები...

— ნუთუ, დღევანდელ რეპერებს შორის არ არსებობს ადამიანი, რომელიც თქვენს სიმპათიას იმსახურებს?!

— თითოეული მათგანი კარგი ადამიანია, მაგრამ არ ცხოვრობს ისე, როგორც საჭიროა. კაცურად ცხოვრებას რომ დაიწყებენ, სიმპათიაც მაშინ გამიჩნდება.

— უცხოელ რეპერებზე რა აზრის ხართ?

— აშკარაა, რომ საქართველოში ამერიკული რეპი იკიდებს ფეხს. ამის სასტიკი წინააღმდეგი ვარ, რადგან მაქვს ვიდეომასალა, სადაც კარგად ჩანს, რომ რეპერების კონცერტის დროს, მსმენელები შიშვლდებიან და დედიშობილა „ჰყვებიან“ სიმღერებს. ზოგიერთ რეპერს პორნოელემენტებიც შეაქვს კლიპებში. გადავწყვიტე, რომ მათივე იარაღი გამოვიყენო მათსავე საწინააღმდეგოდ — რეპითვე აღმოვფხვრა რეპერთა მანკიერებანი... ახლა, ქურდების წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციამ იმძლავრა, მაგრამ რა?! ვიშორებთ ქურდებს და მწვანე შუქს ვუნთებთ ჰომოსექსუალიზმს?!

— საიდან გამოგაქვთ ასეთი დასკვნა?

— როდესაც ასე უხვად ხდება ტელევიზი-

ით ამ ადამიანების პროპაგანდა, აბა, სხვა რა უნდა ვიფიქროთ?! მე მიმაჩნია, როდესაც საზოგადოებისთვის ცნობილი სახე ეკრანზე ჰომოსექსუალისტს ასახიერებს, ეს არის პროპაგანდა. ამას წინათ, ნიკა გრიგოლია შემხვდა ქუჩაში. გავაჩერე და ვკითხე: რატომ ასრულებ ეკრანზე ჰომოსექსუალისტის როლს-მეთქი? — იმიტომ, რომ სასაცილოა და ხალხს ამაზე ეცინებაო... სასაცილო კი არა, სატირალია, საქართველოს დღეს ამდენი გეი რომ ჰყავს. ჩვენ კიდევ, ვიცინით და ეკრანზეც ხშირად ვასახიერებთ მათ, რომ მომავალმა თაობამ უყუროს და კარგად შეისისხლხორცოს...

— თქვენი მეუღლე რა პროფესიისაა?

— ჩემი ყოფილი მეუღლე პროფესიით დიზაინერია.

— რატომ — ყოფილი?

— რა ვიცი, ორივემ ასე ჩავთვალეთ საჭიროდ და ახლა ცალ-ცალკე ვცხოვრობთ... შვილები დედასთან არიან, მაგრამ მათ აღზრდაში მეც დიდი წვლილი შემაქვს.

— საინტერესოა, თქვენ თუ დაინტერესებულხართ, რას ფიქრობენ თქვენზე ის რეპერები, რომლებსაც ასე მწარედ აკრიტიკებთ?

— თავიდან, როდესაც ამ რეპსაძმაკაცოს ვქმნიდი, დავუკავშირდი რამდენიმე ცნობილ რეპერს და შევთავაზე, რომ გაერთიანებულიყო ჩვენს საძმოში, მაგრამ მიპასუხეს, რომ მათ თურმე, თავიანთი იდეოლოგია აქვთ და ჩვენთან არაფერი ესაქმებათ. არ უნდათ და კარგად იყვნენ! ხალხი თვითონ გაარჩევს თეთრსა და შავს...

■

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე

1. რომელ ზღარბს შეუძლია დამრგვალება?

ა) მხოლოდ მამრს;
ბ) ევროპაზიურს;
გ) მხოლოდ ზრდასრულს.

2. „კაცის გულს მთეგის გადაგრუნეგა ძალუძს, თუკი ძალის პატარა გულიც დაეხმარეგა“, — წერდა...

ა) ...მიხეილ ჯავახიშვილი;
ბ) ...ილია ჭავჭავაძე;
გ) ...კონსტანტინე გამსახურდია.

3. ვინ შექმნა პირველი წყალგაუმტარი ლაგადა?

ა) ნობელმა;
ბ) მაკინტოშმა;
გ) აინშტაინმა.

4. რა სდევს თან ევროპის ქალაქებში შუქნიშნის თითოეული ფერის ანთებას?

ა) ხმოვანი სიგნალი;
ბ) ციმციმი;
გ) შუქნიშნის ოდნავ შესამჩნევი რხევა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოს — „ოსკარის“ გადაცემის ცერემონიის ორგანიზატორებმა იმ ვარსკვლავებიდან, რომლებიც გამარჯვებულებს მოოქრულ ქანდაკებებს გადასცემენ, პირველი გვარი დაასახელეს: ეს საპატიო მოვალეობა კინოაკადემიის კონკურსის შარშანდელ გამარჯვებულს, მსახიობ ჰილარი სუონკს დაეკისრა, რომელიც კლინტ ისტვუდის ფილმში — „მილიონდოლარიანი ქალიშვილი“ — შესრულებული როლისათვის „საუკეთესო მსახიობ ქალად“ დასახელდა. კინოაკადემიის ტრადიციის თანახმად, წლის „საუკეთესო მსახიობი ქალი“ მომავალ წელს, „ოსკარს“, „საუკეთესო მსახიობ მამაკაცს“ გადასცემს.

„ყელიანი ქალი“ ჰილარი სუონკი

შარშანდელი „ოსკარი“ 31 წლის ჰილარი სუონკისთვის მეორე იყო. პირველად ეს ქანდაკება მსახიობმა 2000 წელს მიიღო ფილმში — „ბიჭები არ ტირიან“ — ნათამაშები როლისათვის. ცოტა ხნის წინ, ჰილარიმ კიდევ ორ ფილმში: „მკა“ და „შავი გეორგინი“ ითამაშა მთავარი როლები. ამჟამად, მსახიობი ახალი დრამის — „თხზულება თავისუფლების შესახებ“ გადასაღებ მოედანზე მუშაობით არის დაკავებული.

ჰილარი სუონკი ვაშინგტონის შტატის ქალაქ ბელინგტონში დაიბადა 1974 წლის 30 ივლისს. ჯერ კიდევ მოზარდი იყო, როდესაც მშობლები გაიყარნენ. გოგონა ბავშვობაში სპორტმა გაიტაცა. ტანვარჯიშში ჩემპიონობაც მოიპოვა და ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე მოცურავეთა ნაკრების წევრიც გახლდათ. მოგვიანებით, როდესაც ჰილარი უკვე საქვეყნოდ ცნობილი მსახიობი გახდა, მოდების პოპულარული ჟურნალისათვის — „მარი კლერ“ — ფოტოგადაღებების დროს, მას ცირკის მსახიობებთან ერთად ტრაპეციაზე ვარჯიში მოუხდა და ეს საქმე იმდენად მოეწონა, რომ ცირკის დასთან ერთად, სამოგზაუროდ წასვლაც კი უნდოდა. მანამდე კი, სუონკმა სამხრეთ პასადენის (კალიფორნია) სკოლა დაამთავრა და 16 წლისამ, საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, ლოს-ანჯელესს მიაშურა.

კინოს სამყაროში ჰილარი სუონკის კარიერა 1991 წელს დაიწყო. ახალგაზრდა მსახიობი ტელესერიალებში ეპიზოდურ როლებს თამაშობდა. როდესაც პროდიუსერები დარწმუნდნენ, რომ გოგონა ფილმის გამოცოცხლებას უწყობდა ხელს, უფრო და უფრო სერიოზულ როლებზე იწვევდნენ და უკვე 1992 წელს, მაყურებელმა ჰილარი ფილმში — „ბაფი, ვამპირთა გამანადგურებელი“ — იხილა. ორი წლის შემდეგ კი, სათავგადასავლო სურათში — „კარატეს კიდევ ერთი ლეგენდა“ — მთავარი როლიც მიიღო. ფილმში მან 17 წლის გოგონა განასახიერა, რომელმაც თავისი ცხოვრება აღმოსავლურ ორთაბრძოლათა შესწავლას მიუძღვნა. ჰილარის გმირი, ჯული პირსი ადრე დაობლდა. გოგონა მშობლების დაღუპვაში საკუთარ თავს სდებს ბრალს და დანაშაულის კომპლექსით იტანჯება. თანაკლასელი ბიჭებიც მუდამ მასხრად იგდებენ... გადაღებების დაწყებამდე, ჰილარიმ საბრძოლო ხელოვნება საფუძვლიანად შეისწავლა, ცნობილ მწვრთნელთან ვარჯიშობდა და სპორტულ დარბაზში დღეში 5 საათს ატარებდა. ფილმი მოზარდ აუდიტორიაზე იყო გათვლილი, მით უმეტეს, რომ მთავარი როლის შემსრულებელიც მხოლოდ 20 წლის იყო. მაგრამ ამ სურათმა ჰილარი სუონკის პოპულარობას ბევრი ვერაფერი შემატა. მომდევნო წლებში, ახალგაზრდა მსახიობი მხოლოდ ნაკლებად წარმატებულ კინო და ტელეფილმებში მონაწილეობდა. შემდეგ კი, ახალგაზრდულ ტელესერიალში — „ბევერლი-ჰილზი 90210“ — კარლა რეინოლდსის როლი ერგო და მის კარიერაში სწრაფი აღმასვლა დაიწყო, რასაც ფილმები: „ზოგჯერ ისინი უკან ბრუნდებიან“, „საშინელება ოჯახში“ და „ყალბი ფულის მჭრელი“ მოჰყვა. უკანასკნელ ხანებამდე, ჰილარის საუკეთესო ნამუშევრად ფილმში — „ბიჭები არ ტირიან“ — განსახიერებული ტინა მერი ბრენდონის როლი ითვლებოდა. სურათის სიუჟეტს, 1994 წელს ნებრასკაში მომხდარი რეალური ამბავი დაედო საფუძვლად. ჰილარის გმირი საკუთარ თავს ყოველთვის ბიჭად აღიქვამდა, ბოლოს კი, ქირურგიული ოპერაციის შედეგად, სქესის შეცვლა და ამ ოპერაციისათვის საჭირო თანხის შოვნა გადაწყვიტა. ის თმას მოკლედ იკრეჭდა, საკუთარ თავს ბრენდონს უწოდებდა, ბარებში დროს მხიარულად ატარებდა და ხელჩართულ ჩხუბებშიც ხალისით მონაწილეობდა. ერთხელაც, ორი ყმაწვილისა და მათი მეგობარი გოგონების კომპანიაში აღმოჩნდა და ერთ-ერთი გოგონა — ლანუ თავდავიწყებით შეუყვარდა... ჰილარი სუონკის გმირი ბიჭს ძალზე წააგავს, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, მხოლოდ წააგავს, საზოგადოებაში კი როლები მკაცრადაა გადანაწილებული: გოგონები ლამაზი სამოსისა და სამკაულების მფლობელები არიან, მამაკაცებს კი გოგონები და ურთიერთობათა გარკვევის უფლება ეკუთვნით და თუ ვინმე, „შინაურის“ ტყავში ეხვევა და ამ კანონს არღვევს, მკაცრი სასჯელი არ ასცდება. ტინას ოცნებას — ბრენდონად იქცეს — ასრულება არ უწერია. მას კლავენ!

ტინა-ბრენდონის როლი ჰილარი სუონკის კარიერაში სერიოზულ მომენტად იქცა. მსახიობმა ერთი ადამიანის განსახიერებისას, ორი, სრულიად განსხვავებული პიროვნების თამაში შეძლო.

ბრენდონის, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი სიმბოლოს განსახიერება, ჰილარის შემდგომშიც გამოადგა: „ფილმისათვის — „ბიჭები არ ტირიან“ — მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობის პოვნა ჩვენთვის ურთულესი ამოცანა აღმოჩნდა, მაგრამ როდესაც ჰილარი ნიუიორკში სინჯებზე ჩამოვიდა, ყველა ეჭვი ერთიანად გაგვფანტა. მან ოფისის ვესტიბიული გაიარა, გრძელი თმა კოვბოურ ქუდქვეშ დამალა და რეგისტრატორს ჩაუარა, რომელმაც განაცხადა, რომ გასინჯვაზე ახალგაზრდა ყმაწვილი მოვიდა. ამ ამბავმა დაგვარწმუნა, რომ ეს როლი მისთვის უნდა მიგვეცა“, — იხსენებს სურათის პროდიუსერი ჯეფრი შარპი. ამ როლით, სუონკმა იშვიათი შანსი მიიღო — მცირე

„ბიჭები არ ტირიან“

„მილიონ-დოლარიანი ქალიშვილი“

ხნით, საპირისპირო სქესის ცხოვრებით ეცხოვრა. ამისათვის კი, იძულებული გახდა, ძალზე გადასხვაფერებულიყო. ხმის ტემბრის შესაცვლელად, 6 კვირის მანძილზე, სახმო სიმებს ავარჯიშებდა, კუნთების დასაყენებლად, მწვრთნელთან ვარჯიშობდა. ბოლოს, უმშვენიერესი გრძელი თმა მოკლედ შეიკრიჭა და ამ საქციელით შოკში ჩააგდო ნიუ-იორკელი პარიკმახერი...

„ადამიანები ისე მელაპარაკებოდნენ, თითქოს მართლაც, ბიჭი ვიყავი. მათ რეაქციებს ინტერესით ვადევნებდი თვალყურს და პირველ რიგში, მათი თვალების გამომეტყველებას ვსწავლობდი, ვაკვირდებოდი, როგორ მომმართავდნენ, თუკი ჩემში ბიჭს ხედავდნენ. მაგარი იყო! ამან ბრენდონის სულში ჩახედვა გამიადვილა, რადგან ჩემთვის ეს ყველაფერი მხოლოდ თამაში ნამდვილად არ იყო. ეს ჩემს ცხოვრებად იქცა!“

1999 წელს, ჰილარი სუონკმა ბრენდონის როლისთვის მრავალი პრემია და ჯილდო მიიღო, მათ შორის — სანუკვარი „ოსკარი“ (ნომინაციაში „ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის“), „ოქროს გლობუსი“, ნიუ-იორკის, ლოს-ანჯელესის და ჩიკაგოს კინოკრიტიკოსთა ჯილდოები და სხვა. ერთი წლის შემდეგ, ჰილარის ShoWest-ის პრემია გადაეცა, რაც მომავლის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად მსახიობის აღიარებას ნიშნავს.

სწორედ ამ პერიოდში, ეკრანებზე გამოვიდა რეჟისორ სემ რეიმის ახალი სურათი „ნობათი“, სადაც ჰილარი სუონკის პარტნიორები, კეიტ ბლანშეტი და კიანუ რივზი იყვნენ. თავად ჰილარიმ ფილმში ეპიზოდური როლი შეასრულა, მაგრამ სურათს კრიტიკოსთა მოწონება ხვდა წილად და „ოსკარის“ ნომინაციაზეც წარადგინეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ეკრანებზე გამოვიდა კიდევ ერთი ფილმი ჰილარი სუონკის მონაწილეობით — „ყელსაბამის ამბავი“, სადაც მსახიობი მისთვის სრულიად ახალ, უჩვეულო ამპლუაში წარდგა მაყურებლის წინაშე: მან XV საუკუნის ფრანგი ქალბატონი — ჟანა ვალუა განასახიერა. ამ მშვენიერმა, გონებამახვილმა ქალმა მის მიერ გაბმულ ინტრიგათა ქსელში მრავალი ცნობილი და მდიდარი პერსონა ჩაითრია. იქნებ, სწორედ მის ინტრიგებს ემსხვერპლნენ და გილიოტინაზე მოხვდნენ: დედოფალი მარია ანტუანეტა და მეფე ლუდოვიკო XV?.. და 800-წლიანი აბსოლუტური მონარქია ხუხულასავით დაინგრა!.. სურათის ერთ-ერთი „მთავარი გმირი “ — საგვარეულო ძვირფასეულობა — იშვიათი სილამაზისა და ღირებულების სამკაულია, რომელიც მეფის ოქრომჭედლებმა ლუდოვიკო მეთხუთმეტის საყვარლისთვის დაამზადეს. „ყელსაბამის ამბავი“ — ერთდროულად არისტოკრატიის ცხოვრების გაცოცხლებული ფურცლები და ამასთანავე, სიყვარულსა და ძალაუფლებას შორის მარადიული კონფლიქტის ამბავია.

ჰილარი სუონკის მიერ 2002 წელს შექმნილი კიდევ ერთი სახე — იდეალისტი დეტექტივის ელი ბერის როლი კრისტოფერ ნოლანის ფილმში „უძილობა“, კრიტიკის ყურადღების ცენტრში მოექცა. აღსანიშნავია, რომ ამ სურათში ჰილარის პარტნიორები ალ პაჩინო და რობინ უილიამსი იყვნენ.

„საინტერესოა ის, რომ ფილმის — „ბიჭები არ ტირიან“ — ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, ხალხი ვერაფრით გარკვეულიყო, ვინ ვიყავი — კაცი თუ ქალი! რესტორანში მეუღლესთან ერთად შესულს, „ბატონობით“ მომმართავდნენ“ (ჰილარი 1997 წლის 2 ოქტომბერს, კინოვარსკვლავ ჩედ ლოუს გაჰყვა ცოლად).

დღესდღეობით კი, ჰილარი უკვე სოლიდური რეპერტუარის მქონე მსახიობია: კარატისტი, ინტრიგანი ქალი, დეტექტივი — ამ როლებმა ჰილარის, ძლიერი, ნებისყოფიანი, თავდაჯერებული გმირების განსახიერების საუკეთესო ოსტატის იმიჯი დაუმკვიდრა. ■

„ოსკარი“

„ოსკარის“ მოლოდინში

რბოლა სანუკვარი ჯილდოსთვის და კრიტიკოსთა ფავორიტები

ჰოლივუდის ყველაზე გავლენიანმა „კლუბმა“ — ამერიკულმა კინოაკადემიამ 112 მსახიობს, პროდიუსერსა და რეჟისორს მიმართა წინადადებით, გახდნენ ხმის მიმცემი აკადემიკოსები. საუკეთესო ფილმებს ყოველწლიურად კინოსამყაროს ყველა დარგის 6 ათასი წარმომადგენელი არჩევს. „ოსკარებით“ დაჯილდოების 77-ე ცერემონიის შემდგომ, აკადემიკოსთა რიგებში ასზე მეტი ვაკანტური ადგილი გაჩნდა, რადგან რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა, დანარჩენებმა კი „ხმის უუფლებოთა“ ბანაკში გადაინაცვლეს. ამრიგად, დღეისათვის, კინოაკადემიას 5790 ხმის მიმცემი წევრი ჰყავს. 600 მათგანი ხმის მიცემაში მონაწილეობას არ მიიღებს. შარშან მიღებული წესების თანახმად, მოქმედ აკადემიკოსთა რიგებს ყოველწლიურად, მხოლოდ 300 წევრი შეიძლება შეემატოს, მაგრამ გამოთავისუფლებულ სავარძელთა რაოდენობის გათვალისწინებით, 4-ჯერ უფრო მეტ ციფრს ვიღებთ.

აკადემიკოსებად მიწვეულთა შორის აღმოჩნდნენ: ფრანგი მსახიობი ჟან რენო, შარშანდელი „ოსკარის“ მფლობელი „მამაკაცის საუკეთესო როლისათვის“ ჯეიმი ფოქსი, Apple Computers-ის დამაარსებელი და სტუდია Pixaz-ის ამჟამინდელი ხელმძღვანელი სტივ ჯობსი, სტუდია Paramount-ის გამგეობის თავმჯდომარე ბრედ გრეი, მულტიმილიონერი კრის ლენდრეტი, გასული წლის „ოსკაროსანი“ „საუკეთესო მუსიკისათვის“, კომპოზიტორი იან კაშმარეკი და სხვები.

„წლის ფილმის“ ნომინაციაში „ოსკარის“ პრეტენდენტთა წრე სულ უფრო ვიწროვდება

2006 წლის 31 იანვარს, ამერიკის კინოაკადემიის ყველა ნომინაციის პრეტენდენტი ცნობილი გახდება. მთავარი ინტრიგა, რაღა თქმა უნდა, „წლის საუკე-

„კუზიანი მთა“

„მიუნხენი“

თესო ფილმის“ ნომინაციას უკავშირდება. აკადემიკოსთა საბოლოო არჩევანი, კრიტიკოსებისა და მაყურებლებისათვის ხშირად, სრულიად მოულოდნელი ხდება. ამიტომ, პირველნი პროგნოზებს გამოთქვამენ და თავიანთ ფავორიტებს „აჯილდოებენ“, მეორენი კი, ამ პროცესს თვალყურს ადევნებენ და ლოგიკის ძიებაში თავს იმტვრევენ.

მეტი პირადი ცხოვრება და რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკა — როგორც ჩანს, სწორედ ესაა კინოკრიტიკოსთა ძირითადი პრინციპი.

თუ ვიმსჯელებთ მათ მიერ გამოქვეყნებული ფილმების სიაზე, რომელიც ოფიციალური ნუსხის გამომზეურებამდე 3 კვირით ადრე გამოჩნდა, კრიტიკოსთა გადაწყვეტილებით, ჰომოსექსუალ კოვბოებზე გადაღებულმა სურათმა პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ჯილდოების „უხვი მოსავალი მოიმკა“, აი, ერაყის ომის შესახებ გადაღებულ ფილმს კი, გამოხმაურება თითქმის არ მოჰყოლია.

„ოსკარის“ რბოლის დაწყების თაობაზე კრიტიკოსები მაშინ აღაპარაკდნენ, როდესაც 2005 წლის ზაფხულში, ეკრანებზე ინგლისელი რეჟისორის სემ მენდესის ფილმი — Jarhend („საზღვაო ქვეითები“) გამოვიდა. დოკუმენტური წიგნის მიხედვით, ერაყის ომის შესახებ გადაღებულ სასტიკ სამხედრო დრამას გაქირავების პირველ კვირას კარგი მოგება და წარმატებული პრესა ჰქონდა, მაგრამ სურათი ჯერჯერობით, არც ერთი შესაძლო ჯილდოს პრეტენდენტი არ არის. ფილმი ვერც „დიდ რბოლაში“ მოხვდა და ვერც პროფესიონალურ ნომინაციებში. სურათის არსებობა თითქოს ყველას დაავიწყდა, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ახალგაზრდა მენდესი უკვე მრავალი ტიტულის მფლობელი და ამერიკელთა საყვარელი რეჟისორია. ამის დასამტკიცებლად, 2003 წელს ფილმის — „დაწყევლილი გზის“ წარმატება, უფრო ადრე — 1999 წელს კი — „ამერიკული სილამაზის“ ტრიუმფიც კმარა, რომელმაც „ოსკარების“ 4 ძირითად ნომინაციაში გაიმარჯვა და სხვა ქვეყნების კინოფესტივალებზეც ათეულობით პრემია მიიღო.

სტივენ სპილბერგის ახალი სურათის — „მიუნხენის“ გადაღებები ფაქტობრივად, საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობდა. ფილმის შექმნას, რომელიც მაყურებელს პალესტინური დაჯგუფება „შავი სექტემბრის“ წევრების წინააღმდეგ ისრაელის სპეცსამსახურის მიერ განხორციელებული ოპერაციის შესახებ მოუთხრობს, 6 თვეზე ნაკლები დასჭირდა, მაგრამ მის სარეკლამო კამპანიაზე სპილბერგმა შეგნებულად თქვა უარი. „მიუნხენი“ წინასაშობაო დღეებში, მხოლოდ რამდენიმე კინოთეატრში უჩვენეს. რეჟისორი სამართლიანად ფიქრობდა, რომ მისი ახალი ნაწარმოები ფართო მაყურებლისთვის არ არის განკუთვნილი, კრიტიკოსები კი სურათს მაინც ნახავდნენ. ასეც მოხდა — კრიტიკოსებმა ფილმი ნახეს და უნდა ითქვას, რომ მოიწონეს კიდეც. ეს იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ამ ფილმში რეჟისორი მედლის ორივე მხარეს გვიჩვენებს: ერთი მხრივ, სისხლიანი დანაშაულისათვის შურისძიების სურვილს, მეორე მხრივ კი, შურის საძიებლად გაგზავნილი აგენტის სულიერ დრამას. მაგრამ როგორც ჩანს, სპილბერგს ან ზედმეტი მოუვიდა

„შეჯახება“

როდესაც რეკლამაზე უარი თქვა, ანდა კრიტიკოსებს მტკივნეულ თემებთან შეხება არ სურთ!..

სტივენ სპილბერგის აბსოლუტური ტრიუმფი 1993 წელს, როდესაც ფილმი — „შინდლერის სია“ — 7 „ოსკარით“ დაჯილდოვდა, აგრეთვე, მისი სატელევიზიო პროექტის — Band of Brothers — წარ-

„საზღვაო ქვეითები“

მატება (პროექტი 2002 წელს, ათეულობით პრემიით აღინიშნა), იმის დამადასტურებელი უნდა იყოს, რომ პროფესიონალ მაყურებელს სამხედრო თემები ძალზე იზიდავს. მაგრამ 2005 წელს, რატომღაც ასე არ მოხდა. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სპილბერგი „ნახევარფინალში“ დამარცხდა — ის უბრალოდ, „ამოუცნობ მოთამაშედ“ რჩება.

ფილმის „კუზიანი მთა“ — ავტორთათვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ეს „უეშმაკო“ ჭკუისდამრიგებლური სურათი ამერიკელ კრიტიკოსთა ფავორიტი გახდა: 2006 წლის იანვრის შუა რიცხვებისთვის, ფილმი „ოქროს გლობუსის“ 7 ნომინაციაზე, ამერიკის კინოკრიტიკოსთა ასოციაციის 5 ჯილდოსა და დამოუკიდებელი კინოს — Independent Spint-ის 4 პრემიაზე იყო წარდგენილი. რეჟისორ ენგ ლის სურათი მაყურებელს მოუთხრობს ორი ახალგაზრდის შესახებ, რომლებიც ვაიომინგის მთებში მდებარე რანჩოში მწყემსებად მუშაობენ. მათ ერთმანეთი შეუყვარდე-

ბათ. ერთ-ერთი გმირი საერთო ყოფის მოწყობას ცდილობს, მეორე კი ჰომოფობიური საზოგადოების მხრიდან გაკიცხვასა და შესაძლო ძალადობას უფრთხის... ასეთი ფილმი „სანდენსის“ მსგავსი, დამოუკიდებელი, მაგრამ გავლენიანი კინოფესტივალისთვის სწორედ რომ ზედგამოჭრილი იქნებოდა, მაგრამ „სანდენს-2006“-ის პროგრამაში „კუზიანი მთა“ რატომღაც, არ მოხვდა. იქნებ იმიტომ, რომ ჟიურიმ სურათი მეტისმეტად კომერციულ ან გულისამრევად პოლიტკორექტულ კინოფილმად მიიჩნია?!

ჰენდერული თვითგამორკვევისათვის ბრძოლის გარდა, ამერიკას რასობრივი და სოციალური იდენტიფიკაციის საკითხებიც აწუხებს. ალბათ სწორედ ეს გახდა, პროფესიონალთა გილდიების რამდენიმე ნომინაციაში პოლ ჰაგისის ახალი ფილმის — „შეჯახების“ წარმატების მიზეზი. ყველანაირი ფერის კანისა

„მშვიდობიან ღამეს და წარმატებას გისურვებთ“

და სტატუსის მქონე ათეულობით პერსონაჟს ერთმანეთთან შიში, ცრურწმენები და დანაშაული აკავშირებს. სურათი ეკრანებზე სწორედ იმ წელს გამოვიდა, როდესაც ახალი ორლეანის კატასტროფა დატრიალდა, რომელმაც ახალი ძალით წარმოაჩინა ქვეყანაში არსებული რასობრივი წინააღმდეგობების მთელი სიმძაფრე. მკაცრი შტრიხების მიუხედავად, „შეჯახება“ მთლად პესიმისტური როდი გამოვიდა. ის არც მწვადს წვავს და არც შამფურს — ფილმის ავტორები ხელოვნებაში ეთიკის დამცველთა და თანამედროვე დრამატურგიული და კინემატოგრაფიული ხერხების თაყვანისმცემელთა გულის მოგებას ერთდროულად ცდილობენ და ახერხებენ კიდეც.

რიგით მესამე ფილმი, რომელიც წლევანდელ ფესტივალებსა და კონკურსებში თითქმის ყველა ნომინაციაზეა წარდგენილი, რეჟისორ ჯეიმს მენგოლდის Walk the Line აღმოჩნდა. ეს ბიოგრაფიული ფილმი, ქანთრის ცნობილი მომღერლის, ჯონი კეშის ახალგაზრდობის წლებზე მოგვითხრობს. სურათში მთავარი როლები, ხოაკინ ფენიქსმა და რიზ უიზერსპუნმა შეასრულეს და კრიტიკის მაღალი შეფასება სწორედ მათი და არა რეჟისორის ან სცენარისტის დამსახურებაა. მასკულტურის გმირების შესახებ გადაღებული ფილმები მუდამ დიდი წარმატებით სარგებლობს. ამგვარი სურათების მიმართ კრიტიკოსებიც არასდროს რჩებიან გულგრილნი. სწორედ ასე მოხდა 2005 წელსაც, როდესაც ფილმში — „რეი“ ნათამაშები მთავარი როლისთვის ჯეიმი ფოქსმა, ლეონარდო დი კაპრიო, ჯონი დეპი და კლინტ ისტვუდიც კი უკან ჩამოიტოვა და „ოსკარი“ მიიღო.

რიზ უიზერსპუნი და ხოაკინ ფენიქსი

ჯორჯ კლუნის მკაცრი, შავთეთრი ფილმიც — „მშვიდობიან ღამეს და წარმატებას გისურვებთ“, წლის საუკეთესო ფილმის პრეტენდენტთა მოკლე სიაში მოხვდა. სურათი „ოქროს გლობუსის“ ნომინაციასა და უცხოური პრესის ასოციაციის პრიზზეა წარდგენილი. ის ტელევიზიისა და ხელისუფლების დაპირისპირებას ეხება, რაც თანამედროვე ამერიკისათვის ძალზე აქტუალური პრობლემაა, მაგრამ ეს იმდენად საფრთხილო თემაა, რომ ძალზე საეჭვოა, „დიადი ილუზიის“ მოყვარულმა კინოაკადემიკოსებმა სურათს მწვანე შუქი აუნთონ.

ამერიკის კინოაკადემიის პრიზის — „წლის საუკეთესო ფილმი“ — ნომინაციის ფინალში შესაძლოა, კიდევ რამდენიმე სურათი აღმოჩნდეს, მათ შორის: პიტერ ჯექსონის „კინგ კონგი“, რონ ჰოუარდის „ნოკდაუნი“ (Cinderella Man) და ფერნანდუ მეირელიშის „ერთგული მებაღე“ (Constant Gardener). მაგრამ უნდა ითქვას, რომ ახალზელანდიელ ჯექსონს „ოსკარები“ უკვე აქვს მოპოვებული, ხოლო გასართობი ფილმები ჰოლივუდში დღესდღეობით, ნაკლებ პატივშია. რონ ჰოუარდის სურათი, თემატურად ეხმაურება „ოსკარების“ შარშანდელ გამარჯვებულ სურათს — „მილიონდოლარიანი ქალიშვილი“, ხოლო ჯონ ლე კარეს რომანის მიხედვით გადაღებული „ერთგული მებაღე“, მეტისმეტად კონსპიროლოგიური, მეტისმეტად ანტიგლობალისტური და ამასთან ერთად, ინგლისური ფილმია, რაც ფინალში მოხვედრის შანსს ამ სურათისთვის ძალზე ამცირებს.

ამერიკელი კინოაკადემიკოსები „წლის საუკეთესო ფილმად“ ნოვატორულ კინონაწარმოებს იშვიათად აღიარებენ. 2006 წლის არჩევანიც ალბათ, სწორედ იმით იქნება განპირობებული, თუ, ჟიურის აზრით, რა როლი ეკისრება დღეს კინემატოგრაფს მაყურებლის წინაშე — აგიტატორული, პროპაგანდისტული თუ აღმზრდელობითი. ყველა ვარიანტი საკმაოდ პირობითი, ხოლო ზოგ შემთხვევაში ორაზროვანიც კია (მაგალითად, „კუზიანი მთის“ შემთხვევაში). ასე რომ, ჩვენ, უბრალო მაყურებელი, მხოლოდ სიურპრიზების იმედად ვრჩებით!.. ■

სეზონის ჰიტებია: ბეწვის ჟენტები, ცეცხლოვანი წითელი ფერი და „ჟმანკა"

დაიწყო 2006 წელი და მოდას ცვლილებები უკვე შეეტყო. დიზაინერებიც დროს უქმად არ კარგავენ და ახალ-ახალ ჩვენებებს მართავენ. რამდენიმე დღის წინ, ახალგაზრდა ქართველმა დიზაინერმა, ნანა მელქაძემ წარმოადგინა ზამთრის ახალი კოლექცია. შეგახსენებთ, რომ შარშან ნანამ მოაწყო ჩვენება, სადაც საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები გამოვიდნენ პოდიუმზე.

დიზაინერის კლიენტებს შორის, არაერთი ცნობილი ადამიანია. როგორც ნანა ამბობს — ზოგისთვის ტანსაცმელი უბრალოდ, კომფორტია, ზოგისთვის, შესაძლოა, უნიფორმას წარმოადგენდეს, ბევრისთვის — იმიჯს, ხოლო ჩემთვის — ტანსაცმლის შექმნა ყველაზე დიდი ხელოვნებაა... შეკითხვაზე, რა სტილისა და ფერის ტანსაცმელია მოდაში 2006 წელს? აი, რა გვიპასუხა დიზაინერმა.

ნათია ქივიძე

— ნანა, მოდი, საუბარი შენი ახალი კოლექციით დავიწყოთ. რა სტილის სამოსია მოდაში?

— თავდაპირველად ის უნდა აღვნიშნო, რომ მაღალი მოდის პროფესიონალები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ხარისხს და არა რაოდენობას. ჩემთვის, როგორც დიზაინერისთვის, თანამედროვე სტილთან ერთად, პირველი ადგილი სწორედ ხარისხს უკავია. ვცდილობ, თითოეული კოსტიუმი დახვწილი და უახლესი ტექნოლოგიებით შესრულებული იყოს. მაგალითად, პიჯაკისა თუ პალტოს სარჩული იმდენად ლამაზი უნდა იყოს, რომ ყურადღებას იქცევდეს. ჩემს ახალ კოლექციაში გამოყენებულია ქართული თექა, ოღონდ, განსხვავებული — თხელი თექა. კოსტიუმები, ჩანთები და ქამრები თექით არის გაწყობილი. ძალიან მიყვარს ექსპერიმენტები და ამჯერადაც, ახალ კოლექციაში ქსოვილების სინთეზი მოვახდინე, მაგალითად, ერთ-ერთ კოსტიუმში ერთმანეთთან შეხამებულია: ველვეტი, ბეწვი და ზამში, მეორეში — ტყავი და ტვიდი, მესამეში — შალი და ბეწვი და ა.შ. საერთოდ კი, მოდაშია ის, რაც ქალს მშვენიერს ხდის. მაგალითად, გამოკვეთილი სილუეტი, ქვემოთ გაშლილი, მუხლამდე სიგრძის, მაღალი საყელო, ქუსლიანი ფეხსაცმელი და წლეულს ძალზე აქტუალური, წითელი ფერი.

— წითლის გარდა, კიდევ რა ფერის ტანსაცმელია მოდაში?

— წლევანდელ ტენდენციებში შავი ფერი დომინირებს. მაგრამ მოდის მიმდევრებს „ტრაურში" სიარულს მაინც არ ვურჩევ. ამასთანავე, აქტუალური იქნება მკაცრი კლასიკური სტილი. მიუხედავად ამისა, ჩემს კოლექციაში სტილიცა და ფერებიც უფრო შევარბილე. სხვადასხვა მასალის ერთმანეთთან შეხამებით, განსხვავებული სინთეზი შევქმენი. წითლის გარდა, მოდაშია ყავისფრის სხვადასხვა ტონალობა, ნაცრისფერი, მწვანე, შავი, ლურჯი ფერები. ეს კლასიკური ფერებია, რომლის გარეშეც არც ერთი სეზონი არ ჩაივლის. რაც შეეხება წითელს, ის ბევრ ქალს უხდება. ფსიქოლოგიური გაშიფვრით, წითელი — გამოწვევაა; ის განგაშის, ემოციების, ასე ვთქვათ, ცეცხლოვანი ფერია... პალტო და ქურთუკი შეიძლება იყოს რადიკალური, მოულოდნელი გადაწყვეტის მქონე და უცხო ხაზებით გამორჩეული. მაგალითად, ვალენტინო წარმოადგენს პალტო-მოსასხამს, რომელიც სახელოების ადგილას უბრალოდ, გაჭრილია. წელს სამი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია ერთიანდება: ნახევრად სამხედრო სტილის, მკაცრი ფორმები, რეტროს სტილის ქალურობა და ახალგაზრდული, ქუჩის თემატიკა. მაგალითად: რკინის სამაგრები, დიდი ბალთები, მასიური სამკაულები, დიდი ღილები და ა.შ. ერთ მიმართულებაში სხვადასხვა სტილი, ფერი და მასალების სინთეზია თავმოყრილი. თავშეკავებული ელეგანტურობა კი, ბრიტანულ სტილს მიეკუთვნება. ღია ტოპები და მინიქვედაბოლოები მოდაში აღარ არის. სამაგიეროდ, აქტუალური გახდა გრძელი ქვედაბოლო, რომელიც აუცილებლად მუხლს უნდა ფარავდეს.

— როგორც ვიცი, წელს ბეწვიც იქნება მოდაში.

— მართალია. ბეწვეულს შორის, წელს კრაველი მოდის „მეფეა". კრაველი, რომელიც ადრე, უფრო ასაკოვანი ქალების სტილთან ასოცირდებოდა, ახლა სულ სხვა იმიჯს ქმნის. ახალგაზრდულიცაა, თანამედროვეც და კომფორტულიც. ჩემს კოლექციაში შავი კრაველის პიჯაკი-მანტო, ტყავის უზარმაზარი ჯიბეებითა და სახელოებით გავაწყვე. დიდი, წვეტებიანი საყელო კი სამოსს მდიდრულობას მატებს, ამასთანავე, პრაქტიკული და ძალიან განსხვავებულია. იმის გამო, რომ წელს, ბეწვი მოდაშია, ჩემს კოლექციაში შარფები სხვადასხვა ფერის ბეწვთან და მაქმანებთანაა კომბინირებული.

— ორიოდე სიტყვა თავსაბურავებზეც გვითხარი.

— წელს მოდაშია ე.წ. „უშანკა", კეპი (ზამშის, შალის, ტყავის) და კლასიკური ფორმის, ბეწვის ფაფახი. ასევე საინტერესო იქნება, თუ ქუდებს ატლასის ლენტით ან ბეწვის დეტალებით გავაფორმებთ. თუკი ადამიანი სიმყუდროვესა და კომფორტზე ოცნებობს, მაშინ მან სწორად უნდა შეარჩიოს არა მხოლოდ პალტო და სხვა ტანსაცმელი, არამედ თავსაბურავიც. მით უმეტეს, რომ მაღალი მოდა ქალის გარდერობის ამ აქსესუარს არასოდეს ივიწყებს. გამონაკლისი არც წლევანდელი სეზონია.

— რაც შეეხება წლევანდელ მოდურ ფეხსაცმელს?

— სეზონის ჰიტი, ბეწვის უნტებია (ჩექმა). ასევე მოდურია, მრგვალცხვირიანი, მაღალყელიანი, ჩექმა პლატფორმაზე.

— ნანა, როცა შენთან კლიენტი მოდის, მის აზრს ითვალისწინებ, თუ საკუთარი ფანტაზიით ურჩევ, როგორი სამოსი უნდა ჩაიცვას?

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მომხმარებლის აზრს ვითვალისწინებ. მაგრამ ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ჩემთვის უთქვამთ — ძალიან მაგარი რაღაც მინდა, ოღონდ, არ ვიცი — რაო. ვიზუალურ მხარესთან ერთად, საკმარისია, 5 წუთი დაველაპარაკო ადამიანს, რომ მაშინვე ვხვდები, როგორი პიროვნებაა ის. ვეკითხები, რა პროფესიისაა და შეკერილი სამოსი სად უნდა ჩაიცვას — სამსახურში, წვეულებაზე თუ ქუჩაში. ეს ის შემთხვევაა, როცა შემიძლია, ჩემი ფანტაზიის რეალიზება მოვახდინო... ■

ნანა მელქაძე თათია გიორგობიანთან ერთად

ამერიკელ ავტომწარმოებლებს დეტროიტმა თავსატეხი გაუჩინა

დეტროიტის ავტოსალონი არა მარტო პლანეტაზე უდიდესი — ამერიკული ბაზრის (შარშან აშშ-ში 17 მილიონზე მეტი მანქანა გაიყიდა!) მდგომარეობის ამსახველი „სადემონსტრაციო დარბაზია“, არამედ მთელი მსოფლიოს საავტომობილო მრეწველობის მიღწევათა წარმოჩენის ადგილსაც წარმოადგენს: ათეულობით მსოფლიო თუ ადგილობრივი პრემიერა, ტიუნინგგავლილი მოდელები, ამ სფეროს ძირითადი ტენდენციების შესახებ სრულ წარმოდგენას უქმნის მნახველს. წლევანდელი სალონის თემა სპეციალისტებმა ასე განსაზღვრეს: უახლესი ტექნოლოგიები — სრულამძრავიანი მანქანებისა და სუპერმძლავრი, „გაუმაძღარი“ ძრავების წინააღმდეგ...

შარშან, ამერიკაში საკმაოდ საინტერესო ტენდენცია აღინიშნებოდა: უკანასკნელი 25 წლის მანძილზე, პირველად შემცირდა ე.წ. თრეკების (სპორტული ყველგანმავლების, მძიმე პიკაპებისა და მინივენების) გაყიდვა და 2%-ით გაიზარდა კლასიკური სედანებისა და უნივერსალების რეალიზაცია. კლასიკური

მოდელების პოპულარობის ზრდას თან ახლდა უახლესი ტექნოლოგიების იერიში.

შარშან, იაპონელებმა აშშ-ში საერთო ჯამში, 109 ათასი „ჰიბრიდის“ — Toyota Prius — გაყიდვა მოახერხეს. ამ მანქანის თაყვანისმცემლებს შორის, კალიფორნიის გუბერნატორი არნოლდ შვარცენეგერი და კინოვარსკვლავი ლეონარდო დი კაპრიოც აღმოჩნდნენ. ჰიბრიდული — ბენზინის და ელექტროძრავას მქონე „პრიუსის“ პოპულარობის ზრდას, საწვავის გაძვირებამ შეუწყო ხელი. შარშან ზაფხულში, გალონი ბენზინის ფასმა 3 დოლარს (ე.ი. 1 ლ-ში დაახლოებით 80 ცენტს) მიაღწია. დღეისათვის, ჰიბრიდულ ტექნიკას თავად დეტროიტელებმა მოჰკიდეს ხელი: კორპორაცია „ჯენერალ მოტორსმა“ შეიმუშავა სისტემა Bluetec, რომელიც ელექტროძრავასა და სუპერსუფთა დიზელს აერთიანებს.

იაპონელებისგან განსხვავებით, გერმანელები არ აწარმოებენ ჰიბრიდულ მანქანებს — მათ მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურ და ეკოლოგიურად სუფთა დიზელის აგრეგატზე აქვთ გადატანილი აქცენტი. მაგრამ ასეთი ძრავას უპირატესობებში ამერიკის დარწმუნება არცთუ ისე იოლი ამოცანაა. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი მცდელობები მუდამ ამაო გახლდათ. 80-იანი წლებში, GM-მა დიზელის ძრავათი აღიჭურვა „კადილაკი“, რომელმაც ვერა და ვერ მოინადირა ავტომოყვარულთა გულები. საკმაოდ ხარისხიანი, S კლასის „მერსედესიც“ (300SD) კი, ოკეანეს გაღმა არცთუ ისე კარგად იყიდებოდა. მიუხედავად ამისა, გერმანელები დანებებას არ აპირებენ. 2004 წელს. აშშ-ში 517 ათასი დიზელისძრავიანი და 83 ათასი ჰიბრიდული ავტომობილი გაიყიდა. წლეულს, ამერიკის ავტოგასამართ სადგურებზე საგანგებოდ მსუბუქი მანქანებისთვის განკუთვნილი დიზელის საწვავი გაიყიდება: აქამდე, მათ მფლობელებს სატვირთო მანქანების გვერდით უწევდათ მანქანების გამართვა, რაც სულაც არ უწყობდა ხელს დიზელისძრავიანი ავტომობილების პოპულარობის ზრდას.



მაგრამ მთავარი მოვლენა მაინც, 2008 წლისთვისაა დაგეგმილი: სწორედ მაშინ, აშშ-ში ამოქმედდება ახალი კანონი გარემოს დაცვის შესახებ, რომელიც ამ ტიპის მანქანების მიმართ უკიდურესად გამკაცრებულ მოთხოვნებს შეიცავს. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება მხოლოდ ნახსენები — Bluetec-ის ტექნოლოგიის მეშვეობით იქნება შესაძლებელი.

სადღეისოდ კი, რეალიზაციის მოცულობის მიხედვით, „ჰიბრიდი“ მაინც სჯობნის დიზელს: თუ 2004 წელს, აღნიშნული ტექნოლოგიის ლიდერებმა — Toyota-მ და Honda-მ — მსოფლიოში თითქმის 200 ათასი მანქანა გაყიდეს, 2007 წელს, ინსტიტუტის — J.D.Power — პროგნოზით, ეს ციფრი გაორმაგდება; მეორე ამერიკული ინსტიტუტის — Global Insight — ვარაუდით, 10 წლის შემდეგ, ამერიკულ ბაზარზე ჰიბრიდული ავტომობილების წილმა შეიძლება, 25%-ს მიაღწიოს, დიზელის ძრავათი აღჭურვილებმა კი — მხოლოდ 10%-ს.

თუმცა დღესდღეობით, ამერიკელ ავტომოყვარულთა უმრავლესობას მაინც, ზემ



ძლავრი, დიდი და სრულამძრავიანი მანქანები იზიდავს. იაპონური „ჰიბრიდების“ ბუმი კი, ბევრს მხოლოდ მოდის გამოვლინებად მიაჩნია. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ამერიკელები ძრავას სიმძლავრეს ანიჭებენ უპირატესობას. სწორედ ამიტომ, იაპონელებმა დეტროიტში ჩაიტანეს ჰიბრიდული მოდელი — Camry, რომლის აგრეგატის სიმძლავრეც 192 ცხ.ძ-ს შეადგენს. თუ ნავთობზე მსოფლიო ფასები დღევანდელ დონეზე შენარჩუნდება, ამერიკაში ჯერ მხოლოდ მოდად ქცეული, ახალი ტექნოლოგიებისადმი მიდრეკილება, შესაძლოა, მყარ ტენდენციად იქცეს.

დაბოლოს, წარმოგიდგენთ ამერიკელ ავტომწარმოებელთა ორ ახალ ნამუშევარს, რომელსაც დეტროიტის სალონის მნახველთა დიდი მოწონება ხვდა წილად.

კონცეპტუალური F250 Super Chief — 24-დუიმიანი საბორბლე დისკებით, 10-ცილინდრიანი V ტიპის ძრავათი აღჭურვილი პიკაპია, რომელიც, როგორც ბენზინს, ისე წყალბადს იყენებს საწვავად. დამატებითი გამართვის გარეშე, 500 მილის (1 მილი — 1300 მ) დაფარვა შეუძლია. მანქანის სალონის მოპირკეთებისას, გამოყენებულია კაკლის ხისა და ალუმინის ფრაგმენტები, სავარძლები კი, ნატურალური ტყავისგანაა დამზადებული. მაგრამ F250 Super Chief — წმინდა წყლის ექსპერიმენტული მოდელია და მისი სერიული წარმოება დაგეგმილი არ არის.

რაც შეეხება ვეებერთელა „შევროლეს“ — მისი სრული სახელია Chevrolet Kodiak, ის აღჭურვილია 6,6 ლ მოცულობისა და 300 ცხ.ძ. სიმძლავრის დიზელის ძრავათი და ხუთსაფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფით. პიკაპის სალონი, ლუქსის კლასის მანქანების დონეზეა შესრულებული. მას უახლესი აუდიოსისტემა ახლავს. გარდა ამისა, მანქანის ჭერში დამონტაჟებულია 10-დუიმიანი მონიტორი, ხოლო წინა სავარძლების თავებზე — 7-დუიმიანი მონიტორები. უკუსვლით მოძრაობის გასაკონტროლებლად, სპეციალური ვიდეოკამერაა განკუთვნილი. ამერიკელმა დილერებმა ეს მანქანა დეტროიტის ავტოსალონის დასრულებისთანავე მიიღეს. მისი ფასი 120189 დოლარია.

■

თემურ ხუბულური პირველი ქართველი

მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოში

როგორ დასდევდა ხუბულურს იამასიტა ქალაქიდან ქალაქში საჭიდაოდ

2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე ძიუდოში ზურაბ ზვიდაურის მიერ მოპოვებულმა ოქროს მედალმა და ნესტორ ხერგიანის „ვერცხლმა მთელ საქართველოს დიდი სიხარული მოუტანა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს წარმატება ციდან არ ჩამოფრენილა და იგი ქართული ძიუდოს არაერთმა ბრწყინვალე წარმომადგენელმა გამოჭედა. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია თემურ ხუბულურს და ამას ბატონი თემურის მიერ მოპოვებული ტიტულები ადასტურებს. ის პირველი ქართველი გახლავთ, რომელმაც ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, ამასთან, ჩვენს თანამემამულეთაგან ერთადერთია, ვინც ორჯერ მოახერხა ამ წარმატების მიღწევა. გარდა ამისა, თემურ ხუბულური მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორიცაა, მან სამჯერ — ევროპის ჩემპიონატზე, ორჯერ — საბჭოთა კავშირის პირველობაზე და ერთხელ — სპარტაკიადაზე გაიმარჯვა. რაც შეეხება სხვადასხვა რანგის საერთაშორისო ტურნირში მის მიერ მიღწეულ წარმატებას, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. დღეს, ბატონი თემური საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია.

გიორგი ლანჩავა

ჯერიოზულად წაგებული ფინალი

— ბავშვობაში, ყველა ბიჭის მსგავსად, ფეხბურთს ვთამაშობდი და როგორც მეკარეს, სკოლის ნაკრებში რაიონის პირველობაზეც მიასპარეზია. მაგრამ საბოლოოდ, ფეხბურთს, ჭიდაობა ვამჯობინე, რაც იმანაც განაპირობა, რომ გორის რაიონის სოფელ სკრაში ვარ დაბადებული და ჩვენს მხარეში სპორტის ეს სახეობა ძალზე პოპულარული გახლდათ. აქვე გეტყვით, რომ ფიზიკურად პატარაობიდანვე ძლიერი ვიყავი. მახსოვს, თანასოფლელი ბიჭი შემომიჩნდა — გინდა თუ არა, ჩხუბში მოგერევიო. თავი რომ აღარ დამანება, ჰაერში ავწიე და საკმაოდ მაღალი ღობის იქით გადავსვი, რითიც დავუმტკიცე, რომ ჩემი მომრევი არ იყო. სხვათა შორის, ფიზიკური ძალით მამაჩემიც გამოირჩეოდა. ერთხელ, მან კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უზარმაზარი მორი სთხოვა, რომელიც კანტორის ეზოში ეგდო. თავმჯდომარე გაეცინა — თუ ზიდავ, წაიღეო. მამაჩემმა მორი მხარზე მსუბუქად გაიდო და სახლისკენ გასწია... 15 წლისამ, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დავიწყე ვარჯიში. ერთი წლის შემდეგ, თავი დავანებე, რადგან არ მომწონდა, რომ ჩოხა არ გვეცვა და თან, ფეხის ხმარებაც არ შეიძლებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, ძიუდოზე გადავსულიყავი, ვინაიდან ჩაცმულობითა და წესებით, იგი ქართულ ჭიდაობას წააგავდა. 1971 წელს, გივი კურტანიძის რეკომენდაციით, შევუდექი ვარჯიშს გივი ზაუტაშვილთან და გურამ პაპიტაშვილთან. დღეში 5 საათი გავდიოდი წვრთნას და 2 თვის შემდეგ, სამბოში ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონატი მოვიგე. იმავე წელს, თანატოლებში საბჭოთა კავშირის

ჩემპიონი გავხდი 86 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მომდევნო წელს, უკვე დიდებს შორის დავიკავე მეორე ადგილი და საქართველოს ნაკრებში მოვხვდი. 1974 წელს, ძიუდოში თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ვიჭიდავე და ფინალში დავმარცხდი. მაგრამ საბჭოთა კავშირის ნაკრებში მაინც შემიყვანეს, როგორც ძირითადში, ასევე ახალგაზრდულში. იმავე წელს, საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფინალში თანამემამულეს — რამაზ ხარშილაძეს შევხვდი. ჩოქბჯენში ჭიდაობისას, მან ცერი წვივში ამომარტყა და წაქცევისას, უნებლიეთ ხელი მაღლა ავწიე. მსაჯმა იფიქრა, რომ ამით ვანიშნებდი — მეტოქეს ვნებდები-მეთქი და ამიტომ, ხარშილაძეს სუფთა გამარჯვება ჩაუთვალა. ასეთ, საკმაოდ კურიოზულ სიტუაციაში დავკარგე ოქროს მედლის მოპოვების შესაძლებლობა.

პროტესტი „ბრაზილიურად“

— მიუხედავად იმისა, რომ ქვემძიმე წონაში ვჭიდაობდი, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, ბრაზილიაში მიმდინარე ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე მძიმე წონაში მეასპარეზა. შეჯიბრების წინ როცა ვიწონებოდით, გერმანელმა ოლბერგმა, რომელიც 2 მ სიმაღლის გახლდათ და 130 კილოგრამს იწონიდა, მიმითითა — სასწორთან ადგილი შეგეშალა, ქვემძიმეთა შორის უნდა იდგეო. ვუპასუხე — მძიმე წონაში უნდა ვიჭიდავო-მეთქი, რაზეც მას გაეცინა. ნახევარფინალში სწორედ ოლბერგი შემხვდა და ორთაბრძოლისას, რამდენჯერაც მოვკიდე ხელი, იმდენჯერ წავაქციე. იმდენი ქულა ავართვი მეტოქეს, რომ დათვლაც კი გამიჭირდა. მაგრამ იტალიელმა მსაჯმა მოულოდნელად, მე გამაფრთხილა — ვითომ ფეხი ტატამს იქით დავდგი. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ გერმანელთან მხოლოდ სუფთა გამარჯვება გამიყვანდა ფინალში. მეც, რაც შემეძლო, შევუტიე და ნახევარ წუთში, სამი გდება გავუკეთე. მაგრამ მსაჯმა ისევ გაფრთხილება მომცა, თითქოს ტატამი დავტოვე და ამის შედეგად, ასპარეზობიდან მომხსნეს. ჩვენს ორთაბრძოლას, რომელიც რიო-დე-ჟანეიროში მდებარე „მარაკანის“ სტადიონის გვერდზე, ამავე სახელწოდების დარბაზში იმართებოდა, 35 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. ისინი არბიტრის ქმედებამ ისე აღაშფოთა, რომ ტურნირის ორგანიზატორებს იტალიელის დარბაზიდან გაპარება მოუხდათ. ნახევარი საათის განმავლობაში, შეჯიბრება საერთოდ შეწყდა და გაბრაზებული გულშემატკივრები დარბაზში ქილებს, ქაღალდებსა და რაც კი ხელში მოხვდებოდათ, ყველაფერს ისროდნენ... მსაჯის მიერ ჩადენილი უსამართლობით ისე ვიყავი გამწარებული, რომ ტატამს არ ვტოვებდი. შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა სთხოვეს საბჭოთა უშიშროების თანამშრომელს, რომელიც თან გვახლდა, რომ ტატამიდან გასვლაზე დავეყოლიებინე. ბოლოს და ბოლოს, მან მაიძულა, ტატამი დამეტოვებინა, დარბაზში გასულს კი, ადგილობრივმა ქომაგებმა ავტოგრაფი ჩამომართვეს... მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლა მოვიგე, ხოლო ოლბერგი ფინალში დამარცხდა და ვერცხლის მედალს დაეუფლა. სხვათა შორის, გერმანელი ძალიან კარგი ბიჭი აღმოჩნდა და დაჯილდოებისას კვარცხლბეკზე რომ ვიდექით, თავის ვერცხლის მედალს მაძლევდა, რომელიც ბუნებრივია, არ გამომირთმევია...

თემურ ხუბულური მეუღლესთან ერთად

საუნაში გატარებული 12 საათი

— 1976 წელი ჩემთვის უიღბლოდ დაიწყო, რადგან საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე მოსკოვში პირველსავე წრეში დავმარცხდი რუს ივანოვთან, რომლის გვარი ძიუდოს სამყაროში არც მანამდე მქონდა გაგებული და არც მას შემდეგ გამიგონია... ჩვენ 5 წუთის განმავლობაში, ტატამზე, როგორც იტყვიან, ვიგორავეთ და ბოლოს, მსაჯმა გამარჯვება მეტოქეს მიანიჭა. მომდევნო წრეში, ივანოვი თავად დამარცხდა და არსებული წესების თანახმად, რაიმე სინჯის მედლისთვის ბრძოლას გამოვეთიშე. მიუხედავად ამისა, ევროპის ჩემპიონატზე კიევში მაინც წამიყვანეს და მე პირად პირველობაში გამოვედი ქვემძიმე წონაში, ხოლო ხარშილაძე — გუნდურში. ნახევარფინალში, წინა წლის ჩემპიონი, იუგოსლავიელი გორან ჟუველა დავამარცხე, ხოლო ფინალში — ბელგიელ ვან დერ ვალეს მოვუგე. სწორედ ამ ორთაბრძოლით დაედო სათავე ჩემი და ვან დერ ვალეს მრავალწლიან დაპირისპირებას. აქვე გეტყვით, რომ კიევში ევროპის პირველობას ბევრი ქართველი ესწრებოდა, რომელმაც გამარჯვების შემდეგ, ხან სად დამპატიჟა, ხან — სად და 3 დღეში, 6 კილოგრამი მოვიმატე. გუნდური ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე, მთავარმა მწვრთნელმა მოულოდნელად მითხრა — გუნდური შეჯიბრების მონაწილეთა აწონისთვის მოემზადეო. სასწრაფოდ, წონის დაკლება მჭირდებოდა და მეორე დილას, 8 საათზე, საუნაში წავედი, სადაც საღამოს 8 საათამდე დავყავი და სასურველ წონას მივაღწიე. ჩემი შემხედვარე, ქართველი ძიუდოისტი ობგაიძე გაოცებული დარჩა, რადგან, ვიდრე ის ორ კილოგრამს დაიკლებდა, მე 6 კილოგრამის დაკლება მოვახერხე. საბოლოო ჯამში, აწონა კი გავიარე, მაგრამ ჭიდაობამ არ მომიწია... იმ წელს, არც ოლიმპიადაზე წამიყვანეს მონრეალში, სადაც ხარშილაძემ მეორე ადგილი დაიკავა.

გუნდურად დაპყრობილი ევროპა

— მომდევნო წელი ჩემთვის იმით დაიწყო, რომ თბილისის ტურნირზე ფრანგი ანჯელო პარიზი დავამარცხე და საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად, მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებას შევუდექი. უკვე ესპანეთში გასამგზავრებელი თვითმფრინავის ბილეთებიც გვქონდა აღებული, როცა ერთი კვირით ადრე შეგვატყობინეს — ესპანეთში პოლიტიკური სიტუაციის გართულების გამო, მსოფლიო პირველობა არ ჩატარდებაო. იმავე წელს, ევროპის ჩემპიონატზე გუნდურ პირველობაზე ვიასპარეზე, ხოლო ხარშილაძემ — პირად ჩათვლაში. ფინალში გადამწყვეტი ორთაბრძოლა კვლავ პარიზის მოვუგე და ამ გამარჯვებით, საბჭოთა კავშირის ნაკრებს გუნდური პირველი ადგილი დავაკავებინე. მაშინ ქვეყნის ნაკრებში საქართველოს 5 წარმომადგენელი — ობგაიძე, ბარკალაევი, ხაბულიანი, ნიჟარაძე და მე შევდიოდით. მათგან ყველაზე უკეთესი შედეგი მე ვაჩვენე.

პირველი „მსოფლიო ოქრო“

— 1979 წელს, საბჭოთა კავშირის სპარტაკიადაზე მძიმე წონაში მაჭიდავეს და ფინალში ოლიმპიური ჩემპიონი ნოვიკოვი დავამარცხე, რაც სენსაციად ჩაითვალა, რადგან მე ქვემძიმეწონოსანი ვიყავი, ხოლო მეტოქე ჩემზე 20 კილოგრამით მეტს იწონიდა. სპარტაკიადის პარალელურად, მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის ღია ჩემპიონატი, რომლის გამარჯვებული, სპარტაკიადის ოქროს მედლის მფლობელს უნდა შეხვედროდა, ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის გამოსავლენად. ამ ტიტულის მოსაპოვებლად, 150 კგ წონის მქონე მეტლიცკის დავუპირისპირდი, რომელიც 10 წამში მიწაზე ისე დავანარცხე, რომ დარბაზმა ლამის ზანზარი დაიწყო... მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ნაკრებში კონკურენტი აღარ მყავდა და მსოფლიო ჩემპიონატზე გავემგზავრე, რომელიც საფრანგეთში, პიერ დე კუბერტენის სახელობის დარბაზში ჩატარდა. პირველსავე ორთაბრძოლისას, ისე დავიზიანე ნეკნი, რომ სუნთქვა მიჭირდა. ამიტომ, მთელი ტურნირი, ფინალის ჩათვლით, ტკივილგამაყუჩებელი ინიექციების „თანხლებით“ ვიჭიდავე. გადამწყვეტი ბრძოლის წინ, რომელიც ვან დერ ვალესთან უნდა ჩამეტარებინა, ტურნირზე ერთსაათიანი შესვენება გამოცხადდა. დასასვენებლად სასტუმროში წასვლას აზრი არ ჰქონდა და იქვე ახლოს მდე-

ბარე სკვერში სკამზე ჩამოვჯექი. ჩემგან მოშორებით, ვან დერ ვალე დავინახე და ერთმანეთს ისე ვუყურებდით, როგორც კინოვესტერნში მოწინააღმდეგე კოვბოები. თან ორივე წინასწარ ვბრაზდებოდით და ასეთ მდგომარეობაში გასტანა თითქმის ნახევარმა საათმა. ფინალში ბელგიელი ისე დავამარცხე, ზედმეტი მოძრაობა არ გამიკეთებია. ამ გამარჯვებით ისტორიაში შევედი, რადგან მეხუთე არაიაპონელი ვიყავი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, ქართველებიდან კი, პირველი გახლდით, ვინც ასეთ შედეგს მიაღწია. გამარჯვებისთვის ვასია კოგამ, რომელიც ძიუდოს მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტის, იაპონელი მაცუმაოს ფინანსური მრჩეველი და ამავე ორგანიზაციის ფინანსური დირექტორი გახლდათ, 1.000 დოლარი მაჩუქა. საკავშირო სპორტკომიტეტისგან ამ წარმატებისთვის 1.500 მანეთი მეკუთვნოდა, მაგრამ დაქვითვის შემდეგ, კარგად მახსოვს, 1.257 მანეთი და 57 კაპიკი მომცეს. 1979 წელს, საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად დამასახელეს.

ერთადერთი და ყველაზე დასანანი მარცხი

— კარიერის მანძილზე, რობერ ვან დერ ვალესთან 9 ორთაბრძოლა მაქვს ჩატარებული და მხოლოდ ერთი — წაგებული. თუმცა, სამწუხაროდ, ეს ერთადერთი შეხვედრა მოსკოვის ოლიმპიადის ფინალში დავთმე. ამ მარცხს მთლიანად საკუთარ თავს ვაბრალებ, რადგან მინდოდა, ეფექტურად მომეგო და ვიჩქარე. ორთაბრძოლა ერთი წუთის დაწყებული იყო, როცა მეტოქეს ჯიქურ მივეჭერი და გარე სარმის გაკეთება ვცადე. არადა, მანამდე, ეს ილეთი საერთოდ არ გამომიყენებია. ვან დერ ვალემ ვაზარი ამართვა და ამის შემდეგ, მხოლოდ სუფთა მოგება მიხსნიდა დამარცხებისგან. ამიტომაც, შეტევაზე გადავედი, მაგრამ ბელგიელმა კოკა ამართვა. შეხვედრის მსვლელობისას, მეტოქე ვაიძულე, გაფრთხილება მიეღო და ვაზარი გავათანაბრე, მაგრამ ვან დერ ვალემ იმ ერთი კოკათი მაჯობა... მომდევნო წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე ჰოლანდიის ქალაქ მაასტრიხტში ფინალში კვლავ მე და ბელგიელი შევხვდით. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ვან დერ ვალესთან, ოლიმპიადის ფინალის მსგავსად, ვაზარის ვაგებდი, მაგრამ ამჯერად იმდენი ვეცადე, რომ ქულათა დეფიციტი დავფარე და ოქროს მედალი მოვიპოვე. მიღწეული შედეგით, პირველი საბჭოთა სპორტსმენი გავხდი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატი ორჯერ მოიგო. თან ეს ისე გავაკეთე, რომ ვერც ერთმა მეტოქემ ქულა ვერ ამართვა... 1982 წელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდი და ჭიდაობას თავი დავანებე, რადგან წელის ტრავმამ შემაწუხა.

მუცლით დანარცხებული იამასიტა

— საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში 1977 წელს, იაპონიაში ვიმყოფებოდი, სადაც ადგილობრივ ძიუდოისტებთან ერთობლივ ვარჯიშს ვატარებდით. ნაღვლის ბუშტი მაწუხებდა, ამიტომ, თავს არ ვიტვირთავდი. მაგრამ იაპონიის ძიუდოს ცენტრ „ოდოკანში“ გულმა არ მომითმინა და გადავწყვიტე, ცოტა მევარჯიშა. ამ დროს, ლეგენდარული იაპონელი მოჭიდავე, იასუხირო იამასიტა მოვიდა ჩემთან და შემომთავაზა — ვივარჯიშოთო. წვრთნის დასაწყისში იამასიტამ ხელი რომ მომკიდა, მივხვდი, თუ რა ძალის პატრონიც იყო. თუმცა ჭიდაობისას, მეტოქეს ცერი გამოვკარი და იგი მუხლებზე დაეცა, ამას კი ქართული ჭიდაობის ილეთი — კისრული დათრევით მივაყოლე და ჰაერში რამდენიმე ტრიალის შემდეგ, იამასიტა ტატამზე მუცლით დაეცა. ამან იაპონელი ეტყობა, ძალიან გააბრაზა და გააფთრებული, შეტევაზე გადმოვიდა. ნახევარ წუთში, ნაღველმა შემაწუხა და ჭიდაობა შევწყვიტე. ამის შემდეგ, იამასიტამ ხუთჯერ მაინც მთხოვა — მეჭიდავეო, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან ნამდვილად არ შემეძლო ტატამზე გამოსვლა... ერთობლივი წვრთნების ჩასატარებლად, ნაკრები სხვა ქალაქში გადავიდა, მაგრამ მე კვლავ არ ვვარჯიშობდი. ერთხელ, დარბაზში რომ ვიმყოფებოდი, შემოვიდა იამასიტა, რომელიც საგანგებოდ ჩამოსულა, რომ ჩემთან ეჭიდავა: ეტყობა, მას ვერ მოენელებინა ის ამბავი, ტატამზე რომ დავანარცხე... იაპონელს კიდევ ერთხელ ავუხსენი — შეუძლოდ ვარ-მეთქი, — და აღარ შევუწუხებივარ. იაპონიაში საბჭოთა ნაკრებში რუსი ძიუდოისტი შუროვიც იყო, რომელმაც იამასიტა გამოიწვია საჭიდაოდ. მაგრამ იქ არსებული ტრადიციის თანახმად, ძლიერი ძიუდოისტი შედარებით სუსტს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეჭიდავებოდა, თუკი ამას თავად მოინდომებდა. იამასიტამ შუროვს უარი უთხრა. მაგრამ ცოტა ხანში, თავად მოინდომა რუსთან ჭიდაობა. შუროვი საკმაოდ უხეში ათლეტი გახლდათ. ორთაბრძოლისას, ჩვეულებისამებრ, უხეშობა დაიწყო, მაგრამ იამასიტამ ჩოქბჯენში მას ისეთი ილეთი გაუკეთა, რომ რუსმა მხოლოდ ისღა დაიძახა — „ოი, მამა!“ — და შემდეგი ორი კვირა, სხვების დახმარების გარეშე, ვეღარ გადაადგილდებოდა. საერთოდ, ვინც კი ტატამზე მინახავს, მათ შორის, იამასიტა ყველაზე ძლიერი ძიუდოისტია.

საჩხუბრად სხვა ვერავინ ნახეთ?

— 1979 წელს, მსოფლიო ჩემპიონატიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი და მეუღლესთან ერთად, ვაკეში საკუთარი ავტომობილით მოვდიოდი. როდესაც არაყიშვილის ქუჩაზე შევუხვიე, ორმა ახალგაზრდამ ხელი დამიქნია — გააჩერეო! ეტყობა, ტაქსის მძღოლი ვეგონე. მათ ყურადღება რომ არ მივაქციე, შემაგინეს. მაშინ კი დავამუხრუჭე და მანქანიდან გადმოსულმა, ვკითხე — ვის შეაგინეთ-მეთქი? მიპასუხეს — შენ შეგაგინეთ, შენი დედაო!.. ერთ-ერთ მათგანს რომ დავარტყი, ადგილზევე ჩაიკეცა; ამ დროს მეორე ზურგზე შემომახტა და ის კიდევ „კისრულით“ დავახეთქე ძირს — თავის მეგობარს ზედ დაეცა... გონზე რომ მოეგნენ, ორივე წამოხტა და გაიქცა, მაგრამ ჩემი მანქანის ნომერი დაუმახსოვრებიათ. როგორც გაირკვა, ისინი ჩემი მეგობრის, ზურა იმერლიშვილის მეზობლები ყოფილან და ორივე თურმე, კრივზე დადიოდა. სახლში მისულებს, ზურასთვის მოუყოლიათ მომხდარის შესახებ, თან უთქვამთ — კი ვტყუოდით, მაგრამ ასეთი არავინ გვინახავს, ეს რა დღეში ჩაგვყარაო!.. იმერლიშვილისთვის ჩემი ავტომობილის ნომერი რომ უთქვამთ, მას გასცინებია — ეგ ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონი თემურ ხუბულურია, საჩხუბრად სხვა ვერავინ ნახეთო?!.

უფულოდ – თვითმფრინავში და ნასვამი – ავტომანქანაში

— საზღვარგარეთ ტურნირებზე რომ მივდიოდით, მებაჟეები განსაკუთრებით მე მჩხრეკდნენ და ამიტომ, ჯიბეში, ერთი დოლარიც კი არასდროს ჩამიდვია, რომ სამუდამოდ არ აეკრძალათ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლა. ერთხელ, რობერ ვან დერ ვალემ მსოფლიოს საუკეთესო, ქვემძიმე წონის მოჭიდავეები ბელგიაში კომერციულ ტურნირზე დაგვპატიჟა. ორგანიზატორებმა მგზავრობისა და ბელგიაში ცხოვრების ხარჯი თავად გაიღეს. საბაჟოზე მე და ჩემი მწვრთნელი, გურამ პაპიტაშვილი ჩვეულებისამებრ, საგულდაგულოდ გაგვჩხრიკეს და თვითმფრინავში რომ ჩავჯექით, შვებით მაშინღა ამოვისუნთქეთ. ცოტა წავიხემსეთ და ამასობაში, სტიუარდესამ ურიკით სხვადასხვა ალკოჰოლური სასმელი ჩამოატარა. ორივემ ვიფიქრეთ, რომ ესეც ბილეთის ფასში შედიოდა და თითო ბოთლი ლუდი დავლიეთ. მაგრამ ცოტა ხანში დავინახეთ, რომ ვინც სასმელი მირთვა, ყველამ ფული გადაუხადა სტიურდესას. მას კარგა ხნის მანძილზე ვუხსნიდით, რომ ჯიბეში ერთი ცენტიც არ გვედო. ბოლოს და ბოლოს, თავი დაგვანება... ბელგიაში ჩაფრენილებს, აეროპორტში გველოდებოდნენ ჟურნალისტები, რომელთაც სახელდახელოდ ინტერვიუ მივეცით. თან, მე და გურამს ტურნირის ორგანიზატორებმა ავტომანქანები დაგვახვედრეს. ამის შემხედვარე, ჩვენი თვითმფრინავის სხვა მგზავრები გაკვირვებული გვიყურებდნენ და ალბათ, ფიქრობდნენ — რა მნიშვნელოვანი ფიგურები ყოფილან და ლუდში ფულის გადახდა კი დაენანათო!.. ტურნირზე კი, სიტუაცია ისე განვითარდა, რომ ვან დერ ვალეს მიერ მოძიებულმა სპონსორებმა გამარჯვებულთათვის ფულადი ჯილდოს გაცემაზე უარი თქვეს და ჭიდაობას ფაქტობრივად, აზრი არ ჰქონდა. შეჯიბრების დაწყებამდე, ასაწონად რომ გავედით, ვან დერ ვალემ მითხრა კიდეც — კენჭისყრის შედეგად ერთმანეთს თუ შევხვდით, მთელი ძალით არ ვიჭიდავოთო.

სხვადასხვა მეტოქე შეგვხდა და ორივემ ორთაბრძოლის დაწყებიდან ერთი წუთის შემდეგ, ჭიდაობა შევწყვიტეთ. ამის შემხედვარე, გულშემატკივარმა დარბაზი დატოვა, რადგან ფინალში ყველას, ჩემი და ვან დერ ვალეს დაპირისპირების ნახვა აინტერესებდა. სხვათა შორის, ამ ბელგიელ ძიუდოისტთან ვმეგობრობდი და მისთვის თბილისში არაერთხელ გამიწევია მასპინძლობა. ერთხელ, ჩემთან კარგად ვიქეიფეთ და ქალაქში ავტომანქანით რომ ვმოძრაობდით, საცობში მოვხვდით. ამ დროს, ავტოინსპექტორი მოგვიახლოვდა, რამაც ვან დერ ვალე ცოტა არ იყოს, დააფრთხო, რადგან იფიქრა — ნასვამები რომ ვართ, არ დაგვაკავონო. მაგრამ ინსპექტორი ორივეს მოგვესალმა და ბელგიელს გაღიმებულმა უთხრა: ვან დერ ვალეს გაუმარჯოსო! ამან გაახარა ჩემი სტუმარი, რომელმაც მითხრა — ბელგიაში ნასვამები რომ ვენახეთ, მაშინვე ბორკილებს დაგვადებდნენო... ცოტა ხანში, უკვე ბელგიაში ვან დერ ვალესთან ვსტუმრობდი და ბანკეტის შემდეგ, ბელგიელმა ბარში დამპატიჟა. საღამოს, მისი ავტომობილით სასტუმროში რომ ვბრუნდებოდით, პოლიციამ გაგვაჩერა. როდესაც მათ ოლიმპიური ჩემპიონი დაინახეს, სიხარულით შეჰყვირეს — „ო, რობერ, რობერ!“ — და საბუთის ნაცვლად, მას ავტოგრაფი მოსთხოვეს. მაშინ კი გავახსენე ვან დერ ვალეს თბილისში ნათქვამი სიტყვები, რაზეც გაეცინა.

კაპიტულაცია სუსტი სქესის წინაშე

— საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად, ბელგიაში შეკრებაზე ვიყავი და მორიგი წვრთნის დროს, დარბაზში შემოვიდა ძიუდოისტი გოგონა, რომელმაც ჭიდაობა შემომთავაზა. მანამდე, კიმონოში გამოწყობილი ქალი არ მენახა და ამან ცოტა არ იყოს გამაკვირვა. მას ქამარში ხელი მსუბუქად ჩავჭიდე და მაღლა რომ ავწიე, ცოტა დააკლდა, რომ ჰაერში ფეხების ქნევა არ დაეწყო, მაგრამ ისევ დაბლა დავუშვი. ჭიდაობას რომ შეუდექით, გოგონა შეტევაზე გადმოვიდა და ვცდილობდი, მისი აგრესია კიმონოზე ოდნავ ხელის წავლებით ჩამეცხრო, თან ფეხს წინ ვწევდი. მეტოქემ ეს რომ დაინახა, სარმა გამომდო. რა უნდა მექნა?! განგებ დავეცი მოწყვეტილივით ცალ მუხლზე და ამან ქალიშვილი ძალიან გაახარა. თან, კაპიტულაციის ნიშნად, ტატამს ხელი სამჯერ დავარტყი — გამარჯვებულს ვნებდებიმეთქი. მან გაიღიმა, თავი დამიკრა და სანამ დარბაზიდან გავიდოდა, ლოყაზე მაკოცა... მეორე დღეს, ვან დერ ვალემ გაზეთი მომიტანა, რომელშიც ჩემი კაპიტულაციის ამსახველი ფოტო იყო მოთავსებული და მას ქვემოთ ასეთი წარწერა ჰქონდა: „მსოფლიო ჩემპიონი თემურ ხუბულური რაინდობის გაკვეთილს უტარებს ყველას, ვინც დაივიწყა, რომ მშვენიერი სქესი ყოველთვის იმარჯვებს“. ■

ეს სტრიქონები თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრის მსახიობს, ქალბატონ ინგა გიჟუაშვილს ეკუთვნის. იგი 53 წლის მანძილზე იდგა სცენაზე, ახლა კი კულისებს მიღმა დარჩა და სცენის მონატრების დარდს ლექსების წერით იქარვებს.

„დრომ ვერ განკურნა ჩემი იარა, ჩემთვის სამყაროს მთლად გაიარა. სანთლებად მენთე, მინად იქეცი... ვაიმე, შვილო! რად გამექეცი...“

მოკარნახიდან მსახიობამდე ანუ ქალი, რომელსაც ახლა მუზა აწვალებს

ნათია ქივიძე

— ქალბატონო ინგა, როგორ დაიწყო თქვენი სამსახიობო კარიერა?

— კარგ ოჯახში გავიზარდე. მამა ჯერ ბრიგადირი იყო, მოგვიანებით კი — უბრალოდ მიწის მუშა. სამაგიეროდ, მამაჩემის მამა რვა სოფლის მამასახლისი გახლდათ და მისგან ნაფარეულში დიდძალი მემკვიდრეობა დაგვრჩა. საფერშლო სკოლის მეორე კურსზე ვსწავლობდი, როცა თელავის თეატრიდან ჩვენს სკოლაში მოვიდნენ, რათა სპექტაკლისთვის — „იავნანამ რა ჰქმნა“ ქეთოს როლის შემსრულებელი შეერჩიათ. რატომღაც ეს როლი მე შემომთავაზეს. მსახიობობის ნიჭი კი არა, სიყვარული ბავშვობიდანვე მომყვებოდა და ოცნებაც ამიხდა. რაკი ერთხელ სცენაზე ფეხი შევდგი, ველარ დავთმე და თეატრში დავრჩი. მაშინ თეატრში ერთი მოკარნახე გვყავდა, ქეთო ღვინიაშვილი, რომელსაც ასთმა ჰქონდა, რის გამოც ძლივს სუნთქავდა და სულ ცუდად იყო. ამიტომ ხშირად მის ნაცვლად კარნახი მე მიხდებოდა. მერე ამ საქმეს იმდენად შევეჩვიე, რომ უკვე ინტონაციებით ვკარნახობდი. რეჟისორი სულ მეჩხუბებოდა — ქალო, ინტონაციით ნუ კარნახობო!.. ერთხელ ამ საყვედურის გამო რეჟისორს პიესაც ვესროლე: გეხმარებით, თქვენ კი აქეთ მსაყვედურობთმეთქი?! — აღვშფოთდი. მაშინ თითქმის ყველა პიესაში მქონდა როლი. სცენაზე თამაშს რომ მოვრჩებოდი, კულისებიდან ვკარნახობდი მსახიობებს. მერე ავდექი და მოკარნახის მოვალეობა მოვიხსენი. არც მადლობას მიხდიდა ვინმე და არც ხელფასს.

— რომელმა როლებმა მოგიტანათ ყველაზე დიდი წარმატება?

— ჩემთვის ყველა როლი ძალზე საყვარელი იყო. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ეს მთავარი როლი იქნებოდა თუ ეპიზოდური. ოღონდაც სცენაზე ვყოფილიყავი და ჩემთვის დიდი და პატარა როლი არ არსებობდა. კარგად მახსენდება ქაბატოს როლი „ხანუმაში“, „უდანაშაულო დამნაშავენი“ —

ემთვის ყველა როლი ძალზე საყვარელი იყო. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ეს მთავარი როლი იქნებოდა თუ ეპიზოდური

დარჩიხა, „დაჭრილი არწივი“ — ფატი, „პატარა კახი“ — ტურფა, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ — მერი... რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, აღარც კი მახსოვს. პატარა გოგო ხომ აღარ ვარ *(იცინის)*...

— სხვა რომელიმე თეატრიდან ხომ არ გქონიათ მიწვევა?

— როგორ არა. ვასო გოძიაშვილი სულ მეხვეწებოდა — ოღონდ ჩვენთან, მარჯანიშვილის თეატრში გადმოდი და მოკარნახედაც გამუშავებთ და როლებსაც მოგცემთო, მაგრამ თბილისში ვერ წავედი, რადგან ჩემს მშობლებს ჩემ გარდა არავინ ჰყავდათ და ვერ მივატოვებდი. ზუგდიდის თეატრიც მეხვეწებოდა მათთან გადასვლას, რადგან მათ ქალები თითქმის არ ჰყავდათ. მათაც უარი ვუთხარი. ძალიან ემოციური ვარ. გასტროლებზე რომ წავიდოდით ხოლმე, მშობელს ყოველდღე წერილს ვუგზავნიდი, თან ხმამაღლა ვტიროდი, დედა მინდა-მეთქი, — ვამბობდი. ამის გამო ყველა მსახიობი დამცინოდა: რაღა დროს შენი დედააო?!.

— საკუთარი ოჯახი არ გაქვთ?

— სამწუხაროდ, არა. არ გავთხოვდი. მოგვიანებით კი, ბავშვი ავიყვანე და გავზარდე. ის ახლა 36 წლისაა. ჩემი გოგონა სულ პატარა იყო, როცა ბიჭმა მომტაცა. რაღას ვიზამდი? ახლა ორი გოგონა ჰყავთ. ასე რომ, მომავლის იმედი მაქვს...

— როდის და რატომ წამოხვედით თეატრიდან?

— თეატრიდან ჩემი ნებით არ წამოვსულვარ, შემცირებაში მოვყევი. მართალია, მათ ამის უფლება არ ჰქონდათ, რადგან მარტოხელად ვითვლები, მაგრამ ასე მოხდა. ახლა აღარაფერს ვაკეთებ. ხანდახან მუზა მომდის და პატარ-პატარა ლექსებს ვწერ. თეატრიდან წამოსვლის შემდეგ, 10 წლის განმავლობაში, უანგაროდ ვმუშაობდი სათნოების სახლში: იქ მყოფ მოხუცებს წნევას ვუზომავდი, წამლებიც მიმქონდა მათთვის, როცა ამის შესაძლებლობა მქონდა. ახლა სათნოების სახლი გამგებელმა დააფინანსა და ჩემს ადგილზე სხვა თანამშრომელი დაასაქმეს. ისე, თუ გაინტერესებთ, ყოველთვის დიდი მსახიობების გვერდით ვთამაშობდი. მათ შორის იყვნენ: თინა ბურბუთაშვილი, ალექსი კუპატაძე, დოდიკ სხირტლაძე — დუტას პაპა. დუტა ჩემს ხელშია გაზრდილი. გასტროლებზე რომ წავიდოდით ხოლმე, მე და დუტას ბებია ყოველთვის მეორე რიგში ვისხედით. დუტა, ბებიის კალთაში ჯდომით რომ დაიღლებოდა, ჩემთან გადმოდიოდა. სამწუხაროდ, დუტასთან თამაშმა არასოდეს მომიწია. კარგა ხანს ნანახი არ მყავდა. ამას წინათ, თელავში სპექტაკლი ჰქონდათ ჩამოტანილი და მაშინ ვნახე. ბევრი ვისაუბრეთ და თავისი ბავშვობაც გაიხსენა. მართლაც, ძალზე ნიჭიერი მსახიობია და ვამაყობ მისით.

— როგორ ფიქრობთ — რით განსხვავდება მაშინდელი და ახლანდელი თეატრი?

— მაშინ თეატრი თეატრს ჰგავდა. ახლაც ნიჭიერი მსახიობები გვყავს, მაგრამ მე მათგან უფრო მეტს მოვითხოვ... მიღებული მაქვს სამი მედალი, ქების სიგელი. შრომის წიგნაკში უამრავი მადლობა მაქვს შეტანილი. ვარ შრომის ვეტერანი... ისე, დღეს უფრო მეტი თაყვანისმცემელი მყავს. ხშირად მაჩერებენ ქუჩაში გამვლელები და სიყვარულს მეფიცებიან. წერილებსაც მწერენ, ახლა ვხვდებით თქვენს ფასსო, — მეუბნებიან... საერთოდ, ასეთია ცხოვრება: როცა ადამიანი შენს სიახლოვესაა, არაფრად გიღირს, როცა მას დაკარგავ, მაშინ უფრო აფასებ, მაშინ გაგვიტკბება ხოლმე ერთმანეთი... მოდი, ჩვენს ინტერვიუს ისევ ჩემი ლექსის ნაწყვეტით დავასრულებ:

> „ჩამოდნა გული, ჩამოყარა სხეულოდინით, აუ, მწარე ლოდინით. ნუცალიერ იყავ, ვარსკვლავო ბედის, მწარეს დამიგო ფერადი ლოდინი...“

■

ჯანთელ ენაში დამკვიდრებული გამოთქმები

მგლის ბილეთი (პასპორტი)

მეფის რუსეთში, რევოლუციურ მოძრაობაში შენიშნულ პირს პასპორტში ჩაუწერდნენ ხოლმე ცნობას, რომ იგი პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო იყო, რაც მას უსპობდა საშუალებას, შესულიყო სასწავლებელში ან მოწყობილიყო სახელმწიფო სამსახურში. ძველად რუსეთში თემის მფარველობაჩამორთმეულ და ციმბირში გადასახლებულ პირს პოლიცია ნებას რთავდა, 6 თვის განმავლობაში მოეგვარებინა საკუთარი საოჯახო საქმეები და საამისოდ მას ექვსთვიან მოწმობას აძლევდა. ასეთ მოწმობას ხალხმა მგლის ბილეთი შეარქვა. შემდეგ, მგლის ბილეთს უწოდებდნენ ყველა იმ მოწმობას, სადაც სათანადო ორგანოების მიერ აღნიშნული გახლდათ, რომ მისი მფლობელი პოლიტიკურად არასაიმედო იყო. ამგვარი მოწმობა მისცეს ეგნატე ნინოშვილს, როდესაც იგი ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლიდან გარიცხეს, ლადო კეცხოველს — სასულიერო სემინარიიდან გარიცხვის შემდეგ და სხვებს.

კუპიდონის ისარი

სიყვარულის სიმბოლოა. სიყვარულის თემას ძველბერძნულ და რომაულ მითებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი. პეპლისფრთებიანი, შეუდარებელი სილამაზის გოგონა ფსიქეა და მისი დამოკიდებულება ეროსთან, რომაელების კუპიდონი ანუ ამური — მშვილდითა და ისრებით შეიარაღებული პატარა ფრთებიანი ულამაზესი ბიჭუნა და სხვა მრავალი მშვენიერი მითი ამ თემაზეა შექმნილი.

კუპიდონის ისრის ტყორცნა — მიზანში ამოღებული ადამიანის გულში სიყვარულის აღძვრას ნიშნავს.

თეთრი ძაფით შეკერილი

ამ გამოთქმას ხმარობენ ისეთ შემთხვევაში, როდესაც სურთ, აღნიშნონ არცთუ ისე მოხერხებულად შენიღბული ფარული განზრახვა.



ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. ყალამი; 2. გულაბი; 3. საფარი; 4. კედი; 5. საკურა; 6. კოტეჯი; 7. დინარი; 8. ლაფონტენი; 9. ბახალა; 10. ტალავერი; 11. ნაციზმი; 12. ბაკანი; 13. ათენა; 14. ნიში; 15. სიბილა; 16. გრიმასა; 17. ბრაილი; 18. ბრევე; 19. სირია; 20. ხაბაზი; 21. დეპეშა; 22. სეიმი; 23. აქსისი; 24. სიმონია; 25. ჩილა; 26. პიკოლო; 27. კრახი; 28. მანილა 29. კოპი; 30. ტრიო.

სურათზე: ტომ ბერენჯერი.

მე-20 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ა.
49-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ბ; 4-ა.

ზენიტში

მზე ცის თაღზე ზენიტს — ე.ი. უმაღლეს წერტილს შუადღეზე აღწევს. მერე კი, თანდათან დაბლა ეშვება. დიდების ზენიტში, დიდების მწვერვალზეაო, — იტყვიან ხოლმე ადამიანზე, რაც ხატოვანი თქმით, უმაღლეს, კულმინაციურ წერტილამდე მიღწეულ სახელსა და დიდებას ნიშნავს.

მრგვალი მაგიდა

მრგვალი მაგიდა სიმბოლურად, თანასწორუფლებიანობას ნიშნავს. ასეთ მაგიდას არ გააჩნია თავი, ბოლო, კიდე — ე.ი. ერთი-მეორისგან განმასხვავებელი ნაწილები და ამგვარად, მის ირგვლივ მსხდომთ სწორუფლებიანი ადგილები უკავიათ. ამ ხატოვანი გამოთქმის ავტორად ითვლება ლეგენდარული მეფე არტური. მან თავის რაინდებთან ერთად, სანადიმოდ მრგვალი მაგიდა დაამზადებინა იმ მიზნით, რომ ყველა მათგანს თანასწორი ადგილი სჭეროდა.

მოჯადოებული წრე

გადატანითი მნიშვნელობით — მძიმე, გამოუვალი მდგომარეობა. ძველ დროში, ცრუმორწმუნე ხალხის ღრმა რწმენით, არსებობდნენ გრძნეული ადამიანები, რომლებსაც საიდუმლო შელოცვით შეეძლოთ ისეთი წრის შემოვლება, სადაც ავი სული ვერ შეაღწევდა და ვერც იმ მოჯადოებული წრიდან გამოვიდოდა.

მეშვიდე ცაზე

უდიდესი სიხარულის, ბედნიერებისა და კმაყოფილების სინონიმია. ამ გამოთქმას ხუმრობით ან ირონიულად მიმართავენ.

ძველი ბერძნების გაგებით, როგორც ცნობილი ფილოსოფოსი არისტოტელე გადმოგვცემს, ცა შედგებოდა ბროლის შვიდი უძრავი სფეროსგან. ყველაზე მაღალი, მეშვიდე სფერო — ანუ ცა იყო, ღმერთისა და ანგელოზების სამყოფელი, სადაც სრულყოფილი სიხარული და ნეტარება სუფევდა.

ქართული ენაში ღმერთიერი გამოთქმები

ანეკდოტები

***

პოლიციელს „დაპატიმრებული“ თხა მიჰყავს.

— სა მიგყავს მაი ძაღლი? — ეკითხება გურული.

— აგი ძაღლი კი არა, თხაია, — უხსნის პოლიციელი.

— მე თხას ვეკითხები!

***

— ექიმო რა არის ქალში ყველაზე მთავარი?

— ენა.

— როგორი უნდა იყოს, რაც შეიძლება წითელი, რაც შეიძლება რბილი თუ?..

— რაც შეიძლება მოკლე!

***

სვანმა გაიგო რომ დედამიწა ბრუნავს და თავბრუ დაეხვა.

***

„ბოქსიორი“ შეჯიბრების წინ თავის შეყვარებულს ეუბნება:

— საყვარელო, ბრძოლის მერე ჩვენს კაფეში შევხვდეთ.

— კარგი, ოღონდ რომ გიცნო, ხელში გაზეთი გეჭიროს.

***

სვანს ეკითხებიან რა გქვიაო.

— ემზარი, მაგრამ რომ ვაცემინებ, სიცოცხლეს მეძახიან!

***

ებრაელი ექიმთან:

— ექიმო, სიბრძნის კბილის ამოღება რა ღირს?

— 80 ლარი.

— უფრო იაფად არ შეიძლება?

— უნარკოზოდ შეიძლება, 60 ლარად.

— მაინც ძვირია, უფრო იაფად?

— უფრო იაფად?.. თუ უნარკოზოდ და ბრტყელტუჩათი ამოვიღებთ, მაშინ ორმოცადაც შეიძლება.

— და 20-ად არა?

— ნუ, თუ უნარკოზოდ, ბრტყელტუჩათი და პრაქტიკანტები ამოიღებენ, შეიძლება 20 ლარადაც.

— კარგით, მაშინ შაბათისთვის ჩაწერეთ ჩემი ცოლი.

***

— ჭიჭიკია, საიდან გაქვს ასეთი ოლიმპიური სიმშვიდე.

— მე რომ მიყურებთ, ძამია, საწვრთნელი მეცადინეობები მაქვს გამოვლილი, სახლში ისეთი პოლიგონი მაქვს: სიდედრი, ცოლი, ოთხი ქალიშვილი, ორი ძაღლი და კიდევ სანთებელა, რომელიც არ ინთება.

***

პატარა სვანს დედა ეუბნება:

— მაიზერ, დახურე ფანჯარა, გარეთ ცივა!

— მე კი დავხურავ, მარა გარეთ რა, დათბება?!

***

ებრაელი სახურავიდან ჩამოვარდა, საკუთარ სამზარეულოს ჩამოუფრინა და ცოლს შესძახა:

— სარა, ჩემთვის სადილი არ გააკეთო.

***

საუბარი ებრაელების ოჯახში,

— შვილო, გადი მეზობელთან ჩაქუჩი გამოართვი.

— ვიყავი უკვე და მითხრეს, არ გვაქვსო.

— ფუუჰ! რა „ჟმოტია“, ეს მოშე! კაი, წადი ჩვენი მოიტანე.

***

გოსდუმის სხდომაა. უეცრად პრეზიდენტი აცემინებს. ტაბლოზე ჩნდება წარწერა:

ჯანმრთელობა, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ.

მომხრე — 127.

წინააღმდეგი — 128.

გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

***

უცხოელი ქართველ ოპოზიციონერს ეკითხება:

— თქვენთან სახელმწიფო ეკლესიას უკვე გაემიჯნა?

— კი, ეკლესიასაც გაემიჯნა, ხალხსაც, მეცნიერებასაც, კულტურასაც და მრეწველობასაც...

***

— ექიმო, შემომხედეთ და მითხარით, ჩემი გარეგნობის ქალი შეიძლება გაჰყვეს ახალგაზრდა, ლამაზ და მდიდარ მამაკაცს?

— ეს პოლიკლინიკაა ჭირიმე, ფსიქიატრიული მეორე ქუჩაზეა...

***

ხატვის მასწავლებელმა გაკვეთილზე შიშველი ქალის სკულპტურა შეიტანა და კითხულობს:

— ბავშვებო, რა მოგწონთ ამ სკულპტურაში?

— მკერდი! — პასუხობს მიხო.

— გაეთრიე გარეთ!

— შენ, მიტო?

— გავდივარ, მასწ, უკვე გავდივარ...

***

წარწერა საფლავის ქვაზე:

„ყველა სოკო ერთნაირად სასარგებლო როდია“.

***

ახალგამოღვიძებული ქმარი ძალიან მოწყენილია.

— რა მოგივიდა? — ეკითხება ცოლი.

— ცუდი სიზმარი ვნახე!..

— მაინც რა?

— ვითომ დედაშენი ჭაში დაიხრჩო...

— სულელო, ეგ ხომ სიზმარი იყო?

— იმიტომაც ვარ მოწყენილი...

***

დავაჟკაცებული სვანი ეკითხება მამას:

— დედასთან კიდე წევხარ?!

— არა!

— აბა, აღარც მე ვჭამ ძუძუს და გადავაგდოთ, რაღა ჩემ ფეხებად გვინდა!..

***

ექთანს მიჰყავს ავადმყოფი გორგოლაჭებიანი სავარძლით. ავადმყოფი კვნესის:

— დაო, იქნებ, ნემსი გამიკეთოთ, ძალიან მტკივა.

— არა.

— იქნებ, რეანიმაციაში მაინც ამიყვანოთ.

— არა. ექიმმა თქვა მორგშიო, ე.ი. მორგში!

გწამთ თუ არა დიდი სიყვარულის არსებობის?

თქვენ მიგაჩნიათ, რომ არსებობს ისეთი გრძნობა, რომელსაც ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევა ძალუძს? თუ თქვენი აზრით, ეს გადაჭარბებულია? გწამთ თუ არა დიდი სიყვარულის არსებობის, ამას ტესტის შევსების შემდეგ შეიტყობთ.

1. თქვენი მეგობარი გოგონა საზღვარგარეთ ისეთ მამაკაცთან ერთად გამგზავრებას გეგმავს, რომელსაც წესიერად არც კი იცნობს. რას ფიქრობთ ამაზე?

ა) ჩემი აზრით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყველაფერი ისე არ წარიმართება, როგორც ამას თავად გეგმავს, მისთვის ეს შესანიშნავი საშუალება იქნება საკუთარ გრძნობაში გასარკვევად — 2;

ბ) ამ ახალი ამბით, გულწრფელად გავიხარებ — 3;

გ) მეგობარს ამ განზრახვაზე ხელი რომ ავაღებინო, ამისათვის ძალ-ღონეს არ დავიშურებ — 1.

2. ზოგჯერ პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით ჩვენ გვაწვდიან ინფორმაციას ისეთ ცნობილ წყვილებზე, რომლებიც ირწმუნებიან, რომ უერთმანეთოდ ერთ დღესაც კი ვერ ძლებენ და ამიტომ გამუდმებით ერთმანეთის გვერდით იმყოფებიან. რას ფიქრობთ ამაზე?

ა) ასეთი ძლიერი გრძნობის განცდაზე მეც ვოცნებობ — 2;

ბ) ეს ხომ საშინელებაა — 1;

გ) არ მჯერა, ეს ხომ შეუძლებელია — 3.

3. თქვენი აზრით, რა განამტკიცებს ქალისა და მამაკაცის სიყვარულს?

ა) მსგავსი მიზნებისა და ინტერესების ქონა — 1;

ბ) ამა თუ იმ სიტუაციის ერთობლივი განცდა — 3;

გ) გრძნობა და ერთმანეთისაკენ ლტოლვა — 2.

4. პარტნიორის განსხვავებული შეხედულებების მიმართ, როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

ა) აუცილებელია განსხვავებული აზრის გათვალისწინება, რადგან, როგორც ამბობენ, ერთი კაცის ჭკუას, ორი კაცის ჭკუამ აჯობაო — 2;

ბ) საწინააღმდეგო მოსაზრებების მქონე პარტნიორთან ურთიერთობაზე დასაფიქრებლად, ეს, საკმაოდ კარგი მიზეზია — 1;

გ) ყოველთვის ყველაფერი გულდასმით უნდა განვსაჯოთ და შეხების წერტილის ანუ ოქროს შუალედის პოვნა უნდა ვცადოთ — 3.

5. თქვენ შეიტყვეთ, რომ სამსახურში, შესვენების დროს, თქვენი პარტნიორი ხშირად სადილობს სხვა ქალთან ერთად. როგორი რეაქცია გექნებათ ამაზე?

ა) ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე პირდაპირ ვკითხავ მას, რას ნიშნავს მისი ასეთი ქცევა. — 1;

ბ) მიუხედავად იმისა, კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირია, მისი ამგვარი საქციელის შეტყობის შემდეგ, მაინც შოკში ჩავვარდები — 2;

გ) ეს ამბავი სულაც არ გამაღიზიანებს, რადგან ეჭვიც არ შემეპარება იმაში, რომ ჩემი პარტნიორი შესვენების დროს, უბრალოდ თავის კოლეგასთან ერთად სადილობს და მეტი არაფერი — 3.

ტესტის შედეგები

5-8 ქულა: პარტნიორთან თქვენი ურთიერთობა ლტოლვასა და დასვენებაზე კი არ არის დამყარებული, არამედ ურთიერთპატივისცემასა და საერთო ინტერესებს ეფუძნება. მართალია, თქვენი აზრით, ამგვარ დამოკიდებულებას არ შეიძლება ეწოდოს „დიდი სიყვარული“, მაგრამ თუ დაფიქრდებით, აღმოაჩენთ, რომ თქვენს შემთხვევაში, სწორედ ერთმანეთის მიმართ არსებულ ღრმა გრძნობაზეა ლაპარაკი.

9-11 ქულა: თქვენ ოცნებობთ იმგვარ სიყვარულზე, რომლის შესახებაც არაერთგზის წაგიკითხავთ და გაგიგონიათ... მაგრამ რატომღაც არ გჯერათ, რომ თქვენს შემთხვევაში ეს შესაძლებელია! შეეცადეთ გაერკვეთ, რა გაძლევთ ეჭვის საფუძველს?

12-15 ქულა: არსებობს თუ არა ბუნებაში თქვენი „მეორე ნახევარი“? — ამგვარ შეკითხვას არც კი უსვამთ საკუთარ თავს. თქვენ ხომ ის უკვე იპოვეთ! ამიტომ ცდილობთ, ყველაფერი გააკეთოთ იმისათვის, რომ თქვენს კავშირს არანაირი საფრთხე არ დაემუქროს.

ცნობილთა ცხოვრებიდან

***

შუბერტის კვინტეტ „კალმახის“ შესრულების შემდეგ, გერმანელმა კომპოზიტორმა და პიანისტმა, მაქს რეგერმა, რომელიც ფორტეპიანოს პარტიას ასრულებდა, საჩუქრად მიიღო ერთი კალათი კალმახი თაყვანისმცემლებისაგან. რეგერმა გაუგზავნა მადლობის წერილი, რომელშიც ხუმრობით წერდა, რომ შემდეგ კონცერტზე, ჰაიდნის „ხარის მენუეტს“ დაუკრავდა...

***

გამოჩენილი მხატვარი-პეიზაჟისტი, სამხატვრო აკადემიის პედაგოგი სანდრო ციმაკურიძე ერთობ დაბნეული და გულუბრყვილო ადამიანი გახლდათ. ერთხელ უთხრეს: კომისია მოდის, მოწესრიგდი, ასე ხომ არ დახვდები, ცალ-ცალი ფეხსაცმელი გაცვია, თანაც — სხვადასხვა ფერის; წადი შინ, გამოიცვალე და მალე დაბრუნდიო. წავიდა და ისევ იმგვარად, ცალ-ცალი, სხვადასხვა ფერის ფეხსაცმლით დაბრუნდა. სანდრო, ფეხსაცმელი რატომ არ გამოიცვალეო? — შეეკითხნენ. — როგორ არ გამოვიცვალე, მაგრამ შინაც ასე, ცალ-ცალი დამხვდაო.

ცნობილთა ცხოვრებიდან

***

ერთხელ, ქართულ სცენაზე დაიდგა ვოდევილი — „ცელქები“. ავადმყოფი მსახიობის, შათირიშვილის შემცვლელად, სახელდახელოდ ალექსანდრე იმედაშვილი გამოიყვანეს სცენაზე. ცხადია, მას ყური და გონება სულ მოკარნახისკენ ჰქონდა მიმართული... როლში შეჭრილი ტასო აბაშიძე ხელს უწვდის იმედაშვილს და თან, ჩურჩულით ეუბნება:

— ახლა ხელზე უნდა მაკოცო, საშა!

იმედაშვილმა ანგარიშმიუცემლად, ხელი გაუწოდა და თან, ისევ მოკარნახისკენ იხედებოდა. ამ დროს გაისმა საშინელი კივილი:

— რას შვრები, ბიჭო, ხელი ნუ დამწვი!

თურმე იმედაშვილი, ტასოს გამოწვდილ ხელს გავარვარებული სიგარეტით „დაჰკონებია“.

***

ერთი მელოტი კაცი ამბობდა: ახლანდელი ყმაწვილების ყოფაქცევას რომ უყუროს კაცმა, თავზე თმა აუდგებაო!

— გეტყობათ, ბევრი გიყურებიათ, რომ თქვენი თმა არათუ ამდგარა, არ დამდგარა და კიდეც დაკარგულა ცხრა მთას იქით, — ცინიკურად ჩაულაპარაკია აკაკი წერეთელს.

***

ერთი ყმაწვილი მივიდა ვენის ძველ კაპელმაისტერთან და გაუწოდა კონვერტი, თავისი პირველი მუსიკის მასწავლებლის სარეკომენდაციო წერილით, თან გაუბედავად სთხოვა, კონტრაპუნქტი ესწავლებინა მისთვის. კაპელმაისტერმა გახსნა კონვერტი და წაიკითხა: „ამ წერილის მომტანი წმინდა წყლის მეოცნებეა. ნამდვილად შეშლილია, რადგან ფიქრობს, რომ მუსიკაში გადატრიალებას მოახდენს. მას ტალანტის ნატამალიც კი არა აქვს და რასაკვირველია, ცხოვრებაში რიგიანს ვერაფერს შექმნის. მისი გვარია ჰაიდნი“...

***

მეტროდან ამოსულმა ჩარლი ჩაპლინმა სრულიად შემთხვევით, თავის ჯიბეში დიდი ოქროს საათი იპოვა და უმალ პოლიციაში ჩააბარა. მეორე დღეს, მას მიუტანეს ბარათი, სადაც ეწერა:

„ძვირფასო ბატონო ჩაპლინ! ამ ბარათს გიგზავნით პროფესიონალი ქურდი. გუშინ მეტროში „ვმუშაობდი“ და სწორედ იმწამს დაგინახეთ, საათი რომ მოვინადავლე. მე დიდ თაყვანს ვცემ თქვენს ნიჭს. გთხოვთ პატიებას, ამ პატარა საჩუქარს ნუ დამიწუნებთ“.

***

გამოცხადდა კონკურსი — ვინ უფრო უკეთ მიჰბაძავდა ჩარლი ჩაპლინს. ამ კონკურსზე თვითონ ჩაპლინიც შეიპარა და ინკოგნიტოდ მიიღო მონაწილეობა. როგორ ფიქრობთ — რომელი ადგილი დაიკავა?.. მერვე თუ მეცხრე. აქედან დასკვნა: სხვისი მიბაძვა უფრო იოლია, ვიდრე საკუთარი თავის. არც ერთ დიდ მსახიობს საკუთარი თავის თამაში არ ხელეწიფება...

იაპონური სუდოკუ სენსაცია

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

7	8	2	1	4	6	3	9	5
9	3	6	7	5	2	4	1	8
4	5	1	8	3	9	6	7	2
5	4	3	6	9	1	8	2	7
6	9	8	2	7	5	1	4	3
1	2	7	3	8	4	5	6	9
2	7	4	5	6	8	9	3	1
3	6	5	9	1	7	2	8	4
8	1	9	4	2	3	7	5	6

4	7	2	6	3	8	5	9	1
3	9	5	4	7	1	8	6	2
1	8	6	5	2	9	4	7	3
9	6	3	2	1	4	7	5	8
8	5	1	7	9	6	3	2	4
7	2	4	3	8	5	6	1	9
2	1	7	8	6	3	9	4	5
6	4	8	9	5	2	1	3	7
5	3	9	1	4	7	2	8	6

* მარტივი

		1		3		7	5	8
			5	2	7		6	
7		9			1	4		3
	3		6		5	1	9	
5	4			1		3		6
	1	6	7		3	5	4	2
8		5	1	7	6	2	3	
1	6		3		2	8		9
3		2		9	8		1	5

** საშუალო

	6	8		2				4
2				1	5			7
7			4	6		9		2
		1		7	3			
6	3	2	5			1		
	7		2		1	3	5	6
		7		3	2		6	
					7	4	9	
8	9	5			6			3

ფოტოკუჩიოზები



-55
b 86/2

365 საინტერესო საკითხავი ყოველი დღისთვის,

2006 წლის კედლის მოსახევ კალენდრებში